საქართველო ბეჭედია ბაჯ... თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ჟურნალი №42 (773) * 19 – 25 ოქტომბერი * ფასი 1,50 ლარი



ნოდიკოს ნომერთან მივვარდი, ვუზრახუნებ, ვკივი: „პასპორტი აიღე, შეიძლება, ავფეთქდეთ!"

გვ.54

ვინ დააქორწინა ნოდიკო ტატიშვილი და მარიამ როინიშვილი და რისი განცდა აქვს ნოდიკოსთან დაკავშირებით სოფო გელოვანს



გვ.14

სად ცხოვრობს ოჯახი, სადაც 38 ხატს სდის მირონი, როგორ განკურნა ამ მირონმა ინვალიდები და კომაში მყოფი ადამიანები და რამდენი წლის უშვილობას ეყოლათ ბავშვები

როგორ გახდა ნატო დუმბაძე ქეთა თოფურიას საჩუქარი და როგორ ართმევს ის თავს პოპულარული მომღერლის დესანტობას

გვ.59



გვ.10

როგორ ჩაუტარა ქართველ მსახიობს, ტომას კაუპერვუდს მასტერკლასები დასტინ ჰოფმანმა და ვინ გადაიღო ის ტომ კრუზთან და ჰელენ მირენთან ერთად სხვადასხვა ფილმში



ჩემი და ჩემი მეუღლის მოხვედრა „ფორბსის" გარეკანზე დასრულდა

გვ.6

რაში აიყოლია გიორგი ისაკაძე მაკა ასათიანის ქმარმა და რა წესებს იცავს ის ცნობილ მილიონერებთან



ვისი სიყვარული აძლევს სტიმულს ნინა სუხლატს და რა საერთო აქვს მას მაიკლ ჯეკსონთან

გვ.58



გვ.62

როგორია გიორგი შერმადინის ანდორული ცხოვრება და ვის დაიცავს ჯუჯა სახელმწიფოში ტანმაღალი ქართველი



გვ.29

ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ მძღოლს მეორისთვის მანქანაც კი უყიდია და მერე იურიდიულად დადასტურებულა, რომ დამნაშავე არ იყო

რატომ ჯარიმდებიან საქართველოში მძღოლები ხშირ შემთხვევაში დაუმსახურებლად და როგორ უნდა დაიცვან მათ თავიანთი უფლებები

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# კეტონალი დუო®

## კეტოპროფენი

**სწრაფი და ხანგრძლივი გამარჯვება ტკივილზე**[1]




**პრეპარატის სავაჭრო დასახელება:** კეტონალი® დუო, **შემადგენლობა:** კეტოპროფენი. **გამოყენების ჩვენებები:** პოსტტრავმული და ოპერაციისშემდგომი ტკივილი, მტკივნეული მენსტრუაცია, რევმატოიდული ართრიტი, სპონდილოართრიტი, ფსორიაზული ართრიტი, ნიკრისის ქარი, ოსტეოართრიტი, სახსარგარე რევმატიზმი. **უკუჩვენებები:** მომატებული მგრძნობელობა კეტოპროფენის ან პრეპარატის ნებისმიერი დამხმარე ნივთიერების მიმართ, მძიმე ფორმის გულის უკმარისობა, ქრონიკული დისპეფსია, პეპტიდური წყლული, კუჭ-ნაწლავური სისხლდენა, წყლული ან პერფორაცია, სისხლდენისკენ მიდრეკილება, თირკმელების და ღვიძლის ფუნქციის მძიმე დარღვევა, ორსულობის ბოლო ტრიმესტრი, 15 წლამდე ასაკის ბავშვები. **განსაკუთრებული მითითებანი და უსაფრთხოების ზომები:** არასასურველია პრეპარატის აასპ-თან ერთად გამოყენება, განსაკუთრებით ხანდაზმულებში. კეტონალ დუო-მ შესაძლოა შენიღბოს ინფექციური დაავადებების ნიშნები და სიმპტომები, დააქვეითოს ფერტილურობა. კეტონალ დუო-ს კაფსულები შეიცავენ ლაქტოზას, ამიტომ არასასურველია მისი მიღება გალაქტოზის თანდაყოლილი აუტანლობის, ლაქტაზის დეფიციტის, გლუკოზის ან გალაქტოზის შეწოვის დარღვევის მქონე პაციენტების მიერ. **ორსულობა და ძუძუთი კვება:** რეკომენდებული არ არის კეტონალ დუო-ს დანიშვნა ორსულებში და მეძუძურ დედებში. **ზეგავლენა სატრანსპორტო საშუალებების მართვის უნარსა და მექანიზმებთან მუშაობაზე:** პრეპარატმა შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა, ძილიანობა ან კრუნჩხვები; **დოზები და გამოყენების ხერხი:** შინაგანად მისაღებად. მიიღება ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ, არანაკლებ 100 მლ წყალთან ან რძესთან ერთად. დაუშვებელია კაფსულების დაღეჭვა. მოზრდილები 15 წელს ზემოთ: კეტონალ დუო-ს 1 კაფსულა (კეტოპროფენის 150 მგ) დღეში ერთხელ. კეტოპროფენის მაქსიმალური სადღეღამისო დოზაა - 200 მგ. **გვერდითი მოქმედება:** დარღვევები სისხლის და ლიმფური სისტემის, ფსიქიკის, ნერვული სისტემის, სმენის, გულის, სისხლძარღვების, სასუნთქი სისტემის, გულმკერდის და შუასაყარის ორგანოების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლის და ნაღველმდენი გზების, კანის და კანქვეშა ქსოვილების, თირკმელების და შარდმდენი გზების მხრიდან. **ჭარბი დოზირება:** რეკომენდებულია კუჭის გამორეცხვა, სიმპტომატური და შემანარჩუნებელი თერაპიის ჩატარება. **სხვა სამკურნალწამლო პრეპარატებთან ურთიერთქმედება და ურთიერთქმედების სხვა ფორმები:** პრეპარატების არარეკომენდებული კომბინაციები: სხვა აასპ და სალიცილატები მაღალი დოზებით, ანტიკოაგულანტები, ლითიუმი, მეტოტრექსატი 15 მგ/კვირა-ზე მაღალი დოზებით. **შენახვის პირობები:** ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე. გაიცემა ურეცეპტოდ.

R-014932; GE1506344420

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

1. Pil of product

# შვეიცარული მიდგომა ხარისხთან

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18; ტელ.: 298 27 30, 298 27 50

რეპროარტი
ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა
REPROART
GEORGIAN-AMERICAN CENTER FOR REPRODUCTIVE MEDICINE

# რატომ აკითხავენ „რეპროარტს“ უშვილო ქალბატონები

**ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი – ეს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტის” გუნდის წარმატების მთავარი კრიტერიუმებია. დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება, ულტრათანამედროვე აპარატურა და რაც მთავარია, კლინიკის სპეციალისტთა ჯგუფი, თავის ამერიკელ კოლეგებთან ერთად, საქართველოდან გაუსვლელად, მკურნალობის ამერიკულ ხარისხსა და შედეგებს უზრუნველყოფს. კლინიკა გთავაზობთ: უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მსოფლიო სტანდარტებს; იურიდიულად გამართულ საკონტრაქტო სისტემას კლინიკასა და პაციენტს შორის; პაციენტის პრობლემისადმი ინდივიდუალურ მიდგომას; კონფიდენციალურობის სრულ დაცვას და თანამედროვე კომფორტულ სერვისს. სწორედ ყველა ამ პრინციპის წყალობითაა, რომ ჩვენი მკითხველის გამოკითხვის შედეგად, ის აღიარეს რეპროდუქციის დარგში ყველაზე გამორჩეულ კლინიკად, სადაც მათ ხარისხიანად ემსახურებიან.**

**ლიკა ჭყონია (კლინიკა „რეპროარტის” ერთ-ერთი დამფუძნებელი):** ქართულ-ამერიკული „რეპროდუქციული კლინიკა” რეპროარტი დაარსდა 2012 წლის გაზაფხულზე. ჩვენი გუნდი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, რომელთაც ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით უშვილობის მკურნალობის დიდი გამოცდილება აქვთ. პირადად მე, უკვე 20 წელი ამ საქმეს ვემსახურები. 1994 წელს ამერიკაში გავემგზავრე და ჯონსების სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტში, ვირჯინიის შტატში ვისწავლე ასპირანტურაში. შემდგომ უკვე თავად ვასწავლიდი ამავე ინსტიტუტში მაღალი ტექნოლოგიების ციკლს, როგორიცაა ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინიექცია (ICSI), ემბრიონის ბიოფსია, ემბრიონის გარსის მექანიკური დარღვევა და ასე შემდეგ. მოგვიანებით, ნიუ-იორკის წამყვან კლინიკაში დავიწყე მუშაობა, სადაც ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ ამერიკელი ემბრიოლოგი, პროფესორი დევიდ მაკკალა. ახლა ის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფერტილურობის ცენტრის დირექტორის მოადგილე და „რეპროარტის” სამეცნიერო დირექტორია.



**– ქალბატონო ლიკა, რა ტიპის მომსახურებას უწევთ თქვენს კლინიკაში მოსულ ქალბატონებს?**

– ჩვენი კლინიკის ძირითადი მიმართულებაა უშვილობის მკურნალობა ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით. თუმცა, მოვიცავთ ყველა სფეროს, რომელიც ქალის ჯანმრთელობას ემსახურება. ქალებს გინეკოლოგიური პრობლემების სრულყოფილად მოგვარებაშიც დავეხმარებით, დაწყებული გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიით, იმუნიზაცია-ვაქცინაციითა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკით დამთავრებული.



ჩვენს კლინიკაში ყველა პირობაა შექმნილი მამაკაცის უშვილობისას, ანდროლოგიური პრობლემების ეფექტურად გადასაჭრელად. გვაქვს ციტოგენეტიკის ლაბორატორია, სადაც ტარდება ქრომოსომული გამოკვლევები. რაც შეეხება ინ ვიტრო განაყოფიერებას, ჩვენ ვმკურნალობთ უშვილო პაციენტებს, როგორც სტანდარტული ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით, ასევე ისეთი მაღალტექნოლოგიური დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით, როგორიცაა ICSI-ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინიექცია; TESE, MESA – აზოოსპერმის დროს სპერმის ექსტრაქცია სათესლე ჯირკვლებიდან ან დანამატებიდან, ბლასტოცისტის ვიტრიფიკაცია; მოქმედებს კვერცხუჯრედის დონაციის და სუროგაციის პროგრამები. მამაკაცის უშვილობისას სპერმის ასპირაციით, ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინიექციით, გაყინული ემბრიონის გამოყენებით, ჩვენს კლინიკას უკვე ბევრი ბავშვი ჰყავს. ჩვენ ამ მიღწევებით ვამაყობთ.

**– ქალბატონო ლიკა, რა შეგრძნებაა წლობით განაწამებ უშვილო ოჯახს და ქალს, აჩუქო შვილი?**

– ენითაუწერელი. ეს ბავშვები ისე მიყვარს, როგორც საკუთარი შვილები. ახლაც, კიბეებზე შემხვდა ჩვენთან მკურნალობის შემდეგ გაჩენილი პატარა და მგონია, ახალი სიცოცხლე შთამბერეს, ისე გამიხარდა. ჩვენ ვცდილობთ, რომ პაციენტი კვლავ პაციენტად კი არ დარჩეს, არამედ აუცილებლად გახდეს მშობელი.

**– ქალბატონო ლიკა, უშვილობასთან ბრძოლაში რის გამოსწორებას ისურვებდით?**

– რთული კითხვაა. ძალიან ბევრია პრობლემა. თუმცა, ძალიან წაადგებოდა ქვეყანასაც და უშვილო წყვილებსაც, თუ სახელმწიფო პროგრამებში უშვილობასთან ბრძოლის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მხრივ, უფრო მეტი ჩართულობა იქნებოდა. უცხოეთში ეს სიტუაცია ბევრად მოწესრიგებულია. ჩვენი გენოფონდის გათვალისწინებით კი, უმჯობესია, სახელმწიფომ და სათანადო სტრუქტურებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ პრობლემას.



**ანა თაბაგარი**

# გულაცრუებულნი

## პრ. პუტინის ოკეანისგაღმელი მოტრფიალენი

**სანამ ახლო აღმოსავლეთში ძაღლი პატრონს,** ანუ **მოკავშირე მოწინააღმდეგეს ვერ ცნობს** და, შესაბამისად, **უცნობია, რა გრძელვადიანი გეგმები აქვთ მხარეებს,** როგორც აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვა მოწმობს, **სუპერსახელმწიფოს მოქალაქეები იმედგაცრუებულები არიან.**

კერძოდ, გამოკითხვის თანახმად, **გამოკითხულ ამერიკელთა 46 პროცენტს რფ-ის მოქმედება სირიაში ძლიერი და გონივრული ჰგონია;** გამოკითხულთა **52 პროცენტის აზრით კი ობამას პოლიტიკა არ არის დამაჯერებელი და სუსტია,** ხოლო **69 პროცენტის მტკიცებით, აშშ-ის ბრძოლა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ არაეფექტიანია.** –



ბუნებრივია, **რიგით ამერიკელს არავინ ეტყვის, თუ რა გეგმები აქვს მის სახელმწიფოს** და **რა მიზნის მიღწევას ცდილობს,** თუმცა ამ ეტაპზე, **ამერიკელთა 70 პროცენტის აზრით, პრეზიდენტ ობამას არ გააჩნია სირიის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა** და დიდ **სიმპათიებსაც ამჟღავნებენ ვლადიმირ პუტინის მიმართ:** გამოკითხულ ამერიკელთა **53 პროცენტი მიიჩნევს, რომ პუტინი სირიაში ყველას სჯობნის,** მაშინ, როდესაც **საკუთარი ლიდერის პოლიტიკა სირიისადმი მხოლოდ 22-მა პროცენტმა ჩათვალა მისაღებად.**

ერთი სიტყვით, **თუ ამ ტემპით განაგრძო აშშ-ის ხელისუფლებამ დევალვირება საკუთარი ამომრჩევლის თვალში,** მომავალ გამოკითხვაში **რფ-ს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებასაც ხომ არ მოუწონებენ?!** –

# ყურშესაჩვევები

## ანუ გამოყირიმებული

ისე მოხდა, რომ **უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო ნელ-ნელა აჩვევს უკრაინელების ყურებს,** რომ **ყირიმი მარილზე გავიდა, ანუ პატრონს ჩაჰბარდა** და მისი **შოკოლადის ქარხანაც შეუფერხებლად მუშაობს რფ-ის ტერიტორიაზე.**

ასე, მაგალითად, **გასულ კვირას კადეტების წინაშე სიტყვით გამოსვლისას** ბ-ნმა პოროშენკომ **ბრძანა შემდეგი** (მომყავს ციტატა): **„იმედი მაქვს, დამყარდება მყარი მშვიდობა და ჩვენ აღარ მოგვიწევს ომი. ჩვენ დავიბრუნებთ დონბასს დიპლომატიური გზით.“**



ჩვენ **არ ვიცით, რა აიმედებს მას,** თუმცა **ვიცით, რომ** იმავე გასულ კვირას, ბ-ნმა პოროშენკომ **თავისი ძალები უკრაინულ ავიაგამანადგურებელზე მოსინჯა.** მეორე მხრივ, მართალია, ჩვენთვის **ისიც უცნობია, დასცა თუ არა შიშის ზარი ლუგანსკელ და დონეცკელ სეპარატისტებს,** მაგრამ, **სამაგიეროდ, გვახსოვს, რომ ავიაგამანადგურებელში პოზირება ვლადიმირ პუტინსაც უყვარს და მიხეილ სააკაშვილსაც** (სხვათა შორის, უგო ჩავესსა და ჯორჯ ბუშსაც უყვარდათ). ასე რომ, ისღა **დაგვრჩა გასარკვევი, რფ-ის პრ.-ს მიჰბაძა** თუ **ოდესის გუბერნატორის რჩევა გაითვალისწინა?!** –

# პროპაგანდის მოკრძალებული ხიბლი

## დემოკრატიის შუქურა და სხვა

რაკი **მწყერები ყველას ჰყავს,** განსაკუთრებით, **პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე,** გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ **უზბეკეთში, კერძოდ, ფერღანის ოლქში პრემიერ-მინისტრის** (უზბეკეთისა) **შესაძლო ვიზიტის გამო ადგილობრივ მოსახლეობას მოკრეფილი ბამბა უკან დაანებებინეს,** რომ **ადგილობრივსავე ხელისუფლებას თავი მოეწონებინა მოსავლის სიუხვით.**



მეტიც, **მხოლოდ ამას არ დასჯერებიან** და **მაღალი სტუმრის მიღების წინ გზებიც გაურემონტებიათ,** ოღონდ ისინი, **რომლებზეც თავისი ნეტარი ფეხი უნდა დაებიჯებინა პატიოსან გვამს.**

მართალია, ფერღანის ოლქის მერიაში კატეგორიულად უარყოფენ, რომ ასეთი ბრძანება გაიცა, მაგრამ, რადიო „სვობოდას“ კორესპონდენტის ცნობით, **400-მდე ქალმა და კაცმა „პე ვე ას“ წებოს გამოყენებით დიდი გულმოდგინებით დააწება ბამბის ქულები იქ, საიდანაც მოკრიფა.**

ბამბა იქით იყოს და, თუ გავიხსენებთ, რომ **მსგავსი გამოხდომები არც ჩვენი სინამდვილისთვის იყო უცხო ხილი:** არარსებული საწარმოების გახსნით დაწყებული და ახალ კლინიკაში საწოლში ჩაწვენილი ჩაცმულ-დახურული პაციენტით დასრულებული, როგორც ჩანს, **პოსტსაბჭოელებს ფანტაზია საერთო მექანიზმით უმუშავებს,** გინდა **დემოკრატიის შუქურა** იყოს და **გინდა სხვა რამ.**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თინათინ მახათაძე, ანა ჭინჭარაშვილი

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: თათია ფარესაშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# იმედიანად გაორებული

## ანუ, აი, დარდი

რაკი ჩვენს **სტრატეგიულ პარტნიორზე არანაკლებ სულზე უტკბეს ევროკავშირშიც** ისეთი ვითარებაა, რომ **დედა შვილს, ანუ ძირძველი ევროპელი ახლოაღმოსავლელ ლტოლვილს არ აიყვანს ხელში**, **რფ-ს ხან აკრიტიკებენ** შეშფოთებულად, **ხან-აც – აქებენ დამორცხვებულები.**



ჰოდა, რაკი ასეთი გაორებული ვითარებაა, საფრანგეთის **პრეზიდენტმა**, რაკი, როგორც ჩანს, რთულად მოინელა, რფ-ს რომ „მისტრალები" ვერ მიჰყიდა, **იმედიანად განაცხადა,** რომ, **მიუხედავად „მისტრალის" ტიპის ვერტმფრენმზიდების შესახებ კონტრაქტის გაუქმებისა, რუსეთს ახალ ხომალდებს მაინც მივყიდითო**.

სახელდობრ, ბ-ნმა **ოლანდმა ბრძანა** შემდეგი (მომყავს ციტატა): **„დალაგდა ურთიერთობა რუსეთთან, რომელმაც კონტრაქტის გაუქმებაზე თანხმობა განაცხადა. ვფიქრობ, რომ ახალი ხომალდების შესახებ შეთანხმებებს მივაღწევთ."**

ისტორია კი ასე ვითარდებოდა: **ჩვენთან ომის შემდეგ, 2011 წელს, საფრანგეთმა რუსეთთან შეთანხმება გააფორმა,** რომ **„მისტრალის" ტიპის ორ ვერტმფრენმზიდს დაუმზადებდა**, მაგრამ **2014 წელს პირველის გადაცემაზე უარის თქმა მოუწია უკრაინის კონფლიქტის გამო**, ოღონდ, **მთლად წაგებულიც არ დარჩენილა**, რადგან **იმ ავიამზიდს 2016-ში ეგვიპტე შეიძენს.**

უფრო მეტიც, როგორც ვნახეთ, ბ-ნი **ოლანდი იმედოვნებს, რომ რფ-ს კვლავ ასიამოვნებს „მისტრალებით".** ფაქტი **ჩვენთვის, ბუნებრივია, არასასიამოვნოა,** რაკი **ჩვენი პარტნიორი ჩვენს ოკუპანტს ელოლიავება**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **რფ „მისტრალის" ტიპის ტექნიკას ჩვენ წინააღმდეგ უბრალოდ ვერ გამოიყენებს** (კერძოდ **ჩვენ კრეისერი „მოსკოვიც" გვეყოფა**, თუ რამე – ) და, უდიდესი ალბათობით, **იმ „მისტრალებს"** (თუ რამე) ისევ დასავლეთთან **დაპირისპირებაში გამოიყენებს,** თუ უნდათ, **დამატებითი ბირთვული ქობინებიც უჩუქებიათ?!**

# რაკეტიანი დამშეული

## ანუ პავლოვის ინსტინქტი

თუმცა **ევროკავშირი აგულიანებს რფ-ს,** რომ, **თუ ასე კარგად მოიქცევა მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში**, ეგებ **სანქციებიც მოუხსნას 2016 წლის გაზაფხულისთვის** და თავად **რფ-ც რაკეტას რაკეტაზე ისვრის** (თვით კასპიის ზღვიდან) **ისლამური სახალიფოს პოზიციებისკენ,** ფაქტია, რომ **რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე პროდუქტების დეფიციტია**.



ჰოდა, **რაკი სამომხმარებლო დეფიციტია, რფ-ში მოსახლეობას აკრძალული პროდუქტების ინტერნეტით გამოწერის ნება დართეს**, ოღონდ, **გარკვეული დათქმით**.

კერძოდ: **საქონელი მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის უნდა იყოს გამოწერილი და წონა 5 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდესო** და, რა თქმა უნდა, ხშირადაც არ უნდა მიმართოთ ამ საქმესო.

**ის-ის იყო, რფ-ის მოქალაქეებში პავლოვის ინსტინქტმა გაიღვიძა**, რომ **რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახურმა შეიცვალა პოზიცია** და განაცხადა, რომ **რუსეთის მოქალაქეებისთვის სანქცირებული პროდუქციის გამოწერაც აკრძალულია.**

მეორე მხრივ, სხვა საქმეა, **როგორ უნდა გამოეწერათ, მაგალითად, პომიდორი და არაჟანი,** მაგრამ **ეს მაინც ვერ უკარგავს აქტუალობას რიტორიკულ კითხვას: როცა მოსახლეობა დამშეული გყავს, კასპიის ზღვიდან ბალისტიკური რაკეტების გაშვებით თავს რატომ უნდა იწონებდე?!**

თუმცა ისიცაა – **რას გაუგებ იმპერიალისტის ჩაშავებული გულის ბნელ ზრახვებს**?! –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# არჩევანგახარებულები

## ანუ უსანქციოდ შეფრთხიალებული

ჩვენს, არც კი ვიცი, რა ვუწოდო, მეგობარი თუ ევროპის უკანასკნელი დიქტატორის სამფლობელო, მოკლედ, **ბელორუსიაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა** და აგერ უკვე **მერამდენე ვადით პირველ პირად კვლავ ევროპის უკანასკნელ დიქტატორად შერაცხილი ალექსანდრ ლუკაშენკო აირჩიეს** – წინასწარი მონაცემებით, **ხმათა,** არც მეტი, არც ნაკლები, **83,49 პროცენტით!**



ამის საპასუხოდ თუ სხვა მიზეზით, **ევროკავშირმაც გაახარა ბელორუსიელი ამომრჩეველი და ბ-ნ ლუკაშენკოს ოთხი თვით მოუხსნა სანქციები.**

ეს ამბავი **სრულიად ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს საფრანგეთის გენმდივანმა აცნობა ევროპულ საქმეებში.** უფრო ადრე კი **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის **საგარეო უწყების თავკაცმა შტაინმაიერმა გვაუწყა**, რომ **სანქციების დროებით მოხსნაზე ბელორუსიის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იმსჯელებდნენ.**

ჰოდა, როგორც ჩანს, **არჩევნები ისე მოსწონებიათ ჩვენს ევროპელ კოლეგებს**, რომ ბ-ნ **ლუკაშენკოს ოთხთვიანი ამნისტიაც გამოუცხადეს.** თუმცა **მარტო არჩევნებს არა**, ამ საქმეში **თავისი წვლილი ბელორუსიის პრეზიდენტის მიერ ექვსი პოლიტპატიმრის გათავისუფლებასაც შეუტანია** (ეს ამბავი აგვისტოში მოხდა) და ბელორუსიის პრეზიდენტის აქტივობასაც უკრაინის საკითხზე მოლაპარაკების პროცესში.

ჩვენ არ ვიცით, **რამდენ ხანს გასტანს ევროკავშირის გულმოწყალება,** ბ-ნ **ლუკაშენკოს სამარადჟამოდ ჩაიკრავენ გულში** თუ **მხოლოდ ოთხ თვეს მისცემენ უსანქცოდ შეფრთხიალებისთვის**, მაგრამ აშკარაა, სქემა – ჯერ დაიჭირა, შემდეგ გამოუშვა, ეფექტიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ **დემოკრატიული ფარსი სოციალისტურზე არანაკლებია**. –

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

# რაში აიყოლია გიორგი ისაკაძე მაკა ასათიანის ქმარმა და რა წესებს იცავს ის ცნობილ მილიონერებთან



ჩემი და ჩემი მეუღლის მოხვედრა „ფორბსის“ გარეკანზე დასრულდა

*გიორგი ისაკაძე Forbes Georgia-ს მთავარი რედაქტორი და თანამფლობელი გახდა. ცნობილი ამერიკული ბრენდის უკვე ქართველ წარმომადგენელს მილიონერებთან ურთიერთობა წლების წინ დაებედა, მათი ენა ბიზნესმედიის აქტიურ სახეს ძალიან კარგად ესმის. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გიორგი ისაკაძე ცოტა ხნის წინ ეკრანზეც დაბრუნდა, ამბობს, რომ მის ცხოვრებაში ბუმერანგის პრინციპი „მუშაობს" და წარსულიდან ბევრი რამ ბრუნდება. „უცვლელი" ყველაზე საიმედო და ერთგული კომპანიონია მისი მეორე ნახევარი – არჩვეულებრივი მარიკა, რომელიც მეუღლეს კარგი შვილების გაზრდითა და Forbes-ის გარეკანზე მოხვედრით საქვეყნოდ „დაემუქრა".*

**გიორგი ისაკაძე:** ახალმა პოზიციამ ჩემს დღევანდელ საქმიანობაში გამწევი ლოკომოტივის ადგილი დაიკავა. გულწრფელად გეტყვით: როცა დგება გადამწყვეტი ეტაპი, იწყებ ფიქრს, რა შეიძლება იყოს ამის შემდეგ. ალბათ ამიტომაც, დღეს ჩემთვის რთული წარმოსადგენია, რა შეიძლება იყოს Forbes-ის იქით, – Forbes Georgia-სთან საქმიანი კონტაქტი მაქვს მას შემდეგ, რაც არსებობს „ბიზნესკონტაქტი" და „საქმიანი დილა," თუმცა, თუ აქამდე მივიდოდა ჩვენი ურთიერთობა, ვერ წარმოვიდგენდი. ეს ყველაფერი ერთ ძალიან ბანალურ ისტორიას მოჰყვა: აგვისტოში დაიწყო საუბარი, რომ ოქტომბრის ნომერში მე, როგორც ბიზნესმედიის ავტორი, ვყოფილიყავი – Forbes-ის – მთავარი რესპონდენტი და მოვხვედრილიყავი – Forbes Georgia-ს გარეკანზე.

**– როგორც ვიცი, მეუღლეც „დაგემუქრათ," რომ გაზრდიდა კარგ შვილებს და მოხვდებოდა Forbes-ის გარეკანზე.**

– ჩემი და ჩემი მეუღლის მოხვედრა – Forbes-ის გარეკანზე დასრულდა მას შემდეგ, რაც გავხდი ამ გამოცემის მთავარი რედაქტორი და პარტნიორი – აქციების მფლობელი. ამ „მწუხრს", რაც ჩვენს გარეკანზე მოხვედრასთან არის დაკავშირებული, როგორმე ორივე გადავიტანთ ***(იცინის).*** მთავარი რედაქტორის პოზიცია სცილდება აქციონერების თემას და ეს მთლიანად სათავო ოფისის, ამერიკული მხარის გადაწყვეტილებაა. მოლაპარაკებები მიდიოდა საინტერესოდ. ისინი აპირებდნენ აქციონერების ცვლილებას: უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ შემოდიოდა „ფორბსყაზახეთის" მფლობელი არმანჟან ბაიტასოვი; ჩვენ შევედით 10-პროცენტიანი წილით, ეს არის სააქციო საზოგადოება, რომელსაც წარმოვადგენთ იურიდიული პირების სახით, რომელიც გამოუშვებს Forbes-ს და იმოქმედებს Forbes-ის ყველა პროდუქტზე, რაც უკავშირდება ამ ბრენდს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

**– Forbes, ყველა თავისი პროდუქტით, მილიონერთა წრესთან ასოცირდება. ქართველი მილიონერები რომ თქვენთვის უცხონი არ არიან და იცით მათი ენა, ეს ცნობილია; მსოფლიოს მილიონერებსაც „უმიზნებთ"?**

– მოვიტყუები, თუ ვიტყვი, რომ ოდესმე ამ ადამიანებთან კავშირი მაკლდა საქართველოს მასშტაბით. ეს წრე და გარემო ჩემთვის უცხო არაა, კარგად ვიცი მათი ენა. ჩვენ გვესმის ერთმანეთის, მათ იციან თამაშის ის წესები,

**მას შემდეგ, რაც დედაჩემი სამშობიაროში გაამწესეს, მამაჩემმა არც აცია, არც აცხელა და მე პორტრეტი პირდაპირ პალატაში, თავთან დაუკიდა დედაჩემს: „აი, მე მინდა! აი ჩემი შვილი!"**

რაც არის დაწესებული და რასაც პირადად მე არასდროს გადავსულვარ. Forbes-ის დაფარვიდან გამომდინარე, ეს წრე, ალბათ, გაიზრდება. ამას უკავშირდება ჩვენი ერთ-ერთი იდეა, გავაკეთოთ „ფორბსკლუბი", რომლითაც შევქმნით გარკვეულ პლატფორმას ბიზნესმენებისთვის. რატომ არ უნდა ჰქონდეთ ამ ადამიანებს ერთმანეთთან ღირსეული კავშირი, რომლის წარმატებული მაგალითებიც გვაქვს საქართველოში? თუმცა, არის გულდასაწყვეტი მომენტებიც. Forbes ამ ყველაფრის მიღმა იქმნება. საბოლოო ჯამში, ეს ბრენდი არის სინონიმი, ასოციაცია გავლენის, ფულის, ბიზნესის, ძალაუფლების, თუმცა, ის არ აგვერიოს, რომ, ვინც Forbes-ს აკეთებს, ისინიც მილიონერები და მდიდრები არიან, ამ გამოცემის რესპონდენტებისა და რეიტინგებში მოხვედრილების მსგავსად ***(იცინის).***

**– ქართულ რეიტინგებში მოხვედრის შანსი არ გაქვთ?**

– არა, გამორიცხულია. ერთმა ჩემმა მეგობარმა იხუმრა – Forbes-ის რედაქტორობას მილიონერთა სიაში მოხვედრა არ გერჩიაო? დარწმუნებული ვარ, ყველა ჩემს მეგობარს ჩემთვის ის პოზიცია უფრო ემეტებოდა, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და, მომწონს ის საქმე, რომელსაც მოვკიდე ხელი. ზოგადად, ძალიან მოუსვენარი ხასიათი მაქვს, ჩემი „შრომის წიგნაკი" ძალიან დატვირთულია, რადგან თავიდანვე ასე ვიყავი და ასე იქნება მომავალშიც. ერთ ადგილას გაჩერება არ მიმაჩნია სწორად, ზედმეტად „გასწრაფდა" ცხოვრება, რომელსაც ვერ ჩამორჩები. ძალიან ბევრი სამსახური იყო, მათ შორის „თიბისი ბანკიც," მაშინ, როცა ამ ბანკში სულ ორმოცი კაცი მუშაობდა. ყველა ერთ დიდ დარბაზში ვისხედით. ჩემი მოუსვენარი ხასიათიდან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ მე ბანკში ვერ ვიმუშავებდი, გადავედი „თიბისი ტივიში" და დავბრუნდი ვაჟა ბერიძესთან, ისევ „ბანკებსა და ფინანსებში." სულ იყო მედია, ქოთქოთი, აქტიურობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები... მერე იყო ნიკო ლეკიშვილის წასვლა თბილისის მერიიდან სახელმწიფო მინისტრის პოსტზე და დაიწყო ჩემი სახელმწიფო კარიერა.

**– და ეს კარიერა ძალიან მაღალ პოზიციაზე დაასრულეთ. ეს ეტაპი სამუდამოდ დასრულდა თუ „გაგრძელება იქნება"?**

– ვიღაცეებს უნდათ ხოლმე, წარმოაჩინონ, თითქოს მათი ცხოვრება დაიწყო კონკრეტული თარიღიდან, მე ასე არ ვარ. თითქმის ათი წელი გავატარე სახელმწიფო სამსახურში და ეს იყო ძალიან საინტერესო წლები, რომლებმაც ყველაზე დიდი გამოცდილება და კონტაქტები შემძინა. ბოლო პერიოდში აპოგეას მიაღწია ყველაფერმა – ეს იყო პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თანაშემწეობა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობა, რაც ძირითადად უკავშირდებოდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობას. ამ ყველაფერმა მოიტანა ურთიერთობებისა და ცოდნის „კაპიტალი", რამაც მომცა საფუძველი, მოგვიანებით ვყოფილიყავი აქტიურ ბიზნესში. გამომდინარე იქიდან,



რომ ყოველივე ეს გავიარე, ვიცი, რა რა არის, თუმცა, ძალიან სწორი პარადიგმაა – არასოდეს თქვა „არასოდეს". სანამ სახელმწიფო სამსახურში მოვხვდებოდი, ვიყავი მედიაში, სადაც დავბრუნდი კიდეც 20 წლის შემდეგ. მე დღეს ძალიან მაინტერესებს ბიზნესმედია და ვარ კიდეც აქ.

**– ტელეკომპანია „მაესტროზე" მინდა გკითხოთ, სადაც თქვენ აქტიურად დაუბრუნდით ტელესივრცეს. ამბობენ, რომ ამ ტელეკომპანიის მეწილეთა შორისაც ხართ.**

– არა, ეს არაა მართალი. მე არ ვმონაწილეობ „მაესტროს" მართვაში როგორც აქციონერი. ამ ტელევიზიასთან ამ ეტაპზე მხოლ-

ოდ კონტრაქტი მაკავშირებს. რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას ეკრანზე, მე მაგ ნაწილშიც ცოტა ძველმოდური ვარ. ჩემს დროს არ იყო ციფრული ტექნოლოგია, ახლა ამ მხრივ ბევრად წინ ვართ. მახსოვს, ორი დღე-ღამე ვაკეთებდით ნახევარსაათიან გადაცემას – „საქმეს", თუმცა კარგი გადაცემა გამოდიოდა. ცხოვრებაში არის ბუმერანგული მომენტები, მედიაში მყოფისთვის ეს ემოცია ორჯერ მძაფრია, იმდენად მიმზიდველია მედია, ტელევიზია; ეს არის ჩვეულებრივი ნარკოტიკი, რომელიც, ერთხელ რომ მოგწამლავს, აუცილებლად უკან მიგათრევს. გარდაუვალია, არ დაუბრუნდე ამ საქმეს რაიმე ფორმით და ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც.

**– ახლო მეგობრობა გაკავშირებთ მაკა ასათიანთან და მის მეუღლესთან. ეს კავშირი „მაესტროში" დაიწყო თუ ადრეც მეგობრობდით ცნობილ ბიზნესმენთან, კოტე გოგელიასთან?**

– მაკას ადრე ვიცნობდი, ჩვენი ოჯახებიდან გამომდინარე მქონდა მასთან ურთიერთობა, თუმცა ეს არ ყოფილა განსაკუთრებული სიახლოვე. ჩვენი შეხვედრა, როცა მე გავიცანი კოტე გოგელია, შედგა ბაია გადაბაძისა და ნათია გამცემლიძისგან. ბედისწერაა, აბა რა არის – 20 წლის წინ მქონდა ურთიერთობა არჩილ გოგელიასთან, ახლა მაქვს ურთიერთობა კოტესთან და ამაზე სულ ვეხუმრები კოტეს – გოგელიები ჩემი წყევლა ხართ-მეთქი *(იცინის)*, თუმცა ის ძალიან კომფორტული პარტნიორია. ჩვენი ურთიერთობა გაიშალა და დღეს ახლობელი ადამიანები ვართ. მართალია, გეოგრაფია არ გვიწყობს ხელს, უფრო ახლოს ვიყოთ ერთმანეთთან – ვერც ისინი ჩამოდიან თბილისში ხშირად, თუმცა, ჩვენ მაინც ვახერხებთ ახლობლობას, დისტანციის მიუხედავად. ეს კოტეს დამსახურებაა – მან თავის დროზე ისე ამიყოლია ამ საქმეში, რომ დღეს აქამდე მოვედით – მაყურებელს ვაწვდით ხარისხიან პროდუქტს, რაც იმ გუნდის დამსახურებაა, ვინც ამ ორ გადაცემას ქმნის. დღეს ხომ მარტო პოლიტიკა იყიდება, მაგრამ ჩვენ შევძელით და ეკონომიკისა და ბიზნესის რთულ თემატიკას ადამიანებს ისე ვაწვდით, რომ ეს მათთვის მისაღებია. როგორი იქნება ჩემი შემდგომი ეთერები, ამას დრო გვიჩვენებს. ვკითხავ მათ, ვის აზრსაც ვენდობი.

**– ამ ადამიანთა შორის, ყველაზე საიმედო, ალბათ, თქვენი მეუღლე – მარიკაა.**

– დიახ, მარიკა ზედმეტად საიმედო ექსპერტია *(იცინის)*. ის არის ადამიანი, ვისაც შეიძლება მთელი ცხოვრება დაეყრდნო და ამიტომაცაა ჩემი მეორე ნახევარი. ერთადერთი, რაშიც მარიკა ბოლომდე ვერ მყვება არის ჩემი ცხოვრების ტემპი, თუმცა ამ ბოლო დროს ცოტა ავაჩქარე *(იცინის)*. ჩვენი ურთიერთობა არის ერთი დიდი ისტორია, რომელსაც აქვს ნაუცბათევი ჯვრისწერა – „ჩაიცვი, წავედით, ჯვარს ვიწერთ," – რომელსაც ჯერ არ მოჰქოლია ქორწილი. ამ ისტორიაში ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, როგორც ზოგადად ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი ურთიერთობა იმდენს ითვლის, უკვე დაკარგული მაქვს იმის გაცნობიერება, როდის რა და როგორ ტრანსფორმირდა. როცა მარიკა გავიცანი, მე ვიყავი 24 წლის. მარიკა ანტიმონოპოლიურში მოვიდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. უკვე 16 წელია, ერთად ვართ და ამ წლებმა შექმნა ის ჰარმონია, რაც დღეს გვაქვს. განსაკუთრებით ემოციური იყო ბოლო წლები. დღეს მასზე დგას ყველაფერი, მარიკაზე და იმ წლებზე, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებს. მარიკა მორგებულია ჩემს დატვირთულ რეჟიმზე. ჩვენ დიდი ოჯახი გვაქვს. ვერ წარმომიდგენია, ჩემს შვილებზე ვიზრუნო და ყურადღება მოაკლდეთ ჩემს მშობლებს, ამიტომაც, მე და მარიკას ყველა საზრუნავი გადანაწილებული გვაქვს და, სადაც მე ვერ ვპოულობ დროს, იქ „ჩნდება" მარიკა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ ვარ აქტიურად ჩართული ოჯახურ საზრუნავში – საღამოს ბევრი მხედავს ვერაზე სუპერმარკეტში პამპერსითა და ბავშვის ფაფით წინ და უკან მორბენალს.

**– ორი ვაჟი გყავთ, სალომეას ისტორია თქვენთან არ იქნება?**

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი გეგმა, თუ შეიძლება, რომ ამას გეგმა ვუწოდოთ, შვილებთან დაკავშირებით ჯერ შესრულებული არ მაქვს. რაც შეეხება სალომეას თემას, ეს დიდი ისტორიაა. მამაჩემმა გვიან შეირთო ცოლი, ჩემი მშობლების სამეგობროში ცნობილი იყო, რომ მამაჩემს ძალიან უნდოდა ჰყოლოდა ქალიშვილი, რომელსაც დაარქმევდა სალომეას. ამას იმდენად არ მალავდა, რომ ბოლოს არ შეეპუა და თავის უფროს მეგობარს, ლადო გუდიაშვილს ესტუმრა სახელოსნოში. ბატონმა ლადომ „მიტუქსა" შალვა დაგვიანებული შეუღლებისთვის, თუმცა, გახარებულმა იმით, რომ მისი უმცროსი მეგობარი სულ მალე მამა გახდებოდა, უთხრა, ამ დღეებში შემომიარე, შენთვის სიურპრიზი მექნებაო. მართლაც, რამდენიმე დღეში მამაჩემმა სახლში მოიტანა ულამაზესი ნახატი, ულამაზესი ქალიშვილის პორტრეტი – აი, ასეთი ლამაზი სალომეა მეყოლებაო. სალომეს დაბადებას მოუთმენლად ელოდა ყველა. მოგეხსენებათ, სამედიცინო ტექნოლოგიები არ იძლეოდა იმ წლებში იმის საშუალებას, რომ დღევანდელივით, ლამის ჩასახვამდე გითხრან ბავშვის სქესი. მოკლედ, გავჩნდი მე. დარწმუნებული ვარ, მამას ძალიან გაუხარდა, თუმცა, იმაშიც არ მეპარება ეჭვი, რომ ძალიან სწყდებოდა გული... ერთი წლის შემდეგ მამა ანალოგიური თხოვნით მივიდა მხატვართან. ბატონმა ლადომ შეუქო შემართება და ტემპი შთამომავლებზე ზრუნვისა და მორიგი ულამაზესი პორტრეტი შექმნა შალვასთვის. მას შემდეგ, რაც დედაჩემი სამშობიაროში გაამწესეს, მამაჩემმა არც აცია, არც აცხელა და ეს პორტრეტი პირდაპირ პალატაში, თავთან დაუკიდა დედაჩემს: „აი, ეს მინდა! აი ჩემი შვილი!". მამას მორიგი სიხარული ელოდა – სალომეას ნაცვლად დაიბადა ჩემი ძმა – ლაშა ისაკაძე. არ ვიცი, გული აიყარა, აღარ სურდათ მეტი შვილი თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ, ფაქტია, რომ ორი დედმამიშვილი ვართ ოჯახში და ამ თემაზე აღარც მხატვარი შეუწუხებია ვინმეს. ჩემმა უმცროსმა ძმამ (გაახარებს ღმერთი) დამასწრო შეუღლება და მან აუსრულა მამაჩემს ეს ოცნება – თავის პირველ შვილს სალომე დაარქვა. მას შემდეგ ჩვენს ოჯახში სამი სალომეა. გუდიაშვილის „სალომეები" ამაყად ამშვენებენ უფროსი შალვა ისაკაძის სამუშაო ოთახს – ესეც ჩვენი სალომეობა! *(იცინის)*.

**თამუნა ნიჟარაძე**

**„ფორბსის" რედაქტორობას მილიონერთა სიაში მოხვედრა არ გერჩიაო?**

# ექიმი გირჩევთ



ფსიქოლოგ-ლოგოპედი
**ნინო ნაკანი-ჩიქოვანი**

**კითხვა: ჩემი შვილი 16 წლისაა და ლაპარაკობს პაუზებით. სიტყვებს შორის ზოგჯერ ჩერდება, მერე კი აჩქარებს ისე, რომ გაუგებარი ხდება მეტყველება. დამეხმარებით?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა. ეს ლოგონევროზია და თქვენი შვილიც აუცილებლად გამოასწორებს მეტყველებას, თუკი მას ჩავუტარებთ რამდენიმე სეანსს იმ მეთოდით, რომელიც უკვე აღიარებული და დაპატენტებულია როგორც ექსკლუზიური. თქვენ პირველივე გაკვეთილზე ნახავთ შედეგს. არ დაგჭირდებათ სამედიცინო მანიპულაციები და მედიკამენტები.

**კითხვა: ჩემი 5 წლის შვილის მეტყველება არ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. მეუბნებიან, რომ პატარაა და აუცილებლად გამოასწორებს მეტყველებასო. ხომ არ უნდა მოვიყვანო სპეციალისტთან კონსულტაციაზე?**

**პასუხი:** სასურველია, რომ ბავშვს მოვუსმინოთ და ვნახოთ, ხომ არ გვაქვს საქმე ლოგონევროზთან. ნორმალურ მდგომარეობაში ბავშვი 4 წლიდან გამართულად უნდა ლაპარაკობდეს. ამიტომ, რომ არ გამოგვეპაროს ლოგონევროზი, კარგი იქნება, თუ ახლავე მიაქცევთ მეტყველებაში არსებულ დეფექტებს ყურადღებას.

**კითხვა: ჩემი შვილი გონებრივად კარგად არის განვითრებული. მაგრამ რადგან მეტყველება უჭირს და სიტყვებს გაურკვევლად გამოთქვამს, სკოლაში პრობლემები აქვს.**

**პასუხი:** ეს საკმაოდ ხშირია და მინდა ხაზგასმით გითხრათ, რომ გაუმართავ მეტყველებას, ლოგონევროზს, არანაირი კავშირი არა აქვს ადამიანის გონებრივ განვითარებასთან. სამწუხაროდ, ბევრ პედაგოგს სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ ბავშვი თუ კარგად ვერ მეტყველებს, გონებრივად ჩამორჩენილია. ჩემთან რამდენიმე გაკვეთილით თქვენი შვილის პრობლემა მოგვარდება.

**ნინო ნაკანი-ჩიქოვანი**
**ტელ: 597 931-177.**

**ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მრავალი ქვეყანაა ჩართული, ძირითადად, თითქოს ერთ მხარეს არიან, რადგან მთავარი სამიზნე ისლამური სახალიფოა, მაგრამ თვით ერთ მხარეს მყოფ ქვეყნებს თავიანთი მიზნებიც აქვთ ახლო აღმოსავლეთში და თავიანთი ანგარიშებიც ერთმანეთთან, მათ შორის, რუსეთსა და თურქეთსაც (ამ ორზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ჩვენი უშუალო მეზობლები არიან). ამას წინათ ინციდენტიც მოხდა: რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია, რის საპასუხოდაც ჰაერში ორი თურქული ავიაგამანადგურებელი აიჭრა, პრეზიდენტმა ერდოღანმა კი ყველას შეახსენა, რომ თურქეთზე თავდასხმა „ნატოზე" თავდასხმაა. ამის პარალელურად, თურქეთი ისლამურ სახალიფოსთან მებრძოლი ქურთების პოზიციებს ბომბავს და თავისი ანგარიშები აქვს სირიის პრეზიდენტ ასადთან; რუსეთი კი, ტერორისტების პოზიციების განადგურებასთან ერთად, ასადის ოპოზიციის პოზიციებსაც ანადგურებს. აღარაფერს ვამბობ ირანზე, რომელიც, ასევე, ცოცხალი ძალითაა ჩართული საომარ პროცესში. ამდენად, არსებობს ეჭვი, რომ მონაწილე მხარეები შეეცდებიან, გადაჭრან თავიანთი ამოცანები და ანგარიშიც გაუსწორონ ერთმანეთს. ხათუნა ლაგაზიძესთან ერთად შევეცდებით ახლო აღმოსავლეთის მრავალუცნობიანი კომბინაციის ამოხსნას.**

# როგორ შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა ტერორიზმის საფრთხე საქართველოს წინააღმდეგ იარაღად და რატომ ვერ შეძლებენ აშშ და ევროკავშირი საქართველოს დაცვას

**– შეიძლება თუ არა იქცეს ახლო აღმოსავლეთი ანგარიშსწორების ადგილად? კონკრეტულად რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების რა სცენარებია მოსალოდნელი?**

– ახლო აღმოსავლეთში ისეთი ამბები ხდება, ეშმაკიც ფეხს მოიტეხს. რაც შეეხება ამ კონტექსტში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას: ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნოვაცია და ძნელად ასახსნელი რამ, იმიტომ რომ გვახსოვს სულ რამდენიმე თვის წინათ რუსეთ-თურქეთის დამთბარი ურთიერთობა, მათ შორის, ენერგეტიკის სფეროში და „ნატოს" შეშფოთებული მზერა თურქეთისკენ მისი სწორედ რუსეთთან დაახლოების გამო. საქართველოსადმი რუსეთისა და თურქეთის პოზიციები უფრო ახლოს იყო, ვიდრე თურქეთისა და „ნატოს", ასევე, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის. თვალსაჩინო იყო მათი ენერგეტიკული, სატრანსპორტო ერთობა, აღარაფერს ვამბობ სავაჭრო ბრუნვაზე, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამდენად, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში ასეთი მოულოდნელი შემოტრიალება ძნელი ასახსნელია, თუმცა ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთ-თურქეთის დამთბარი ურთიერთობები იყო ტაქტიკური ქმედება თურქეთის მხრიდან, რომ, ერთი მხრივ, თავისი რეგიონული როლი გაეზარდა და, მეორე მხრივ, ფასი დაედო „ნატოს" თვალში. იმის ანალიზი, თუ რა ხდება ახლა რუსეთსა და თურქეთს შორის, რთულია, ამიტომ საერთო კონტექსტში განვიხილოთ. რა იყო თურქეთის ინტერესი სირიის კონფლიქტში? ეს არის ხაზი, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის უნდა გაივლოს: დამოკიდებულება ასადის რეჟიმისა და ასადის ოპოზიციის მიმართ. არავისთვის დასამალი არ არის, რომ ისლამური სახელმწიფოსა და ასადის ოპოზიციის წარმომადგენლები თურქეთის საზღვრის მიმდებარე მონაკვეთზე იწვრთნებოდნენ ბანაკებში და იარაღდებოდნენ. შესაბამისად, თურქეთზე გადიოდა ევროპიდან ისლამური სახელმწიფოს ევროპელი ტერორისტებით მომარაგების გზა.



**დღეს არის ვითარება, როგორიც არ ყოფილა ბერლინის კედლისა და საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ. მაშინ გაცილებით ნათელი იყო პერსპექტივები და მოვლენათა განვითარების შესაძლო ვერსიები**

**– რაზეც აქტიურად ხუჭავდა თვალს „ნატოც", ევროკავშირიც, რუსეთიც.**

– ხუჭავდა, რადგან, სანამ ისლამური სახალიფო თავისი გრანდიოზული ინტერესებით ასე გამოეყოფოდა სირიის ოპოზიციას, ეს დასავლეთის ინტერესი იყო. ახლა უკვე აშკარად ამბობენ ამერიკაში, რომ სირიის ოპოზიცია იწვრთნებოდა და ფინანსდებოდა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური მონაწილეობით და თურქეთი გამოდიოდა როგორც ამერიკის მოკავშირე სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, მათ ჰქონდათ საერთო ინტერესი. გარდა ამისა, თურქეთის ინტერესი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში იყო კიდევ ერთი, რომ როგორმე ამ კონფლიქტის საფუძველზე უკანა პლანზე გადასულიყო ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელიც თურქეთთან აქტიური ურთიერთობის პარალელურად მუდმივად აწუხებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ დიდი ისრაელის მოდელის მსგავსი შექმნა შუაგულ ისლამურ სამყაროში 30-მილიონიანი ქურთული სახელმწიფოს სახით, თუმცა ეს ყოველივე უფრო მირაჟი იყო, ვიდრე რეალობა, მაგრამ თურქებისთვის მაინც უსიამოვნო. იცით, რომ ყველა სახელმწიფოში ქურთები ენერგეტიკული რესურსებით ყველაზე მდიდარ ტერიტორიებს აკონტროლებდნენ. ამდენად, არავის არ აქვს პასუხი, რა ხდება დღეს ახლო აღმოსავლეთში, ვინ რა ინტერესებს ლობირებს და რა შედეგზეა ორიენტირებული. ბოლო დრომდე ქურთების თემა იყო განხეთქილების ვაშლი თურქეთსა და ამერიკას შორის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისლამურმა სახელმწიფომ ფეხი მოიკიდა და ერაყში საომარი ოპერაციები დაიწყო, ხოლო ამერიკის მიერ გაწვრთნილი ერაყის სახელმწიფო არმია კი პოზიციებს ერთიმეორის მიყოლებით თმობდა. ამ დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა სახმელეთო ოპერაციაზე და მისი ძირითადი დასაყრდენი გახდა ქურთების შეიარაღებული ნაწილები და არა მარტო ერაყში. თურქეთმა, ისარგებლა რა ისლამური სახელმწიფოს პრობლემად ქცევით, გადაწყვიტა, შეერთებოდა კოალიციას და დაეწყო ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა და, აი, აქ მივდივართ ერთ საერთო ნიშნამდე, რომელიც რუსეთსა და თურქეთს გამოარჩევს.

**– ჭადრაკული განლაგება: თურქეთი ბომბავს ქურთების პოზიციებს, რუსეთი – ასადის ოპოზიციას.**

– დიახ, ძალიან უცნაური კონფიგურაციაა და ეს ყველაფერი ასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს, თითქოს ასე ჩანს. ანუ ისლამური სახელმწიფოს იქ არსებობა გახდა ხელსაყრელი საბაბი თურქებისთვის, რომ დაებომბათ ქურთების პოზიციები, რასაც „ნატოს" მხრიდან მოჰყვა რეაქცია, მაგრამ არც ისეთი მძაფრი, რაც, წესით, პარტნიორის პოზიციების დაბომბვას უნდა მოჰყოლოდა. ზუსტად იგივე პოზიცია აილო რუსეთმაც: ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ის ურტყამს სირიის დანარჩენ ოპოზიციას, ზომიერის სახელით ცნობილს. ასე რომ, აღმოჩნდა, რომ ისლამური სახელმწიფო იქცა, ერთი მხრივ, რუსეთისთვის და, მეორე მხრივ, თურქეთისთვის, თავიანთი მიზნების მიღწევის საბაბად ახლო აღმოსავლეთში. ამავე დროს, თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს კარგა ხნის ოცნება აქვს, შეცვალოს კონსტიტუცია და თურქეთი გადააქციოს საპრეზიდენტო რესპუბლიკად, იდეაში – სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკად. რამდენიმე თვის წინათ ჩატარებულმა არჩევნებმა მას ამის საშუალება არ მისცა და არ მისცა იმიტომ, რომ ქურთების პარტიამ მოახერხა და 10 პროცენტით შევიდა თურქეთის პარლამენტში.

**– ერდოღანს აქვს რესურსი, შეინარჩუნოს უპირობო და სრული ძალაუფლება?**

– დღეს ბევრს ლაპარაკობენ ერდოღანის კრიზისზე, მაგრამ მე ამას ერდოღანის კრიზისს ვერ დავარქმევდი: ის კი არა, რომ მან მთავრობის ჩამოყალიბება ვერ შეძლო, მან არ ჩამოაყალიბა მთავრობა, რათა ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საშუალება ჰქონოდა, ქურთების თემაც იმიტომ გაააქტიურა, რომ ანტიქურთული განწყობები გაეღვივებინა საზოგადოებაში და თავი დაეზღვია იმავე შედეგისგან. მას სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში კონსტიტუციის შესაცვლელად, შესაბამისად, სჭირდებოდა მყარი საბაბი ანტიქურთული განწყობებისთვის და, იმაზეც კი საუბრობდნენ, რომ, როდესაც თურქეთის ქურთებით დასახლებული ტერიტორიები იბომბებოდა სირიის მხრიდან, ამ პროცესს თურქეთის მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია. ასევე, როდესაც გასულ კვირას ტერაქტი მოხდა თურქეთში, არავინ იცის დაზუსტებით, სად მიდის კვალი. ამბობენ იმასაც, რომ ბევრი თურქი შეუერთდა ისლამურ სახელმწიფოს და უამრავი ვერსია შეიძლება იყოს: დაწყებული იმით, რომ ეს არის ისლამური სახელმწიფოს შურისძიება და, არ დაგვავიწყდეს, რომ ისინი გარკვეულწილად თურქეთ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**გია კობერიძე**, *63 წლის. თბილისი.*

**დიაგნოზი** – ***პოდაგრული ოლიგოართრიტი.*** მიყვარს სუფრა, ქეიფი, ღვინო... შედეგად, როგორც ექიმებმა მითხრეს, პოდაგრა გავიჩინე... ერთ-ერთი მოლხენის შემდეგ საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა დილით. ფეხს რომ დავხედე, შემეშინდა: ტერფი ცერა თითთან გასიებული და გაწითლებული მქონდა. სასტიკად მიხურდა და მტკიოდა. ასეთივე დღეში მქონდა მაჯა და მტევანიც. ჯერ პანიკაში ჩავვარდი, ცოლი გავაღვიძე. შემდეგ გამახსენდა, „ჩემიანები“ სახსრების ტკივილს რომელ კლინიკაში იყუჩებდნენ და აქეთ გამოვეშურეთ. სხვა შედეგს არც ველოდი... პროცედურების შემდეგ, იმავე საღამოს ტკივილი გაქრა, ფეხი და ხელი დაცხრა და მეორე დღეს ჩვეულებრივად ვიყავი. დიდი მადლობა, მანანა ექიმს, ჩვენი ოჯახის ექიმს.

**ცისანა ხუსკივაძე**, *46 წლის, პედაგოგი. რუსთავი*

**დიაგნოზი**: ***კისრის ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია.*** პირდაპირ გეტყვით. აქ რომ არ მოვსულიყავი, კაი ხნის ნაოპერაციები ვიქნებოდი. ჩემი კომპიუტერული კვლევის შემოწმების შემდეგ არაერთმა ნეიროქირურგმა დროული ოპერაცია მირჩია. მტკიოდა კისერი, კეფა, ბეჭი და მარჯვენა ხელში გადამეცემოდა ტკივილი და დაბუჟება. ხელში ძალა მქონდა დაქვეითებული და მეყინებოდა. ულრმესი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს მკურნალ მანანა ექიმს, რომელმაც ცოდნა და ენერგია არ დაიშურა, რომ ოპერაციისგან გადავერჩინე. ათასი მადლობა მას! არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე. პირველივე დღიდან თავი უკეთ და უკეთ ვიგრძენი. ახლა უკვე ხელში ძალაც დამიბრუნდა და ტკივილებიც თითქმის მთლიანად მომეხსნა. ჩემი დიაგნოზი იყო: C4 – 4 მმ. C5 – 3,5 მმ, C6 – 4 მმ. მიგრიგებული თიაქარი და პროტრუზია.



**ნონა წულუკიძე**, *53 წლის. ყვარელი.*

**დიაგნოზი**: ***მარჯვენა გონართროზი, მესამე ხარისხის წელის დისკოპათია.*** შარშან ავარიაში მოვხვდი. დავარტყი მუხლი და შემდეგ სულ მტკიოდა. მიჭირდა სიარული, კიბეზე ასვლა-ჩასვლა. ასევე, დიდი ხანი მტკიოდა წელი და გადამეცემოდა ფეხში. ბევრი მკურნალობა ჩავიტარე, შედეგად 3-4 დღე უკეთ ვხვდებოდი, მერე კი ისევ ვკოჭლობდი. ამ კლინიკაში ახლობლების რჩევით მოვედი. ძალიან კმაყოფილი ვარ. ახლა მეორე კურსს ვიტარებ. შესვენებაზეც არ წამომტკიებია. მსუბუქად დავდივარ, ხელჯოხიც აღარ მჭირდება. ოჯახს ვუვლი, სამსახურშიც არ მიჭირს სიარული. ამ ყველაფრისთვის კი მე და ჩემი ოჯახი ქალბატონ მანანას ვუხდით ულრმეს მადლობას. ღმერთი ფარავდეს!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**


ის პარტნიორებიც იყვნენ, იმიტომ რომ ისინი იწვრთნებოდნენ და იარაღდებოდნენ თურქეთის დახმარებითაც. ნებისმიერ შემთხვევაში, ის პროცესები, რომლებიც მიდის თურქეთში, დიდ ფორას აძლევს ერდოღანს საიმისოდ, რომ ომში ჩაბმული ქვეყნის პირობებში, მოიგოს საპარლამენტო არჩევნები და გაატაროს შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები. პუტინისა და ერდოღანის დაახლოება მათი ნატურების სიახლოვითაც აიხსნება: ერდოღანის მმართველობის სტილი პუტინის სტილს უფრო უახლოვდება, ვიდრე „ნატოსა“ და ევროკავშირის ლიდერების.

**– არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ერდოღანი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, თუ ვითარება გართულდა და მისი პოზიციები შეირყა. ვიცით, რომ გამოსვლებიცაა თურქეთში და ითხოვენ მის გადადგომას. რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ერდოღანი თავის ქმედებებში ძალაუფლების შესანარჩუნებლად?**

– ძნელი სათქმელია, რადგან, თუ, ერთი მხრივ, მობილიზებაა ერდოღანის გარშემო, მეორე მხრივ, ქურთული ფაქტორიც შეიძლება ამოქმედდეს, ქურთებისა და მათი მხარდამჭერების მობილიზაციაც მოხდეს და მათ არჩევნებში იგივე შედეგი აჩვენონ. ასე რომ, საპარლამენტო არჩევნები გამოაჩენს ერდოღანის შემდგომ ტაქტიკას. არაერთხელ გამხდარა პარტნიორების კრიტიკის საგანი ერდოღანის მმართველობის სტილი; ისიც საკითხავია, დღეს რამდენად შესწევს აშშ-ს თურქეთზე ზეწოლის უნარი ან რამდენად ხელსაყრელია ერდოღანისთვის იმ სიტუაციაში, როდესაც რუსული თვითმფრინავები არღვევენ მის საჰაერო სივრცეს, ამერიკასთან და „ნატოსთან“ კონფრონტაცია.

**– უცნაური ვითარებაა: ახლო აღმოსავლეთში ჩართულია ჩვენი სამი ყოფილი მეტროპოლია: რუსეთი, თურქეთი, ირანი.**

– ამ კონფლიქტმა შეიძლება კიდევ უფრო დაასუსტოს თურქეთი. მაგრამ, მეორე მხრივ, საინტერესოა ირანის პოზიცია. ის დღეს, ფაქტობრივად, მოკავშირის გვერდით იბრძვის, ვგულისხმობ რუსეთს და, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ირანის სახმელეთო ჯარები იყო წინა ხაზზე ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ და, ამდენად, ამერიკის მოკავშირედაც შეიძლებოდა, მიგვეჩნია. თუმცა, რუსეთის იქ შესვლის შემდეგ, ამერიკა გაცილებით დიდი სიფრთხილით უყურებს ირანში მიმდინარე პროცესებს, ვიდრე რამდენიმე თვის წინათ უყურებდა, როდესაც ირანისთვის სანქციების მოხსნა განიხილებოდა და ირანშიც ანტიამერიკული განწყობები ახლა უფრო მძლავრია. თუ ჩვენ ვნახავთ პოზიციებს: ერთი მხრივ, ნადგურდება სირიის ოპოზიცია; მეორე მხრივ, თურქეთი ურტყამს ქურთებს; მესამე მხრივ, თურქეთის პოზიციები სუსტდება, აშკარაა, რომ ამ ეტაპზე ახლო აღმოსავლეთში შეირყა ამერიკის პოზიციები. მაგრამ არავინ იცის, როგორი იქნება საშუალო ან გრძელვადიანი შედეგი. თუ რუსეთი იქ გრძელვადიან კონფლიქტში ჩაეფლო და რეალურად საღმრთო ომმა მოიცვა მისი ტერიტორია, რუსეთის ყველაზე სუსტი წერტილია ჩრდილოეთ კავკასია, იმიტომ რომ, შესაძლოა, იქ ისლამური ხალიფატისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ნაკადების ბრძოლა დაიწყოს, რაც რუსეთისთვის ზურგში ლახვრის ჩაცემის ტოლფასი იქნება; ასევე, თუ გაიშალა ფართო ტერორისტული ფრონტი მთელი რუსეთის ტერიტორიაზე, როგორც ამას აანონსებს ასადის ოპოზიცია და თუ ამაში დამატებით ისლამური სახელმწიფოც ჩაერთო, რუსეთის ბედის გაზიარებას არავის ვუსურვებ.

**– და, რაც მთავარია, ეს უდიდესი საფრთხეა ჩვენთვის.**

– აი, სწორედ ამისკენ მიმყავს საუბარი. ჩვენ ვრჩებით აბსოლუტურად ზურგმოშიშვლებულები, რადგან, არავინ იცის, როგორ შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა ტერორისტები როგორც იარაღი საქართველოს წინააღმდეგ; მეორე ფაქტორია, რომ ევროპა შეშფოთებით ელოდება რადიკალი ისლამისტების დაბრუნებას თავის წიაღში და საქართველოსაც შეიძლება დაუდგეს ეს პრობლემა. ასეთ შემთხვევაში, საქართველო ძალიან მოწყვლადია, რადგან რუსეთს ვერ განიხილავ პარტნიორად ასეთ საქმეში, აქეთ შეიძლება შემოგიბრუნოს ტერორიზმი როგორც იარაღი; ამერიკის შეერთებული შტატები კი სრულ ფრუსტრაციაშია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე და მისგან პირდაპირი სამხედრო დახმარების იმედი ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ვერ გვექნება. აღარაფერს ვამბობ ევროპაზე, რომელიც თავად გაჭირვებულ დღეშია, იმიტომ რომ სირიაში დაბომბვების გახშირება კიდევ უფრო გაზრდის ლტოლვილთა ნაკადებს, რასაც სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ბურჟუაზიის ხიბლში ჩაძირული ევროპა. ამდენად, შექმნილ ვითარებაში საქართველოს ფარი შეიძლება იყოს ისევ ისლამური სამყარო და ამ მხრივ ჩვენ არ განვიცდით მეზობლების ნაკლებობას: თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი... ამ ეტაპზე ყველაზე ხელსაყრელი ვერსიაა მათთან თანამშრომლობა, აღარ ვლაპარაკობ ეკონომიკური კუთხით, რაც ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, არამედ ტერორიზმის პრევენციის კუთხით. ამ ეტაპზე ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენს ისლამის აღმსარებელ მოქალაქეებთან და ჩვენს მუსლიმან მეზობლებთან ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია და ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებაც კი. ვფიქრობ, ამ საფრთხესთან გასამკლავებლად ამ ეტაპზე ყველაზე რეალისტური მოკავშირეები ესენი არიან.

**ნინო ხაჩიძე**


## ნდობის ტელეფონი

**0 9 0 2 2 0 0 2 0 0**

**SMS – 93094**

**დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან**



**ზარი ფასიანია**

**თამაზ ბეჟანიშვილი, იგივე ტომას კაუპერვუდი (Thomas A. Cowperwood) ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობია, რომელიც ვენაში ცხოვრობს და უკვე არაერთ წარმატებას მიაღწია როგორც თეატრის, ასევე კინოს სფეროში. მას სამომავლოდ კიდევ ბევრი გეგმა და არაერთი კონკრეტული მიზანი აქვს, რასაც, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მიაღწევს. ტომასი ძალიან ნიჭიერი და წარმატებული დიზაინერის, გიორგი ბეჟანიშვილის ძმაა, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და მას ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს.**

# როგორ გახდა ერთ-ერთი გერმანული კომპანიის სარეკლამო სახე ქართველი მსახიობი ტომას კაუპერვუდი, რომელიც ტომ კრუზთან და ჰელენ მირენთან ერთად გადაიღეს სხვადასხვა ფილმში და როგორ ჩაუტარა მას მასტერკლასები დასტინ ჰოფმანმა

**ტომას კაუპერვუდი:** თეატრის მიმართ ინტერესი ყოველთვის მქონდა – ის, რაც სცენაზე ხდებოდა, ჩემში აღფრთოვანებას იწვევდა. შემდეგ ძალიან შემიყვარდა კინო, თუმცა, არ მიფიქრია, რომ შესაძლებელი იყო, გავმხდარიყავი მსახიობი და მეკეთებინა ის, რასაც ეკრანზე ვხედავდი. მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი ჩემგან ძალიან შორს იყო, როგორც მიუწვდომელი სამყარო. საბოლოოდ, ჩემი ოჯახის რჩევითა და ჩემი სურვილით, ჩავაბარე სამედიცინო უნივერსიტეტში, შემდგომ კი გადავწყვიტე, ავსტრიაში წამოვსულიყავი სწავლის გასაგრძელებლად, სადაც ჩემი ძმა ცხოვრობდა. ჩავაბარე უნივერსიტეტში, თუმცა, ვენის ნაცვლად მოვხვდი ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტში, რაც საერთოდ შოკი იყო. ჩემი ძმა იმ დროს ვენაში ცხოვრობდა და, შესაბამისად, ყველაფრის მარტო, დამოუკიდებლად კეთება მიწევდა. საბოლოოდ, ეს იყო ყველაზე კარგი რამ, რაც შეიძლება დამმართნოდა:



შევხვდით არნოლდ შვარცენეგერს, გავიცანით, ბევრი ვისაუბრეთ და სამომავლოდ თანამშრომლობასაც ვგეგმავთ, რაც მთავარია, ამ ყველაფერზე კონკრეტულად ვფიქრობთ

ვისწავლე, რას ნიშნავს იყო დამოუკიდებელი; ვისწავლე ბევრი რამის ფასი. ორი წლის შემდეგ ვენაში მომიწია საცხოვრებლად გადასვლა, რადგან პარალელურად სწავლა გავაგრძელე ვენის უნივერსიტეტში სამედიცინო ინფორმატიკის ფაკულტეტზე. მივხვდი, რომ არ ვიყავი მზად, მეკეთებინა ყველაფერი და გამეთენებინა ღამეები იმ პროფესიისთვის, რომელსაც იმ პერიოდში ვეუფლებოდი. ავსტრიაში წამოსვლის პირველი წლიდან მოყოლებული, დამებადა აზრი მსახიობობის შესახებ, რომელიც დღითიდღე კონკრეტულ მიზნად ყალიბდებოდა და 22 წლის ასაკში საკუთარ თავს ვუთხარი – ან ახლა უნდა გადაწყვიტო ეს, ან დაემშვიდობო-მეთქი და საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე: თავიდან მინდოდა ჩამებარებინა ნიუ-იორკის კინოაკადემიაში. საბუთები გავგზავნე და მიმიღეს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, დავრჩი ვენაში და ჩავაბარე ორენოვან კინოაკადემიაში. უნივერსიტეტში ვიყავი ერთადერთი უცხოელი, რომლის მშობლიური ენა არ იყო გერმანული, რაც, ცოტა არ იყოს, ართულებდა საქმეს. შესაბამისად, ბევრი დრო დამჭირდა, რომ გერმანული თეატრალური ენა მესწავლა. უნივერსიტეტის დამთავრებასთან ერთად, პარალელურად, ავარებ სახელმწიფო გამოცდას, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება – ესაა თეატრის გამოცდა, რომელიც უფლებას გაძლევს, გერმანულენოვან სცენაზე ითამაშო და თავს პროფესიონალი მსახიობი უწოდო. პირველ გამოცდაზე საშუალება მომეცა, მეთამაშა ნაწყვეტები ჩეხოვის პიესებიდან, თან, ვენის ძალიან ცნობილ თეატრში, რაც ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილება და, ასევე, პატივი იყო. მეორე წელს კი, სხვა როლებთან ერთად, ასევე ვითამაშე ნაწყვეტი „კავკასიური ცარცის წრიდან,“ უკვე პარტნიორთან ერთად, რითაც ვეცადე, ჟიურისთვის შემეხსენებინა ჩემი წარმომავლობისა და საქართველოს შესახებ – მოგეხსენებათ, ბერტოლდ ბრეხტის პიესაში მოქმედება საქართველოში ხდება. ჟიურის წევრები ავსტრიის წამყვანი მსახიობები იყვნენ და საკმაოდ მკაცრები აღმოჩნდნენ, თუმცა, საბოლოოდ, მოეწონათ ჩემი შესრულება. მესამე სადიპლომო გამოცდამაც ძალიან კარგად ჩაიარა, კარგი შეფასებები მივიღე, ყველაზე სასიამოვნო კი ამ პროცესში ის იყო, რომ საკუთარ თავს დავუმტკიცე: მე ეს შევძელი.

**– როგორ განვითარდა შენი სამსახიობო კარიერა?**

– ყველანაირ საშუალებას ვცდიდი, რომ, რაც შეიძლება მეტი სამუშაო გამოცდილება შემეძინა. მონაწილეობა მივიღე რამდენიმე გერმანულენოვანი პიესის დადგმაში. ასევე, რამდენიმე წელია, ვენაში არსებობს რუსული თეატრი, სადაც ძალიან კარგად მიმიღეს და დამეხმარნენ, დამეძლია, ეგრეთ წოდებული, „სცენის შიში“, რაც ძალიან დამეხმარა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებაში. სამი წლის განმავლობაში ამ თეატრში ვმუშაობდი, ხოლო ცოტა ხნის წინ, სწავლის დამთავრებასთან ერთად, მათთან მუშაობაც დავამთავრე. რაც შეეხება კინოს, ბოლო სამი წელი ბევრ პროექტში მომიწია მუშაობა. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ვმონაწილეობდი ავსტრიულ პროექტში, სადაც ჩემი პარტნიორი იყო ავსტრიელი მსახიობი ურსულა შტრაუსი. მისი ძალიან ბევრი ფილმი მქონდა ნანახი და მასთან თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი გამოცდილება აღმოჩნდა ჩემთვის. გადაღების პროცესი ძალიან საინტერესო იყო, განსაკუთრებით – საერთო სცენების გადაღება. გარდა ამისა, ვენაში ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი ჰოლივუდური პროექტი გადაიღეს. ტომ კრუზთან ერთად ვმონაწილეობდი ისეთი ფილმების გადაღებაში, როგორიც არის „შეუსრულებელი მისია“ და, კიდევ, ძალიან კარგი ფილმი – „ქალბატონი ოქროსფერში“ (Woman in Gold), რომელშიც თამაშობენ ჰელენ მირენი და რაინ რეინოლდსი. გერმანიაში გადასაღებ მოედანზე მქონდა უკვე ნამუშევარი და, მაინტერესებდა, როგორი იყო ჰოლივუდურ ფილმებზე მუშაობა – სამუშაო პირობები, სიტუაცია გადასაღებ მოედანზე. როდესაც ვენაში გადმოვედი, შემთხვევით გავიცანი ტილ შვაიგერი, ძალიან ცნობილი გერმანელი მსახიობი, შემდეგ – ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ინგლისელი მსახიობი მაიკლ კეინი და, ბოლოს – ყველასათვის კარგად ცნობილი არნოლდ შვარცენეგერი, რომელიც ძალიან საინტერესო ადამიანია. ის ავსტრიის ერთ-ერთი სოფლიდან აღმოჩნდა იქ, სადაც ახლა იმყოფება. სწავლის პერიოდში მუდმივად ვმუშაობდი, რომ ცხოვრების ნორმალური პირობები მქონოდა. გარდა ამისა, დაინტერესებული ვიყავი სხვა წარმატებული ადამიანების მოტივაციური მაგალითებით. სწორედ მაშინ შევხედე არნოლდ შვარცენეგერს სხვა თვალით. ერთი ავსტრიელი მეგობარი მყავს, რომელიც, ფაქტობრივად, იმ სოფლიდან არის, საიდანაც არნოლდი. ჩვენ რამდენიმე თვის განმავლობაში სულ მასზე ვსაუბრობდით, მისი გაცნობა გვინდოდა. ერთ დღესაც, გავიგეთ, რომ ბუდაპეშტში ტარდებოდა სემინარი, რომელსაც არნოლდი ესწრებოდა. შევხვდით, გავიცანით, ბევრი ვისაუბრეთ, სამომავლოდ თანამშრომლობასაც ვგეგმავთ და, რაც მთავარია, ამ ყველაფერზე კონკრეტულად ვფიქრობთ. საერთოდ, ამ ხალხის გაცნობა ჩემთვის ერთგვარი ნიშანი იყო იმის, რომ სწორ გზაზე ვიყავი ჩემი გადაწყვეტილებით. ზოგადად, ჩემი კონკრეტული მიზანია, რომ ვიყო პირველი ქართველი მსახიობი, რომელიც ჰოლივუდში მოხვდება და „ოსკარს“ მიიღებს. ამაზე დიდი ხანია, ვმუშაობ და ამ ყველაფრის გაკეთებას ამ მომენტისთვის ევროპიდან ვგეგმავ.



**– როგორც ვიცი, დასტინ ჰოფმანთანაც გაიარე ტრენინგები.**

– დასტინ ჰოფმანის ონლაინ კურსები გავიარე. ეს იყო ერთგვარი „ვორკშოპი“, საშუალება მქონდა, მისი გაკვეთილები მომესმინა. საბოლოოდ, უნდა მოგვემზადებინა ერთი სცენა

# ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი – პირველი ეროვნული სისხლის ბანკი საუკეთესო პირობებით დონორებისთვის

## გახდი დონორი – გადაარჩინე სიცოცხლე!

***ნატალია კვანტალიანის** სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი  პირველი ეროვნული სისხლის ბანკია, რომელიც ამიერკავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ  სისხლის ბანკად აღიარეს. სისხლის ბანკი, რომლის ბაზაზეც უმაღლესი სტანდარტის ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა და ლაბორატორია ფუნქციონირებს, დონორებს განსაკუთრებულ  პირობებსა და თანადგომას სთავაზობს. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის ბანკის წარმატების მთავარი ფაქტორი – ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი  აქტიურად არის ჩართული  საქველმოქმედო აქციებსა და სოციალურ აქტივობებში, რომელიც  ყველაზე მთავარს, სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება.*

**ნატალია კვანტალიანი**: ჩვენთვის უზარმაზარი  პატივი და პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენი სისხლის ბანკი ამეიერკავკასიაში ერთ-ერთ, ყველაზე მასშტაბურად არის აღიარებული იმ  შედეგებიდან გამომდინარე, რასაც საკმაოდ მცირე პერიოდში მივაღწიეთ. დღეს ჩვენი სისხლის ბანკის ბაზაზე ფუნქციონირებს ფეშენებელური, უახლესი სტანდარტის შესაბამისი, უახლესი აპარატურით აღჭურვილი ქართულ-ჰოლანდიური კლინიკა, სადაც ტარდება სისხლის უფასო გამოკვლევები დონორებისთვის თანამედროვე ევროპული სტანდარტით.  ამ ათი თვის განმავლობაში დონორთა რიცხვმა თხუთმეტი ათასს მიაღწია. ასეთი მაჩვენებელი ბოლო ათწლეულებში საქართველოში არ დაფიქსირებულა. გვაქვს დიდი რესურსი – საავადმყოფოების 70-80 პროცენტი მარაგდება ჩვენთან წარმოებული სისხლითა და სისხლის შემცველი კომპონენტებით.

**– ქალბატონო ნატალია, რამ გამოიწვია დონორთა რაოდენობის ასეთი ზრდა? ეს იმ დიდი აქტივობის შედეგია, რასაც თქვენი ცენტრი ეწევა დონორობის პოპულარიზაციისთვის?**



ჩვენი დევიზია – სისხლი ყველას!

– მე პირადად, ვარ დონორი და არაერთხელ ვმდგარვარ ქუჩაში მოწოდებით გაიღეთ სისხლი, გადაარჩინეთ სიცოცხლე! ამ  კეთილი საქმის პროპაგანდას ეწევიან ჩემი მცირეწლოვანი შვილიშვილებიც კი ***(იცინის).*** ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ახალგაზრდა დონორთა რაოდენობა. მათ შორის არიან სტუდენტები, რომლებიც საკუთარი სურვილით, უანგაროდ გასცემენ სისხლს სხვების სიცოცხლის გადასარჩენად. ჩვენს აქციებში ჩართული არიან სახელმწიფო უწყებები, კერძო სექტორის წარმომადგენლები. ხშირად ვმონაწილეობთ საქველმოქმედო ღონისძიებებში. თანადგომა გამოვუცხადეთ ორგანიზაციას, რომელიც ეხმარება ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალბატონებს.  ჩვენი ბანკი, როცა არის ამისი აუცილებლობა, უსასყიდლოდ გადასცემს სისხლს იაშვილის კლინიკის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.  გვყავს მოსწავლეები, რომელთაც ყოველთვიურად ვუხდით სტიპენდიას.

**– როგორც ცნობილია, აქ დონორებისთვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი.**

– 2010 წელს, როდესაც ამ ცენტრს ჩავუდექი სათავეში. დონორის კვების კომპენსაცია 10-15 ლარი იყო, დღეს დონორის კვების კომპენსაცია  35-40 ლარს შეადგენს. ზაფხულობით ეს თანხა კიდევ უფრო მაღალია. იმის გარდა, რომ დონორი ჩვენს ცენტრში არსებულ ქართულ-ჰოლანდიურ კლინიკაში,  რომელიც „აისო" სერტიფიკატის მფლობელია, უფასოდ იკეთებს სისხლის მაღალხარისხიან ლაბორატორიულ ანალიზს. მას, კვების კომპენსაციასთან ერთად, აქვს საშუალება, ადგილზე მიიღოს საკვებიც. ბევრი დონორი კვების კომპენსაციას ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად უფრო იყენებს, სწორედ ამიტომ, ცენტრში  გავაკეთეთ სასადილო, სადაც დონორები იკვებებიან ნატურალური პროდუქტებით დამზადებული საკვებით. ჩვენი  დიდი ძალისხმევის შედეგად, მოვახერხეთ და დავიწყეთ ფასის დაკლების  ტენდენცია – სისხლის დოზა – 37-40 ლარის ფარგლებში აქამდე არსად ყოფილა. ჩვენთან სისხლის მიღება  შეღავათიან ფასებში 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი როგორც საავადმყოფოებისთვის, ასევე კერძო პირებისთვის.

სისხლის ცენტრალურ ბანკს აქვს ფილიალები მეტრო „სამას არაგველთან",  ვარკეთილში, გლდანში და დიღომში, ეგრეთ წოდებული მიხაილოვის საავადმყოფოს ტერიტორიაზე, რაც  უფრო ხელმისაწვდომს ხდის ცენტრის მომსახურებას დონორებისთვის. მალე გაიხსნება ფილიალი სამტრედიაში, სადაც დასავლეთ საქართველო მიიღებს უმაღლესი ხარისხის აპარატურით დამზადებულ სისხლსა და მის კომპონენტებს.

**დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 2 14 51 51; 2 18 88 85.**
**მისამართი: ქავთარაძის ქუჩა №21ა**
**დაგვიმეგობრდით „ფეისბუქზე":**
**ვებ-გვერდი: nk.dutchclinic.com**

**თამუნა ნიჟარაძე**

---

ფილმიდან, სადაც ტომ კრუზი თამაშობს. რა თქმა უნდა, მოვემზადე და ჩავწერე სცენა, ორი კვირის შემდეგ კი დამიკავშირდნენ – დასტინ ჰოფმანს სურს თქვენთან გასაუბრებაო. ეს იყო მოულოდნელი და, ამასთანავე, სასიხარულო ამბავი. ბევრი მესაუბრა იმის შესახებ, საიდან უნდა დავიწყო, რაზე უნდა გავამხვილო ყურადღება, რა მჭირდება იმისთვის, რომ ამერიკელი პროდიუსერების ყურადღება მივიქციო. ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, რომ, როდესაც დამირეკა, მეგონა, 10 წუთი გამესაუბრებოდა, მაგრამ, ისე ჩაუღრმავდა საკითხებს, საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო საუბარი გამოგვივიდა. მას ძალიან მოეწონა არჩევანი, რომელიც მე გავაკეთე სცენის შესრულებისას და ამას  ხაზიც გაუსვა.

**– ვიცი, რომ კინოსა და თეატრის პარალელურად რეკლამაშიც გიღებენ.**

– ამ სფეროში დაახლოებით ერთი წლის წინ მოვხვდი სრულიად შემთხვევით. თავიდან ამას ვერც წარმოვიდგენდი. ჩემმა მეგობარმა შემომთავაზა მათთან თანამშრომლობა – იქ შეიძლებოდა მქონოდა შემოთავაზებები რეკლამებიდან, ფილმებიდან, მსოფლიო პროექტებიდან. მივედი და გარკვეული პერიოდის შემდეგ საერთაშორისო ინგლისურ პროექტში მოვხვდი. საბოლოოდ კი ბევრი დაინტერესდა ჩემით. გადამიღეს სხვადასხვა რეკლამაში, ფოტოგადაღებებიც მქონდა სხვადასხვა კომპანიისთვის. ახლა გერმანიაში ერთ-ერთ კომპანიასთან მაქვს კონტრაქტი – მათი სახე გავხდი და მათი სარეკლამო რგოლები  ოთხი წლის განმავლობაში იტრიალებს ტელესივრცეში. მსახიობისთვის ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, არასდროს იცი, ვინ ნახავს ამ რეკლამას და ვინ დაინტერესდება შენით. სამომავლოდაც ძალიან ბევრი პროექტი იგეგმება. ახლო მომავალში ვგეგმავ ამერიკული პიესის დადგმას ავსტრიაში და, ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ რომელიმე თეატრალური ფესტივალის ფარგლებში მის საქართველოში ჩამოტანას მოვახერხებთ. გარდა ამისა, ვენაში არის ძალიან ცნობილი ინგლისური თეატრი, რომლის სცენაზე თამაშზეც თეატრალურში სწავლის დროს ვოცნებობდი და ახლა შესაძლებლობა მომეცა, ამ სცენაზე ვითამაშო, თან, მიუზიკლში, რაც ჩემთვის „ახალი ხილია" და შესაძლებლობას მაძლევს, ჩემი ვოკალური შესაძლებლობებიც გამოვცადო.

**ნათია უტიაშვილი**

---

## PERSEUS ევროპული საზღვაო კვლევების სტრატეგია შავ ზღვაზე საქართველოში

მიმდინარე წლის 8-9 ოქტომბერს თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში", თსუ-ში ევროკომისიის მიერ გრანტირებული პროექტის – PERSEUS-ის ფარგლებში ჩატარდა სტეიქჰოლდერების მეხუთე რეგიონული შეხვედრა-სემინარი თემაზე „ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზების კარგი გარემოს სტატუსისათვის".

PERSEUS არის თსუ-ში მიმდინარე ერთ-ერთი წარმატებული პროექტი, რომელიც დაიწყო 2012 წელს და მთავრდება მიმდინარე წლის დეკემბერში. მისი საერთო სამეცნიერო მიზნებია ხმელთაშუა და შავ ზღვებზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ზეგავლენის ფორმებისა და მასშტაბების იდენტიფიცირება, მათი გავლენის შეფასება საზღვაო ეკოსისტემებზე საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივის (MSFD) მიზნებისა და პრინციპების გამოყენებით. საზღვაო გარემოს მართვის ეკოსისტემურ მიდგომაზე (EcAP) დაყრდნობით მუშავდება ეფექტური და ინოვაციური კვლევების მართვის მექანიზმი.  უფრო მეტიც, PERSEUS შეიმუშავებს ინოვაციურ, პატარა კვლევითი გემის პროტოტიპს, რომელიც შეძლებს სამეცნიერო კვლევითი ფუნქციების სრულფასოვან შესრულებას ძალიან წყალმარჩხ ადგილებში, რაც არ ძალუძს ამჟამად არსებულ სანაოსნო საშუალებებს. კარგი გარემოს სტატუსის (GES) მიღწევის თვალსაზრისით მუშავდება ადაპტაციური პოლიტიკისა და მართვის სქემების ჩარჩოები, სათანადო დროის გრაფიკით.

შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც სამეცნიერო-სასწავლო,  ისე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები. ასევე, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საზღვაო კვლევების ბერძნული ცენტრის წარმომადგენლებმა – ვასილიკ ვასილოპულომ და მარია პანტაზიმ; რუმინეთის საზღვაო გეოლოგიისა და გეოეკოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის წარმომადგენლებმა – დანა ვასილემ და ადრიან ტეაკამ; ევროკომისიის ექსპერტმა გეორგ ჰანკემ. შეხვედრის მიზანი იყო როგორც ახლო კონტაქტების დამყარება რეგიონული ხელისუფლების ორგანოებსა და მეცნიერებს შორის, ისე მყარი ნიადაგის შექმნა რეგიონული საზღვაო ეკოსისტემების მენეჯმენტში ეფექტური თანამშრომლობისთვის.

სემინარის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრების ჩატარება აუცილებელია, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ ერთობლივად შეძლოს, გააერთიანოს ძალისხმევა ევროპის საზღვაო ჩარჩო-დირექტივის მიდგომების შესაბამისად, 2020 წლისთვის შავი ზღვის კარგი გარემოს სტატუსის მისაღწევად და შესანარჩუნებლად.

**კახაბერ ბილაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)**

**დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე „გაზპრომიც“ გამოჩნდეს. რეაქცია ბუნებრივია, რადგან რუსეთის ენერგეტიკული იმპერიის ვერსია მოქმედია და „გაზპრომი“ არაერთხელ გამოუყენებია რუსულ სახელმწიფოს შანტაჟისა და ზეწოლის იარაღად ჩვენზე გაცილებით დიდი და გავლენიანი ქვეყნების წინააღმდეგ. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ საქართველოში „სოკარი“ კონკურენციის გარეშეა და, ფაქტობრივად, სრული კარტ-ბლანში აქვს მინიჭებული, მაშინ, როდესაც თავად „გაზპრომთან“ თანამშრომლობს. საბოლოოდ, გაირკვა, რომ „გაზპრომი“ სომხეთში გასატარებელი გაზის მოცულობის გაზრდას ითხოვს (ანუ ჩვენ მეტი დაგვრჩება ტრანზიტის საფასურად და, სხვათა შორის, „სოკარი“ ამ უფასო გაზს საქართველოს მოსახლეობას მიჰყიდის), თუმცა არც ის იქნება ურიგო, თუკი საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენები არა მხოლოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, არამედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაც გადაკვეთს. საქართველოს ენერგეტიკულ რეალობასა და პერსპექტივას იოსებ არჩვაძესთან ერთად მიმოვიხილავთ.**

# რას დაკარგავს და მიიღებს საქართველო „გაზპრომის“ შემოსვლით და ითხოვს თუ არა ირანული გაზის საქართველოზე გამოტარების სანაცვლოდ თურქეთისკენ გაზის გატარებას

**– გასაგებია, რომ რუსეთი შეეცდება, ხელი შეუშალოს საქართველოში უკვე განხორციელებულ და განსახორციელებელ საერთაშორისო ენერგოპროექტებს და უკვე აჩვენა კიდეც ეს, როდესაც „იუჟნაია ოსეტიის“ ტერიტორიაზე მოაქცია მილსადენის ნაწილი...**

– არა მხოლოდ ეს, გავიხსენოთ თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის აფეთქება.

**– დიახ, ქურთების მიერ, რომლებსაც თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან. რაც მე მისაუბრია რუს პოლიტოლოგებთან, ისინი საეჭვოდ მიესალმებოდნენ ირანის ნავთობის სომხეთ-საქართველოზე ევროპისკენ ტრანსპორტირების პერსპექტივას. რა არის ცუდი იმაში, რომ ირანულმა გაზმა ჩვენზე გაიაროს ევროპისკენ, რუსულმა კი, ასევე ჩვენზე გავლით – თურქეთისკენ? და, რატომ გადაწყვიტა „გაზპრომმა“ შემოსვლა საქართველოში?**

– კითხვათა და ინტერესთა მთელი კვანძია და, შევეცდები, რომ საკითხები დავაცალკევო. ამ სიტუაციაში ასეთი შემთხვევა მახსენდება: როდესაც ტალეირანი გარდაიცვალა, პარიზის მაღალ წრეებში კარგა ხანს კამათობდნენ, რისთვის დასჭირდა გარდაცვალება ტალეირანს, რადგან ყველაფერს საკუთარი სარგებლისთვის აკეთებდა, ასე უმიზეზოდ არ მოკვდებოდაო. „გაზპრომი“ არის სახელმწიფო სახელმწიფოში და ის კომერციულ სტრუქტურაზე გაცილებით მეტია. კაპიტალს რომ თავი დავანებოთ, იმდენი მილსადენი აქვს, რომ დედამიწას 4-ჯერ დაარტყამს წრეს – 160 000 კილომეტრი სიგრძის. ნებისმიერი კონტაქტი „გაზპრომთან“ ნიშნავს, რომ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე, რაც უნდა მომგებიანი იყოს კომერციული თვალსაზრისით. მაგრამ აქ დგება მეორე საკითხი – მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ „გაზპრომი“ თავის ბუნებას, რბილი იმპერიის ფორმირებისა და ზეწოლის ფორმატს, ნამდვილად არ შეიცვლის, ამიტომ მისი ხასიათის შეცვლაზე საქართველომ არც დრო უნდა დახარჯოს და არც ენერგია, უნდა მიიღოს ეს რეალობა და ეცადოს, ამ პირობებში მაქსიმალური სარგებელი, ჯერ ეკონომიკური და შემდეგ – პოლიტიკურიც, გამოსცინცლოს. საქართველოს მდებარეობა ისეთია – გზაჯვარედინი, რომ, ჯობია, ვიყოთ ენერგეტიკული და სხვა საქმიანი ნაკადების გზაჯვარედინი, ვიდრე ჯვარცმული ქვეყანა.



**საქართველოს მდებარეობა ისეთია – გზაჯვარედინი, რომ, ჯობია, ვიყოთ ენერგეტიკული და სხვა საქმიანი ნაკადების გზაჯვარედინი, ვიდრე ჯვარცმული ქვეყანა**

**– და დაპირისპირების პოლიგონი.**

– დიახ, ამიტომ, ფრთხილი პოლიტიკით შესაძლებელია, გავაძლიეროთ ის ვექტორი, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაკარგული იყო, ვგულისხმობ ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორს. ჩვენ აქცენტი გადავიტანეთ და, ალბათ, სამართლიანად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გამავალ მილსადენზე და ახლა უკვე დროა, ვიფიქროთ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზეც, რომ ეს განხორციელდეს საქართველოს ინტერესების შესაბამისად. არ გამოვრიცხავ, რომ არა მხოლოდ „გაზპრომის“ მეშვეობით სომხეთში დამატებითი ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი განიხილებოდეს, არამედ, პირიქით, ირანის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენებისა ევროპის მიმართულებით დამატებითი გაზის მიწოდების მიზნით. სუფთა პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, მაშფოთებს მეორე საკითხი: საქართველოს ხელისუფლება საერთოდ არ განიხილავს იმ ვარიანტს, რომ საქართველოს შეიძლება მოაწყდეს დიდი რაოდენობით გაზი და რას ვუშვრებით ამ გაზს?!

**– არც გაზსაცავი გვაქვს.**

– გაზსაცავი იქით იყოს, ეკონომიკურ ზრდას ვგულისხმობ. იყო დრო, როდესაც საქართველოში მრეწველობა ყვაოდა, ქვეყანა ყოველწლიურად მოიხმარდა დაახლოებით 8 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს, ახლა 2 მილიარდამდეა მოხმარება. თუ ეკონომიკა განვითარდა და რეალურ სექტორს მივეცით დამატებითი იმპულსი, დაგვჭირდება მეტი ენერგია და ეს ნამატი გაზი ამ მიმართულებით უნდა წავიდეს. მოსახლეობა იმაზე მეტს ვერ მოიხმარს, რაც სჭირდება სახლის გათბობისთვის თუ კომუნალური საჭიროებისთვის, რისთვისაც ის რესურსი, რაც გვაქვს, საკმარისია, დანარჩენი კი უნდა წავიდეს ეკონომიკის განვითარებისთვის. ბიუჯეტის პროექტში, რომელიც ახლა განიხილება პარლამენტში, ეკონომიკური ზრდის საკმაოდ ზომიერი ტემპია და, ის ფაქტორი, რომ, შესაძლოა, საქართველო უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში გახდეს ენერგეტიკული ხაზი და რესურსი დარჩეს, არცაა გათვალისწინებული. არადა, ეკონომიკური ზრდის ასეთი მაჩვენებლები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ, ის ჩამორჩენა, რაც დაგვიგროვდა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, როგორმე დავძლიოთ თუ არა, შევამციროთ მაინც. აი, ეს მაწუხებს და მაღელვებს.

**– როგორც ენერგეტიკოსები ამბობენ, ამჟამად არსებული მილსადენებიც რომ დაიტვირთოს, იმდენი გაზი გვექნება, რაც გაცილებით აღემატება ჩვენს დღევანდელ საჭიროებას და ფასიც საგრძნობლად დაეცემა. ისევ ჩვენს თემას დავუბრუნდეთ: „გაზპრომმა“ რატომ გადაწყვიტა „სოკართან“ კონკურენცია, თუ, ეს ამ ამბის ხელოვნური ელფერია, მით უფრო, თუ ოფიციალურად სომხეთისთვის მისაწოდებელი მოცულობის გაზრდაზეა საუბარი?**

– „სოკარი,“ უბრალოდ, ჩვენი კარის მეზობლის ენერგოკომპანიაა, თორემ, მე ამ საკითხს უფრო გლობალურად შევხედავდი: მსოფლიო ბაზარზე შეინიშნება ენერგორესურსების სიჭარბე, ანუ მიწოდება აშკარად ჯაბნის მოთხოვნას როგორც ნავთობზე, ისე გაზზე და, მსოფლიო ბაზარი, ფაქტობრივად, გაჯერებულია; ამიტომ, იმისთვის, რომ პოტენციური მომხმარებელი დააინტერესოს, „გაზპრომი“ იძულებულია, ახალი მიმართულებები ეძებოს და შესთავაზოს ალტერნატიული ვარიანტები შედარებით იაფად. ლაპარაკია, რომ 2016-2018 წლებში „გაზპრომს“ ევროპისთვის დაახლოებით ორჯერ უფრო იაფად მოუწევს გაზის მიწოდება 2013-2014 წლებთან შედარებით. ანუ 180 დოლარამდე შეიძლება ჩამოვიდეს 1 000 კუბური მეტრი გაზის ფასი. ამას ემატება დაძაბული ურთიერთობა უკრაინასთან, ევროპასთან და გრძელვადიან პერსპექტივაში „გაზპრომი“ დაინტერესებულია, მოძებნოს სხვა, შედარებით უხიფათო ან დაცული მიმართულებები, რომ გაიდეს ბაზარზე და, ამ კონტექსტში, „სოკარი“ ერთი კერძო შემთხვევაა იმ გლობალური გზების ძიებისას, რასაც „გაზპრომი“ ბოლო პერიოდში აწარმოებს იმისთვის, რომ მისმა პროდუქციამ მოიპოვოს ადგილი. მაგალითად, წელს ევროპულ ბაზარზე ნორვეგიულმა გაზმა მნიშვნელოვნად შეავიწროვა „გაზპრომის“ პროდუქცია და ნორვეგიული გაზის მოცულობა ევროპულ ბაზარზე აღემატებოდა რუსული „გაზპრომის“ მიერ შეტანილ გაზს.

**– „გაზპრომი“ დაინტერესებულია საქართველოს ბაზრით და, კიდევ?**

– საქართველოს გამოყენებით, როგორც ტრანზიტული ქვეყნის.

**– საით? მხოლოდ თურქეთისკენ?**

– შეიძლება იყოს თურქეთის მიმართულება, იმიტომ რომ უკვე არსებობს გარკვეული ინფრასტრუქტურა და ტრადიცია – შედარებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლია, გაიდეს თურქეთის ბაზარზე და გაცილებით იაფად მიაწოდოს გაზი.

**– როდესაც ლაპარაკი დაიწყო „სამხრეთის ნაკადზე“, მაშინვე თქვა, მაგალითად, სანდრო თვალჭრელიძემ, რომ ეს პროექტი მაინც ჩაიშლებოდა, რადგან შავი ზღვის ფსკერზე იმდენად მაღალი წნევებია, რომ მილსადენზე მუდმივად ავარიები მოხდებოდა. ანუ თურქეთისა და რუსეთისთვის ოპტ-**

# რამდენი სამუშაო ადგილი გამოიცვალა ქუთაისის მერის ცოლმა ქმრის ჩინოვნიკობის სამი წლის განმავლობაში

ქალაქ ქუთაისის მერი შოთა მურღულია 1979 წელსაა დაბადებული ქუთაისში. უმაღლესი განათლების მიღება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაუწყია, ეკონომიკისა და სამართლის გერმანულენოვან ფაკულტეტზე (სადაც 1997 წელს ჩარიცხულა). 1999 წელს კი გაცვლითი პროგრამით სწავლა გერმანიაში, ლუნებურგში გაუგრძელებია. სწავლის პარალელურად, გაუვლია სტაჟირება Volksbank Paderborn-ში, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ – საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში. 2003 წელს მაგისტრატურაც დაუმთავრებია – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. თუმცა მისი სამუშაო გამოცდილება 2002 წელს დაიწყო საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრში, სადაც მან 2012 წლამდე იმუშავა კვლევისა და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორად. ამის პარალელურად, 2002-2007 წლებში, Robert-Bosch-ის ფონდის დაფინანსებით, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და მისი ოფიციალური ბიოგრაფია გვამცნობს, რომ პედაგოგობას ამჟამადაც განაგრძობს. 2012 წლიდან მისი სამოხელეო კარიერაც დაიწყო: 2012 წელს ბ-ნი მურღულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასრუქტურის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. 2012 წლის ნოემბრიდან ქუთაისის მერის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 2014 წლიდან, სულაც, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

შესაბამისად, ბ-ნი მურღულიას მიერ პირველად შევსებული დეკლარაციაც 2012 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ და ოჯახის წევრებად მიუთითა: 1986 წელს დაბადებული მეუღლე თეონა შეყილაძე და ორი შვილი: 2008 წელს დაბადებული ნია და 2010 წელს დაბადებული მარიამი. იმხანად (დღემდე ასეა) ოჯახის ერთადერთ უძრავ ქონებას შეადგენდა შოთა მურღულიას საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე (ფართობი 90 კვ. მ.); უძრავ ქონებას კი ოჯახის ორივე ზრდასრული წევრი ფლობდა: შოთა მურღულიას ჰყავდა 2003 წლის „მერსედესი“, მის მეუღლეს – 1999 წლის „ბეემვე“. ოღონდ დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ბ-ნ მურღულიას ჰქონდა: 4 000 აშშ დოლარი და 1 000 ლარი. მისი მეუღლე კი 2010 წელს დაფუძნებული შპს DMT-ს პარტნიორია, ოღონდ სამეწარმეო საქმიანობას მისთვის არანაირი შემოსავალი არ მოუტანია.



რაც შეეხება შემოსავლებს: 2011 წლის განმავლობაში შოთა მურღულიამ, როგორც სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის რეფორმების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორმა, 39 835 ლარი მიიღო; როგორც ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრის ექსპერტმა, 7 310 ლარი; როგორც კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტმა, 7 027 ლარი; როგორც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ქართულ-გერმანული პროგრამის კოორდინატორმა, 16 263 ლარი; როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულმა ლექტორმა, 6 560 ლარი; როგორც დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია OFXAM-ის საქართველოს წარმომადგენლობის ექსპერტმა, 7 322 ლარი; როგორც ფრიდრიხ ებერტის ფონდის ექსპერტმა, 1 738 ლარი; როგორც „ღია საზოგადოება: საქართველოს“ ექსპერტმა, 2 132 ლარი; როგორც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტმა, 3 000 ლარი; აგრეთვე, მიიღო 3 500 ლარის ოდენობის გრანტი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდიდან. რაც შეეხება გასავლებს: 2009 წელს ბ-ნმა მურღულიამ იპოთეკური სესხი აიღო (30 000 აშშ დოლარის ოდენობით) და 2011 წელს მისი მომსახურება 9 942 აშშ დოლარი დაუჯდა. 2013 წლის განმავლობაში ბ-ნმა მურღულიამ, როგორც რობაქიძის უნივერსიტეტის ლექტორმა, 22 500 ლარი მიიღო; როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, 62 310 ლარი; როგორც ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, 6 485 ლარი. დასაქმებულა მისი მეუღლეც, ამიტომ თეონა შეყილაძემ, როგორც შპს „ეიჩ ბი ჯორჯიას“ იურისტმა, 10 500 ლარი აიღო. 2013 წელს იპოთეკური სესხის მომსახურება ბ-ნ მურღულიას 8 000 აშშ დოლარი დაუჯდა.

რაც შეეხება 2014 წელს: ამ წლის განმავლობაში ბ-ნმა მურღულიამ, როგორც რობაქიძის უნივერსიტეტის ლექტორმა, 22 500 ლარი მიიღო, როგორც ქუთაისის მერმა: 32 201 ლარი, როგორც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ლექტორმა, 5 600 ლარი; ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც იმავე სკოლის იურისტმა, 3 740 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

**იმალური გზაა სახმელეთო, რაც ვერ ასცდება საქართველოს?**

– ეს ერთი მომენტია და, მეორე მხრივ, თურქეთის ინტერესებიდან შევხედოთ საკითხს: მართალია, ერდოღანმა მკვეთრი პოლიტიკური განცხადება გააკეთა რუსეთის მიმართულებით, მაგრამ თურქეთი არის მსხვილი იმპორტიორი და თუ თურქეთი აპირებს ენერგეტიკული ჰაბის როლის შესრულებას, მან უარი არ უნდა თქვას რუსული გაზის მიღებაზე, ისევე, როგორც აზერბაიჯანულის და, პერსპექტივაში – თურქმენულისაც. ამდენად, ერდოღანის განცხადება სახელმწიფოს პოზიციიდან გაკეთებული განცხადებაა და მას სხვანაირად არ შეეძლო სირიასთან მიმართებაში, მაგრამ ეკონომიკური ინტერესი გადასწონის, თურქეთი დამშვიდდება და ამ მიმართულებით ისევ დაიწყებს მოლაპარაკებას რუსეთიდან გაზის მიღების შესახებ, იმიტომ რომ ეს თურქეთის გრძელვადიანი პერსპექტივაა.

**– თუ აღმოსავლეთი-დასავლეთის მიმართულებას დაემატება ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაც, ხომ არ გამოვა, რომ ამ ორი მიმართულების ინტერესები დაეჯახება ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე? რუსული გაზის საბოლოო მიზანი ევროპაა, ირანულისაც და აზერბაიჯანულის – თავისთავად?**

– ყოველ შემთხვევაში, საქართველო მხოლოდ მოგებული იქნება, თუ ეს კონკურენცია მშვიდობიან ფორმებს მიიღებს და არ იქნება კონვერტირებული უფრო მძაფრ დაპირისპირებაში. გაზის ირანიდან პირდაპირ თურქეთზე გატარება გეოგრაფიული რელიეფის გამო საკმაოდ შრომატევადი და რთულია, ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ შემოვლითი გზით მოხდეს: ირანი-სომხეთი-საქართველო-თურქეთი. ამდენად, საქართველოს ეძლევა შესანიშნავი შანსი. თუკი შვეიცარია შუაგულ ევროპაში ასრულებს ფინანსური ჰაბის როლს, რატომ არ შეიძლება, საქართველომ ახლო აღმოსავლეთისთვის შეასრულოს ასეთი როლი, მით უმეტეს, რომ მძლავრი პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია?!

**– ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვა სახელ „გაზპრომს“ და საზოგადოების ნაწილმა იმპულსურად და არარაციონალურად აღიქვა ეს ინფორმაცია. თქვენ რას უკავშირებთ: ეს ჯანსაღი რეაქციაა თუ ოპონენტების მცდელობა, რომ ისარგებლონ მოსახლეობის არაინფორმირებულობით და საკითხი მიაწოდონ იმგვარად, რომ თითქოს დაპყრობის საფრთხის წინაშე ვართ?**

– ბოლო 25 წლის განმავლობაში იმდენი უსიამოვნება მოგვიტანა რუსეთმა, რომ ეს ჩვენი მენტალური პრობლემაც გახდა. ხუმრობით გიპასუხებთ – მაპატიოს აზონ ციციაშვილის სულმა, მისი პერიფრაზი რომ მოვახდინო, „გაზპრომს“ დაავიწყდა ქართული ანდაზა, რომ სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია. მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ პრაგმატულები და, თუ რატომ მოდის „გაზპრომი“ ამ ინიციატივით, შევაფასოთ სახელმწიფოებრივი მოტივით. შიშს დიდი თვალები აქვს და ყოველთვის შეგვიძლია, დავინახოთ საფრთხე, რომელიც შეიძლება იყოს რეალური, ან, არც იყოს რეალური.

**– თუმცა ხელისუფლებაც სცოდავს, როდესაც საკითხს ჯეროვან საინფორმაციო უზრუნველყოფას არ უკეთებს.**

– იმდენად ნეგატიურადაა განწყობილი საზოგადოება რუსეთისადმი, შემთხვევით არ ვახსენე ტალეირანის მაგალითი, რომ ყოველთვის ვცდილობთ, მის ქცევაში დავინახოთ იმპერიალისტური და საქართველოსთვის სასიკვდილო საფრთხის მატარებელი ქმედება. იმდენჯერ გადადგა რუსეთმა ასეთი ნაბიჯი, რომ მისი კეთილშობილური ნაბიჯი ძნელად დასაჯერებელია, არადა, ვიცით, რომ გაჩერებული საათიც კი დღე-ღამეში ორჯერ აჩვენებს ზუსტ დროს. ამ შემთხვევაში შეიძლება, განვიხილოთ ის, რომ რუსეთის ინტერესი ემთხვევა საქართველოს ძირეულ სტრატეგიულ ინტერესს. ეს იშვიათად ხდება, მაგრამ ამჯერად ასეა.

**– აზერბაიჯანს თითქოს აქვს გაზის დეფიციტი და თავადაც იღებს გაზის ნაწილს „გაზპრომისგან“, მეორე მხრივ, ის გაზი სჭირდება კალორიულობის გასაზრდელადაცო. აქვს აზერბაიჯანს საკმარისი გაზი, რომ თვითონაც დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, ჩვენც მოგვამარაგოს და მილსადენშიც გაუშვას საკმარისი მოცულობა?**

– აზერბაიჯანი აპირებს შაჰ-დენიზზე ორი საბადოს ათვისებას, საიდანაც 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის ექსპორტს განახორციელებს თურქეთში და ევროპისკენ. ეს დიდი ციფრი არ არის, მაგალითად, „გაზპრომის“ მიერ ევროპისთვის მიწოდებული გაზის მოცულობაა 150 მილიარდი კუბური მეტრი. აზერბაიჯანის მიწოდება ვერ იქნება კონკურენტი „გაზპრომისთვის“, მაგრამ საქართველოსთვის კარგია, რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოპოვება შაჰ-დენიზიდან: ბაზარი იქნება დივერსიფიცირებული, თავისუფალი, ფასებიც დაეცემა. ისევ ვიმეორებ: ასეთი იაფი და ჭარბი გაზი საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობაა, რომ განავითაროს ეკონომიკა, ამიტომ ჩვენ უნდა დავიწყოთ მუშაობა იმაზე, თუ როგორ განვავითაროთ ეკონომიკა.

**ნინო ხაჩიძე**

**რუსთავში, მეცხრამეტე მიკრორაიონის მეცხრე სადარბაზოს პირველ სართულზე მცხოვრებ ოჯახში უკვე 8 თვეა, რაც ხატებს მირონი სდით. სურნელოვანმა მირონმა არაერთი ადამიანი განკურნა, მათ შორის ინვალიდები, სმენადაქვეითებულები და უშვილოები. ჰქონდა თუ არა ამ ოჯახს რამე განსაცდელი ან რას უკავშირებენ ისინი მომხდარ სასწაულს, ამ თემაზე ოჯახის დიასახლისს, ქალბატონ მარინე კაკოშვილს გავესაუბრეთ.**

# სად ცხოვრობს ოჯახი, სადაც 38 ხატს სდის მირონი, როგორ განკურნა ამ მირონმა ინვალიდები და კომაში მყოფი ადამიანები და რამდენი წლის უშვილოებს ეყოლათ ბავშვები

**მარინე კაკოშვილი:** 22 წელია, რაც რუსთავში ვცხოვრობ. ოთხი შვილი მყავს. უკვე 13 წელია, სისტემატურად დავდივარ ეკლესიაში, მანამდე მხოლოდ დღესასწაულებზე მივდიოდი და ვანთებდი სანთელს. ყოველთვის ბევრი ხატი მქონდა, თუმცა მსგავსი რამ ჩემს ოჯახში აქამდე არ მომხდარა. 22 დეკემბერს პირველად ჩემმა რძალმა შეამჩნია, რომ ხატს მირონი სდიოდა – ახალი ჩამოსულები ვიყავით სოფლიდან და, სახლში რომ შემოვედით, მითხრა: მარინა, ნახე, სულ სველია ხატიო. დედა მყავს ძალიან მორწმუნე, მაშინვე მას დავურეკე და ვკითხე. მერე მოძღვარს ვანახვე ხატი და, მან მითხრა, რომ ეს მირონი იყო. როცა უკვე ოთხ-ხუთ ხატზე დაიწყო მირონმა დენა, მეუფესთან წავედი და ხატებიც თან წავიღე. მეუფემ კურთხევა მომცა – მომლოცველებს თავად ეცხოთ, ჩავარდნილებისა და უნარშეზღუდულებისთვის კი გამეცა. რვა თვე გავიდა, რაც მირონმა დაიწყო დენა. დღეისთვის 38 ხატი და ერთი ქვაა მირონმდინარე. არქიმანდრიტი გვყავდა სტუმრად. რკინის ჩარჩოში ჩასმულ წმინდა ნიკოლოზს მოსდიოდა მირონი და ერთმა ქალბატონმა ჰკითხა, ამაზე რას იტყვითო. მან კი მიუგო, ჯერ სად ხართ, ქვებსაც წამოუვა მირონიო და მეორე დღეს ერთ ქვას მართლა დასდინდა მირონი. ვცდილობ, ყველა მსურველს დავეხმარო, ამიტომ, სადაც შემიძლია თავადაც მიმაქვს მირონი, 12 ქვეყანაშიც კი გავგზავნე.

**– თქვენს ოჯახში ხატებზე მირონის გადმოსვლას რამე განსაცდელს ან მოვლენას ხომ არ უკავშირებთ?**

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მეუფემაც მკითხა, რამე განსაცდელი ხომ არ გქონიათ, მაგრამ არ ვიცი. განსაცდელი ყველა ადამიანს აქვს, ყველა ოჯახშია. გაჭირვება და მძიმე პერიოდი ჩვენც გვქონია. ძალიან გამიჭირდა, როცა ჩემი შვილი, გიორგი, მონასტერში წავიდა – მალე შავ ბერად უნდა აღიკვეცოს, უკვე სამი წელია, მორჩილებაშია. მეუფემ ისიც მითხრა, რომ გიორგის მადლი იყო ეს ყოველივე. ორი წლის წინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით – სახლი გავყიდეთ და ფული რაც დაგვრჩა, მაკლერმა წაიღო თაღლითურად. ბინა აღარ გვქონდა და სამ ბავშვთან ერთად ქირით ვცხოვრობდით, ბარბარე მერე დაიბადა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შვიდი თვე ეშმაკი მყავდა სახლში. არ ვიცი, ამ ამბავს ვინმე დაიჯერებს თუ არა, არც მინდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ, ყოველივე ეს პირადად მე გადამხდა თავს. როცა სახლში არავინ იყო და მარტო ვიყავი, მაშინ ჩნდებოდა. თავიდან ვერ ვხედავდი, მარტო სიარულის ხმა და ფარდების შრიალი მესმოდა. პირველად თავში ჩამარტყა. ვიფიქრე, სახლში არავინაა და, ნეტავი რა იყო-მეთქი, მაგრამ დიდად ყურადღება არ მიმიქცევია. რამდენიმე კვირის შემდეგ კიდევ განმეორდა იგივე და მივხვდი, რომ არ მეჩვენებოდა. სულ ხუთჯერ გამოჩნდა და ხან ხელს მკრავდა, ხან მირტყამდა, ბევრჯერ წიგნი გამაგდებინა ხელიდან. მახსოვს, ოთახის გარშემოც კი მარბენინა. სახლში არ მიჯერებდნენ, მეუბნებოდნენ, გეჩვენება, რატომ იტყუებიო და გვშინებო. ერთხელ სოფელში ვიყავი წასული და ჩემმა ბიჭმა დამირეკა (მარტო იყო სახლში): დედა, ჩამოდი, აღარ გეტყვი, რომ რამე გეჩვენება, მეც მესმის მისი სიარულის ხმა, აქვე დადისო. ჩემს შვილს არ შეხებია, მხოლოდ მე მირტყამდა. მამაოს რომ ვუამბე ეს ყოველივე, მითხრა, არ თქვა ვინმესთან, არავინ დაგიჯერებს და გიჟი ეგონებიო. მთავარია, რომ შენ არ გეშინია, „მამაო ჩვენო" თქვი, პირჯვარი გადაისახე და ვერ შეგეხებაო. ეშმაკი ბოლოს 16 დეკემბერს იყო ჩემს სახლში, 22 დეკემბერს კი ხატს მირონი წამოუვიდა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

**– არ გეშინოდათ?**

– შვიდი თვის განმავლობაში სულ 5-ჯერ მაგრძნობინა, რომ ჩემს სიახლოვეს იყო. მხოლოდ ერთხელ შემეშინდა, რადგან, დავინახე, როგორიც იყო. მაშინ მეცხრე სართულზე ვცხოვრობდით და ლამის ფანჯრიდან გადავხტი. ღამე იყო, მეძინა და უცებ გამომეღვიძა. რაღაც ლანდი დავინახე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ბალიში მაღალზე მედო და საწოლზე ვიყავი მიყრდნობილი წამებში ზურგიდან ვიგრძენი, რომ ვიღაც ძვლებს მამტვრევდა. ჩემი ქმარი მორიგე იყო, ძმა და მამათილი კი იყვნენ სახლში, მაგრამ, ვერცერთს ვერ დავუძახე და შიშისგან საბანში ჩავძვერი. წითელი თვალები ჰქონდა და ბეწვებიანი იყო. დილით სიზმარივით მახსოვდა ეს ყველაფერი. სარკეში რომ ჩავიხედე, თვალები სულ წითელი მქონდა, მაშინვე დავურეკე დედას, თუმცა, არ დაიჯერა და ჩემი დამშვიდება დაიწყო. თვალები, ალბათ, იმიტომ გაქვს წითელი გაცივდიო. ორი კვირაც არ იყო გასული, მეშვიდე სართულიდან მეზობელი ამოვარდა – კაცები არავინაა სახლშიო? რა ხდება-მეთქი? ეშმაკი დგას სამზარეულოში დოინჯშემოყრილი და სახლში არ მიძვებსო. ავაწერინე, როგორი იყო, რაც დაინახა და, ზუსტად ემთხვეოდა ჩემ მიერ დანახულს. ამ ამბიდან დაახლოებით ერთ თვეში, მეორე სართულზე მცხოვრებ ოჯახშიც ყოფილა. შემთხვევით შევხვდი იმ მეზობელს და თავისი გასაჭირი მომიყვა: წუხელ მთელი ღამე არ გვძინებია, ჩემს მეუღლეს რაღაც ახრჩობდაო. მთვრალი იყო-მეთქი? არა, ხელებს იქნევდაო, შუქი რომ ავანთე, საძინებელში დანარცხების ხმა გავიგონეთ, მაგრამ ისე ვერავის ვხედავდითო. ჩემგან წასულმა, შეიძლება ითქვას, მოიარა მთელი სადარბაზო – ჯერ მეშვიდეზე ჩავიდა, მერე – მეორეზე. იმ პერიოდში სამი მიცვალებული გვყავდა სამეზობლოში. ეს შემთხვევა დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. სხვა დროს მეცინებოდა და ვამბობდი ხოლმე, რა წაიღო ტვინი-მეთქი. გიორგი მეუბნებოდა, ბევრი ბრძოლის გადატანა მოგიწევს და არ შეგეშინდესო. ვიცოდი ჩემი შვილის არჩევნის შესახებ და ამიტომ მზად ვიყავი ყველაფრისთვის. არ მეშინოდა, პირიქით, მშიშარა ვიყავი და, მადლობა ეშმაკს, რომ გამაძლიერა. ალბათ, იმიტომ მოვიდა ჩემთან, მორწმუნე რომ ვარ. ურწმუნოებს ისედაც თავის ჭკუაზე ათამაშებს

(გაგრძელება 27-ე გვერდზე)







## ეს ხატი ციგნის ბავშვისგან ვიყიდე მეტროში


Outlet
BRAND CITY
CESARE PACIOTTI
TRUSSARDI
OLYMP
DANIEL HECHTER
JUST cavalli
uel ungaro
CASA MODA
CERRUTI
Calvin Klein
DORNBUSCH
Borsalino
ბრენდ სითი
აი ჯი მოლი საბურთალო
ქავთარაძის ქ. №1
+995 555 47 11 74
II სართული
brandcitygeorgia@gmail.com

**თუ ადამიანი სულიერად არ განიკურნება, ვერ განიკურნება ფიზიკურად. უნდა დაადგინო შენი სნეულების მიზეზი. ეკლესია გვეუბნება და წმიდა მამები გვასწავლიან: ჯერ სულიერად განიკურნეთ, ჯერ მიიღეთ სულიერი, ითხოვეთ სულიერი და შემდეგ აუცილებლად განიკურნებით ფიზიკურადაც. თუ ხარ მადლიერებაში, უმადურობაში არ იქნები. უმადური ადამიანი დეპრესიაში ვარდება, ბევრი სნეულება ემართება. ამიტომაც, თუ ნერვებს არ დაიმშვიდებ ლოცვითა და მარხვით, შეიძლება, ბევრი სნეულება დაგემართოს... სულიერი ძალების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# როდის არ უსრულებს ღმერთი ადამიანს სურვილებს, რატომ ამყოფებს მას განსაცდელში და რა შემთხვევაში არ უნდა მოუსმინოს მორწმუნემ სულიერ მოძღვარს

– მთვარეული ჭაბუკის მამა ქრისტესთან როცა მიდის, ეუბნება მას: „რატომ ვერ განკურნეს შენმა მოციქულებმა ჩემი შვილი?” ქრისტე საყვედურობს თავის მოციქულებს: „როდემდე უნდა ვიყო თქვეთან, ურწმუნო მოდგმავ?” ურწმუნო ხარ, როდესაც ვერ იღებ კურნებას. ღვთისგან არაფერი იცვლება, ღმერთი მოწყალეა, ღმერთი სიკეთეა, ღმერთი ყოველთვის შენთან არის. მაგრამ, როცა რაღაცას ვერ იღებ, გახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: „ურწმუნო მოდგმავ, როდემდე უნდა გითხრა ეს?” – რადგან, არასწორად ითხოვ, არ გწამს ბოლომდე. როდესაც მაცხოვარი განკურნავს იმ ყმაწვილს, შერისხავს ბოროტ ძალას, მიუბრუნდება მოციქულებს და ეტყვის: ეს მოდგმა ლოცვითა და მარხვით განიდევნება. რა თქმა უნდა, არ განიდევნება ისე, როგორც დღეს შენ ლოცულობ და მარხულობ. როცა შენ ხარ მამა ან დედა და ხედავ, რომ შენი შვილი ან მეგობარი იტანჯება, თქვი უარი იმაზე, რაც ყველაზე მეტად გიყვარს. როცა რაღაც სიამოვნებაზე ხარ მიჯაჭვული, იმაზე თქვი უარი; ილოცე არა მრავლისმეტყველებით, საათობით, არამედ, შენი სიტყვები თქვი მოკლედ, კონკრეტულად; გჯეროდეს, რომ ღმერთი მოწყალეა. რატომ მაშინვე არ გისრულებთ თქვენს სურვილებს, იცით ეს? ვისაც შეგისრულათ, როგორც კი კარგად გახდით, განიკურნეთ, ღმერთი მაშინვე ათი კეთროვანივით დაგავიწყდათ. ღმერთმა იცის, რომ, როგორც კი აღარ დაგვჭირდება, მაშინვე დავტოვებთ მას, დაგვავიწყდება ყველაფერი და ამიტომ ხანდახან ის ნაკლებად მოქმედებს ჩვენზე, ანუ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გვამყოფებს სნეულებაში, სამპყრობილეში, განსაცდელში.



სულიერ მოძღვარს ადრე აღსარებას არავინ აბარებდა. როდესაც მასთან ადამიანი მიდიოდა, მოძღვარი მას ეუბნებოდა, რა ცოდვაში, რა ვნებებშიც იყო, რენტგენზე ატარებდა სულებს

**– როგორ უნდა განიკურნოს ადამიანი სულიერად? ამაში შეუძლია მოძღვარს დახმარება?**

– მოძღვარი, რომელიც თვითონ არ არის განკურნებული, სხვას როგორ განკურნავს? სულიერ მოძღვარს ადრე აღსარებას არავინ ეუბნებოდა. როდესაც მასთან ადამიანი მიდიოდა, ის თვითონ ეუბნებოდა მას, რა ცოდვაში, რა ვნებებში იყო, „რენტგენზე ატარებდა” მათ სულებს. რა თქმა უნდა, დღეს ასეთი მოძღვრები არ არიან. რომც იყვნენ და უთხრან თავიანთ სულიერ შვილებს, ბევრი ამას ვერ გაიგებს, ეწყინება. თუმცა, სულის განკურნების პირველი ეტაპი არის მოძღვათან მისვლა, სულიერი მკურნალის პოვნა და არა ისე, როგორც დღეს ხდება ქაოსურად: ეს მომწონს, ამას ცისფერი თვალები აქვს, ეს კარგი მანქანით დადის, ძალიან გამხდარია და ასე შემდეგ. უნდა გაითვალისწინოთ არა მოძღვრის სულიერი მდგომარეობა, არამედ ის, რამდენად დახელოვნებულია არა საკუთარ გამოცდილებაში, არამედ რამდენად იცის და იცნობს სულიერ კურნებებს, რამდენად საუბრობს ის წმიდა მამების სწავლების მიხედვით, რამდენად გასწავლით სულიერ სწავლებებს, რამდენად გესაუბრებათ სულიერ სწავლებებზე. თუ ასეა, მაშინ გაჩერდით იმ მოძღვართან, რომელიც წმიდა მამების სწავლებას გასწავლით. არ მოუსმინოთ ისეთ მოძღვარს, რომელიც თავისას გასწავლით. თუ შენი სული სიმშვიდეს, სწავლებას, განათლებას, განწმენდას არ იღებს შენი მოძღვრის სწავლებით, ქადაგებებით, მაშინ შენ არ გყავს სულიერი მოძღვარი და არ ხარ მასთან. თანამედროვე პრაქტიკაში კი როგორ ხდება: „მამაო, მინდა ჩემი მოძღვარი იყოთ.” შეიძლება, უარი არ უთხრა, მაგრამ, გახდება თუ არა ის სულიერი შვილი, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული. იმისთვის, რომ სულიერი კურნებები მივიღოთ, უნდა ვიცოდეთ პირველი საფეხური. ეს არის ის, თუ რამდენი ნაწილისგან შედგება სული, როგორია სულის ძალები, ანუ სულის ანატომია.

**– რა არის სულიერი ძალები და როგორია ადამიანის სულის ანატომია?**

– ადამიანის სულში სამი ძალაა: პირველი ძალა არის მოაზროვნეობა. ადამიანის პირველი სულის ძალაა აზროვნება, აზროვნების ცოდვები კი არის ურწმუნობა. ადამიანი ურწმუნოა აზროვნებით, იაზროვნა და თქვა: „მე არ მწამს ღმერთი,” არ არსებობს ღმერთი. მოაზროვნე სულის ცოდვებია ურწმუნობა, ასევე მწვალებლობა, უგუნურება, ცილისწამება და უმადურება. თუ შენ ცილს სწამებ ღმერთს, მოძღვარს, მერე უმადურებაში ვარდები, უმადურობიდან – დეპრესიაში, არაფერი გიხარია, სასოწარკვეთილებაში ხარ და მერე იკლავ თავს.

მეორე სულის ძალა არის მრისხანება. მრისხანე სულის ცოდვებია: გულქვაობა (რასაც დღეს ყველა ვხედავთ), სიძულვილი, თანაგრძნობის არქონა, გულღრძოობა, შური, მკვლელობა. ეს ყველაფერი სულის თვისებებია და არა ხორცის თვისებები. ადამიანი სულშია შურიანი, ბოროტი, გემოთმოყვარე და ასე შემდეგ. როდესაც ადამიანი ცოცხალია, ასე თუ ისე, ამ ვნებებს იკმაყოფილებს: ვიღაცას გაჭორავს, ვიღაცას დაამცირებს, სცემს, მოკლავს. მერე, როდესაც გარდაიცვლება, ხორცი აღარ ექნება, მაგრამ ის ვნებები დარჩება და როგორ უნდა დაიკმაყოფილის ისინი? თავისივე ვნებები თვითონ სტანჯავს მას, მასში იხარშება, ვერ ისვენებს, იტანჯება და ეს არის ჯოჯოხეთი, თორემ, კუპრში კი არ იხარშება. ვერაფერს ველარ აკეთებს, სხეული რომ არ აქვს და ამიტომ იტანჯება.

მესამე ძალა სულისა არის სურვილიანი სული.

**– რა სურვილები აქვს ადამიანის სულს?**

– ნაყროვანება, უძღებობა, მემთვრალეობა, გარყვნილება, ღალატი, ბილწება, ვერცხლისმოყვარეობა და სურვილებისმოყვარეობა. ეს ყველაფერი სულის სურვილიანი თვისებებია. როდესაც ადამიანის სულში ბევრი სურვილია, ეს ყველაფერი მერე მოდის და ჩვენ ამ დროს ხშირად ხორცზე ვართ გაბრაზებულები. ჩვენ უნდა გავბრაზდეთ სულზე, სულის აზროვნებაზე, მის მოთხოვნილებებზე. მაგრამ ხანდახან ჩვენ ვამბობთ: აღსარებას ვაბარებ, მართლმადიდებლობა ავირჩიე, დავდივარ ეკლესიაში, მაგრამ არაფერი იცვლება. ეს ყველაფერი ქმედებებია, რომელიც საჭიროა განკურნებისთვის. მაგრამ, ადამიანი რომ განიკურნოს, მთავარია: განწმენდა გულის, განათლება სულის, რაც ადამიანის განღმრთობას იწვევს. ცხრა ნეტარებაში წერია: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. ანუ ამ ცხრა ნეტარების დაცვით იწმიდება ჩვენი სული; სახარების კითხვით, მამათა სწავლების შემეცნებით, დაცვით ნათლდება ჩვენი გონება. რადგან ნათლისღება მიიღე, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ნათლიამ ოქროს ჯვარი მოგიტანა და ამით ყველაფერი დამთავრდა. ყოველ კვირას უნდა იარო ეკლესიაში, ყველა მარგალიტს, რომელსაც მედავითნე კითხულობს, დიაკონი წარმოთქვამს, მოძღვარი ქადაგებს, ისრუტავ და ხდება შენი განათლება. შეიძლება, იყო ნაკითხი, მაგრამ, არა განათლებული. ებრაელები ორიგინალში კითხულობდნენ ძველ აღთქმას, მაგრამ ვერაფერი გაიგეს და არ მიიღეს ქრისტე. რა მნიშვნელობა აქვს, რა ენაზე წაიკითხავ სახარებას, მთავარია, წაიკითხო და გაიგო, რატომ წერია და რისთვის. ეშმაკმა ბიბლია ზეპირად იცის; ჩვენ გვწამს და მას უხილავს ღმერთი; ჩვენ ვმარხულობთ, ის არ ჭამს; ჩვენ ნაკლებად გვძინავს, მას საერთოდ არ სძინავს; მან იცის, რა როგორ უნდა გააკეთოს, მაგრამ არ აკეთებს. ამიტომ, სწორად უნდა იცოდე სახარების განმარტება, სწორად უნდა გესმოდეს. მთავარია, როგორ მესმის – „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა,” როგორ ვასრულებ მცნებებს, როგორ განვეშორები ვნებებს. უნდა დავფიქრდე, ჩემში რომელი ძალა მძლავრობს: მოაზროვნე, სურვილიანი თუ მრისხანე. სამივე – რა თქმა უნდა. ჩვენში რომ აზროვნება სწორად იყოს, მივხვდებოდით, საიდან შემოდის ჩვენში ეს ყველაფერი, მაგრამ, ჩვენი აზროვნება სხვა რაღაცეებით არის დაკავებული და ადამიანი უფრო მეტად ფიქრობს: რა ჭამოს, რა დალიოს და მნიშვნელოვანი გვავიწყდება.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

რუსეთში, ქალაქ ხოლმში მდებარე ტაძარში დაბრძანებული იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატი. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ხოლმის ეს ხატი ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი და კიევის ახლადნათელღებულ მთავარ ვლადიმირს, სხვა სიწმიდეებთან ერთად, კონსტანტინეპოლიდან კიევის რუსეთში ჩაუბრძანებია. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ერთმანეთზე მიდგმულ კვიპაროსის სამ ფიცარზეა გამოსახული. ძველ დროში ხატი ხალასი ოქროს ძვირფასი ბიზანტიური ტიხრული მინანქრით მოოჭვილი პერანგით იყო შემოსილი. მაგრამ ეს ძვირფასი პერანგი 1261 წელს ქალაქ ხოლმზე მონღოლთა ხანის, ბურუნდაის ურდოს თავდასხმის დროს გაიტაცეს, ხოლო რამდენიმე ადგილას დაზიანებული ხატი კი, გადააგდეს. თათართა შემოსევიდან ასი წლის შემდეგ, დაკარგული ხატი ფიქლების ნაყარში აღმოაჩინეს და ქალაქ ხოლმის განახლებულ ტაძარში გადაასვენეს.

1596 წელს ეპისკოპოსი დიონისე ზბირუელი მწვალებლებს მიემხრო და ხოლმის ეკლესია და სასწაულმოქმედი ხატი უნიატების ხელში აღმოჩნდა.

1650 წელს, პოლონელებთან და მათ მეთაურთან, ბოგდან ხმელნიცკისთან მოლაპარაკების შედეგად, კათოლიკეებმა ხოლმის საეპისკოპოსო კათედრა კვლავ მართლმადიდებლებს დაუბრუნეს, მაგრამ ღვთისმშობლის ხატი არ გამოუჩინეს. მართლმადიდებლებმა დიდი ხნის ძიების შემდეგ, ის ღრმა სარდაფში დამალული იპოვეს.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს ორი ჭრილობა აქვს მიყენებული, ერთი ხმლით, ქალწულ მარიამის მხარზე, მეორე კი – ისრით, მის მარჯვენა ხელზე. ჭრილობები ხატს თათრებმა მიაყენეს. წარმართები მაშინვე დაისაჯნენ. ისინი უმალ დაბრმავდნენ და თავი ზურგისკენ მიეღრიცათ. ხოლმის ღვთისმშობლის ხატის მიერ აღსრულებულ სასწაულთაგან განსაკუთრებით ცნობილია ერთერთი: ერთხელ ქალაქ ხოლმს თათართა ურდო შემოესია. ადგილობრივ მცხოვრებთ აურაცხელი მტრის მოგერიება არ შეეძლოთ. მაშინ, ხოლმში მყოფმა ორმა დიდგვაროვანმა ქალბატონმა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინაშე ლოცვა აღავლინა და ქალაქის მოსახლეობასთან ერთად, ზეციურ დედოფალს შემწეობა და მტრის დათრგუნვა შესთხოვა. მათ ხატი ხელთ იპყრეს, ქალაქის გალავანზე ავიდნენ და ლოცვა-ვედრებით მარადქალწული მარიამის ხატი მტრის პირისპირ დააბრძანეს. მორწმუნე მრევლის ლოცვა შესმენილ იქნა. მოულოდნელად მტრის ლაშქარს საყოველთაო გონის შეშლა დაეუფლა. მათ ჯერ ის ბორცვი, რომელზეც ქალაქი იყო გაშენებული, მაღალ და მიუდგომელ კლდედ მოეჩვენათ, შემდეგ კი, როცა ეგონათ, რომ ქალაქს უტევდნენ, სინამდვილეში ცხენებს საწინააღმდეგო მხარეს მიაქროლებდნენ. ბოლოს თათართა ურდო სასტიკმა შიშმა შეიპყრო და ქალაქს უწესრიგო სრბოლით გაეცალნენ. ღვთისმშობელი ქალწულის მეოხებით ასე გადარჩა ქალაქი გაძარცვასა და აოხრებას.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: აუცილებელია თუ არა, რომ მორწმუნე მამაკაცმა ატაროს წვერი? სასულიერო პირების უმრავლესობა ხომ წვერით დადის.**

**პასუხი:** ეს აუცილებელი არ არის. თუმცა, ქრისტიანული ტრადიციით, ეკლესიურად მცხოვრები პიროვნება ხშირად ატარებს წვერს, რათა გარეგნულად მიემსგავსოს თავის მოძღვარს – იესო ქრისტეს.

**კითხვა: აუცილებელია თუ არა სანთელი, რომელსაც უფლისა და წმინდანებისთვის ვანთებთ, ჩვენი ფულით იყოს შეძენილი?**

**პასუხი:** სამწუხაროდ, ხშირად ადამიანები ყურადღებას ანიჭებენ უფრო მეორეხარისხოვანს, ვიდრე მთავარს. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ სანთელს აანთებთ, ან ვისი ფულით იქნება ის შეძენილი, მთავარია, თქვენი რწმენა და სინანული საკუთარი ცოდვების გამო.

**კითხვა: ლოცვის დროს ხშირად ვგრძნობ ხატების დამოკიდებულებას ჩემ მიმართ. მინდა, სწორად გამიგოთ – ვგრძნობ მათ კეთილგანწყობას, თანაგრძნობას, ხან კი თითქოს მემდურიან. ეს, ალბათ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** გირჩევთ, მსგავს განცდებს არ აჰყვეთ და არ მიენდოთ. როგორც ჩანს, თქვენსავე დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი ხედავთ ხატებზე, რაც მართლაც ფანტაზიის ნაყოფია. დადექით ხატთან, როგორც ლოცვის საგანთან და სთხოვეთ მეოხება.



**კითხვა: რატომ არის ღვთისმშობლის გამოსახულებაზე სამი ვარსკვლავი – ერთი შუბლზე და ორივე მხარზე?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ ღვთისმშობელი არის ქალწული ქრისტეს შობამდე, შობისას და შობის მერეც.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“

ჩემს ახალგაზრდობაში, – წერს საკუთარ თავზე ღირსი ისააკ ასური, – აბბა კრონისთან ერთად ვცხოვრობდი. უკვე მოხუცებული ბერი არანაირ საქმეს არ მავალებდა, არამედ ნებაყოფლობით დგებოდა თვითონ და მეც და სხვებსაც განსაბანად წყალს გვაწვდიდა. შემდეგ ვცხოვრობდი აბბა თეოდორე თერმენელთან ერთად. ამ მამას ჩემთვის არცერთი ბრძანება არ მოუცია, არამედ თვითონ მოჰქონდა მაგიდასთან საჭმელი და მეუბნებოდა:

– თუ გსურს, ისადილე.

– აბბა, აქ იმისთვის მოვედი, რომ გემსახუროთ, რას ინებებთ?

მაგრამ ბერი მუდამ დუმდა. მაშინ ამის შესახებ სხვებს ვკითხე. ბერები მასთან მივიდნენ და უთხრეს:

– აბბა, ეს ძმა აქ მხოლოდ შენდა მსახურებისთვის მოვიდა, რატომ არაფერს დაავალებ?

– განა მე კინოტის წინამძღვარი ვარ, რომ ბრძანებები გავცე? – პასუხობდა ღირსი თეოდორე, – როცა სურვილი ექნება, შეუძლია, გააკეთოს ის, რასაც ღირსი მამა აკეთებდა.

ბავშვებო, მოწაფეებო, მორჩილნო! ამ თხრობით შეიმეცნეთ, როგორ უნდა მოექცეთ მშობლებს, უფროსებს, მასწავლებლებს!

## დასჯილი სისასტიკე

როდესაც გულქვა დიოსკორე, წმიდა დიდმოწამე ბარბარეს მამა, ქალიშვილს გაშიშვლებული მახვილით მისდევდა, ბარბარეს მიერ აღიარებულმა უფალმა, უბიწოთა მფარველმა, ქვის კლდეებს გადაადგილება უბრძანა და ნაპრალში თავისუფლად გაატარა ის მთის წვერამდე. გამძვინვარებულმა მამამ, ქალიშვილი რომ ველარ დაინახა, მთას შემოუარა და ყველგან ეძებდა. ბოლოს ორ მწყემსს შეხვდა, რომლებიც თავიანთ ცხვრებს აძოვებდნენ და მათ ჰკითხა, ხომ არ ენახათ გაქცეული ქალწული. ერთმა მათგანმა შეამჩნია, რომ დიოსკორე ძლიერ აღშფოთებული იყო და უპასუხა, არ ვიციო, მაგრამ მეორემ მდუმარედ მიანიშნა თითით იმ ადგილზე, სადაც წმიდა ბარბარე იმალებოდა. დიოსკორემ მტრედივით მთრთოლვარე ქალიშვილი გამოქვაბულში იპოვა – ფეხქვეშ გათელა იგი, ლოდებზე თმით ათრია. მაგრამ უბიწოების მფარველმა უფალმა მწყემსის ავი სამსახური დაუსჯელი არ დატოვა – გაუგონარი სიკვდილი მოუვლინა მას – გააქვავა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

**15 წლის ნინი ნუცუბიძე მაყურებელმა ჯერ კიდევ „ვოისიდან“ და „ნიჭიერიდან“ გაიცნო. მან თავისი ნიჭიერებით, გარეგნობით, ინდივიდუალიზმით ყველას დაამახსოვრა თავი. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც უკრაინული „X ფაქტორია“, სადაც ნინის ნამღერმა ჟიურის ოთხივე წევრი მოხიბლა და რაც მთავარია, ის „ოქროსფერი ვარსკვლავის“ დახმარებით, პირდაპირ ფინალში გადაიყვანეს. ნინი ამჟამად უკრაინაშია და ლაივ-კონცერტებისთვის ემზადება.**

# ვისი მონატრების გამო შეიძლება დატოვოს უკრაინული „X ფაქტორი“ ნინი ნუცუბიძემ, რომელიც ჟიურიმ პირდაპირ ფინალში გადაიყვანა და რატომ აქვს მას საკუთარი რენტგენის სურათების ალბომი

**ნინი ნუცუბიძე:** ამჟამად კიევში ვარ, „ლაივ-შოუსთვის“ ვემზადებით. 12 კონკურსანტს შორის მოვხვდი. ყველანი ერთად ვცხოვრობთ და პირველი ლაივისთვის ვემზადებით, რომელიც 7 ნოემბერს იქნება. ახლა პრომოებს, ფოტოებს ვიღებთ და ვემზადებით. მომწონს აქაური სიტუაცია, გადაღებები. თან, უკრაინელი და ქართველი ხალხი შეკრულები ვართ ერთი ოჯახივით. ის, რომ ქართველები აქ არიან, ბევრ რამეს მიმსუბუქებს. თუნდაც, ჩემების მონატრებას.

**– პირველად ხარ ოჯახის გარეშე უცხოეთში?**

– არა, სხვა დროსაც ვყოფილვარ, მაგრამ ამდენი ხნით, პირველად წამოვედი.

**– უკვე დიდი გოგო ხარ.**

– დიდსა და პატარა გოგოს შუა ვარ და ამიტომაც ჩემებისთვის პრობლემა არ ყოფილა ამდენი ხნით წამოსვლა. თან, იცოდნენ, საქმეზე მოვდიოდი, ამიტომ ნერვიულობას არ მაჩვენებდნენ

**– სხვა ქვეყანაში ქართველებისთვის, შენი მეგობრებისთვის მოგიწევს კონკურენციის გაწევა.**

– როცა შოუში, კონკურსში მიდიხარ, იცი, რომ კონკურენცია იქნება. მაგრამ, ჯერჯერობით ერთმანეთს არ აღვიქვამთ კონკურენტებად. ალბათ, ამას უფრო ლაივ-შოუზე ვიგრძნობთ, როდესაც მაყურებლის წინაშე წარვდგებით.

**– რატომ გადაწყვიტე ამ კონკურსში მონაწილეობა?**

– მე და ჩემმა მეგობარმა, გიგი ადამაშვილმა გადავწყვიტეთ ამ კონკურსში მონაწილეობა. უბრალოდ, ორივეს მოგვინდა, ცხოვრებაში ახალი გამოწვევა მიგვეღო და ამიტომაც მივედით ქასთინგზე თბილისში. ავგირჩიეს და მერე იქიდან უკვე უკრაინაში წამოვედით. სწორედ პირველ ქასთინგზე დაჭირეს ხელი ოქროსფერ ღილაკს და რამდენიმე ტურს გადავახტი.

**– შენ ერთადერთი ქართველი იყავი, ვინც პირდაპირ ფინალში გადაიყვანეს.**

– ეს იმდენად ემოციური და მოულოდნელი იყო ჩემთვის... შეიძლება, ზოგადად, დიდი მიღწევა არ არის, მაგრამ ჩემთვის ბევრ რამეს ნიშნავდა, უცხო ქვეყანაში რომ შევძელი, ასეთი წარმატებისთვის მიმეღწია. თან „ბუმბოქსის“ სოლისტმა დააჭირა ხელი.

**– ხომ არ დაგწყდა გული, ტურები რომ გამოტოვე? ერთგვარი აზარტი იქნებოდა.**

– ცოტა კი დამწყდა, მაგრამ მერე მონაწილეები რომ მიყვებოდნენ, რა ძნელი იყო და როგორი სირთულეები გაიარეს, ამოვისუნთქე – უფრო მეტად გავიხარდი.

**– რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– სანამ წამოვიდოდი, მეგონა, აქ ყოფნა ძალიან გამიჭირდებოდა. მაგრამ, ისე მომწონს აქაურობა, არანაირი სირთულე არ მაქვს. თუმცა, ძალიან მენატრებიან ჩემი მეგობრები – მარიამ ჯანჯღავა, ანდრო მჭედლიძე, ჩემი და – მარიამ ღოღელიანი. ისე მენატრებიან, აღარაფერი მაინტერესებს, ახლავე წამოვალ, გამოვფრინდები. ცოტაც და შეიძლება, მათ გამო წამოვიდე თბილისში.

**– ეს არ ყოფილა შენთვის პირველი კონკურსი.**

– საქართველოში სხვა გასაქანი არ გაქვს. თუ გინდა, რომ რამეს მიაღწიო და საქმე გქონდეს, აუცილებლად კონკურსში უნდა გახვიდე. „X ფაქტორის“ შემდეგ ვგეგმავ, სო-



**აქ ვფრთხილობ, თავს ვინახავ და, საქართველოში რომ ჩამოვალ, ალბათ, მოვიტეხ რამეს**

ლო კარიერა დავიწყო. სიმღერები უკვე დავწერე და მინდა, ჩემი ვაკეთო. აქამდე თუ რამე პროექტში ვმონაწილეობდი, ეს ერთგვარი გამოწვევა იყო ჩემთვის – მინდოდა სიახლე შემეტანა ცხოვრებაში. ახლა სხვა ეტაპზე გადავდივარ და მინდა, ამას მივხედო.

**ჩემი არჩევანიც მოსწონთ; თუ არ მოსწონთ, მაინც არ მაგრძნობინებენ; ვითომ მოსწონთ**

**– ალბათ, შენც ბავშვობიდან მღერი?**

– კი. 3 წლის ვიყავი თუ 2-ის, ნინო ქათამაძის სიმღერა რომ წავიმღერე. ჩემს დას უყვარდა და მეც ვმღეროდი. მერე ბაღში დავიწყე სიმღერა, სკოლაში გავაგრძელე. ხათუნა ლეჟავასთან დავდივარ ვოკალზე. მუსიკალური სმენა უფრო დედისგან გამომყვა.

**– ბავშვობაშიც გამოდიოდი კონკურსებზე?**

– 9 წლის ვიყავი, მგონი, გოგი ცაბაძისადმი მიძღვნილ იუბილეზე რომ გამოვედი. პირველი ადგილი ავიღე და ეს მომენტი განსაკუთრებულად მახსოვს, ისევე, როგორც ჩემს მშობლებს.

**– ძალიან ცელქი და მოუსვენარი ჩანხარ.**

– ძალიან ცელქი და მოუსვენარი ვიყავი და ახლა უარესი ვარ, თანაც ზედმეტად ხიფათიანიც. სულ რაღაცეები მემართებოდა, ყველაფერი მაქვს მოტეხილი. დედაჩემს ჩემი რენტგენის ალბომები აქვს. სულ მოტეხილი ან გატეხილი მქონდა რაღაც. ახლა, აქ ვფრთხილობ, თავს ვინახავ და საქართველოში რომ ჩამოვალ, ალბათ, კიდევ მოვიტეხ რაღაცას. ველოსიპედი მიყვარს, სკეიტზე, თხილამურებზე ვდგავარ დიდი ხანია, სნოუბორდიც ძალიან მიყვარს.

**– გამორჩეული და განსხვავებული გარეგნობა გაქვს.**

– ყოველთვის იმას ვიცვამ, რაც მომწონს. თმაც ისე მაქვს, როგორც მე მომწონს. საბოლოო ჯამში, თავისებური სტილი მაქვს. ოჯახის წევრებიც ყველანაირად მიწყობენ ხელს – თავისუფლებას მაძლევენ, არ მზღუდავენ. ჩემი არჩევანიც მოსწონთ და თუ არ მოსწონთ, მაინც არ მაგრძნობინებენ – ვითომ მოსწონთ.

**– რომელიმე ინსტრუმენტზე უკრავ?**

– გიტარაზე ორი წელია და დრამზე – დაახლოებით, სამი წელია.

**– სკოლიდან გაქვს ხელშეწყობა?**

– ბოლო ორი წელია, კონკურსების გამო ექსტერნად მიწევს სწავლა. წელსაც, ალბათ, ასე ჩავაბარებ ჯერჯერობით არ ვიცი.

**– უკვე იცი, რა პროფესიას აირჩევ?**

– რა თქმა უნდა. მინდა, მომღერალი გამოვიდე. სხვა ამპლუაში ვერ წარმომიდგენია თავი.

**– როგორ აფასებ შენს შანსებს?**

– სიმართლე რომ გითხრათ, იმედი მაქვს. ჩემზეა თავიდან ბოლომდე ყველაფერი დამოკიდებული – როგორ მოვიქცევი, როგორ დავიხარჯები და როგორ წარმოვაჩენ საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად შევეცდები, ყველაფერი კარგად გავაკეთო.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

– კონკურსში მონაწილეობას არა, მაგრამ სამომავლოდ უცხოეთში ვაპირებ წასვლას. საქართველოში არც კოლეჯი გვაქვს და არც უნივერსიტეტი, რომ ჩემი პროფესიის ადამიანმა სწავლა გააგრძელოს. ამიტომ, სკოლას როგორც კი დავამთავრებ, აუცილებლად წავალ.

**ნათია უტიაშვილი**

**ძნელია, წარმოიდგინო დღევანდელი ყოფა მობილური ტელეფონის, კომპიუტერისა და, ზოგადად, ტექნიკის გარეშე. მაგრამ, მათი არასწორი გამოყენება და შენახვა დიდ საფრთხეს გვიქმნის. როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი დავითი ამბობს, რეალურად, ეს, ერთი შეხედვით საჭირო ნივთები ძალიან საშიშია და, შეუძლია, ჩვენი ჯანმრთელობა სერიოზულად დააზიანოს.**

# როდის ხდება საყოფაცხოვრებო ტექნიკა ადამიანის მტერი და როგორ ვატაროთ მობილური ტელეფონი, რომ მან საფრთხე არ შეგვიქმნას

**დავითი**: დღეს ვერც კი წარმოგვიდგენია, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები იმ ტექნიკის გარეშე, რომელიც ჩვენი არსებობის განუყოფელი ნაწილი გახდა. საათობით ვუსხედვართ კომპიუტერს და ვიგებთ მსოფლიოში მომხდარ მოვლენებს, მობილური ტელეფონი კი სულ თან დაგვაქვს და, ის ნებისმიერი ადამიანისთვის მართლაც განუყოფელი და საჭირო ატრიბუტია. თუმცა, რეალურად, ეს, ერთი შეხედვით უწყინარი და საჭირო ნივთი ძალიან საშიშია.

**– საშიშროებაში რას გულისმობთ? ალბათ, იმ გამოსხივებას, რომელზეც უკვე წლებია წერენ და საუბრობენ, თუმცა, მისი საჭიროებიდან გამომდინარე, ყურადღებას არ ვაქცევთ?**

– რასაკვირველია, სწორედ ამას. გასაგებია, ძნელია, წარმოიდგინო დღევანდელი ყოფა მობილური ტელეფონის გარეშე, მაგრამ, მისი არასწორი გამოყენება, თუნდაც შენახვა, დიდ საფრთხეს გვიქმნის, თუმცა ამაზე არც კი ფიქრობთ და მეტყვით, ეს იმდენ საქმეს მიკეთებს, ისე მეხმარება, მის გარეშე როგორ უნდა ვიცხოვროო. მართალია, ტელეფონი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უეჭველად საჭირო და აუცილებელი ნივთია, მაგრამ, მავნეა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. კერძოდ, მისი ვიბრაცია ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად აისახება და აურასაც საგრძნობლად ასუსტებს. ეს, რასაკვირველია, ძალიან საშიშია ნებისმიერი ჩვენგანისთვის.

**– თუ მას ჩანთით ვატარებთ და არა ჯიბით?**

– ახლავე აგიხსნით. ცხადია დიდი მნიშვნელობა აქვს, სად გიდევთ ტელეფონი. ზოგჯერ ადამიანს უეცარი ტკივილი ეწყება სხეულის კონკრეტულ ადგილას და ვერ ხვდება, რისი ბრალია. ეს კი, შესაძლოა, სწორედ ტელეფონის ბრალი იყოს. მაგალითად, თუ მობილურ ტელეფონს იმ ჯიბით ატარებთ, რომელიც გულთან ახლოსაა და ეს გრძელდება თვეების განმავლობაში, გულის არეში წარმოიქმნება პათოლოგია. ზოგი მამაკაცი მას ქამარზე იმაგრებს და, თუ ქამარზე მარცხენა მხარეს გაქვთ მიმაგრებული, შარდის ბუშტის ტკივილი იწყება. თუ მამაკაცი მობილურ ტელეფონს შარვლის ჯიბით ატარებს, აუცილებლად შეექმნება პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემები. სხვათა შორის, კვლევით დამტკიცდა, რომ მობილური ტელეფონის გამოსხივება, მამაკაცის ჯანმრთელობაზე უფრო მეტად ახდენს უარყოფით გავლენას, ვიდრე ქალების. ალბათ, ეს იმითაა განპირობებული, რომ მანდილოსნები მას ჩანთით ატარებენ და არა ჯიბით, სხეულთან ახლოს. ზოგადად, ყველა ექიმის რჩევაა, ხშირად ვიაროთ ბუნებაში სუფთა ჰაერზე. ამით, მხოლოდ ფილტვებს კი არ „ვანიავებთ,“ არამედ, აურასაც ვამყარებთ და ვზრდით. მეც, როგორც პარაფსიქოლოგი, გირჩევთ, თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილი სუფთა ჰაერზე, ბუნებაში გაატაროთ, რადგან, ბუნებაში არსებული მინერალები და მცენარეები უარყოფით ენერგიას ისრუტავენ, უდიდესი დადებითი მუხტით „გვტუმბავენ” და, გარდა ამისა, აურაზე მოქმედებენ დადებითად. საერთოდ, აურის მოცულობა ინდივიდუალურია. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანი უარყოფით ენერგიას იღებს, მაგრამ ძლიერი აურა აქვს და ველი იოლად არ უმცირდება. თითოეულ ჩვენგანს დაბადებიდან დაჰყვება განსაზღვრული პოტენციალი, შემდეგ კი ხდება მისი გაძლიერება. რაც უფრო დიდია ველი, უარყოფით ენერგიას მეტ წინააღმდეგობას უწევს და ისიც ძნელად აღწევს სხეულში. აურა ყველა ცოცხალი ორგანიზმის ენერგეტიკული გამოსხივება და მისი დამცავი გარსია. ის გარს აკრავს ადამიანს და იცავს ნეგატიური ზემოქმედებისგან.



**რეალურად, ერთი შეხედვით საჭირო საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ძალიან საშიშია და შეუძლია, ადამიანი ისე დააზიანოს, შემდეგ მისი შველაც კი ვერავინ შეძლოს**

**– ის თუ არის მართალი, რომ, ტექნიკა, რომელიც სახლში გვაქვს, ბინის აურას აზიანებს და არ არის გამორიცხული, რომ მათმა არასწორად გამოყენებამ, ოჯახში ნეგატიური ცვლილებები გამოიწვიოს?**

– აბსოლუტურად სწორი კითხვაა! რასაკვირველია, ის ტექნიკა, რომელიც სახლში გვაქვს, ბინის აურაზეც უარყოფითად მოქმედებს. აბა, დააკვირდით: იმ სახლებში, სადაც დიასახლისი ხშირად იყენებს მტვერსასრუტს, მუდმივად ჩართულია ტელევიზორი და კომპიუტერი, სულ აყალმაყალი და ხმაურია. ტექნიკა ბინის ენერგეტიკაზე უარყოფითად მოქმედებს და ის „შეისრუტავს“ იმ დადებით ენერგიას, რომელიც ოჯახური სიმშვიდისა და იდილიისთვისაა საჭირო. ამიტომ, გირჩევთ, სახლი დაალაგოთ სველი წესით; თუ არ უყურებთ, გამორთეთ ტელევიზორი და კომპიუტერთანაც ნუ გაატარებთ საათებს; ნურც დღეში შეერთებულს დატოვებთ ტექნიკას. ერთი მეზობელი მყავს, დილით ადგება თუ არა, ტელევიზორს რთავს; კი არ უყურებს, ამბობს, ჩართული რომ არის და ხმა ისმის სახლში, უფრო მშვიდად ვარო. საკმარისია, მისი ოჯახის წევრები საღამოს შეიკრიბონ და იწყება ხმამაღალი საუბარი, გაუგებრობები და ყვირილიც ხშირად ისმის. რომ ვუთხარი, ეს შენი ბინის აურის ბრალი ხომ არ არის-მეთქი და, იგივე ავუხსენი, რაზეც მოგახსენეთ, ისე შემომხედა, ზუსტად ვიცი, გაიფიქრა, ეს კაცი თავის ჭკუაზე არ არის, რაებს როშავსო. მე კი ერთს გეტყვით: თუ არ იცით და არ ხართ მსგავს საკითხებში გარკვეული, დაუჯერეთ ამ სფეროს სპეციალისტებს, გაითვალისწინეთ მათი რჩევები და დააკვირდით, როგორ შეიცვლება თქვენ გარშემო როგორც მოვლენები, ასევე ურთიერთობები.

**– მართალია, რომ ადამიანის აურა ინახავს ცხოვრებისეულ ენერგიას და ამით ხელს უწყობს პატრონს, პოზიტიური მოვლენებისკენ იოლად გაიკვალოს გზა, მისი დარღვევა კი ცხოვრებისეულ ბარიერებს გვიქმნის და უიღბლობაც მისი ბრალია?**

– დიახ, აურა ინახავს ინდივიდის ცხოვრებისეულ ენერგიას და, ამავე დროს, ორგანიზმში არ უშვებს ენერგიას, რომელმაც შეიძლება მას ავნოს. ის ჩვენი ენერგეტიკული დამცველია. მისი დარღვევა, გარდა ტექნიკისა, შესაძლოა, გამოიწვიოს სტრესებმა, შურმა, სკანდალებმა, ეს ყველაფერი კი აურის დასუსტებას იწვევს და დიდი შანსია, ამ ყველაფერმა მისი ცხოვრებისეული ძალებისგან დაცლა მოახერხოს. ამიტომ ვამბობ, რაც უფრო სქელია ადამიანის აურის გარსი, მით ნაკლებია მასზე ცუდი ზემოქმედების ალბათობა.

**ნონა დათეშიძე**



# ქმრის რა თვისებებს არ უნდა შეეგუოს ცოლი და რატომ არ უნდა უყვარდეს მას ორივეს მაგივრად

**ურთიერთობა ორ ადამიანს შორის ინდივიდუალურია და მხოლოდ იმ ორმა იცის, რაზე უნდა ააგოს ის. მაგრამ, არცთუ იშვიათად, ჩვენ ერთსა და იმავე შეცდომებს ვუშვებთ და არც ამაშია რამე გასაკვირი. ქალების მთავარი პრობლემა ის არის, რომ გადაწყვეტილებებს ემოციის გავლენით იღებენ, უყვართ მითების შეთხზვა და მერე ამ მითებში ცხოვრება. თუ ცხოვრებას აფასებ ისე, როგორც ის რეალურად არის; თუ ადამიანებს არ გააიდეალებ და არ დააჯერებ საკუთარ თავს, რომ შეუძლებელს შეძლებ, გაცილებით ბედნიერი იქნები და გულსაც ნაკლებად გატკენენ.**

მაკა *(32 წლის):* ჩემს ცხოვრებაში დილემა თავადვე შევიქმენი. მთავარი არჩევანი თვითონ გავაკეთე და მეტ-ნაკლებად ვიცოდი, რაზე მივდიოდი. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჩემს ქმარს კანფეტი ხასიათი არც ქორწინებამდე ჰქონია. კაცები ხომ შეყვარებულობის პერიოდში არიან სხვანაირები და მერე იცვლებიან.

**– „სხვანაირებში“ რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ მაქსიმალურად ცდილობენ, საკუთარი თავი უკეთესად წარმოაჩინონ, ანუ, ბევრს წვალობენ, ტყავში ძვრებიან, აკეთებენ იმას, რაც მათთვის ბუნებრივი არ არის... რამდენი მამაკაცი იცით, რომლისთვისაც რომანტიკა ბუნებრივი მდგომარეობაა? ძალიან ცოტა, ხომ მართალია? უმრავლესობა, როცა შეყვარებულია, მაშინ ცდილობს, ქალს თავი ძალიან მგრძნობიარე, თბილ, ყურადღებიან, მზრუნველ არსებად მოაჩვენოს; კეთილ ჯინად, რომელსაც მისთვის ყველა სურვილის შესრულება უნდა და შეუძლია... ქალებმა თავიდანვე კარგად უნდა გაითავისონ ის, რომ შეყვარებულობის პერიოდი და ქმარი ერთი და იგივე არ არის. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, შეყვარებული ის სხვანაირი იქნება და ოჯახში აუცილებლად შეიცვლება. ჩემი ქმარი არც შეყვარებულობის პერიოდში ბრწყინავდა არაჩვეულებრივი თვისებებით. თუმცა, იმ უარყოფით თვისებას, რომლითაც ახლა ჭკუიდან გადავყავარ, მაშინ ასეთი სიმწვავით არ ავლენდა... ის არასოდეს აღიარებს, რომ რაღაც დააშავა ან რაღაცაში შეცდა, ბოდიშის მოხდაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

**– ანუ თავიდანვე იცოდით, რომ მისი მხრიდან კომპრომისები არ იქნებოდა...**

– ვხვდებოდი ამას, მაგრამ, მიყვარდა და სიმართლისთვის თვალებში ჩახედვა არ მინდოდა. სიყვარულმა არ უნდა დაგაბრმავოს, ნათქვამია და მეც მიმაჩნია, რომ ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ ურთიერთობა მათემატიკა არ არის, ყოველთვის ზუსტი ვერ იქნები იმ ადამიანის შეფასებისას, რომელსაც ცხოვრებას უკავშირებ.

**– თუმცა, სწორედ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.**

– გეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, კი ვხვდებით ამას, მაგრამ ცხოვრებაში ვერ ვუკეთებთ რეალიზაციას. რატომ ვურიგდებოდი ჩემი ქმრის მავნე და გამაღიზიანებელ ჩვევებს? მართლა ძალიან მიყვარდა, მაგრამ, მოახერხა, ნელ-ნელა გაექრო ეს სიყვარული და მინიმუმამდე დაეყვანა გრძნობა. ისეთი ეგოისტია, ისეთი თავნება და ჯიუტი... საერთოდ არ ითვალისწინებს ჩემს აზრს და ყველაფერს მაინც ისე აკეთებს, როგორც თვითონ უნდა, უფრო სწორად, როგორც თვითონ აწყობს. წარმოიდგინეთ, ექვსწლიანი ერთად ცხოვრების შემდეგ ძლივს მელირსა, სადმე მასთან ერთად წავსულიყავი და, იცით, რა გააკეთა? მაშინ, როცა ჩვენი საკუთარი შვილი დედაჩემთან დავტოვეთ, მეგობარი „აიკიდა“ ოთხი წლის ლაწირაკით და კინაღამ ჭკუიდან გადამიყვანეს სასტუმროში – ორი კაცი და პლუს ბავშვი ჩემი მისახედები გახდნენ. ჩამშხამდა მოგზაურობა. რომელ რომანტიზმზეა საერთოდ ლაპარაკი, დაღლილი და განერვიულებული ჩამოვედი.

**– ქმართანაც უსიამოვნება მოგივიდათ?**

– რა თქმა უნდა. ძალიან სერიოზულად ვიკამათეთ. მაინც ვერ მიხვდა, რა დააშავა და იერიშზე გადმოვიდა. შეუგნებელი და უსინდისო გამომიყვანა. ისე მეტკინა გული, კარგა ხანს მასთან ურთიერთობის არანაირი სურვილი აღარ გამჩენია. ნელ-ნელა გამიმყარდა ეჭვი, რომ მას არ ვუყვარვარ. ორივეს მაგივრად მე მიყვარს და ეს მიქმნის პრობლემას.

## მერე რა, რომ არ მცემს და ლოთი არ არის; მაინც არ მიმაჩნია, რომ კარგი ქმარია

**– ურთიერთობას როცა იწყებდით, მაშინ არ გქონიათ იმის განცდა, რომ ორივეს მაგივრად გიყვარდათ?**

– გულახდილად გითხრათ? მქონდა. რაღაც მომენტებში ეჭვი მეპარებოდა ჩემ მიმართ მის გრძნობაში, მაგრამ მერე ეს მის ხასიათს მივაწერე და ვიფიქრე, რომ ოჯახში ამ ყველაფერს შევეგუებოდი.

**– მაგალითად, რა მიგანიშნებდათ იმაზე, რომ არ ჰქონდა ისეთი გრძნობა, როგორიც თქვენ გინდოდათ, რომ ჰქონოდა?**

– არასდროს მისმენდა. თუ ჩემს პრობლემაზე ველაპარაკებოდი, ვხვდებოდი, რომ მას ეს არ აინტერესებდა. არც ჩემს სურვილებს ითვალისწინებდა. ჩემთვის რომ აკეთებდა რამეს, იმასაც კი ისე აკეთებდა, როგორც თავად მოსწონდა და უნდოდა. ვერ ვიგებდი, რატომ იქცეოდა ასე. როცა გინდა, რომ ვინმეს სიხარული მიანიჭო და გააბედნიერო, მისი სურვილიც ხომ უნდა გაითვალისწინო, ასე არ არის?! რატომ ვარ მე შეუგნებელი და პრეტენზიული, ვერ ვხვდები.

**– გეუბნებათ, პრეტენზიული ხარო?**

– დიახ. მეუბნება და მსაყვედურობს კიდეც, არასაკმარისად გიყვარვარო. ერთხელ წამომცდა ჩვენი ურთიერთობის პირველ ეტაპზე – ჩემი სიყვარული ისეთი ძლიერია, ორივეს გვეყოფა-მეთქი და ეს აქვს ხელზე დახვეული. ორივეს მაგივრად კი არა, შენი წილი სიყვარულითაც არ გიყვარვარო. ხომ გეუბნებით, თვითონ სულ მართალია და მე – სულ დამნაშავე. ტირილის უფლებაც კი არ მაქვს. სულელი ხარ, პრობლემებს ძალით იქმნი, უაზროდ ნერვიულობ და მეც მაბრაზებო. კიდევ ერთი ცუდი თვისება აქვს: მარტო თვითონ კი არაა მართალი, მთელი სამყაროც მართალია ჩემთან. როცა მიჭირს და მჭირდება, გვერდით არ მყავს. საერთოდ არ მაქვს იმედი, რომ ვინმესთან უთანხმოებისას მხარს დამიჭერს. პირიქით, შეუძლია, სრულიად უცხო ადამიანის წინაშე „ყური ამიწიოს“ და „კუთხეში დამაყენოს“. მე მართლა ორივეს მაგივრად მიყვარდა მთელი ამ ხნის განმავლობაში და ამით ვერაფერი მოვიგე. არ ხედავს და არ აფასებს ჩემს ერთგულებას. ისე იღებს გადაწყვეტილებებს, ჩემი აზრი ფეხებზე ჰკიდია. მარტივად შეუძლია, დამიყვიროს: „მორჩა! მე ასე მიმაჩნია საჭიროდ“ – და კარი გაიჯახუნოს. ღირს ასეთი კაცის გვერდით ცხოვრება? მერე რა, რომ არ მცემს და ლოთი არ არის, მაინც არ მიმაჩნია, რომ კარგი ქმარია. უკვე იმდენი წყენა დამიგროვდა, დიდხანს ვერ გავუძლებ. როცა მარტო ვარ და ვფიქრობ, თვალწინ ჩვენი თანაცხოვრების მომენტები მიდგას და ვხვდები, რომ ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, ჩემს გახარებაზე ეზრუნოს. ისეთი პერიოდებიც მქონია, როცა ვგრძნობდი, რომ მღალატობდა. ესეც მოვითმინე და არ გავქექე, რადგან, ვიცოდი, ვერ გავშორდებოდი და ტკივილის გადატანა ძალიან გამიჭირდებოდა. ეს ყველაფერი იყო მსხვერპლი, რაც მე ჩემი სიყვარულისთვის, ჩემი ოჯახისთვის გავიღე და, თურმე, სულ ტყუილად.

**– რატომ ტყუილად?**

– იმიტომ, რომ აღარ მიყვარს, მოკვდა ჩემი დიდი გრძნობა და თავს ძლივს ვიკავებ, ქმარს პირდაპირ არ მივახალო სიტყვები: „აღარ მიყვარხარ!“ იცით, როგორ მინდა ამის გაკეთება?! დიდი ლოდი მომეხსნებოდა გულიდან.

**დალი მიქელაძე**

## არავინ... ორის მეტი....

სიბრძნე გვასწავლის – არავინ არასდროს ჩააყენოთ თქვენსა და თქვენს საყვარელ ადამიანს შორის და არც არავინ დააყენოთ თქვენ ორზე მაღლა. ანუ, რას ნიშნავს ეს – წყვილის ურთიერთობა ძალიან ინტიმური თემაა და ის სხვისი განსახილველი არ უნდა გახდეს. თქვენი ურთიერთობა არ გამოიტანოთ მეგობრების სამსჯავროზე და არასდროს გალანძღოთ პარტნიორი, თუნდაც ყველაზე ერთგულ მეგობართან. ინტიმური სივრცე თავად უნდა შეკრათ და არავის დაარღვევინოთ. არ შეიძლება, ქმართან კონფლიქტი დაიწყოთ იმის გამო, რომ მას არ მოსწონს, დიდ დროს დაქალებთან რომ ატარებთ. მეგობრობა კარგია, მაგრამ ოჯახს ვერასოდეს ჩაანაცვლებს.

შეიძლება, თქვენს რჩეულს არ მოსწონდეს თქვენი სამეგობრო. ნუ მოითხოვთ მისგან, რომ არასასურველი ადამიანები თავისიანებად მიიღოს. ძალიან დაუახლოვდეს მათ და თქვენი ოჯახის ფაქტობრივ წევრებად აღიაროს. რა არის იმაში ცუდი, თუ დასვენების დღეების გატარება მარტო თქვენთან უნდა?! პირიქით, ეს უნდა გიხაროდეთ.

თუ თქვენი რჩეული არ არის ძალიან გახსნილი და სოციუმში აქტიურობის მომხრე, რატომ უნდა გაკიცხოთ? ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ ეს ადამიანია თქვენი არჩევანი თავისი ყველა ნაკლითა და ღირსებით. გინდათ, თქვენს მეგობრებთან შეხვედრა? არ გადააქციოთ ეს პრობლემად. მშვიდად წადით და შეხვდით, ყოველგვარი აჟიოტაჟისა და აფიშირების გარეშე. ქმარს ეს არ ეწყინება.

P.S. თუკი ქმარს აქვს სურვილი – იყოთ მხოლოდ თქვენ ორნი, შეიფერეთ, ეს ინტიმურობა და დატკბით ბედნიერებით.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ძალიან ეჭვიანი ვარ. მაგრამ ჯერ მყოფნის ჭკუა, რომ აშკარად ეს არ გამოვამჟღავნო. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ქმარი მუსუსია ან ვამჩნევ, ვინმეთი მის დაინტერესებას, მაგრამ მაინც კაცია და თავს ვერ დავდებ მის ერთგულებაზე. თუმცა, არც ის მინდა, რომ ეჭვიანობაში დამდოს ბრალი და განაწყენდეს. მეტყვის, რატომ არ მენდიობი. როგორ მოვიქცე?!**

**გამოხმაურება:** თავადაც ხვდებით, რომ ეჭვიანობა ცუდია. გააგრძელეთ ისე, როგორც იქცევით, ანუ მოთოკეთ თქვენი ემოციები... არ მისცეთ ეჭვს საშუალება, იბატონოს თქვენზე. იმასაც მართალს ამბობთ, რომ მეუღლე განაწყენდება. მამაკაცებს ისედაც არ მოსწონთ, როცა აკონტროლებენ. ასე რომ, ფრთხილად!

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

## დროა, გაიზარდო!

ეს უფრო მამაკაცებს ეხება, თუმცა არც ქალებია გამონაკლისი. ასაკი ემატებათ, მაგრამ შესაბამისი პასუხისმგებლობის აღება არ უნდათ. მერე კი, თავის პრობლემებს თუ წარუმატებლობას სხვებს აბრალებენ. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დამოუკიდებლობის არქონისა არასწორ აღზრდაშია. თუ ბავშვს მეტისმეტად ანებივრებენ, ზედ ჰყვებიან და ფეხსაცმლის თასმების შეკვრის უფლებასაც არ აძლევენ, მომავალში დამოუკიდებელი ვერ იქნება. ეს მშობელმა კარგად უნდა გააცნობიეროს. მშობელი უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ პატარა, ბუნჩულა ბავშვი გაიზარდა... არცთუ იშვიათად ეს „დიდი ბავშვები“ თავს კომფორტულად გრძნობენ იმ სიტუაციაში, როცა ყველანაირი პასუხისმგებლობა არიდებული აქვთ და სხვა ზრუნავს მათზე. თუმცა, დადგება დღე, როცა საკუთარ პრობლემებთან პირისპირ აღმოჩნდებით და რაც მალე გაიზრდებით, მით უკეთესი... დიახ, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება რთულია, მაგრამ უნდა გააცნობიეროთ, რომ ეს თქვენი წილი პასუხისმგებლობაა. გადაწყვიტეთ და გახდით დამოუკიდებელი. თავიდან ცოტა გაგიჭირდებათ, მაგრამ დაიწყეთ იმით, რომ დაისახეთ კონკრეტული მიზანი, შედარებით ადვილად მისაღწევი. წარმატება წაგახალისებთ და გაგამხნევებთ. მოგეწონებათ ის განცდა, რომელიც დაგეუფლებათ – თითქოს ღრმა ძილიდან გამოგაფხიზლეს... ერთი სიტყვით, ნუღარ გადადებთ, უთხარით საკუთარ თავს – დროა, გაიზარდო!

## ყველაზე ძვირფასი

ზოგიერთი ცოლი და ქმარიც (დიახ, არც მამაკაცები არიან გამონაკლისნი) ნერვიულობს, როცა მისი მეორე ნახევარი მეგობრებს მარტო ხვდება. ამას ეჭვიანობას არ უწოდებს, მაგრამ გულის სიღრმეში კარგად ხვდება, რომ პრობლემა ხელოვნურია. ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰყავდეს მეგობრები, რომლებიც მას ისედაც ჰყავდა, სანამ თქვენ გამოჩნდებოდით მის ცხოვრებაში. რა გინდათ, გააქროთ ისინი და მთელი ცხოვრება მხოლოდ თქვენ შემოგწიროთ? არ მიგაჩნიათ, რომ ეს უსამართლობაა?! გასაგებია, რომ ყველაზე ძვირფასი ის ადამიანია, რომელსაც ბედი დაუკავშირეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, ერთმანეთის იქით, არავინ და აღარაფერი არსებობდეს. ჯერ ერთი, ეს არც ისე კარგი იდეაა, მაგრამ შეუძლებელიც არის. მეგობარი გჭირდებათ თქვენც და მასაც – აჯობებს, თავიდანვე გააცნობიეროთ ეს, რათა შემდგომში ურთიერთობა არ დაგეძაბოთ... თანაც რისთვის? იმისთვის, რაც სრულიად ბუნებრივია?!

არსებობს მთავარი პრინციპები, რაც უნდა შეასრულოთ – არ აუკრძალოთ მას მეგობრებთან ურთიერთობა და არც საკუთარ თავს აუკრძალოთ ეს... მაგრამ, ნუ მოსთხოვთ ძვირფას ადამიანს, რომ თქვენი მეგობრები მასაც თქვენსავით უყვარდეს და უნდოდეს მათთან ურთიერთობა. იცით, რა არის ყველაზე ძვირფასი? ის დრო, რომელსაც ერთად გაატარებთ. თქვენ ორნი, მარტო... იცოდეთ, რომ მეგობრები, რა ბევრიც უნდა იყვნენ ისინი, ამ ძვირფას დროს ვერ მოგპარავენ.

## უშენოდ არ მინდა

ბედნიერი ცოლ-ქმარი დიდხანს ცოცხლობს – ეს მითი არ არის. ამ დასკვნამდე მივიდნენ სოციოლოგ-ფსიქოლოგები ერთობლივად. მით უფრო, როცა საქმე ქმარს ეხება – მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობაში დიდი წვლილი მის მეუღლეს მიუძღვის. ანუ, თუ მამაკაცს მზრუნველი, ერთგული, მოსიყვარულე ცოლი ჰყავს, ის სხვებთან შედარებით, დღეგრძელიც იქნება და ჯანმრთელიც. გარდა ამისა, ბედნიერი თანაცხოვრების ერთ-ერთი პირობა ის კი არ არის, რომ მათ სკანდალები არ ჰქონდეთ, არამედ, უნდა შეეძლოთ სკანდალის შემდეგ პატიება და ინციდენტის დავიწყება. თუკი ხვდებით, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება ძალიან გაგიჭირდებათ, მაშინ იმოქმედეთ ამ პრინციპით. სხვათა შორის, ქალის ორგანიზმს აქვს უნარი, თუ ქმარი ჯერ აწყენინებს და მერე მოუბოდიშებს, სწრაფად ჩადგეს ფორმაში და „დაივიწყოს“ სტრესი. გულ-სისხლძარღვთა სისტემა სწრაფად იბრუნებს ჩვეულ რიტმს, რეგულირდება წნევაც.

კიდევ ერთი თანხვედრა – როცა ქალი მშვიდად არის და ყალყზე შემდგარი ქმარზე თავდასხმისთვის არ ემზადება, ოჯახის უფროსიც თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობს.

თუკი ხშირად ეტყვით ერთმანეთს „უშენოდ არ მინდა“, ცხოვრება გაცილებით მშვენიერი გახდება და კიდევ... არავითარი დაპირისპირება, არავითარი ომი – მით უფრო, თუ ხვდები, რომ იპოვე ის, ვისაც ეძებდი.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# როგორ აუგო საკუთარ თავს ძეგლი მელიტონ ბალანჩივაძემ

„ამ მოკლე პერიოდში, ისტორიის კატაკლიზმებს შორის მოქცეულმა საქართველომ თითქოს ბუნების რაღაც ძალების დახმარებით შვა მთელი რიგი დიდებული ადამიანებისა, მთელი თაობა, რომ მათ შესძლებოდათ უფსკრულის პირას მყოფი ქართული იდეის კიდევ ერთხელ გადარჩენა... სამწუხაროა, რომ ჩვენ, რომელიმე მემორიალურ დაფასთან მდგარნი, შესაძლოა, ვერ ვხვდებოდეთ, თუ რატომ არის ესა თუ ის დაწესებულება მელიტონ ბალანჩივაძის სახელთან დაკავშირებული, ან რატომ არის ის ქართველებისათვის ისეთ სათაყვანებელ ადგილას დასაფლავებული, როგორიცაა ბაგრატის ტაძრის გალავანი... მელიტონ ბალანჩივაძე ავტორია არა მხოლოდ ქრონოლოგიურად პირველი ეროვნული ოპერისა, არამედ, მისი კომპოზიციები სხვადასხვა მუსიკალურ ფორმებად პირველად შეიქმნა საქართველოში...“ (წყარო „ბურუსი“).



„მელიტონ ბალანჩივაძის ცხოვრება გარკვეულად განისაზღვრა 1880 წელს ფილიმონ ქორიძის საქართველოში დაბრუნებით. ფილიმონ ქორიძე (ცნობილი მომღერალი, ბანი) წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების სცენებზე. ის მელიტონ ბალანჩივაძის ნათესავი იყო დედის მხრიდან. 1880 წლის 25 ივნისს თბილისში, არწრუნის თეატრში (შემდგომში – გრიბოედოვის თეატრი) ფილიმონ ქორიძის კონცერტი გაიმართა. ფილიმონ ქორიძემ დათმო თავისი კარიერა, პირადი კეთილდღეობა, პიანისტ მეუღლესთან ერთად დარჩა საქართველოში და მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება ქართული საგალობლების ჩაწერას მოანდომა, რითაც მან თავისი სიცოცხლის წლები ფასდაუდებელ და საშვილიშვილო საქმეს მიუძღვნა. მის გვერდით დადგა ახალგაზრდა მელიტონ ბალანჩივაძეც. ქუთაისში წასვლამდე, 13 მარტს, მელიტონმა, თავისი დაარსებული 12-კაციანი გუნდით კონცერტი გამართა. ასეთი ღონისძიებები დიდ ეროვნულ საქმედ ითვლებოდა, რასაც ადასტურებს იქ დამსწრე საზოგადოების ჩამონათვალიც: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები. ამ დროს მელიტონი მხოლოდ 21 წლის იყო... 1889 წელს, პროფესიული დონის ასამაღლებლად, მელიტონ ბალანჩივაძე პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც მისი უფროსი ძმა, ნიჭიერი მხატვარი, ვასილ ბალანჩივაძე, დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი იყო. მელიტონმა პეტერბურგში 28 წელი გაატარა... ანტონ რუბინშტეინმა მელიტონს, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, სტუდენტური გაჭირვების პირველ წლებში პიანინო აჩუქა და სტიპენდიით ეხმარებოდა. მელიტონმა, ისევე, როგორც საქართველოში, გადადო საკუთარი კარიერა და ძირითადად საზოგადოებრივი ცხოვრებით დაკავდა. ის სათავეში ჩაუდგა „ქართული საღამოების“ მოწყობას და ისინი საყოველთაო ღირსშესანიშნაობად აქცია. აღსანიშნავია, რომ „ქართული საღამოები“ საქველმოქმედო იყო და რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების დახმარებას ემსახურებოდა.



...1901 წელს მელიტონის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: მან 100-მანეთიანი ლატარიით 200.000 მანეთი მოიგო. მისი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა და, შესაბამისად, გაიზარდა მისი გულისხმიერების არეალიც. ის ბევრს ეხმარებოდა და, მნიშვნელოვანია, რომ მან პირველმა გამოსცა მიხაილ გლინკას წერილების სრული კრებული, რაზეც პროფესორი ოსოვსკი წერდა: „მელიტონ ბალანჩივაძემ გლინკას წერილების სრული კრებულის გამოცემით საკუთარ თავს აუგო ძეგლი“. მელიტონ ბალანჩივაძე აქვეყნებდა წერილებს ქართულ და რუსულ პრესაში, აქ მოყვანილი ამონარიდით კი მისი პოზიციაა გამოკვეთილი: „ევგენი ონეგინის“ სახელოვან ავტორს (იგულისხმება პეტრე ჩაიკოვსკი) არ შეეფერებოდა, გადაეცმია ქართული თვითმყოფი და პატივსაცემი ჰანგისთვის მსუბუქი, მისთვის შეუფერები სამოსი და სრულებით უცხო და სხვა სახელით გაესტუმრებინა მსოფლიოში“, – წერს მელიტონ ბალანჩივაძე ჩაიკოვსკის მიერ ბალეტ „მაკნატუნაში“ გამოყენებულ „იავნანას” შესახებ, რომელსაც ჩაიკოვსკიმ „არაბული ცეკვა” უწოდა. მანამდე, ენისელში, თავად ჯორჯაძის მამულში, ეს სიმღერა ჩაიწერა ქართული მუსიკის დიდმა მოამაგემ, იპოლიტოვ-ივანოვმა, ვისგანაც ჩაიკოვსკიმ ეს ნოტები მიიღო. 1895 წელს პეტერბურგში მყოფი მელიტონი, გაბრაზდა რა ვინმე რუს რეცენზენტზე, რომელიც სვანურ სიმღერას ველურსა და პრიმიტიულს უწოდებდა, ჩავიდა სვანეთში, პირველად ჩაწერა რამდენიმე სვანური სიმღერა, თან წამოიყვანა სამი სვანი და ქუთაისში გამართა კონცერტები. მელიტონ ბალანჩივაძე პირველია ქართველ მუსიკოსთა შორის, ვინც საზოგადოებას სვანური სიმღერის მშვენება ამცნო. პეტერბურგის პერიოდშივე ჩაწერა მან კახური სიმღერები.





... დაწყებითი განათლება მელიტონმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. აქ იგი მოსწავლეთა გუნდში მღეროდა. მალე თავად ჩამოაყალიბა მოსწავლეთა გუნდი და სიმღერა-გალობას ასწავლიდა. თბილისში გადმოსვლის შემდეგ ბალანჩივაძე საქართველოს ეგზარქოსის მგალობელთა გუნდში მიიღეს... 1883-1886 წლებში ბალანჩივ-

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# მაღალი ხარისხი, საიმედოობა, მისაღები ფასები – ეს GERMANY CLINIC-ის პრიორიტეტებია

გერმანული კლინიკის შექმნის მიზანია პაციენტებისთვის უახლესი აპ-



GERMANY CLINIC

არატურის გამოყენებით, სრულყოფილი გამოკვლევების მაღალპროფესიული და კომპლექსური მკურნალობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კლინიკაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

1) ოფთალმოლოგია, 2) სტომატოლოგია, 3) გინეკოლოგია, 4) ექოსკოპია, 5) ლაბორატორია.

ოფთალმოლოგიაში გამოკვლევები უახლესი აპარატურით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ტარდება. გამოკვლევებს ატარებენ უცხოეთიდან მოწვეული ექიმები, გერმანული კლინიკის დამფუძნებელ პროფესორ ბატონ **რამაზან აქთაშის** ხელმძღვანელობით.

კლინიკაში ტარდება შემდეგი სახის ოფთალმოლოგიური ოპერაციები: კატარაქტის, გლაუკომის, სიელმის, ბადურის ჩამოშლის



OPHTALMOLOGY

კატარაქტის ოპერაცია
გლაუკომა
სიელმის ოპერაცია
ბადურის ჩამოშლა

(ვიტრექტომია) დროს.

სტომატოლოგიურ განყოფილებაში ყველა პაციენტისთვის სტომატოლოგიური კონსულტაცია უფასოა. ტარდება თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული მკურნალობა. იმპლანტაცია ხდება გერმანული იმპლანტის გამოყენებით, რომელსაც ატარებს ყბა-სახის ქირურგი, პროფესორი **მამუკა გოგიბერიძე.**



STOMATOLOGY

თერაპია
ქირურგია
ორთოპედია
იმპლანტი
რენტგენი



ECOSCOPY - GYNECOLOGY

გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელია პროფესორი **ელგუჯა ჭაბაშვილი**. გინეკოლოგიურ განყოფილებაში ქალბატონებს შეუძლიათ, შეარჩიონ სასურველი და მათთვის უსაფრთხო კონტრაცეფციის მეთოდი. ჩვენი პრიორიტეტია, მოვიპოვოთ პაციენტის ნდობა და ვცდილობთ, რთული პასუხი გავცეთ ყველა კითხვას მისი დაავადების შესახებ.

**გერმანულ კლინიკაში სეზონური ფასდაკლებებია. ასევე, აქციის ფარგლებში უფასოა სტომატოლოგიური კონსულტაცია**

**მის.: გორგასლის №51;**
**ტელეფონები: 275-34-34, 577 43-75-48.**

---

აძემ, ქორიძესთან ერთად, ხალხური სიმღერისა და გალობის ჩაწერა-შესწავლის მიზნით, მთელი საქართველო შემოიარა. 1886 წლიდან მღეროდა აღნიაშვილის მიერ დაარსებულ გუნდში და ერთხანს კიდეც ხელმძღვანელობდა მას. იმავე ხანებში ჩამოაყალიბა ორკესტრი, რომელიც აღნიაშვილის გუნდთან ერთად კონცერტებზე ხალხური სიმღერებისაგან შედგენილ „ქართულ პოპურს" ასრულებდა.

...მელიტონ ბალანჩივაძის მეუღლე იყო მარია ნიკოლაევნა ვასილიევა და მათ ოთხი შვილი შეეძინათ: უფროსი, ნინო, ბავშვობაში გარდაიცვალა; თამარი, ნიჭიერი მხატვარი, 1943 წელს ლენინგრადის ბლოკადას ემსხვერპლა; გიორგი, (ჯორჯ ბალანჩინი) ცნობილი ქორეოგრაფი, 1924 წელს აღარ დაბრუნდა გასტროლებიდან ახლად შექმნილ საბჭოთა კავშირში და, ანდრია – ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, მამის გზის ღირსეული გამგრძელებელი. 1917 წელს მელიტონ ბალანჩივაძე საქართველოში ბრუნდება, სადაც ის 1937 წელს გარდაიცვალა."

**ეკა პატარაია**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



## წითელი ჭარხალი ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის მუშაობას და ორგანიზმიდან მარილების გამოდევნას

ჭარხალი სავსეა ორგანული მჟავებითა და უჯრედით, ამიტომ, კუჭში შეკრულობის დროს მისგან დამზადებული სალათების ჭამა აუცილებელი და უებარია. ზოგადად კი, ამ ბოსტნეულის ხშირად მიღება კარგია და საჭირო ყველა ორგანოს ნორმალური მუშაობისთვის. ჭარხალი, ასევე, უხვად შეიცავს რკინასა და კობალტს, რაც ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნას. მის შემადგენლობაში არსებული სალებავი ნივთიერებები ელასტიკურობას სძენს სისხლძარღვების კედლებს. ჭარხალში არსებული ბეტაინი აჩერებს სისხლძარღვთა სკლეროზის განვითარებას, ასტიმულირებს ღვიძლის მოქმედებას, ხოლო უჯრედისი აძლიერებს კუჭის სეკრეციასა და ნაწლავთა პერისტალტიკას.

ანემიის დროს კარგია ჭარხლის, ბოლოკისა და სტაფილოს წვენების თანაბარი რაოდენობის ნარევის მიღება – სვით ორი თვის განმავლობაში, დღეში 2-ჯერ თითო ჩაის კოვზი. გაციების დროს კი ეფექტურია ჭარხლის წვენისა და თაფლის ნარევი. ასევე, ჭარხლის წვენი კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა ჰიპერტონიული დაავადების დროს: შეურიეთ მისი წვენი სტაფილოს ან ახალგამოწურულ ვაშლის წვენს და სვით ყოველდღე.

წითელი ჭარხალი განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ფარისებრი ჯირკვალი აწუხებს, რადგან ის მდიდარია იოდით. გარდა ამისა, მას შარდმდენი ეფექტი აქვს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან მარილების გამოდევნას.

## გადახედეთ საკვებ რაციონს და შესაბამისად დააბალანსეთ ის

აუცილებელია და საჭირო, საკვებ რაციონში ისეთი პროდუქტები ჩართოთ, რომლებიც მდიდარია ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებით. სამწუხაროდ, ბევრს ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ არასწორი შეხედულება აქვს. მაგალითად:

*„ახალი ხილი და ბოსტნეული ჯანმრთელობისთვის კარგია" – სინამდვილეში კი დიდი რაოდენობით ახალი ხილისა და ბოსტნეულის ჭამით კუჭს ძალიან ტვირთავთ, რასაც შედეგად მოსდევს მუცლის შებერვა და კუჭის აშლა. ბოსტნეულის ნაწილი ცოცხალი სახით უნდა ჭამოთ, ნაწილი კი – მოშუშული. მოშუშულ სტაფილოსა და პომიდორში არსებულ ბეტა-კაროტინს ორგანიზმი უკეთ შეითვისებს.

*„ცხიმი ცხიმად გარდაიქმნება" – ცხიმი საკმაოდ მაღალი ენერგეტიკული ღირებულების ნაერთია და ამიტომ ის დიდი რაოდენობით კალორიებს შეიცავს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ უნდა ამოიღოთ რაციონიდან. ყველა ცხიმი ერთნაირად საზიანო არ არის. მაგალითად, ზეითუნის ზეთი არის ცხიმი, რომელსაც ზღვისა და მდინარის თევზი შეიცავს. ის საჭიროა და მნიშვნელოვანი ადამიანის ჯანმრთელობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ რეგულარულად მიიღებთ ზეითუნის ზეთს, სისხლში ქოლესტერინის შემცველობა მკვეთრად შემცირდება.

*ის, რომ ახალგამომცხვარი პური მავნებელია, არ შეეფერება სინამდვილეს, თუკი მას მცირე რაოდენობით მიირთმევთ, რადგან, ახალი პურის დიდი რაოდენობით ჭამას მოჰყვება გაზების დაგროვება ნაწლავებში, ასევე, მატულობს სხეულის მასა.

*„კარტოფილი გასუქებას იწვევს" – ეს მცდარი ინფორმაციაა. ერთი ულუფა კარტოფილი, როგორც მოხარშული, ისე შემწვარი, მხოლოდ 12 კილოკალორიას შეიცავს, ხოლო, ამავე რაოდენობის კარტოფილის ჩიპსი – 368 კილოკალორიას. ამიტომ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მომზადებული ეს ბოსტნეული.

*მოსაზრება, რომ გაყინული ბოსტნეული არ არის სასარგებლო, ასევე არ შეეფერება სიმართლეს, რადგან, კარგად და სწორად გაყინული პროდუქტები ისეთივე სასარგებლოა, როგორც ახალი. გაყინული ბოსტნეული ვიტამინებსაც ინარჩუნებს.

გირჩევთ, ისე გადაანაწილოთ ყოველდღიური რაციონი, რომ თქვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იყოს და არა ზიანის მომტანი.

## თუ გსურთ, ხანგრძლივი დროით მოახერხოთ ძალების მობილიზება, დილა პიტნის ჩაით დაიწყეთ

დილაობით, ორგანიზმის კოფეინითა და შაქრით დატვირთვის ნაცვლად, მიირთვით პიტნის ჩაი. შეგიძლიათ, პიტნის გამხმარი ან ქორფა ფოთლები გამოიყენოთ, მაგრამ, ორივე შემთხვევაში ნაყენი ათი წუთით უნდა გააჩეროთ და შემდეგ დალიოთ. ძალიან კარგია ნაყენის ორთქლის შესუნთქვა ანუ ინჰალაცია. პიტნის არომატი ენერგიის მოზღვავებასაც იწვევს და ვირუსებისგანაც დაგიცავთ.

ასევე, პოპულარული მცენარეა ჟენ-შენი, რომლის ეფექტურობა დიდი ხანია, დამტკიცებულია. ის ცნობილია მასტიმულირებელი და განწყობის გამაუმჯობესებელი თვისებებით. ჟენ-შენის ნაყენის მიღება რეგულარულად შეგიძლიათ ცივ პერიოდში. ის არა მარტო ენერგიასა და სიმხნევეს შეგმატებთ, არამედ, მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესებთ იმუნიტეტსაც. შედეგად, ორგანიზმი ადვილად უმკლავდება ვირუსს და, შესაბამისად, დაცული იქნებით გაციებისა და გრიპისგან.

შვრიაში შემავალი ზოგიერთი ნივთიერებაც ისევე მოქმედებს ორგანიზმზე, როგორც ჟენ-შენი. ეცადეთ, შვრიის ფაფა ყოველდღიურ რაციონში ჩართოთ. სასარგებლოა არა მარტო ფაფა, არამედ, ყველაფერი, რაც შვრიას შეიცავს, მაგალითად, შვრიის ფხვიერი და გემრიელი ნამცხვრებიც.

## თუ გაცივდით და სიცხემ აგიწიათ, ხალხური მეთოდებით იმკურნალეთ

ცივ ამინდში ხშირია გაციება და სხეულის ტემპერატურის აწევა. ამ დროს ნუ იჩქარებთ სიცხის დამწევი პრეპარატების მიღებას, გამოიყენეთ სახლის პირობებში მომზადებული, ხალხური მედიცინის უებარი და ეფექტური საშუალებები, რომლებსაც, წამლებისგან განსხვავებით, უკუჩვენება არ გააჩნია:

*ერთმანეთს შეურიეთ 20 გრამი ცაცხვის ყვავილი და 20 გრამი გამხმარი ჟოლო (ან ჟოლოს მურაბა). დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ 10 წუთი, შემდეგ გადაწურეთ და სვით ცოტ-ცოტა და ხშირ-ხშირად.

* 100 გრამი შავი ბოლოკი და 100 გრამი სტაფილო გახეხეთ, გაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი ნაზავი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

* ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 50 გრამი ხახვი, დაუმატეთ 1 სადილის კოვზი ვაშლის ძმარი. აურიეთ კარგად და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, ნახევარ საათში ერთხელ.

* 1-2 ცალ სტაფილოს წვენს შეურიეთ 2 ჩაის კოვზი თაფლი. მიიღეთ 1 ან 2 კოვზი, დღეში 3-ჯერ.

თუ ტემპერატურა მაინც არ იკლებს, ჩაიტარეთ შემდეგი პროცედურები:

* დაიზილეთ სხეული ძმარში გაზავებული წყლით, შუბლზე კი ძმრიან ხსნარში დასველებული და კარგად გაწურული ტილო დაიდეთ. ამისთვის 2 სადილის კოვზი ძმარი უნდა გახსნათ ნახევარ ლიტრ წყალში.

* 2 სადილის კოვზ ცხელ რძეს შეურიეთ 2 სადილის კოვზი კონიაკი და დალიეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში 3-ჯერ.

* 1 სადილის კოვზ ჟოლოს მურაბას შეურიეთ 1 სადილის კოვზი არაყი, ჩააწურეთ ნახევარი ლიმონი, დაასხით 1 ჩაის ჭიქა ანადუღარი გრილი წყალი და დალიეთ ყლუპ-ყლუპად. 3-4 საათის შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ.

## თბილი და გაზგასული მინერალური წყალი ნაღვლის ბუშტის ტკივილს ამებს

დისკინეზია ნაღვლის ბუშტის მუშაობის დარღვევა და საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. ის თანდათან ყალიბდება დაავადებად. ფუნქციური მოშლა არაორგანული დარღვევაა, რომელსაც თან არ სდევს არც ანთება და არც ქვების წარმოქმნა, მაგრამ, დროთა განმავლობაში შეიძლება სანაღვლე გზების საგრძნობი ცვლილებები გამოიწვიოს. ნაღველი ღვიძლში წარმოიქმნება, შემდეგ ნაღვლის ბუშტში ჩაედინება, იქიდან კი თორმეტგოჯა ნაწლავში გადადის, სადაც საჭმლის მონელებაში იღებს მონაწილეობას. ჯანმრთელ ორგანიზმში ეს სისტემა შეუფერხებლად მუშაობს. დისკინეზიის დროს კი ნაღვლის ბუშტი და სფინქტერები არათანმიმდევრობით იკუმშება, ძლიერად, ან, პირიქით – სუსტად. უსიამოვნო შეგრძნებებს

კი, თავისთავად, ესეც იწვევს.

დისკინეზიის ორი ჯგუფი არსებობს: ჰიპომოტორული და ჰიპერმოტორული. ჰიპომოტორული ტიპის დისკინეზიის დროს ნაღვლის ბუშტი ცუდად იკუმშება და ნაღველიც არასაკმარისი რაოდენობით გადადის ნაწლავებში. ასეთ დროს აღინიშნება სიმძიმის შეგრძნება და ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ. ტკივილი შეიძლება გადაეცეს გულმკერდის მარჯვენა არეს. ჰიპერმოტორული ტიპის დისკინეზიის დროს ნაღვლის ბუშტი მეტისმეტად დიდი ინტენსივობით იკუმშება და კლინიკურად მწვავე, მჩხვლეტავი ტკივილის სინდრომით გამოვლინდება.

დისკინეზიის ხელშემწყობი ფაქტორებია: ფსიქოემოციური მდგომარეობა, ჰორმონების გამომუშავება, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ახლომდებარე ორგანოების პათოლოგიები (მაგალითად: გასტრიტი, გასტროდუოდენიტი, დუოდენიტი ან მემკვიდრეობითი ფაქტორი).

თუ დისკინეზია ჰიპომოტორული ტიპისაა, მკურნალობის მიზანი ნაღვლის ბუშტის შეკუმშვათა ინტენსივობის გაზრდა უნდა იყოს. ამიტომ, მისაღებია ნაღველმდენი საშუალებებისა და სპაზმოლიტიკების კომბინაცია.

ასევე, არსებობს ნაღველმდენი საშუალებების ორი სახეობა, რომელთაგან ერთი ღვიძლის ნაღველწარმომქმნელ ფუნქციას აძლიერებს, მეორე კი ხელს უწყობს ნაღვლის თავისუფლად გადადინებას სანაღვლე გზებში და ნაწლავების გავლით ორგანიზმიდან მის გამოდევნას. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა მკაცრად განსაზღვრული დიეტაა აუცილებელი, მაგრამ ზომიერება მაინც საჭიროა. ცხიმის, შებოლილი საკვების, ძმრიანი, მჟავე, მწარე და ცხარე კერძების დიდი რაოდენობით მიღება უსიამოვნო შედეგამდე მიგიყვანთ.

რა სახისაც არ უნდა იყოს დისკინეზია, საკვები, რომელიც ღვიძლს აღიზიანებს, რეკომენდებული არ არის. ასეთებია: ხორცის ნახარში, ცხოველური ცხიმი, ცხარე საკაზმი. არ შეიძლება ლუდი და ალკოჰოლური სასმელები. დისკენეზიის დროს აუცილებელია მინერალური წყალი, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს მაგნიუმს. უმჯობესია, მინერალური წყალი თბილი და გაზგასული მიიღოთ, ვინაიდან სითბო ხელს უწყობს სპაზმების მოხსნას, ხოლო წყალში შემავალი მიკროელემენტები კი – შეკუმშვას.

## იწვევს თუ არა პური და საღამოს საათებში ჭამა ზედმეტი წონის დაგროვებას

აზრი, რომ პური ასუქებს და ის უნდა ამოიღოთ კვების რაციონიდან, არასწორია. პურის მიღება რეკომენდებულია ზომიერად. ზოგადად, საჭიროა იმ პროდუქტების შემცირება, რომლებსაც პურთან ერთად ჭამთ, მაგალითად, ყველის, ნაღების, კარაქის, ძეხვისა და სხვა კალორიული საკვების.

ხშირად გვესმის, რომ 6 საათის შემდეგ ჭამა არასასურველია, თუმცა, ამ წესის მკაცრად დაცვის დროსაც კი, ხშირად ვერ იკლებენ წონაში. ჯანმრთელობისთვის და, ასევე, წონაში დასაკლებად, სასურველია დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჭამა მცირე ულუფებით. ამ დროს ორგანიზმი ნაკლებად იტვირთება და საკვებს ადვილად ითვისებს. შიმშილის გრძნობა მცირდება და შაქარი სისხლში ნორმის ფარგლებშია; ხოლო ის, ვინც 6 საათის შემდეგ არ ჭამს და დღეში მხოლოდ ერთხელ მიირთმევს დიდი რაოდენობით საკვებს, იზიანებს კუჭ-ნაწლავს და წონაშიც ნაკლებად იკლებს.



ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ წყალს ორგანიზმიდან ცხიმები და კალორიები გამოაქვს. ეს არასწორია. კალორიები და ცხიმები გამოედინება მაშინ, როცა ადამიანი ბევრს მოძრაობს. ასეთ დროს დიდი რაოდენობით სითხე ასტიმულირებს თირკმელების მოქმედებას და ამის შედეგად ორგანიზმი თავისუფლდება წიდებისგან. არასწორია ის აზრიც, რომ ყავა წვავს ცხიმებს; სინამდვილეში, კოფეინი, რომელსაც ყავა შეიცავს, სიმხნევეს გვმატებს და ცხიმოვან ფენაზე საერთოდ არ მოქმედებს.

თუ გახდომა გსურთ, გირჩევთ, ჭამოთ ნელა, აუჩქარებლად, რადგან ნელი ჭამისას, საკვები გადამუშავდება ჭამის პროცესშივე და ადამიანი გრძნობს, როდის დანაყრდა. ამ დროს შიმშილის გრძნობა ქრება და ორგანიზმი ზედმეტ კალორიებსაც აღარ იღებს. ხოლო, თუ სწრაფად ჭამთ, ვერ შეძლებთ, განსაზღვროთ იმ საკვების რეალური რაოდენობა, რომელსაც იღებთ და ამიტომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტი ზედმეტი საკვებით იტვირთება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ერთი თვეა, ენა მიბუჟდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ენა მაქვს გაციებული. თუ შეგიძლიათ, რამე მირჩიეთ.**

**პასუხი:** გაიკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი, რადგანაც მსგავსი ჩივილი ხშირია ანემიისას. თუ ანემია გამოირიცხება, მიმართეთ ნევროლოგს.

**კითხვა: დილით საუზმის მერე, ჭამა მიწევს შუადღისით 2 ან 3 საათზე. ვატყობ, რომ ძალა მეცლება, ხელები თითქოს მიკანკალებს, კოორდინაციას ვკარგავ. ჩქარა შევჭამ ხოლმე და თითქოს ნელ-ნელა ფორმაში ვდგები. შაქარი ნორმაში მაქვს. არის თუ არა ეს მდგომარეობა ნორმალური იმის გათვალისწინებით, რომ ხანდახან, შეიძლება, დილიდან საღამომდე არ მქონდეს ნაჭამი და ჩვეულებრივად ვარ.**

**პასუხი:** ჩივილის მიზეზი შესაძლოა ჰიპოგლიკემიაა (სისხლში შაქრის დაბალი შემცველობა). გამოკვლევა ჩაიტარეთ ენდოკრინოლოგთან. ეს არ არის დამოუკიდებელი დაავადება, არამედ არის სინდრომი, რომელიც განპირობებულია სისხლში გლუკოზის დონის მკვეთრი დაქვეითებით, რომელსაც თან ახლავს გარკვეული სიმპტომები.

**კითხვა: ვარ 25 წლის გოგო. რამდენიმე თვეა, დამეწყო საჯდომი კუნთის ტკივილი გაელვების სახით. მერე ეს ტკივილი გადაეცემა მთლიან ფეხს. მაინტერესებს, რისი ბრალია? შეიძლება, იშიაზი იყოს?**

**პასუხი:** დიახ, თქვენი ჩივილი შეიძლება უკავშირდებოდეს იშიაზს (საჯდომი ნერვის ანთება), რაც თავის მხრივ, ხერხემლის პათოლოგიებით შეიძლება, იყოს განპირობებული. დიაგნოსტიკისა და შემდეგომი მკურნალობის მიზნით, ნევროპათოლოგს მიმართეთ.

**კითხვა: 8 წელია, ვიწვეთებ ნაფტიზინს. ვერ ვსუნთქავ მის გარეშე. რომ არ ჩავიწვეთო, გული მიჩქარდება, წნევა მიწევს. რამეს ხომ ვერ მირჩევდით?**

**პასუხი:** დიდი ალბათობით, თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი დაკავშირებულია ნაფტიზინის უკონტროლო მიღებასთან. 5 დღეზე მეტი პერიოდით გამოყენებისას ნაფტიზინი და ანალოგიური პრეპარატები იწვევს ცხვირის ლორწოვანის ატროფიას, სუნთქვის გაადვილების ნაცვლად, ახშობს მას. უნდა შეწყვიტოთ პრეპარატის გამოყენება და მიმართოთ ყელ-ყურის ექიმს.

**კითხვა: ვარ 19 წლის. ყურებში მაქვს რაღაც ხმა, რამე საგნის დადების დროს ან რამეზე მირტყმისას, გამკვეთრებულად მესმის საგნების დადების ან გადაადგილების ხმა. რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** ჰიპერაკუზიის (ასე ეწოდება ამ მდგომარეობას) მიზეზი შესაძლოა, იყოს სახის ნერვის დაზიანება, ზოგჯერ ყურის დაავადებები. ამიტომ, აუცილებელია, უპირველესად, ოტოლარინგოლოგს მიმართოთ.

**კითხვა: გულის წამიერი აფართხალება რამ შეიძლება გამოიწვიოს? შეიძლება, ნაღვლის ბუშტის ბრალი იყოს?**

**პასუხი:** ასეთ ჩივილს ერთი მიზეზი არ აქვს. ნაღვლის ბუშტის ანთების ან ნაღველკენჭოვანი დაავადების დროს, შეიძლება, აღინიშნოს გადაცემითი ტკივილი გულის არეში ან ბეჭის მიდამოში განვითარებული ჭვალის, ანდა გულის ფრიალის სახით.

დიფერენცირების მიზნით უნდა ჩატარდეს ეკგ და ექოსკოპიური კვლევა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რატომ ქმნიდა ლავრენტი ბერია სტალინის უახლოეს გარემოცვაში დაძაბულობას ხელოვნურად



დიდი ბელადის სიცოცხლის ბოლო თვეები ყველაზე იდუმალი და ტრაგიკული იყო საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი სიცოცხლის ბოლო დღემდე ინარჩუნებდა თავის აბსოლუტურ გავლენასა და ძალაუფლებას, ლავრენტი ბერიამ ნაწილობრივ მაინც მოახერხა მის თვალში უერთგულესი თანამებრძოლების დისკრედიტაცია. ამის თვალსაჩინო მაგალითია სტალინის დაცვის უფროსის, მისი უერთგულესი ადამიანისა და ჩემი მეგობრის, გენერალ ვლასიკის დაპატიმრება, რისი მიზეზიც საიდუმლო დოკუმენტაციების გაქრობა გახდა, რაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბერიას უწყების თანამშრომელთა ნამოქმედარი იყო. ბერიამ მოახერხა სტალინის დარწმუნება ვლასიკის დანაშაულში. დიდმა ბელადმა ობიექტური გამოძიების განკარგულება გასცა და ვლასიკი ციხეში გამოამწყვდია, მის ადგილზე კი მე დამნიშნა. ამ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში ფარული დაპირისპირება იყო გაჩაღებული და მთელ ამ პროცესს ბერია მართავდა, რომელიც საკუთარი ერთგული კადრების მეშვეობით განხეთქილებას აგდებდა მათ შორის, რათა ერთმანეთისადმი უნდობლობა უკიდურესად გაემწვავებინა. ამას კი ერთი მიზანი ჰქონდა: ასეთ ვითარებაში მას ერთიორად უადვილდებოდა შეშინებული და დათრგუნული ადამიანების დამარცხება, ანუ მათი მართვა, რადგან ლავრენტი ბერიას დიდი ამბიციები ჰქონდა – საკუთარ თავს პოსტსტალინური ეპოქის მმართველად მოიაზრებდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ბერია სტალინის შემდეგ ერთადერთი პიროვნება იყო, ვისაც რეალურად ძალუძდა ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის წინამძღოლობა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად (საუბარია მეოცე საუკუნის 70-იან წლებზე) სტალინის სიკვდილის შესახებ უამრავი სხვადასხვა არარეალური ვერსია ვრცელდება, სინამდვილეში დიდი ბელადის სიკვდილი არავის სურდა (მათ შორის არც ბერიას), თუმცა ამაზე ფიქრობდნენ და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებისთვის საბრძოლველად ემზადებოდნენ. საკუთარ ზრახვებს არავინ ავლენდა, მაგრამ სტალინი ამას ინტუიციით გრძნობდა და რამდენჯერმე მინიშნებაც კი გააკეთა ამის თაობაზე, მაგალითად, ერთხელ მან მოულოდნელად შეაწყვეტინა სიტყვა მოლოტოვს, რომელიც საგარეო პოლიტიკას მიმოიხილავდა და თქვა: „სამი ათეული წელიწადია, ქვეყანას ვმართავ. ამ ხნის განმავლობაში უამრავი მტრულად განწყობილი ოპოზიციური ჯგუფი დავამარცხეთ, სახელმწიფო ფეხზე დავაყენეთ, ხალხი გამოვაწრთეთ, გამოვბრძმედეთ, რომ იტყვიან, წესრიგი დავამყარეთ; ერთი სიტყვით, ხელისუფლებას უნებისყოფო, უიდეო ადამიანები ჩამოვაშორეთ, სტაბილური მთავრობა შევქმენით და, თუკი ყოველივე ეს დაირღვა, ჩათვალეთ, რომ ამით ჩვენი დიადი ქვეყნის რღვევაც დაიწყება. სანამ მე ცოცხალი ვარ, ამას არანაირად არ დავუშვებ და არც თქვენ გირჩევთ ჩემი სიკვდილის შემდეგ“.

ამ სიტყვების შემდეგ სტალინი წამოდგა და ნელი ნაბიჯით დატოვა სხდომა, თან მანიშნა, გამომყევიო. კაბინეტში რომ შევედით, მკითხა:

– მგლების ხროვა თუ გინახავს ოდესმე, დამშეული მგლების ხროვა?

მე უარყოფითად ვუპასუხე, მან კი განაგრძო: ერთ-ერთი ციმბირული გადასახლების დროს ჩვენს დასახლებას საკმაო მანძილით გავცდი და ტყის პირს მივადექი. მიუხედავად იმისა, რომ ბინდდებოდა, უკან გამობრუნებას არ ვჩქარობდი, რადგან კარაბინი მქონდა თან და ნადირის არ მეშინოდა. უეცრად, ტყისპირის გაყოლებაზე, ოდნავ მარჯვნივ, მგლების ხროვა დავინახე. თოთხმეტი მგელი წრეში იდგა და შუაში მოქცეულ, შიმშილისგან დაუძლურებულ თანამოძმეს, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ფეხზე დგომა, კბილებს ულრჭიალებდა. ალყაში მოქცეული ნადირიც არანაკლებ ილრინებოდა და ალყის გარღვევას ცდილობდა, თუმცა, ისე მჭიდროდ შემოხვეოდნენ დანარჩენები, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო ამის გაკეთება დაუძლურებულისთვის. სუსტი უნდა შეიჭამოს – ეს მგლური კანონია და მისი შეცვლა არავის ძალუძს. მე ის მგელი შემეცოდა, მისი გადარჩენა მოვინდომე და ჰაერში გავისროლე, თუმცა მგლები ამას არ შეუშინებია და ალყა წამითაც არ დაურღვევიათ. მაშინ, მიზანში ყველაზე აგრესიული და ამასთანავე, ყველაზე დიდი მგელი ამოვიღე, რომელიც, ჩემი აზრით, მათი წინამძღოლი უნდა ყოფილიყო, სასხლეტს გამოვკარი და ჩემი კარაბინიდან გასროლილი ტყვიით მგლების წინამძღოლი ადგილზევე გავათავე. ამით მე ვვარაუდობდი, რომ, როდესაც დანარჩენები მოკლულის ჭამას დაიწყებდნენ, ალყაში მოქცეული დროს იხელთებდა და გაიქცეოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ალყაში მოქცეული მგელი მშვიდად უცქერდა, როგორ გლეჯდნენ დანარჩენები მოკლულ მეთაურს და, როდესაც წირვა გამოუყვანეს, კვლავ მას მიუბრუნდნენ. ერთი სიტყვით, ისიც შეჭამეს და მხოლოდ ამის შემდეგ შებრუნდნენ ტყეში. ამგვარად, ჩემმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, სუსტი შეიჭამა, ბუნების მგლური კანონი კი არ დაირღვა.

– ესენიც მგლებივით არიან, იმავე კანონით მოქმედებენ და ამას უკვე ველარაფერი შეცვლის. რა თქმა უნდა, მე მათი განეიტრალება ჯერჯერობით შემიძლია, მაგრამ ამით უკვე სახელმწიფო იზარალებს და, სანამ ლეკვები დაიზრდებიან, ცხვრის ტყავში გახვეული კაპიტალისტები გადაგვსანსლავენ. სამწუხაროდ, არჩევანი, ფაქტობრივად, აღარ მაქვს. რამდენ ხანს ვიცოცხლებ, არავინ უწყის და ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როდემდე შემეძლება ამათი მწყემსვა. სამწუხაროდ, ისე აეწყო ჩვენი ისტორია, რომ მემკვიდრე ვერ გამოვზარდე და, ახალი სტალინი თუ არ გამოჩნდა, ესენი ერთმანეთს დახრავენ, ქვეყანა კი, შესაძლოა, დაიღუპოს, – სტალინი კვლავ დადუმდა, სიარული განაგრძო და, სანამ მანიშნებდა, წადიო, მონოლოგი ასე დაასრულა: – ბერია ყველაზე ვერაგი, ჭკვიანი და ვარგისია, მაგრამ მას შანსი არ აქვს, რადგან, ისევე შეახრამუნებენ, როგორც იმ მგელს.

> **მხოლოდ წლების შემდეგ, ციმბირის ერთ-ერთ ბანაკში ყოფნისას მივხვდი, რას გულისხმობდა სტალინი და დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირის მმართველად მეორე ქართველს არავინ გააჭაჭანებდა**

მე სტალინის კაბინეტი გულდამძიმებულმა დავტოვე და მხოლოდ დიდი ბელადის ბოლო წინადადებიდან მივხვდი, რომ მას ქვეყნის მომავალი მმართველობის ბედი აღელვებდა. თუმცა, ვერ გამეაზრებინა, რატომ არ ჰქონდა ბერიას შანსი. მხოლოდ წლების შემდეგ, ციმბირის ერთ-ერთ ბანაკში ყოფნისას მივხვდი, რას გულისხმობდა სტალინი და დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირის მმართველად მეორე ქართველს არავინ გააჭაჭანებდა.

დეკემბრის მეორე დეკადა მიიწურა და დიდი ბელადის 73-ე დაბადების დღე, 1952 წლის 21 დეკემბერი დადგა. სტალინმა დღეობა კუნცევოში გადაიხადა და სუფრაზე პოლიტბიუროს მხოლოდ რვა წევრი მიიწვია. ეს იყო სტალინის უკანასკნელი და ყველაზე უჩვეულო იუბილე, რომელსაც მე შევესწრებივარ. რვავე სტუმარი – მოლოტოვი, ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ბულგანინი და მიქოიანი – თითქმის ერთდროულად მოვიდა. ჩვეულებისამებრ, სტალინი სტუმრებს სასადილოში, გაშლილ სუფრაზე ეპატიჟებოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ასე არ მომხდარა და მან ისინი მცირე კინოდარბაზში მიიპატიჟა. სტუმრები გაოცდნენ, თუმცა არავის არაფერი უკითხავს. როდესაც სკამებზე განთავსდნენ და შუქი ჩაქრა, ფილმის დემონსტრირებაც დაიწყო. ეკრანზე ქართული ფილმი „გიორგი სააკაძე“ გადიოდა. სტალინი წინ იჯდა, ხოლო დანარჩენები – უკან. ჩვეულებისამებრ, ფილმის ყურებისას, სტალინი ხშირად ისროდა რეპლიკებს, მაგრამ ამჯერად ფილმის მსვლელობისას ხმა არ ამოულია. სხვებიც გასუსულები ისხდნენ. ფილმი რომ დასრულდა, შუქი აინთო, სტალინი წამოდგა და ისე, რომ უკან არ მოუხედავს, ჩაილაპარაკა: „გმირობა უკვდავია, ხოლო უმადურობა – უსაზღვრო“ – და სასადილო ოთახისკენ გაემართა. მას სხვებიც მიჰყვნენ და, როდესაც ყველანი სუფრასთან განლაგდნენ, სტალინმა წითელი ღვინით სავსე ჭიქა ასწია და წარმოსთქვა:

– ჩვენს უკვდავ გმირებს გაუმარჯოს, ვინც ხალხისთის ილვწოდა, თუმცა, ბევრ მათგანს ეს ღვაწლი არ დაუფასდა.

სხვებმაც იგივე გაიმეორეს, თუმცა, გაკვირვებულები ჩანდნენ, რადგან დიდი ბელადი პირველი ჭიქით თამადას ნიშნავდა ხოლმე (თამადა ყოველთვის ბერია იყო) და მის სადღეგრძელოს წარმოთქვამდა; ამჯერად კი მას თამადა არ აურჩევია და წვეულებამ თამადის გარეშე ჩაიარა. ჩვეულებისამებრ, ასეთ სუფრებზე დიდი რაოდენობით ღვინო ისმებოდა და სტუმრებიც გვარიანად თვრებოდნენ ხოლმე, ამჯერად კი ასე არ მომხდარა, სუფრაც მალე დაიშალა და, სანამ სტუმრები წავიდოდნენ, დიდმა ბელადმა მოკლედ მოჭრა: „გმირები კვდებიან, მაგრამ მათი საქმეები რჩება და, თუ ახალი, ღირსეული გმირი არ გამოჩნდა, მაშინ ეს საქმეც მოკვდება!“

**მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ლაშაურმა**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ჯაშიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯაშა**. სოფელ მუხათში გვხვდება აგრეთვე, ქალის მეტსახელი – **ჯაშია**.

ისტორიულ საბუთებში, 1698-1712 წლების ვენახის ნასყიდობის წიგნში, მოიხსენიება ელიკა **ჯაშიაშვილი**.

1873 წლის კამერალური აღწერით, მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენში მცხოვრები **ჯაშიაშვილები**.

საქართველოში 1 339 **ჯაშიაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 436, თბილისში – 362, თეთრი წყაროში – 267. არიან სხვაგანაც.

**შარუმაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **შარუმა**.

ისტორიულ წყაროში გვხვდება მსგავსი ტექსტი: გიგოლა და ციციკა **შარუმაშვილები** 1886 წელს დუშეთის მაზრის სოფელ წყურვალეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

საქართველოში 139 **შარუმაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 72, გარდაბანში – 30, თეთრი წყაროში – 9. არიან სხვაგანაც.

**ალიხანაშვილი-ალიხანასშვილი**

გვარი ისტორიულ წყაროებში გვხვდება ფორმით – **ალიხანასშვილი** და **ალიხანაშვილი**. ის ქართული აზნაურული გვარ-სახელია. გვარის ფუძეა **ალი** და **ხან-ი**. **ალი** თურქულში პოპულარული სახელი იყო. ისევე, როგორც ბევრი სხვა უცხოური სახელი, **ალიხანიც** გავრცელდა ქართველებში და შემდგომში **ალიხანაშვილების** გვარის ფუძედ იქცა.

ქვემო ქართლის 1721 წლის აღწერით, ერთ-ერთი **ალიხანა**, რომლის გვარიც უცნობია, ყოფილა ყაიყულში სოფელ საკას მოურავი. იქვე მოიხსენიება **ალიხანას** სოფელი. შემდგომში **ალიხანაშვილების** გვარიც, ბევრი სხვა ქართული გვარის მსგავსად, რუსული **ოვ**-ით გააფორმეს და **ალიხანოვები** სომხურ ეთნოსს მიაკუთვნეს.

**ალიხანაშვილები**, როგორც ვაჭრები, მოხვდნენ რუსულ საბუთებში, სადაც **ალიხანოვებად** ჩაწერეს.

**ალიხანაშვილთა** და იაგულაშვილთა გვა-




რის ნაწილი ქვემო ქართლის მებატონეები იყვნენ.

ზალია და ბეჟან **ალიხანაშვილები**, 1721 წლის აღწერით, მებატონეები იყვნენ. ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სომხეთში.

„**ალიხანასშვილები** – გორში მცხოვრებნი, ქსნის ერისთავების მკვიდრი ვაჭრები. გიორგი მეფემ მათი წყალობა განუახლა დავით ქსნის ერისთავს."

საქართველოში 409 **ალიხანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 128, თეთრი წყაროში – 62, მცხეთაში – 53. არიან სხვაგანაც.

**ვართანაშვილი-ვარდანაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვარდანა**. 1823 წელს მარტყოფის მღვდელი ქართველია და სახელებიც და გვარებიც ქართულადაა ჩაწერილი, მოგვიანებით კი **ვარდანაშვილის** ნაცვლად **ვართანაშვილი** გვხვდება, რაც რუსულის გავლენით მოხდა.

1881 წელს ვარდისუბანში მოიხსენიება ვინმე **ვარდანაშვილი**.

საქართველოში 545 **ვარდანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 311, გორში – 45. არიან სხვაგანაც.

**მალიშავა-მალიჩავა**

გვარის ფუძეა მეტსახელი **მალიშა**.

**მალიშავას** გვარის მეორე ვარიანტია **მალიჩავა**. მსგავსი შემთხვევა ბევრია ქართულ გვართა წარმოქმნის ისტორიაში. **მალიჩავები** ცხოვრობენ დიდ ნეძში, სენაკში. ტოპონიმებია: **სამალიჩო** – უბანი ყულიწყალსა და ოკულეს შუა.

ოლორიდან გამოქცეულა სამი ძმა **მალიჩავა**. ერთი ნეძში შეჩერებულა, მეორე – ხეციაში, მესამის ამბავი კი უცნობია. ცნობილია, რომ **მალიჩავების** „ჯინჯი ხატი" ილორი იყო და ამიტომაც ამ გვარიდან ილორის ეკლესიის მნათეებს ირჩევენ.

საქართველოში 235 **მალიშავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 122, თბილისში – 31, ხობში – 13. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

(მე-14 გვერდიდან)

# სად ცხოვრობს ოჯახი, სადაც 38 ხატს სდის მირონი, როგორ განკურნა ამ მირონმა ინვალიდები და კომაში მყოფი ადამიანები და რამდენი წლის უშვილოებს ეყოლათ ბავშვები

და მორწმუნეები უნდა გადაიბიროს. ძალიან გამიხარდა, ღვთისმშობლის ხატს რომ წამოუვიდა მირონი. ეს ხატი ციგნის ბავშვისგან ვიყიდე მეტროში. ეშმაკი მხოლოდ ღვთისმშობლის სახეს ვერ იღებს, ყველა დანარჩენ წმინდანად გადაქცევა შეუძლია. სწორედ ამიტომ გამიხარდა, პირველი მირონი ღვთისმშობლის ხატს რომ დასდინდა. 38 მირონმდინარი ხატიდან უმეტესი ღვთისმშობლისაა.

**– განიკურნა ვინმე მირონის ცხების შემდეგ?**

– ტელევიზორს იშვიათად ვუყურებ, რადგან, სულ ცუდი რაღაცა მესმის – ან ვინმეს ავადმყოფობა, ან სიკვდილი. მაგრამ, აქ ისეთი ხალხი მოდის, ნეტა ისევ ტელევიზორისთვის მეყურებინა. ლეიკემიით დაავადებული 100-ზე მეტი ბავშვი მოიყვანეს. ძალიან ბევრი განკურნა; 11 წლის ხაშურელმა გოგონამ, რომელიც შვიდი თვე კომაში იყო, მესამედ მირონის ცხების შემდეგ თვალები გაახილა. 10 ადამიანი გამოვიდა კომიდან, ორმა სმენის აპარატი მოიხსნა. ერთი-ერთ მათგანს 25 წელი ეკეთა სასმენი აპარატი. დილით რომ იცხო მირონი, საღამოს უკვე სმენა დაუბრუნდა; ახლა საათის წიკ-წიკის ხმაც მესმისო, უთქვამს. უშვილო ოჯახები მოდიან, 22 ორსული გვყავს უკვე და აქედან ორი ტყუპებს ელოდება. 15, 9, 7 წლის უშვილოები მოდიან, ახლახან 20 წლის ცოლ-ქმარი ჩამოვიდა ლაგოდეხიდან. სამი ინვალიდი დადგა ფეხზე – 5 წლის ქუთაისელი ბავშვი ჩამოიყვანეს. ამბის გასაგებად რომ დავურეკე, მითხრეს, კედელ-კედელ დაიწყო სიარულიო. ერთი გოგო ჰყავდათ მოყვანილი – დღესასწაულებზე ხორცი ულრმავდება და ხატები ესახებაო. ისეთი ხალხი მოდის, არაფერი აღარ მიკვირს. შვიდი ხატია მობრძანებული მათ შორის – მე-14 საუკუნის უფლის, მე-17 საუკუნის ღვთისმშობლის და, კიდევ, სწრაფლშემსმენელი ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დაიწვა და სახე თავად აღიდგინა. ხატებს მომლოცველები ტოვებენ ხოლმე. ოთხ მათგანს მირონი გადმოუვიდა, ერთ-ერთი არის ჩემი მეზობლის ხატი. რომ ჩამომიტანა, იმ დღეს გამოეცხადა თავისი გარდაცვლილი ქალიშვილი. ავტოკატასტროფაში დაეღუპა 24 წლის გოგო და 27 წლის სიძე. ხუთი წელი გავიდა უკვე ამ შემთხვევიდან. როგორც თვითონ ყვება, სიზმარი იყო თუ გამოცხადება, არ ახსოვს; ჩემი გოგოს დაკრძალვის დღე იყო და, არ მინდოდა, გამეშვაო. მომიბრუნდა და მითხრა: ნუ გეშინია, დედა, სასწაული მოხდება ჩვენთანო. მეორე დილით ვნახე, მის მიერ ჩამოტანილ ორივე ხატს მირონი სდიოდა.

**– მსგავსი შემთხვევების თუ გჯეროდათ აქამდე?**

– მჯეროდა, როგორ არა. რუსთავში იყო ოჯახი, სადაც მამა გაბრიელის 9 ხატს სდიოდა მირონი. ვერანაირად ვერ მოვახერხე მოსალოცად წასვლა და ძალიან დამწყდა გული. ყოველთვის მინდოდა, მსგავსი რამ ჩემი თვალით მენახა. მამა გაბრიელი დამესიზმრა დაახლოებით 2 თვის წინ. საერთოდ, იშვიათად ვხედავ ხოლმე სიზმარს, თუმცა, სულ ერთი და იგივე რაღაცა მესიზმრება: თითქოს მე და ჩემი შვილი, გიორგი, ტყეში მივდივართ. ახლაც იგივე სიზმარი ვნახე, ოღონდ, მამა გაბრიელი და კიდევ ერთი მოგვყვებოდა. ჩვენ ვცდილობდით, მათ ლანდს გავქცეოდით, მაგრამ ბერმა გაბრიელმა მითხრა, იმიტომ ვდგები თქვენს ჩრდილში, რომ გამოცხადდება მაქვსო, თუმცა, აღარ უთქვამს, რა გამოცხადდება, თან, მეც გამომეღვიძა.

**– გინდოდათ, თქვენი შვილი შავი ბერი გამხდარიყო? რა თქვა, როდესაც ხატებიდან მირონდენის შესახებ შეიტყო?**

– არ მინდოდა, შავი ბერი რომ გამოსულიყო, მაგრამ, გავუშვი – ვიფიქრე, ვერ გაძლებს და მობრუნდება-მეთქი, თუმცა, შევცდი. გიორგიმ გვიან შეიტყო ყოველივე ამის შესახებ – ტელეფონით კონტაქტი არ გვაქვს და მთელი რვა თვის უნახავი მყავდა. ვიდრე კურთხევა არ აილო, მანამდე არ მიჰკარებია მირონს, შორიდან უყურებდა. მეუბნებოდა, თქვენ ვერ აღიქვამთ, მირონი რა არის; არც კი გეშინიათ, ისე ჰკიდებთ ხელსო. მერე მომიყვა: ერთხელ, კიბეზე ჩამოვდიოდი და მამაო შემხვდა. მინდოდა, დაველოცე, მაგრამ, მითხრა, არ მივკარებოდი, რადგან მირონი ეცხოო. შემდეგ მკითხა: ხვდები, რამხელა მოფრთხილება სჭირდება ამასო? მეც ვცდილობ, მოვუფრთხილდე – თუ მამაოები არ მოვლენ, ისე არ ვიცხებ ხოლმე.

**ეთო ხურციძე**

**ცოტა ხნის წინ, მექაში მუსლიმების ღვთისმსახურების – ჰაჯის შესრულების დროს ტრაგედია მოხდა, რომელსაც ასობით ადამიანი ემსხვერპლა, უამრავი კი დაშავდა. მომლოცველთა შორის იყვნენ ქართველებიც, თუმცა, საბედნიეროდ, საფრთხე არცერთ მათგანს არ დამუქრებია, შინ ყველა მშვიდობით დაბრუნდა. საინტერესოა, რა გახდა ამ უბედური შემთხვევის მიზეზი და როგორ გადაურჩნენ მას ქართველი პილიგრიმები.**

# რამდენი მილიონი ადამიანი ესწრება მექაში მუსლიმთა უდიდეს ჰაჯის და როგორ გადაურჩნენ ქართველი მომლოცველები მექაში მომხდარ უბედურ შემთხვევას

**ბადრი შანთაძე** ***(სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, ჰაჯისა და უმრის საქმეთა ხელმძღვანელი):*** ჰაჯი არის ღვთისმსახურება, რომლის შესრულება, სიცოცხლეში ერთხელ მაინც, სავალდებულოა ყველა მუსლიმისთვის, თუკი მას ამის ფიზიკური და მატერიალური შესაძლებლობა აქვს. მუსლიმებისთვის ორი დიდი დღესასწაული არსებობს. ერთია რამაზან ბაირამი, რომელსაც მარხვის დასასრულს აღნიშნავენ და მეორე – ყურბან ბაირამი, რომელიც რამაზან ბაირამიდან 70 დღის შემდეგ აღინიშნება. ესაა მსხვერპლშეწირვის დღესასწაული. ჰაჯი წელიწადში ერთხელ, სწორედ ყურბან ბაირამის სადღესასწაულო დღეებში სრულდება. თუმცა, არსებობს მცირე ჰაჯიც, რომელსაც უმრა ეწოდება და მისი შესრულება, ანუ წმინდა მიწაზე წასვლა და მოლოცვა, ადამიანს ნებისმიერ დროს შეუძლია. ჰაჯის წლევანდელ ღვთისმსახურებაზე საქართველოდან ჩვეულებრივ გავემგზავრეთ. მომლოცველთა 38-კაციან ჯგუფს მე ვხელმძღვანელობდი. რიტუალში მონაწილეობის მისაღებად ყველა საკუთარი ფინანსებით გავემგზავრეთ ოცი დღით. ყურბან ბაირამის დღესასწაულამდე ათი დღით ადრე ჩავედით და დღესასწაულის შემდეგ, კიდევ ათი დღე დავრჩით. ჰაჯის კანდიდატები მექაში შესვლამდე თეთრი სამოსით იმოსებიან და ასე რჩებიან რიტუალის დასრულებამდე. ეს ყველა მამაკაცისთვის სავალდებულო წესია, რადგან თეთრი ფერი სიწმინდის სიმბოლოა. გარდა ამისა, რწმენის მიხედვით, განკითხვის დღეს ადამიანი სუდარაში გამოწყობილი უნდა წარდგეს (აღსდგეს) და ეს სამოსი ამის სიმბოლური გამოხატულებაა. თუმცა, ქალბატონებს მსგავსი ვალდებულება არ აქვთ. მათ შეუძლიათ, ისეთი სამოსით შეიმოსონ, როგორის სურვილიც თავად ექნებათ. მომლოცველები შედიან მექაში, მიდიან ქააბაში და ლოცულობენ, ვიდრე სადღესასწაულო დღეები არ დაიწყება. სადღესასწაულო დღეების დაწყებამდე ერთი დღით ადრე კი, ჰაჯის ყველა მსურველი ვალდებულია, ავიდეს არაფატის მთაზე. აქედან იწყება უშუალოდ ღვთისმსახურების შესრულება. ისინი იქ ატარებენ დროს, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე და როცა მზე ჩასვლას დაიწყებს, ჰაჯები, მინას ხეობის გავლით, მიემართებიან ქააბაში მოსალოცად. ვისაც შესაბამისი ფიზიკური შესაძლებლობა აქვს და მეტი მადლის მიღება უნდა, არაფატის მთიდან ქააბამდე ფეხით ჩადის მინას ხეობის გავლით, სადაც სიმბოლურად ხდება სატანის ქვით ჩაქოლვა. მაგრამ, ვისაც ეს არ შეუძლია, მას აქვს საშუალება, ტრანსპორტით ისარგებლოს. მოგეხსენებათ, ამ რიტუალს მილიონობით ადამიანი ესწრება. წელს, ოფიციალური მონაცემებით, ორ-ნახევარი მილიონი მომლოცველი იყო და არაოფიციალურად – დაახლოებით, სამი მილიონი. ამიტომ წესრიგი მაქსიმალურადაა დაცული. ყველგან პოლიციელები დგანან უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და ხალხის უდიდესი ნაკადისთვის მიმართულების მისაცემად, მაგრამ წელს, როდესაც არაფატის მთიდან ამდენი ადამიანი დაეშვა მინას ხეობისკენ, გარკვეულმა ჯგუფებმა არასწორი მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა. ისინი შეეცადნენ, გზა მოეჭრათ და მოკლე გასასვლელით შესულიყვნენ იმ ადგილას, სადაც ეშმაკის ქვით სიმბოლური ჩაქოლვა ხდება. ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა გარკვეულ ჯგუფებზე ვსაუბრობთ, იქ საკმაოდ ბევრი ადამიანი იგულისხმება, რადგან ყველაზე მცირე ჯგუფიც კი, ათასობით ადამიანისაგან შედგება. ამ ადამიანებმა ხალხის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით დაიწყეს გადაადგილება, რასაც ორი ნაკადის შეჯახება და ძალიან დიდი საცობი მოჰყვა. სამართალდამცველები იძულებულები გახდნენ, სამაშველო ბრიგადები შეეყვანათ და გზის გარკვეული ნაწილი გაეთავისუფლებინათ. რაღაც ტერიტორიის გათავისუფლება, ბუნებრივია, იქ მყოფი ხალხის შეკუმშვის ხარჯზე მოხდა. ეს დაახლოებით 8-დან 10 საათამდე ხდებოდა, იმ დროს, როცა სიცხე დაახლოებით 45-47 გრადუსია. ამას დაემატა ხალხის გადაღლილობა, რადგან მათ უკვე ათ კილომეტრზე მეტი ჰქონდათ ფეხით გავლილი. გარდა ამისა, იყო ქაოსის შიში და პანიკა. ამ ყველაფერმა ერთბაშად იჩინა თავი, რის გამოც შეჯახების ადგილას ადამიანები უჰაერობისა და შიშისგან გაიგუდნენ. ბევრმა ღონემიხდილმა გონება დაკარგა. შემდეგ მაშველები შეიყვანეს და შეეცადნენ, ხალხი ორივე მიმართულებით ცოტათი უკან დაეწიათ, რომ სამაშველო ბრიგადებს ემოქმედათ. ადგილი ცოტა გამოთავისუფლდა. ამ დროს კი უკვე ხალხის ჭყლეტა დაიწყო, რადგან გადარჩენილები პანიკაში ჩავარდნენ. ცდილობდნენ, გაქცევით ეშველათ თავისთვის, რასაც ჭყლეტვა მოჰყვა. შეეცადნენ, მათთვის ჟანგბადი ვერტმფრენებით მიეწოდებინათ, რომ სუნთქვა შეძლებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამან ვერ უშველა და ბევრი მათგანი გარდაიცვალა, ბევრიც კი დაშავდა.



**ცდილობდნენ, მათთვის ჟანგბადი ვერტმფრენებიდან მიეწოდებინათ, რომ სუნთქვა შესძლებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამან ვერ უშველა და ბევრი გარდაიცვალა**

**– გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა დროთა განმავლობაში იზრდებოდა. დღეს რისი თქმა შეგიძლიათ?**

– ჩვენ 6 ოქტომბერს დავტოვეთ საუდის არაბეთი. იმ დროისთვის, დაღუპული იყო 769 კაცი, ხოლო დაშავებული – 800-ზე მეტი სხვადასხვა სიმძიმის ტრავმით. ასე რომ, დაღუპულთა რაოდენობის გაზრდა მოსალოდნელი იყო.

**– ქართველი მომლოცვლები როგორ გადაურჩით ამ ტრაგედიას?**

– ქართველი მომლოცველები ყველგან ჯგუფურად დავდიოდით. ჩვენ დაახლოებით ექვს საათზე სვლა უკვე დასრულებული გვქონდა. ეს სამწუხარო ამბავი კი რვა საათიდან დაიწყო. ამ დროს, ჩვენ უკვე ქააბამდე ვიყავით ჩასულები, ანუ – ეპიცენტრიდან შორს. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი სამწუხაროა და ყველა დაღუპულის ახლობელს ვუთანაგრძნობ, მაგრამ რელიგიურად, ადამიანი, რომელიც მოსალოცადაა წასული და იქ უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპება, შაჰიდი, ანუ უცოდველია. მისი სამუდამო ადგილსამყოფელი კი სამოთხეა. ამიტომ, შაჰიდობა ყოველი მუსლიმის სანუკვარი ოცნებაა, მაგრამ განწირულია ადამიანი, რომელიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობამდე მისვლით დაასრულებს. ეს სასტიკად აკრძალულია და ასეთი ადამიანის იმქვეყნიური სამყოფელი ჯოჯოხეთია. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მეფემ ამის გამო თანამდებობიდან დაითხოვა ჰაჯის მინისტრი, მექის მერი და პოლიციის უფროსი. მიმდინარეობს გამოძიება, შეიძლება, მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უსაფრთხოების ნორმები შესაბამისად არ იყო დაცული, ან სამართალდამცველების რაოდენობა არ გახლდათ საკმარისი. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ყოველ შემთხვევაში, მეფემ მათი დაპატიმრებით პირველი ნაბიჯები გადადგა.

**– ასეთი შემთხვევა პირველად არ მომხდარა...**

– მე წელს ჰაჯის ღვთისმსახურებაზე მესამედ გახლდით და აქამდე მსგავს შემთხვევას არ შევსწრებივარ. მაგრამ, ვიცი, რომ მსგავსი შემთხვევა ადრეც მოხდა. ყველაზე დიდი მსხვერპლი 1989 წელს მომხდარ უბედურ შემთხვევას მოჰყვა. მაშინ ეს გვირაბში მოხდა და მას 1 500-ზე მეტი მომლოცველი ემსხვერპლა. მომლოცველების ძირითადი ნაწილი ხანდაზმულია – ზოგს გული აწუხებს, ზოგს სწრაფად სიარული არ შეუძლია. ამიტომ, დაბრკოლებების გადალახვა უჭირთ და ხშირად, ეს სიცოცხლის ფასადაც უჯდებათ, რადგან გარშემო უამრავი მომლოცველია და თავის დაღწევა რთულია. წელს, თუ არ ვცდები, მეოთხე წელია, რაც ქააბას გაფართოება მიდის. მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და ამიტომ, მომლოცველთა კვოტები ყველა ქვეყნისთვის 20 პროცენტითაა შემცირებული. ადრე გაცილებით მეტი, დაახლოებით 4-დან 6 მილიონამდე მომლოცველი იყო. ორი-სამი წლის შემდეგ, ალბათ, გაფართოება დასრულდება და ვფიქრობ, რაოდენობაც გაორმაგდება ან გასამმაგდება. თუმცა, ასეთი შემთხვევების დროს, საბედნიეროდ, ქართველი მომლოცველი არასდროს დაღუპულა და არც სერიოზულად დაშავებულა.

**– ცოტა ხნის წინ, ამწეს ჩამოვარდნასაც ემსხვერპლნენ მომლოცველები. ესეც ჰაჯის რიტუალის დროს მოხდა?**

– არა, ეს ჰაჯის რიტუალამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მოხდა. მოგეხსენებათ, იმ ქვეყნისთვის წვიმა დამახასიათებელი არაა. მაგრამ, ისე მოხდა, რომ ერთ დღეს წვიმა და ქარიშხალი ერთმანეთს დაერთო და შემთხვევით, ერთ-ერთი ამწე გადაყირავდა უშუალოდ ქააბას მიმართულებით და მომლოცველთა გარკვეულ ნაწილს დაეცა. დაახლოებით 150 კაცი დაიღუპა, სამასამდე – კი დაშავდა. მაშინ მცირე ჰაჯობა ანუ, უმრის რიტუალი ტარდებოდა. საბედნიეროდ, რაღაც ნაწილმა მოახერხა, რომ ამ ადგილს მოშორებოდა, თუმცა გარკვეული ნაწილის სიცოცხლე მაინც ემსხვერპლა ამ შემთხვევას.

**ქეთი კაპანაძე**

**მართვის მოწმობის აღება ვერ გიხსნის, როცა ქალაქის ქუჩები „გაუნათლებელი" მძღოლებით, არასწორად დადგმული საგზაო ნიშნებითა და არაპროფესიონალი სამართალდამცველებით არის სავსე. ვის უნდა მივმართოთ, როცა თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია, მაგრამ მაინც გვაჯარიმებენ? „თბილისელები" ექსკლუზიურად სთავაზობს მძღოლებს ავარიის საკითხებში სასამართლო ექსპერტისა და ადვოკატის – ნუკრი კვინიკაძის ინტერვიუს.**

# რატომ ჯარიმდებიან საქართველოში მძღოლები ხშირ შემთხვევაში დაუმსახურებლად და როგორ უნდა დაიცვან მათ თავიანთი უფლებები

**ნუკრი კვინიკაძე**: ჩემი პროფესია მოიცავს ავტოსაგზაო სატრანსპორტო შემთხვევების პროფესიულად გამოკვლევას, რის შედეგადაც დგინდება, თუ რომელი მძღოლის ქმედებამ გამოიწვია კონკრეტული შემთხვევა. ერთ-ერთი ურთულესი გამოსაძიებელია ავტოსაგზაო შემთხვევა. ძალიან ბევრ დეტალს აქვს მნიშვნელობა: გასათვალისწინებელია გზის სავალი ნაწილი, საგზაო ნიშნები და კიდევ ბევრი რამ, რასაც ავარიების უმეტეს შემთხვევაში ყურადღება არ ექცევა. ჩვეულებრივ, სიტუაცია ერთი შეხედვით ფასდება, მაგალითად – უკნიდან დაეჯახა? ესე იგი, ესაა დამნაშავე. ეს არის შეცდომა. სანამ დაეჯახებოდა, მანამდე რა მოხდა? ჰქონდა მძღოლს შეჯახების თავიდან არიდების საშუალება და არ გამოიყენა? გეტყვით, როგორ ხდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევის გამოძიება, როცა არ არის სხეულის დაზიანება და არ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე: შემთხვევის ადგილაზე მოდის პატრულ-ინსპექტორი, რომელიც იმ კვადრატში მორიგეობს და იმან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელი მძღოლი დაადანაშაულოს. თუ გაასაჩივრებ და ჩაატარებ კვალიფიციურ ექსპერტიზას, აღმოჩნდება, რომ დამნაშავეა მეორე მძღოლი და სწორედ იმას ეკუთვნის ჯარიმაც. ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია. ძალიან იშვიათია, რომ პატრულმა ინსპექტორმა ავარიის დროს სწორი გადაწყვეტილება მიიღოს – რთულია ეს მისთვის, რადგან, სათანადო ცოდნა არა აქვს. თანაც, ჩვენს ქვეყანაში, სადაც გზაზე ორმო და თავახდილი საკანალიზაციო ჭა ჩვეულებრივი მოვლენაა, ავტოსაგზაო შემთხვევების გამოძიებას, ცოდნასთან ერთად, პროფესიონალიზმიც სჭირდება. ჭაში რომ ჩავარდება მანქანა, მძღოლი კარგავს მართვის უნარს, ეჯახება სხვა მანქანას და მაშინვე ადანაშაულებენ. წესით, ამ შემთხვევაში უნდა დაისაჯოს ის პირი, რომელიც გზის სავალი ნაწილის ამ მონაკვეთზეა პასუხისმგებელი. ყველა გზას ჰყავს მეპატრონე. დამკვეთი არის თბილისის მერია, რომელიც გზის ამა თუ იმ მონაკვეთს გადასცემს რომელიმე კომპანიას. ანუ ძალიან ხშირად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევაზე სწორედ მერიაა პასუხისმგებელი. მაგრამ იშვიათია საქართველოში შემთხვევა, როცა მძღოლმა იცის, როგორ დაიცვას თავისი უფლებები. ნორმალურ ქვეყნებში (და მე ამისი გამოცდილება მაქვს), გზის სავალი ნაწილის გაუმართაობის გამო მომხდარი ავარიის პასუხისმგებლობას აკისრებენ არა რომელიმე მძღოლს, არამედ მუნიციპალიტეტს, რომელმაც ვერ უზრუნველყო მძღოლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. თბილისში ყოველ მეორე ქუჩაზე უნდა ეყენოს ნიშანი, რომ სიჩქარის შეუზღუდავად იქ მოძრაობა სახიფათოა. ცალკე პრობლემაა არასწორად დადგმული საგზაო ნიშნები, რომლებიც ძალიან ხშირად ხდება ავტოავარიის მიზეზი. ავტოსაგზაო შემთხვევები განიხილება არა იურიდიულ ჭრილში, არამედ „ირჩევა" ტაქსისტების დონეზე. საქართველოში ძალიან მარტივად გაიცემა მართვის მოწმობები. პრაქტიკული გამოცდა ქალაქში უნდა ტარდებოდეს. იმ პატარა მონაკვეთში მოძრაობას იზეპირებენ, ქალაქში გამოდიან და მოძრაობის წესები არ იციან.

**– ავარიების რიცხვმა იმატა და ამაზე ბევრი საუბრობს. შეგიძლიათ, გვითხრათ, რა არის მიზეზი?**

– გზის სავალი ნაწილის გაუმართაობა – არასწორად დაგებული ასფალტის საფარი იწვევს ავტომობილის მოცურებას და მისი მოძრაობა უკვე არაპროგნოზირებადია. ჩვენთან, როგორც გითხარით, ყოველი მეორე ქუჩა ასეთ მდგომარეობაშია, სიჩქარის შეზღუდვის ნიშნები კი არ დგას. თუ წვიმს, მოცურების რისკი ორმაგად იზრდება. გუბეში 40 კილომეტრსაათი სიჩქარით მოძრაობაც კი სახიფათო ხდება.



**ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ მძღოლს მეორისთვის მანქანაც კი უყიდია და მერე იურიდიულად დადასტურებულა, რომ დამნაშავე არ იყო**

მეორე მიზეზი: მძღოლებმა არ იციან ზოლიდან ზოლში გადასვლა. ქალაქში მომხდარი ავარიების უმეტესობა ამის გამო ხდება. ღერძულა ხაზის გადაკვეთა რომ არ შეიძლება, იცის ყველამ, მაგრამ ყველა კვეთს მას, რაც ძალიან სახიფათოა – ამ მიზეზით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა ხშირად მსხვერპლით მთავრდება. 30 კილომეტრ-საათი სიჩქარითაც რომ მოძრაობდეს ორივე ავტომობილი, შეჯახება მაინც ძალიან მძიმეა და ფატალური.

**– მერიის წინააღმდეგ არცერთი საქმე არ აღძრულაო. რატომ?**

– არასწორად დადგმული საგზაო ნიშნების გამო მომხდარი ავარიის დროს დადანაშაულებული მძღოლი გამიმართლებია, მაგრამ მერიის წინააღმდეგ საქმე არც აღძრულა. ყველა ერიდება, უჩივლოს სახელმწიფოს, მით უმეტეს, ქართული მენტალიტეტიც რომ ერთვება საქმეში. არადა, რეალურია და ბუნებრივი, პასუხისმგებლობა დაეკისროს იმას, ვინც იურიდიულად დამნაშავეა ავტოსაგზაო შემთხვევაში. ეს პრეცედენტი ერთიც რომ მოხდეს და პასუხი აგონ გზის გაუმართაობით გამოწვეული ავარიის გამო, დამიჯერეთ, პრობლემა ნელნელა მოგვარდება, თორემ, ახლა ჩაკეტილ წრეში ვტრიალებთ და ძალიან ბევრი მძღოლი სრულიად დაუმსახურებლად ჯარიმდება.

**– ძირითადად, რა შემთხვევების დროს მოგმართავენ, როგორც ექსპერტსა და ადვოკატს?**

– ძირითადად მომმართავენ სისხლის სამართლის საქმეზე, როცა ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით მთავრდება. ან სხეულის მძიმე დაზიანებაა, ანუ ციხეში მოხვედრის საშიშროება ჩნდება. ბუნებრივია, მძღოლი ყოველთვის არ არის დამნაშავე და ამას საფუძვლიანი გამოკვლევა და დამტკიცება სჭირდება. ადმინისტრაციული შემთხვევების დროსაც მოდიან კონსულტაციისთვის. სამართლისთვის ბრძოლა ყოველთვის ღირს. ავარიის შემთხვევაში ყველაზე მოგებული რჩება სახელმწიფო – ის ერთი მძღოლისგან მაინც იღებს ჯარიმის თანხას, ან, ხშირად – ორივესგან. ჩვენს ჩინოვნიკებს ავიწყდებათ, რომ ისინიც საქართველოს მოქალაქეები არიან, ყოველთვის არ ისხდებიან სკამებზე და შეიძლება ხვალ იმავე სიტუაციაში თავად აღმოჩნდნენ.

კიდევ რა არ იციან მძღოლებმა, ანუ რა ხდება, როცა საქმე გვაქვს დაზღვეული მანქანის ავტოავარიის შემთხვევაში. თუ მოხდა ავარია და დაიმტვრა დაზღვეული მანქანა, შენ უკვე საქმე გაქვს სადაზღვევო კომპანიასთან და არა იმ მანქანის მძღოლთან, რომელმაც შეიძლება გითხრას, მე პრეტენზიას არ გამოვთქვამ, კარგად იყავი, მანქანას სადაზღვევო გამიკეთებსო, არ იფიქროთ, რომ ყველაფერი 250-ლარიანი ჯარიმის გადახდით მორჩება. თუკი ავარიაში გაგამტყუნებენ, იცოდეთ, რომ რაღაც დროის შემდეგ სადაზღვევო კომპანია აუცილებლად თქვენ მოგადგებათ და იმ თანხას, რაც იმ მანქანის შეკეთება დაჯდა, თქვენგან მოითხოვს. შეიძლება, ქონებაც დაგიყადაღოთ და ისე ამოიღოს ეს ფული. ანუ, „ჯანდაბას, გადავიხდი 250 ლარს, სხვისი მანქანა მაინც ხომ არ მექნება გასაკეთებელი" – არის შეცდომა და დამთავრდება თქვენთვის მძიმე შედეგით. დაზღვეული მანქანის მძღოლი არ მოგთხოვთ ფულს, მაგრამ აუცილებლად მოგთხოვთ სადაზღვევო კომპანია. ნუ დაეთანხმებით პატრულს, რომ თქვენ ხართ ავარიაში დამნაშავე, როცა ხვდებით, რომ ეს ასე არ არის, რადგან 250 ლარზე გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ.

**– ანუ, „ბატონო ნუკრი, მიშველე" აღარ გამოდის?**

– მხოლოდ სასამართლოში შეიძლება დავა, რაც მეტ დროს, ხარჯსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. ამიტომ, თუ მიგაჩნია, რომ არ ხარ დამნაშავე, თავიდანვე უნდა მიმართო იმას, ვინც პროფესიონალურად გირჩევს, ღირს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში დავა. დღეს ყველას აქვს ფოტოაპარატი ტელეფონში. პატრულს არ უნდა ედავო, უბრალოდ, დააფიქსირო როგორ არიან მანქანები განლაგებული, როგორ გამოიყურება შემთხვევის ადგილი, რაც შემდგომში, ექსპერტიზის დროს, ძალიან გამოგადგება. როგორც წესი, დათვალიერების ოქმი ზერელედ დგება. გამოწეროს პატრულმა ჯარიმა, მისი გასაჩივრება 10 დღის ვადაში შეიძლება და უდანაშაულო მძღოლის გამართლებაც რეალურია. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ მძღოლს მეორისთვის მანქანაც კი უყიდია და მერე იურიდიულად დადასტურებულა, რომ დამნაშავე არ იყო. ექსპერტმა იცის ის ნიუანსები, რომელიც შეუძლებელია, რიგითმა პატრულ-ინსპექტორმა, ან, მით უმეტეს, მძღოლმა, იცოდეს.

**ნინო წულუკიძე**

## ორშაბათი 19 ოქტომბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00**"მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "ფოტო" **14.05** მხ/ფ **"პირველი გვერდი"** (ჯ.ლემონი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. **"ბეითსების მოტელი"** **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** "კომუნიკატორი" **00.10** მხ/ფ **"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება"**.

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** მხ/ფ. **"პოკერი სიყვარულის წესებით"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნესკონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართ. **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ჩემი საყვარელი და"** **1.30 სერიალი "ტატიანა"**.

**06.00** სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"საიდუმლო"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში-10"** **4-5-6** სერ. **01.00** მხ/ფ **"კამილა კლოდელი"** (ჟ.ლ. ვინსენტი) **02.45** მხ/ფ **"ჯაშუში სამეზობლოში"** (ა.ვალეტა).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი - ულირსი მსახურების შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.10** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხა-ლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი **"ეზოში ავი ძაღლია"** I მოქმედება **17.20** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **22.25** დ/ფ "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ხონი **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** საუკუნის პორტრეტები-ლადო გუდიაშვილი **01.00** "შუ-ადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 20 ოქტომბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.05** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.30** "კომუნიკა-ტორი" **13.30** დ/ფ "ფოტო" **14.05** მხ/ფ **"ოცნების მოედანი"** (კ.კოსტნერი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. **"ბეითსების მოტელი"** 2 სერ. **21.49** "კომუნიკატორი" **22.00** სპორტული გადაცემა **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი **00.40** სპორტული **01.15** მხ/ფ **"სხვისი სიკეთისთვის"** (ე.ნორეგა).

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნესკონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ჩემი საყვარელი და"** **1.30 სერიალი "ტატიანა"**.

**06.00** სერ. **"კარმა"** **06.30** სერ. **"ბოშა ქალი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი"** **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"საიდუმლო"** **18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** საქართველო **00.00** ერთხელ საქართველოში **00.30** მხ/ფ **"ეჭვქვეშ"** **02.30** მხ/ფ **"კამილა კლოდელი"** (ჟ.ლ. ვინსენტი).

**06.10** სპექტაკლი **"ეზოში ავი ძაღლია"** I მოქმედება **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დ/ფ "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-ხონი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "კერამიკა–რობიზონ იმერლიშვილი" **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" **15.00** საეკლესიო კალენ-დარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საუკუნის პორტრეტები-ლადო გუდიაშვილი **16.20** კონცერტი **17.00** მგზავრები წუთისოფლისა "სოფ. გამარჯ-ვება-**20** წლის შემდეგ" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-"ბერმუხა" (ქუთაისი) **20.00** ღია აუდიტორია "ზაზა ცოტნიაშვილი-სამაჩაბლოს პრობლემა" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 35-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**19 – 25 ოქტომბერი**

*დარბაზი 1*

11.45, 14.25, 17.05, 19.45, 22.30 - **„გასეირნება”** 3D; *ხანგრძლივობა 2სთ. 05წთ;*

*დარბაზი 2*

13.00, 15.00 - **„კრიმინალები”**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;*

17.00, 19.40, 22.00 - **„ალისფერი პიკი”**; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

*დარბაზი 3*

12.30, 16.00, 19.40, 22.30 - **„მარსელი”** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.20, 16.40, 19.45 - **„პენი: მოგზაურობა ნევერლენდში”** 3D; *ხანგრძლივობა: 1სთ. 50წთ;*

22.15 - **„ევერესტი”** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

*დარბაზი 5*

11.45, 13.55 - **„ნოეს კიდობანმა გაგვასწრო”** 3D; *ხანგრძლივობა1სთ. 25წთ;*

16.00, 18.00, 20.00, 22.00 - **„რაის ნასოსი?!”**; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.40, 17.20 - **„გასეირნება”** 3D; *ხანგრძლივობა 2სთ. 5წთ;*

22.45 - **„მარსელი”** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ;*

*დარბაზი 2*

12.15 - **„პენი: მოგზაურობა ნევერლენდში”** 3D; *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ;*

14.45 - **„ნოეს კიდობანმა გაგვასწრო”** 3D; *ხანგრძლივობა 1სთ. 25წთ;*

16.45 - **„ლეგენდა”**; *ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ;*

20.10 - **„ალისფერი პიკი”**; *ხანგრძლივობა 2სთ;*

22.40 - **„გასეირნება”** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ. 5წთ;*

*დარბაზი 3*

11.45 - **„ნოეს კიდობანმა გაგვასწრო”** 3D; *ხანგრძლივობა 1სთ. 25წთ;*

14.20 - **„პენი: მოგზაურობა ნევერლენდში”** 3D; *ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ;*

16.55 - **„მარსელი”** 3D; *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ;*

19.45 - **„ალისფერი პიკი”** (ინგლისურად); *ხანგრძლივობა: 2სთ;*

22.35 - **„ალისფერი პიკი”**; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**



# კერძი ბროკოლითა და ქათმით










**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ფქვილი, 100 გრამი კარაქი, 1 ცალი კვერცხი, 500 გრამი ბროკოლი, 500 გრამი ქათმის ფილე, 100 გრამი მწვანე ბარდა (გაყინული ჯობია), 2 კბილი ნიორი.

**ცალკე:** 4 კვერცხი, 200 მილილიტრი არაჟანი, 2 სადილის კოვზი მდოგვი, 1 სადილის კოვზი მარილი, ცოტა შავი პილპილი, 100 გრამი რბილი ყველი.

**მომზადების წესი:** აიღეთ დარბილებული კარაქი – ოთახის ტემპერატურის, შეურიეთ ფქვილი, კვერცხი და მოზილეთ ცომი. გააკეთეთ მისგან გუნდა და 1 საათით მოათავსეთ მაცივარში. მოხარშეთ ქათმის ფილე, ბროკოლი და ბარდა. ბარდას და ბროკოლს 4 წუთი ხარშვა ეყოფა. დაჭერით მოხარშული პროდუქტი. ეს ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ და დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ნიორი. გააბრტყელეთ ცომი მრგვალ ფორმაში და კედლებზეც ამოიყვანეთ ცომის ფენა. აირღუმელი გააცხელეთ 170 გრადუსამდე. ცალკე მოამზადეთ ზემოდან მოსასხმელი სოუსი. ათქვიფეთ კვერცხი, არაჟანი, მდოგვი, მარილი, პილპილი და აურიეთ კარგად. ცომზე მოათავსეთ ფილეს ნაზავი და მოასხით სოუსი. ფორმა შედგით აირღუმელში 40 წუთის განმავლობაში. 20 წუთის შემდეგ გამოიღეთ, მოაყარეთ დაფხვნილი ყველი და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში. მიირთვით თბილი. თუმცა, ცივიც გემრიელია.

# ფარშირებული გოგრა







**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი მსხლის ფორმის მომცრო გოგრა, 50 გრამი „ფშენო“, 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 ცალი სტაფილო, 2 ცალი პომიდორი, 150 გრამი მაგარი ყველი, ქონდარი, ქინძი, ოხრახუში, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ჯერ მოხარშეთ „ფშენო”. დაასხით ორი წილი წყალი და ბოლომდე ჩაშრეს. ყველი და სტაფილო გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. ხახვი და პომიდორი მომცრო კუბიკებად დაჭერით.

ტაფაზე გააცხელეთ ზეთი. მოშუშეთ მასში ხახვი, სტაფილო და პომიდორი. შუშეთ 10-15 წუთი. გოგრები გაჭერით სიგრძეზე, შუაში. ამოაცალეთ შიგთავსი კურკებიანად. შემდეგ კი ისე ამოასუფთავეთ, რომ ყველგან თანაბარი სისქის დარჩეს. ამოსუფთავებისას დარჩენილი რბილობი ძალიან წვრილად დაჭერით და შეურიეთ ბოსტნეულს. დაუმატეთ „ფშენო,” შეკმაზეთ დაჭრილი მწვანილითა და პილპილით. შუშეთ კიდევ 10 წუთი. მოაყარეთ გახეხილი ყველის 2/3 და კარგად აურიეთ.

ეს „ფარში“ მოათავსეთ გოგრაში. გამოაცხვეთ ცხელ აირღუმელში, 160 გრადუსზე 60 წუთის განმავლობაში. ბოლო ათი წუთის წინ მოაყარეთ დარჩენილი ყველი. უგემრიელესია.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# ხაჭოს ღვეზელი ვაშლითა და ქლიავით





**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი ფქვილი, 140 გრამი ხაჭო, 2 ცალი კვერცხი, 75 გრამი შაქარი, 0,5 ჩაის კოვზი საფური (ან გამაფხვიერებელი), 1 ცალი ვაშლი (მოზრდილი), 6 ცალი ქლიავი, ცოტა მარილი, 75 გრამი კარაქი.

**მომზადების წესი:** ათქვიფეთ შაქარი დარბილებულ კარაქთან ერთად, შეურიეთ ხაჭო და ისევ ათქვიფეთ. შემდეგ ნელ-ნელა შეურიეთ კვერცხი და ჩაუმატეთ გამაფხვიერებელი, მარილი და მოზილეთ ცომი ფქვილის დამატებით. ვაშლი გათალეთ, ქლიავს გამოაცალეთ კურკები და დაჭერით თხელ ნაჭრებად.

ცომი მოათავსეთ 20 სანტიმეტრის დიამეტრის ფორმაში. ზემოდან, მონაცვლეობით დაალაგეთ ქლიავისა და ვაშლის ნაჭრები. მოაყარეთ ცოტა შაქარი.

გამოაცხვეთ 180 გრადუსზე 45-60 წუთში. კარგად უნდა გამოშრეს და მზად არის.

# ხორცის ტორტი ყვავილოვანი კომბოსტოთი



**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო, ცოტა მარილი.

500 გრამი შერეული ფარში (ცოტა ძროხის, ცოტა ღორის), 1 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 1 კვერცხის ცილა, კვერცხის გული, საფანელი, შავი პილპილი, მარილი.

**მოსასხმელი სოუსი:** ნახევარი კონა ოხრახუში, 3 ცალი პატარა, მრგვალი პომიდორი, 100 მილილიტრი ნაღები (არაჟანიც შეიძლება), 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 70 გრამი მაგარი ყველი, რომელიმე, თქვენთვის სასურველი სუნელი.




**მომზადების წესი:** ყვავილოვანი კომბოსტო დაშალეთ კუნწულებად. მოხარშეთ მარილწყალში 3-4 წუთის განმავლობაში. არ ჩახარშოთ. გადაწურეთ და გააცივეთ.

ფარშს შეურიეთ დანაყილი ნიორი, მარილი, პილპილი, წვრილად დაჭრილი ხახვი და კვერცხის ცილა. ცოტა საფანელიც და აურიეთ კარგად. გამოსაცხობ ფორმაში უმჯობესია ჩააფინოთ ორი ფენა ფოლგა. შუაგულში მოათავსეთ ფარში, სფეროს ფორმით. წაუსვით გათქვეფილი კვერცხის გულის ნაწილი.



გარშემო შემოუწყვეთ ყვავილოვანი კომბოსტო ყვავილივით. ზემოდანაც მთლიანად დაფარეთ ყვავილოვანი კომბოსტოთი.

ცალკე ჯამში ერთმანეთს შეურიეთ ნაღები, სოიის სოუსი, დარჩენილი კვერცხის გული. ათქვიფეთ და მოასხით „ტორტს“. მოაყარეთ ხმელი სუნელი და გამოაცხვეთ 40 წუთის განმავლობაში, 180 გრადუსზე. ბოლოს მოაყარეთ დაკეპილი პომიდორი და გახეხილი ყველი მწვანილთან ერთად. 10 წუთით კიდევ გააჩერეთ 200 გრადუსზე და მზად არის. მიირთვით ცივი.



# ეგზოტიკური სალათა – ნუცა შანშიაშვილისგან



*რომ გითხრათ, ხშირად მიწევს სამზარეულოში ტრიალი და კერძების მზადება-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა, რასაც ვამზადებ, გემრიელი გამომდის. მიყვარს ქართული სამზარეულოც და ეგზოტიკური კერძებიც. დღეს შემოგთავაზებთ, მარტივად მოსამზადებელ ეგზოტიკურ სალათას, რომელიც ჯანმრთელი და გემრიელი კერძია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** ისპანახის 10 ცალი ფოთოლი, 3 ცალი ხურმა, 1 თავი წითელი ხახვი, 3 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, 4 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ცალი მოზრდილი ბროწეული, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხურმა დაჭერით თხელ ნაჭრებად, ხახვი – წვრილად. ისპანახის ფოთლები ხელით დაანაწევრეთ და ეს ყველაფერი ერთად აურიეთ თასში. მოასხით ერთმანეთში ათქვეფილი ძმარი და ზეითუნის ზეთი და მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები. ბოლოს შეაზავეთ მარილითა და პილპილით.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# გოგრისა და ხახვის სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი გოგრა, 4 ცალი წითელი ხახვი, 5 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი თაფლი, 4 სადილის კოვზი ზეთი, 150 გრამი რუკოლა, 60 გრამი ბეკონი, 4 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 50 გრამი ზეთისხილი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** გოგრა გაჭერით, ამოაცალეთ თესლი და საშუალო ზომის მოგრძო ნაჭრებად დაჭერით. 1 თავი ხახვი წვრილად დაჭერით, შეურიეთ თაფლი, სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი ზეთი, მარილი და პილპილი. მარინადი დაასხით დაჭრილ გოგრას, მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე და 30 წუთით შედგით 200 გრადუსზე გახურებულ აირღუმელში. დანარჩენი ხახვი დაჭერით. გარეცხეთ და შეამშრალეთ რუკოლა. გამომცხვარი გოგრა გააგრილეთ. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და შებრაწეთ დაჭრილი ბეკონი. ბეკონს რომ ამოიღებთ, იმავე ცხიმში მოშუშეთ დაჭრილი ხახვი, დაასხით 6 სადილის კოვზი ცხელი წყალი და 4 სადილის კოვზი ძმარი, ამოურიეთ და დაუმატეთ ცოტა მარილი. ყველა ინგრედიენტი კარგად აურიეთ და ისე მიირთვით.



# სტაფილოსა და ფორთოხლის წვნიანი ნუშით

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 თავი ხახვი, 6 ძირი მწვანე ხახვი, 2 კბილი ნიორი, 600 გრამი სტაფილო, 400 გრამი კარტოფილი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 1 ლიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 300 მილილიტრი ფორთოხლის წვენი, 25 გრამი ნუში, 100 მილილიტრი ნაღები, 75 მილილიტრი სქელი არაჟანი, მარილი და პილპილი – გემოვნებით, 4 ნაჭერი ფორთოხალი – გასაფორმებლად.

**მომზადების წესი:** ხახვის თავები და ნიორი წვრილად დაჭერით, სტაფილო და კარტოფილი – პატარა კუბიკებად. ქვაბში გააცხელეთ ზეთი, ჩაუმატეთ ნიორი, ხახვი და მოშუშეთ. შემდეგ ჩაყარეთ დაჭრილი კარტოფილი და სტაფილო, ერთი-ორჯერ ამოურიეთ და დაასხით ბულიონი ფორთოხლის წვენთან ერთად. მოაყარეთ მარილი და პილპილი და 25 წუთი თავდახურული ხარშეთ. ამასობაში ნუში მოხალეთ და დაფქვით. მოხარშული წვნიანი ათქვიფეთ ბლენდერში, შეურიეთ ნაღები, დაუმატეთ ცოტა შაქარი და ერთხელ წამოადუღეთ. მზა წვნიანი ამოიღეთ ჯამებში, ჩაუმატეთ არაჟანი, მოაყარეთ ნუში და დაჭრილი მწვანე ხახვი. სუფრაზე ფორთოხლის ნაჭრებთან ერთად მიიტანეთ.










## „ბარაქის ხე“

ბარაქის ხე პოზიტიურ აურას ქმნის სახლში. შეგიძლიათ, საკუთარი ხელით დაამზადოთ. არ გაგიჭირდებათ, მით უფრო, თუ სახლში ძველი და უცხო ქვეყნის წვრილი მონეტები გაქვთ. დახედეთ სურათებს. მოიმარაგეთ ჩარჩო, სილიკონის წებო, ყავისფერი მუყაო. ფონად შეგიძლიათ, გამოიყენოთ ნებისმიერი ფერის მუყაო, ან მაგიდის მუშამბა, რომელსაც მუყაოზე დააკრავთ. მუქი ყავისფერი ქაღალდისგან გამოჭერით ხის ტანი და დააწებეთ ფონზე. „ფოთლები“ მონეტები იქნება. საკმაოდ ლამაზი აპლიკაციაა. მონეტები დააწებეთ ხის ძირშიც და მზა სურათი ჩასვით ჩარჩოში.








## ორიგინალური აქსესუარი

შიფონის ქსოვილისგან შეგიძლიათ ისეთი აქსესუარი გააკეთოთ, რომელიც მრავალფუნქციური იქნება. დახედეთ სურათებს. ამ ყვავილით ჩვეულებრივ სამოსსაც სადღესასწაულო იერს მიანიჭებთ. ძალიან ადვილია. დაჭერით ქსოვილი სხვადასხვა ზომის წრეებად. ბოლოები სანთებელის ალზე აუპრიხეთ და მერე ააწყვეთ ყვავილი, როგორც სურათებზეა ნაჩვენები. შუაგულში ჩაამაგრეთ მძივები. პიჯაკზეც ლამაზია და თმის სამაგრადაც გამოგადგებათ.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 21 ოქტომბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.05** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "ფოტო" **14.05** მხ/ფ "**კაპიტანი ნიუმენი" მედიცინის დოქტო-რი**" (გ.პეკი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **21.49** "კომუნიკატორი" **22.00** სპორტული გადაცემა **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი **00.40** სპორტული გადაცემა **01.15** მხ/ფ "**მამაჩემის ექვსი ცოლი**".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკუ-ლაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.00** "კონტაქტი" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნესკონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგუ-ლი დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ. ფილმი "პროფესია მოგზაური" **16.05 სერიალი "ტატიანა" 17.05 სერიალი "ტატიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერი-ალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ჩემი საყვარელი და" 1.30 სერიალი "ტატიანა"**.

**06.00** სერ. "**კარმა**" **06.30** სერ. "**ბოშა ქალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**საიდუმლო**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ფარული მუქარა**" (ჯ.ტრავოლტა) **02.10** მხ/ფ "**სანელებლების პრინცესა**".

**06.00** შვიდგზის ლოცვა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთი-ადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **10.40** ბავშვები მუზეუმში **11.20** დ/ფ **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.20** კონცერტი **17.00** დ/ფ **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ბედნიერი შეხვედრა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "ბენაშვილები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.30** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 22 ოქტომბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "იპაჰანის სამეფო მეჩეთი" **14.05** მხ/ფ "**ნათურებიანი მხედარი**" (რ.რედფორდი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.00** მხ/ფ "**ბორნის უპირატესობა**" (მ.დეიმონი) **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**სულიერი სამზარეულო**".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკუ-ლაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართუ-ლი **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ჩემი საყვარელი და" 1.30 სერიალი "ტატიანა"**.

**06.00** სერ. "**კარმა**" **06.30** სერ. "**ბოშა ქალი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**საიდუმლო**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** შალვა რამიშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**" (ს.სტალონე).

**06.15** ჩვენი ფონდი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა **07.05** ქართული ალბომი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ბედნიერი შეხვედრა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორა-ტიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.05** ივერიის ეკლე-სია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლობედია **16.10** დ/ფ **16.55** დიდ ხარ შენ უფალო-მოციქულები **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** ქართული ხმები- "სამტრედია" (სამტრედია) **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.25** სალბუნი-ხალხური მედიცინა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** "შუადღე"ერთსულოვ-ნებაზე.

## პარასკევი 23 ოქტომბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **14.05** მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰ ენკსი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.00** მხ/ფ "**კიდევ ერთი წელი**" **00.00** "კომუნიკატო-რი" **01.10** მხ/ფ "**კონსპირატორი**".

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00** ელიტ მოდელ ლუქი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკუ-ლაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონ-

ტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05, 17.05 სერიალი "ტატიანა" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** თოქ-შოუ "პენტაგონი" **23.00 სერიალი "ჩემი საყვარელი და" 1.30 სერიალი "ტატიანა"**.

**06.00** სერ. **"კარმა" 06.30** სერ. **"ბოშა ქალი" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"გზაჯვარედინი" 11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი" 17.35** სერ. **"საიდუმლო" 18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი" 20.55** სერ. **"ნამსხვრევები" 22.00** სერ. **"ჟუმონგი" 00.30** მხ/ფ **"წითელი ნათება"** (რ.დე ნირო) **02.40** მხ/ფ **"წყვდიადის სამეფო"** (მ.შინი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი-ხალხური მედიცინა **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი **17.00** დ/ფ **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-"ნეკრესი" (ლაგოდეხი) **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სვანეთი-ფესვთა ღაღადი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შ ა ბ ა თ ი 24 ოქტომბერი

**08.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 01.00** "მოამბე" **08.10** ან/სერ. **"ცხოველთა სამყარო" 09.10** მხ/ფ **"ნევერლენდი" 11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 12.15** ქართ. მხ/ფ **"ხარება და გოგია" 14.05** მხ/ფ **"მას სიკვდილი უხდება"** (მ.სტრიპი) **16.10** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **17.00** "გურმანია" **17.30** "ღამის სერენადები – **2015**" ლიანა ისაკაძე **18.50 რაგბი**. მსოფლიო თასი. **1/2** ფინალი **20.50** სპორტული გადაცემა **21.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ **"ღარიბი მილიონერი" 01.10** მხ/ფ "მკითხველი" (კ.უინსლეტი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** მხ/ფ **"პოკერი სიყვარულის წესებით" 18.30** იღბლიანი ბორბალი **19.30** გააცინე და მოიგე **21.00** კურიერი - გაბუნია **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** რა? სად? როდის? **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 15.00, 18.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **8.30** დოკ. **სერიალი "ბარტ ვულფი" 9.30 სერიალი "მერცხლის ბუდე" 10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00 სერიალი "დამცინავი ღიმილი" 12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00 სერიალი "ჩვენ გვერდით" 15.30 სერიალი "ჩვენ გვერდით" 16.00 სერიალი "ტატიანა" 18.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **19.05 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.35** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** თოქ-შოუ "SWAT-ანალიზი" **22.30 სერიალი "ჩემი საყვარელი და" 0.00** მხ. ფილმი **"ტერეზა-დ" 2.00 სერიალი "ტატიანა"**.

**08.00** სერ. **"მერლინი" 09.00** მხ/ფ **"ქუჩის ცეკვა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** იმედის გმირები **11.35** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **13.00** კულინარიული დუელი **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი" 17.35** სერ. **"საიდუმლო" 18.45, 19.03** სერ. **"პატარძალი" 20.55** სერ. **"ნამსხვრევები" 22.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4" 6** სერ. **23.00** სერ. **"ჟუმონგი" 01.00** მხ/ფ **"კაცი ჩანთით"** (რ.და კოსტა) **03.00** მხ/ფ **"წითელი ნათება"** (რ.დე ნირო).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ღვთის სახლი **06.40** თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" **06.50** ეპოქის სახელები **07.20** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.35** სიახლენი **10.35** დ/ფ **10.50** კვირიაკე **11.00** გამოყენებითი ხელოვნება **12.10** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები" 1** ნაწ. **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** თაობა ზეტი **16.40** კონცერტი **17.20** გაცოცხლებული წარსული **18.10** დ/ფ **18.35** საქართველოს სამართლის ისტორია **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **19.35** ქართული ალბომი **20.00** ქრისტიანული ხელოვნება **20.50** სიბრძნისმეტყველება-ალექსანდრე მაკედონელი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების სალონი **22.20** შუადღის სტუმარი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ **00.05** დროის ჩანაწერები **01.45** მხ/ფ **"გლადიატორი"** I ნაწ.

## კ ვ ი რ ა 25 ოქტომბერი

**08.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 01.30** "მოამბე" **08.10** ან/სერ. **"ცხოველთა სამყარო" 09.10** მხ/ფ **"ნევერლენდი" 11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 12.15** ქართ. მხ/ფ **"ხარება და გოგია" 14.05** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **14.20** ავტორალი რუსთავის ავტოდრომიდან **15.00, 16.10** მხ/ფ **"ჯეინ ეარი" 17.00** "გურმანია" **17.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **18.00** "ვაშინგტონი დღეს" **18.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **19.30** სპორტული გადაცემა **19.50 რაგბი**. მსოფლიო თასი. **1/2** ფინალი **21.50** სპორტული გადაცემა **22.20** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **23.10** მხ/ფ **"შვებულება"** (კ.უინსლეტი) **01.40** ავტორალი რუსთავის ავტოდრომიდან.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია **09.30** ქ.მხ/ფ. **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **13.30** იღბლიანი ბორბალი **14.30** სიცილის ზონა **15.30** ქერის უბანი **16.00** მარაო **18.30** ექიმები **20.00** კომედი შოუ **21.00** P.S. **23.00** განსხვავებული აქცენტები **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 10.00, 12.00, 18.00 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **8.30** დოკ./სერ **"ბარტ ვულფი" 9.30 სერიალი "მერცხლის ბუდე" 10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00 სერიალი "დამცინავი ღიმილი" 12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00 სერიალი "ჩვენ გვერდით" 15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30 სერიალი "ჩვენ გვერდით" 16.00 სერიალი "ტატიანა" 18.30** გადაცემა "მონიტორი" **19.00 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.35** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** მინი **სერიალი "ალუბლის ბაღი" 0.30** მხ/ფ **"აგონია" 2.00 სერიალი "ტატიანა"**.

**08.00** სერ. **"მერლინი" 09.00** მხ/ფ **"ნამდვილი მამაკაცი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 4" 6** სერ. **13.00** სტუმრად იუმორინასთან **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი" 17.35** საქართველო **20.30** შალვა რამიშვილის შოუ **21.30** ერთხელ საქართველოში **22.00** სერ. **"ჟუმონგი" 00.00** მხ/ფ **"ეს უხერხული მომენტი"** (მ.ტელერი) **01.45** მხ/ფ **"კაცი ჩანთით"** (რ.და კოსტა).

**06.10** მუს.პაუზა **06.20** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.40** კვირ. სიუჟეტი **06.50** თვენი **07.30** მულტ. ფილმი "ტარზანი" **1** ნაწ. **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** სიახლენი **10.25** ივერიის ეკლესია **10.40** შუადღის სტუმარი **11.20** სიბრძნისმეტყველება-ალექსანდრე მაკედონელი **11.30** ქართული ალბომი **12.15** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები" 2** ნაწ. **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.15** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** მუს.პაუზა **15.55** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.40** ბავშვები მუზეუმში **18.30** დროის ჩანაწერები **19.30** მხ/ფ **"გიორგობის თვე" 21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** საქართველოს სამართლის ისტორია **23.15** საღვთისმეტყველო საუბარი **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ **"გლადიატორი"** II ნაწ.

# რომელი ფერის ტანსაცმელია თქვენთვის ბედნიერებისა და წარმატების მომტანი



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ასტროლოგიურად, ცალკეული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულისთვის, კონკრეტული ფერის სამოსის ტარებას ბედნიერება და წარმატება მოაქვს. დააკვირდით, რომელი ფერის სამოსში გრძნობთ თავს მშვიდად და გემართებად ხელი. ასევე, ასტროლოგიური, ქვემოთ მოყვანილი რჩევების მიხედვით გაერკვევით, თუ რომელი ფერია თქვენთვის მისაღები და ბედნიერების მომტანი.***

**ვერძი** – წითელი, მუქი ვარდისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, ღია ყვითელი და მწვანე. ეს ფერები ვერძებში სიმშვიდესა და საუკეთესო გრძნობებს იწვევს. ამასთანავე, ვერძებს მართავენ კონტრასტული ფერები ყვითლისა და ცისფრის შერწყმით. ეს ფერები მათ ხასიათს უსვამენ ხაზს.

**კურო** – მწვანე ფერის ყველა ტონი, ღია ყვითელი, თეთრი და ცისფრის ტონები. აღნიშნული ფერები კუროებს იმედით ავსებს. განაპირობებს მათ პოზიტიურ ხასიათს, განწყობას, რაციონალურ აზროვნებას. ამ ფერების დახმარებით, კურო ყოველთვის ყველაფერს რეალურად აღიქვამს და უარს ამბობს ოცნებაზე.

**ტყუპები** – იასამნისფერი, რუხი, ნარინჯისფერი და ყვითელი. რუხი ტყუპებს ეხმარება, სერიოზულად განეწყოს ამა თუ იმ სიტუაციისადმი და მეტი ყურადღება გამოავლინოს მცირე დეტალებისადმი. ნარინჯისფერი და ყვითელ ტყუპებს ოპტიმიზმით ავსებს და ისინიც მხიარულად უყურებენ ცხოვრებას. იასამნისფერი კი მათ დამაჯერებლობას მატებს.

**კირჩხიბი** – თეთრი, ცისფერი, ვერცხლისფერი, ლურჯი და მწვანე. კირჩხიბებს მართავს მწვანე. მათი გამანეიტრალებელი ფერები კი იასამნისფერი და ნარინჯისფერია. ეს ფერები მათ ეხმარება, ენდონ საკუთარ ინტუიციას და აღივსონ ენერგიით. აღნიშნულ ფერთა გამის საშუალებით, ისინი აკონტროლებენ და ძალიან მარტივად მართავენ საკუთარ თავს.

**ლომი** – მუქი ყვითელი, ყავისფერი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, მწვანე, თეთრი, შავი. მკაცრი ფერები ლომების შინაგან სამყაროსა და მტკიცე ხასიათს გამოხატავს. ლომები ილტვიან შეუზღუდავი ბატონობისკენ და საკმაოდ დიქტატორული ბუნებაც აქვთ. ნარინჯისფერი ყველაზე თბილი და პოზიტიური ფერია. ამ ზოდიაქოს ნიშანს ნარინჯისფერი ენერგიით ავსებს, ეხმარება, იპოვოს ზღვარი სურვილებსა და რეალობას შორის და ამასთანავე, დამაჯერებლობას ჰმატებს მათ.

**ქალწული** – თეთრი, ცისფერი, მწვანე, ლურჯი და ნაცრისფერი. ეს ფერები ეხმარება ქალწულებს, მუდამ აკონტროლონ საკუთარი თავი. ხშირ შემთხვევაში ანეიტრალებს მათ მოსაწყენ ხასიათს და ხალისს სძენს მათ. ნაცრისფერი განაპირობებს მორიდებას, რაციონალურობასა და პედანტურობას. რუხი ქალწულებს ეხმარება, რომ არ გადადგან დაუფიქრებელი ნაბიჯი და ირგვლივ მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე კარგად დაფიქრდნენ.

**სასწორი** – ღია ყვითელი, მუქი ლურჯი, მწვანე და მისი ტონები. სასწორებს აღნიშნული ფერების შერწყმა თეთრთან უყვართ, რაც მათ პოზიტიურ განწყობას განაპირობებს. ეს ფერები ხაზს უსვამს ამ ზოდიაქოს ნიშნის გამომგონებლურ და პიკანტურ ხასიათს. აღნიშნულ ფერთა გამა სასწორების დამშვიდებასა და მოდუნებას განაპირობებს.

**მორიელი** – მუქი ვარდისფერი, მუქი წითელი, წითლის ტონები და ყვითელი. როგორც ცნობილია, მორიელები ემოციურობით გამოირჩევიან, ეს ფერები კი ზუსტად გადმოსცემენ მათ შინაგან სამყაროს. ამ ფერების საშუალებით, ისინი მომთხოვნი, ენერგიულები და საკმაოდ კომუნიკაბელურები ხდებიან.

**მშვილდოსანი** – ცისფერი და ლურჯის ტონები, იასამნისფერი და მწვანე. ეს ფერები მშვილდოსნების კომუნიკაბელურობაზე მიუთითებს. მშვილდოსნებს მართავს წითელი ფერი, მისი გამანეიტრალებელი კი ცისფერი და მწვანეა. ცისფერი მშვილდოსნებში ფილოსოფიური საკითხებისკენ ლტოლვას განაპირობებს, მათში იდუმალებას აღძრავს და აიძულებს მსგავსი სიტუაციების გამორკვევას.

**თხის რქა** – ნებისმიერი მუქი ფერი, დაწყებული ყავისფრით და დამთავრებული შავით. როგორც წესი, ამ ზოდიაქოს ნიშნის მქონე ადამიანები დიდი ფანტაზიით არ გამოირჩევიან. მათთვის მისაღები ფერთა გამაც სწორედ მათ ხასიათს უსვამს ხაზს. თხის რქას უყვარს მკაცრი ტონი. მათი ფერთა გამა ქმნის კონსერვატულობის, სტაბილურობისა და პრინციპულობის ნაკრებს.

**მერწყული** – ყვითელი, ცისფერი, თეთრი. ეს ფერები ხაზს უსვამს მერწყულების სათუთ და საკმაოდ ნაზ შინაგან სამყაროს. აღნიშნულ ფერთა გამა ამ ზოდიაქოს ნიშნებს დადებითად და პოზიტიურად განაწყობს. მათი დახმარებით ისინი მეტად მოსიყვარულენი და ყურადღებიანები ხდებიან.

**თევზები** – იასამნისფერი, ცისფერი, მწვანე, წითელი, მუქი ვარდისფერი, ლურჯი. ეს ფერები თევზების იდუმალ და მელანქოლიურ შინაგან სამყაროზე მიუთითებს. ასევე, ამხელს მათ შინაგან გრძნობებს და უფრო მეტად მიმზიდველსა და სასურველს ხდის საპირისპირო სქესის თვალში.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **ჩემი შვილიშვილი დაიბადა 2006 წლის 20 ოქტომბერს. რა არის მისი კარმული მისია და რომელი პროფესია აირჩიოს მომავალში?**

**პასუხი**: თქვენი შვილიშვილის კარმული მისიაა, იყოს აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი, ლიდერი, უშიშარი მებრძოლი, კეთილშობილი. სადაც შევა, შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია; შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება. პროფესიებიდან კი მისაღებია: პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, საიუველირო ბიზნესი, არქიტექტურა, დიზაინი, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, იურისპრუდენცია, სადალაქო და სამასაჟო საქმე, გასართობი ინდუსტრია, ჟურნალისტიკა, რადიო-ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, პროფესიონალური დიპლომატია, ტურისტული ბიზნესი.

**კითხვა: დავიბადე 1990 წლის 14 თებერვალს. მინდა უცხოეთში წასვლა. იქნებ, მირჩიოთ, ასტროლოგიურად რომელი მხარეა ჩემთვის განსაკუთრებულად მისაღები?**

**პასუხი**: უცხოეთის ქვეყნებიდან თქვენთვის განსაკუთრებულად მისაღებია: გერმანია, მაროკო, უნგრეთი, ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, აფრიკის ჩრდილო-დასავლეთი ქვეყნები, შოტლანდია, თურქეთი, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ჩინეთი, იტალია და უზბეკეთი.

კითხვა: **დავიბადე 1999 წლის 10 იანვარს, საღამოს 9 საათზე. რომელი პროფესიებია ჩემთვის წარმატებების მომტანი?**

**პასუხი**: პროფესიებიდან თქვენთვის წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო სფერო; მედიცინა, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პოლიტიკის ფართო სპექტრი, სამხედრო სტრუქტურები, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო და საინჟინრო საქმე.

**კითხვა: დავიბადე 1995 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე. რომელი ქვის ტარებას მირჩევთ?**

**პასუხი**: თქვენთვის მისაღებია აქატის, მალაქიტის, აკვამარინის, საფირონის, ცირკონისა და ძოწის ტარება.

### ვერძი



მოიმატებს ოპტიმიზმი. გაუმჯობესდება თქვენი გუნება-განწყობა და გარშემო მყოფების მიმართ კეთილგანწყობილი გახდებით. მოერიდეთ რისკს. იყავით გულახდილი. უფრო ღრმა და ემოციური გახადეთ სასიყვარულო ურთიერთობა. კარგია მოგზაურობა და ოჯახის წევრებთან მეტი დროის გატარება.

### კურო



მიუხედავად ენერგიის ნაკლებობისა, დროის უმეტესი ნაწილი საქმეს დაუთმეთ. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. გაუფრთხილდით ავტორიტეტს. ნუ იმოქმედებთ დამოუკიდებლად და პატივი ეცით სხვის აზრს. საჭიროების შემთხვევაში, წადით დათმობაზე. კარგია მოგზაურობა და დასვენება.

### ტყუპები



კარგია სამომავლო გეგმების დასახვა; მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღება კი ჯობია, სხვა დროისთვის გადადოთ. იმოქმედეთ ფრთხილად და ნუ გამოიწვევთ გარშემო მყოფების გაღიზიანებას. თუ გინდათ, რომ თავი კომფორტულად იგრძნოთ, მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებისა და საყვარელი ადამიანის გვერდით. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### კირჩხიბი



მიმდინარე მოვლენები არ მოგცემთ საშუალებას, რამე შეცვალოთ ცხოვრებაში. წარმატებას მოგიტანთ კომერციული საქმიანობა და ახალი ხალხის გაცნობა. ამ პერიოდში კარგია ახალი საქმის დაწყება. სასიყვარულო სფეროში ცვლილებამ კი, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს თქვენზე. თუ ხვდებით, რომ არ ხართ მართალი, ნუ შეეწინააღმდეგებით საყვარელ ადამიანს.

### ლომი



თუ გსურთ ფინანსური მოგების ნახვა, ნუ იმოქმედებთ დამოუკიდებლად და ფარულად. ერიდეთ ფარისეველ ადამიანებს, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ გადაადგილებებისას. კარგია, თუ მეტ დროს დაუთმობთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობასა და .

ოჯახის წევრებთან გულახდილ საუბრებს.

### ქალწული



ნუ შეეცდებით სხვების გაკონტროლებასა და მათი აზრების ამოცნობას. შეინარჩუენთ სიმშვიდე. ნუ იქნებით კონფლიქტური და ეჭვიანი. გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა, თუმცა მოიმატებს ხარჯიც. საყვარელ ადამიანთან კი ნუ იქნებით ზედმეტად მკაცრი და გამოავლინეთ მეტი სითბო. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### სასწორი



მოიმატებს ენერგობალანსი, ინტუიცია და შემოქმედებითი თვითგამოვლენის სურვილი. წარმატებას მოგიტანთ ხელოვნებასთან კონტაქტი. იყავით მეტად შრომისუნარიანი და აქტიური, რათა გაზარდოთ შემოსავალი. ფული კი ხელმომჭირნედ ხარჯეთ. დასახეთ მომავალი მიზნები და გეგმები.

### მორიელი



თავი შეიკავეთ გრანდიოზული გეგმებისგან და შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმიანობით. კარგია პროფესიონალურ საქმეში ახალი კავშირების დამყარება. მეტი ჰარმონია შეიტანეთ სასიყვარულო და საოჯახო ურთიერთობებში. მოერიდეთ მოგზაურობასა და ადგილსამყოფლის შეცვლას.

### მშვილდოსანი



გაუმჯობესდება თქვენი გუნება-განწყობა და მოიმატებს შრომისუნარიანობა. კარგად განვითარდება ფინანსური საქმეები. მშობლები გვერდში დაგიდგებიან ნებისმიერ სიტუაციაში. წვრილმანი პრობლემების გამო ნუ ინერვიულებთ. საყვარელ ადამიანს დასჭირდება თქვენი თანადგომა და ნუ ეტყვით უარს. მოერიდეთ ზედმეტ ხარჯებს.

### თხის რქა



რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე კვირაა, რომელიც ფრთხილად და წინდახედულად უნდა განვლოთ. მოგიწევთ ბევრი მუშაობა. ნუ გამოიყენებთ სხვის ფინანსებს. ნუ გარიკსავთ და არ აჰყვეთ ემოციებს. მინიმუმამდე შეამცირეთ გადაადგილებები და არ გადაიღალოთ.

### მერწყული



მოიმატებს სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენები. გარშემო მყოფების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. იყავით მეტად დამოუკიდებელი და მეტი დრო გაატარეთ ოჯახში. ერიდეთ ახალ სასიყვარულო თავგადასავლებსა და პირად ცხოვრებაში ცვლილებების შეტანას.

### თევზები



იყავით მომთმენი და კონტროლი გაუწიეთ თქვენს ქმედებებს. ნუ მოინდომებთ ყველაფრის ერთიანად გაგებასა და მიღებას. მშვიდად მიჰყევით მოვლენებს. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ საბუთების მიმართ. თავისუფალი დრო კი, ჯობია, სახლში გაატაროთ ან განმარტოვდეთ და დაისვენოთ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი



**ახალმთვარეობა – 11 ნოემბერი, 17 : 45 სთ.**

### ორშაბათი

ზუსტად ჩამოაყალიბეთ თქვენი მიზნები და ისე იმოქმედეთ. იყავით მეტად აქტიური. მოერიდეთ თმის შეჭრას, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირებს, კოსმეტიკური პროცედურების ჩატარებას. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ცისფერი, მწვანე, ლურჯი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნტური დღე

იყავით მობილიზებული. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, ექიმებთან კონსულტაცია, მანქანის შეძენა. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მწვანე იასპი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება. სუსტდება ძვლები, სახსრები, მუხლები, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას, ახლობლებთან ურთიერთობას. აკონტროლეთ ემოციები. ატარეთ ყვითელი, ვერცხლისფერი, წითელი, ვარდისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. იმოქმედეთ ფრთხილად, რათა არ დაუშვათ შეცდომები. კარგია ინტელექტუალური მუშაობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებითვის, მორიელებისთვის.***

### ხუთშაბათი

გამართლებულია ცოტა რისკი. გაუფრთხილდით პარტნიორულ ურთიერთობებს. მოერიდეთ მეგობართა წრეში საიდუმლოს გამხელას. ატარეთ ვერცხლისფერი, ყვითელი, ვარდისფერი, წითელი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია საზოგადოებრივი საქმიანობა, ინტელექტუალური განვითარება, სამეცნიერო კვლევა, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, ჯირკვლები, თვალები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის; თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს შრომისუნარიანობა, მებრძოლი სულისკვეთება, ინტუიცია, ეჭვიანობა და წყენა. მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ მოგზაურობისას. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს. ატარეთ იისფერი, ფირუზისფერი, ლურჯი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო ან ალექსანდრიტი. დაიმახსოვრეთ დღევანდელი სიზმარი. კარგია მოგზაურობა, იურიდიული საქმეების წარმოება, სასიყვარულო კავშირები, ქველმოქმედება. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ გაორებულ და გაუგებარ სიტუაციებს, ახალი საქმის დაწყებას, საიდუმლო საქმეებს, სასიყვარულო კავშირებს, თმის შეჭრას, ურთიერთობების გარკვევას. ატარეთ ლურჯი, იისფერი, ფირუზისფერი, მწვანე ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო ან გიშერი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია ქველმოქმედება, შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა

მოერიდეთ მოგზაურობას, წესებისა და კანონების დარღვევას, სასიყვარულო კავშირებს, თმის შეჭრას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, კამათსა და ზედმეტი ემოციის გამოხატვას. გააანალიზეთ თქვენი ცხოვრება. უსმინეთ სხვების რჩევებს. ატარეთ ყავისფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი, წითელი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – წითელი იასპი, იაგუნდი ან ტოპაზი. კარგია შოპინგი, ვარჯიში, სუფთა ჰაერზე გასეირნება. სუსტდება თავი, კბილები, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***



# სულელური ანდერძი

## ჯონ ნელსონი

პოლიციაში ახალმისულს ძალიან არ მოეწონა, როცა თანაშემწედ ალან ჰაიტს მიუჩინეს. ალანი ერთი შეხედვით სულაც არ გახლდათ სიმპათიური, სამაგიეროდ, ათწლიანი სტაჟი ჰქონდა. ეს იყო დაბალი კაცი, ოდნავ ამომჯდარი თვალებითა და მუდმივად დაუვარცხნელი ხშირი თმით. პერანგი ერთადერთი იყო, რაც სუფთა და მოწესრიგებული ეცვა ხოლმე, დანარჩენი სამოსი კი მუდმივად სავალალო მდგომარეობაში ჰქონდა. თანამშრომლებთან კონტაქტში იშვიათად შედიოდა, მაგრამ ისინი ხშირად მიმართავდნენ ხოლმე დახმარებისთვის. იშვიათი ალღოთი გამოირჩეოდა. ჯეკი ამას მოგვიანებით მიხვდა, როცა პირველ სერიოზულ საქმეზე წავიდნენ. მანამდე მხოლოდ წვრილმანი შემთხვევებით იყვნენ დაკავებულები.

ალანს განსაკუთრებით უყვარდა წიგნები. იმ საღამოსაც, როცა პირველად შევიდნენ დაზარალებულის ბინაში (დაზარალებული რა, მკვდარი იყო უკვე – ფანჯარასთან მოშორებით მდგარ სავარძელში იჯდა და ახალი ჭრილობიდან სისხლი მოჟონავდა), სისხლი ყველგან იყო, თანაც, ბევრი სისხლი. დერეფანი ცნობისმოყვარე მეზობლებით იყო სავსე. სახლის მეპატრონეს საკმაოდ შეშინებული იერი ჰქონდა. თავად ბინა არაფერ ღირებულს არ წარმოადგენდა. პატარა, ვიწრო ოთახში ორი კედელი მთლიანად წიგნის თაროებს ჰქონდა დაკავებული, რამაც ალანი ალაფრთოვანა და ეს ანთებულ თვალებზე შეეტყო... ერთი დიდი სავარძელი, ფაქტობრივად, შუა ოთახში იდგა, რომელზეც იჯდა კიდეც გარდაცვლილი. ჯეკმა თვალი აარიდა. გაიფიქრა – წარმოუდგენელია, როგორი საშინელების მოხდენა შეუძლია ერთ პატარა ტყვიასო. იარაღი სავარძლის მარჯვენა მხარეს ეგდო, სისხლის გუბეში. ჯეკმა კიდევ ერთხელ დაათვალიერა ოთახი. მაგიდა შემინული აივნის კართან მიედგათ. ეტყობა, ბინის ბინადარი მას საწერ მაგიდადაც იყენებდა, რადგან ზედ საბეჭდი მანქანა და ფურცლების დასტა ეწყო. ალანმა წიგნების თვალიერება დაასრულა და გვამთან მივიდა. ჯეკი გააოცა მისმა სიმშვიდემ და იმ გულგრილობამ, რომლითაც ის გასისხლიანებულ გვამს ათვალიერებდა.

– დიდი ხანია, ეს ბატონი თქვენს ბინაში ცხოვრობს? – მიუბრუნდა სახლის მეპატრონეს, – ვინაობაც გეცოდინებათ მისი.

– დიახ, რა თქმა უნდა. ენდრიუ ტორნტონია. ხუთი წელია, რაც ამ ბინაში დასახლდა. წყნარი, მშვიდი ადამიანი იყო, წიგნებისა და ჩარლზ დიკენსის განსაკუთრებული ფანი... მოკრძალებულად ცხოვრობდა, არავის აწუხებდა, საწყალი... რა საშინელი გადაწყვეტილებაა...

– რატომ გგონიათ, რომ თავი მოიკლა? – ეჭვით ჰკითხა ალანმა სახლის მეპატრონეს.

– იმიტომ, რომ ორი თვის წინ პარკინსონის დიაგნოზი დაუსვეს. თუმცა, როგორც ვიცი, ექიმმა ისიც უთხრა, რომ დაავადება საკმაოდ ნელა პროგრესირებდა და უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მისი მდგომარეობა არ დამძიმდებოდა. მაგრამ ადამიანის ხასიათის ამოცნობა ძალიან ძნელია, წინასწარ ვერავინ იტყვის, რას გააკეთებს ან რას არ გააკეთებს...

– მეზობლებიდან ვინმესთან მეგობრობდა მისტერ ენდრიუ?

– როგორც ვიცი, არა. მე ვიყავი ის, ვისაც ზოგჯერ ელაპარაკებოდა ხოლმე.

– მართლა? საინტერესოა. მაგალითად, ბოლოს რაზე ილაპარაკეთ? – დაინტერესდა ალანი და მოსასმენად მოემზადა.

ახალგაზრდა კაცი ჩაფიქრდა:

– იცით, ზუსტად მინდა დეტალები ალვიდგინო... მე ტურისტული კომპანია მაქვს და, მთხოვა, ავსტრალიაში გასამგზავრებელი ბილეთი დამეჯავშნა მისთვის, ასევე, სასტუმროც, პატარა ქალაქ ბარნაბოში... სხვათა შორის, ბილეთი მხოლოდ გასამგზავრებლად, ანუ ერთი მიმართულებით მთხოვა. ასევე, მკითხა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ბარნაბოში მანქანის არენდით აღება...

ალანმა გვამს გახედა და თანაშემწეს მიუბრუნდა:

– ჯეკ, კრიმინალისტები გამოიძახე, აქ მკვლელობასთან გვაქვს საქმე და არა თვითმკვლელობასთან.

– დარწმუნებით ამბობთ, შეფ? ვის უნდა მოეკლა და რატომ? მე მასწავლიდნენ, რომ მკვლელობისთვის მოტივი აუცილებელია...

– გააკეთე, რასაც გეუბნები, ჯეკ! – რას გასწავლიდნენ აქამდე, არ ვიცი, მაგრამ, ამიერიდან ჩემი მეთოდებით ისწავლი. ცნობისმოყვარეებმა დაგვტოვეთ, შემთხვევის ადგილი უნდა დავათვალიეროთ!

მარტონი რომ დარჩნენ, ალანი ჯეკს მიუბრუნდა:

– რატომ მიყურებ, ჯეკ? ვინ ჯავშნის თვითმფრინავის ბილეთსა და სახლს, ან ინტერესდება ავტომობილის არენდით, თუკი თავის მოკვლა აქვს გადაწყვეტილი? გარდა ამისა, საწერ მაგიდაზე დიკენსის ახალი წიგნი დევს და მალაზიის ჩეკიც იქვეა – გუშინ საღამოს უყიდია. ოთხასგვერდიანი წიგნი იყიდა და თავი მოიკლა?!

– კი მაგრამ, მოტივი? რისთვის უნდა მოეკლათ, ამ წიგნებისთვის? – გაოცებით გაშალა ხელები ჯეკმა.

– სწორედ მაგის ამოქექვა მოგვიწევს. დღეს გვიანობამდე ვიმუშავებთ. ჩვენ უნდა ვიყოჩაღოთ, თორემ, ზუსტად ვიცი, ბალისტიკური ანალიზი რა შედეგსაც დაგვიდებს – თვითმკვლელობაც შესაძლებელი იყო და მკვლელობაც! ჰო, კიდევ, ვესტიბიულის კამერების ჩანაწერებიც ამოიღე...

იმავე დღეს, გვიან, კრიმინალისტი, ალანი და ჯეკი ალანის კაბინეტში შეიკრიბნენ. მალე მათ ჯო მარტინიც შეუერთდათ – კერძო დეტექტივი...

– რაც მითხარი, მოგიტანე. ეგ თქვენი ღარიბი ენდრიუ ტორნტონი ოთხი მილიონის მფლობელი აღმოჩნდა. წარმოუდგენელია, ხომ მართალია? მისი რწმუნებული საკმაოდ ძვირად ღირებული კომპანია „ტელერი, ბრაუნი და ჰოკინსია." ენდრიუ ტორნტონს პირადად უმცროსი ჰოკინსი ეკონტაქტებოდა. ახლა, რაც შეეხება ანდერძს. მისტერ ენდრიუ მთელ ქონებას უტოვებდა წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი მისი გარდაცვალებიდან 48 საათის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც რწმუნებულთან განაცხადებდა, რომ ენდრიუ ტორნტონი გარდაიცვალა.

ჯეკმა თვალები დაჭყიტა და ალანს შეხედა, რომელიც ორაზროვნად იღიმებოდა.

– ასეც ვიცოდი. უმცროსი ჰოკინსი მალალია?

– დიახ და ძალიან გამხდარი... – თავი დაუქნია დეტექტივმა.

– ესეც თქვენ მკვლელი, ბატონებო! მაინც, რატომ წერს ეს ხალხი ასეთ სულელურ ანდერძებს? როგორც ჩანს, თავისი გეგმების შესახებ მისტერ ენდრიუ რწმუნებულს გაენდო. ისიც მიხვდა, რომ ოთხი მილიონი ხელიდან ეცლებოდა... ჩვენ რომ არა, დილით აუცილებლად მივიდოდა „ტელერი, ბრაუნი და ჰოკინსის" კომპანიაში ვინმე, მაგალითად, დამლაგებელი და განაცხადებდა, რომ ენდრიუ ტორნტონი გარდაიცვალა. თანამზრახველის პოვნა ძნელი არ იქნება... რას იტყვი, ჯეკ, გამართლდა ჩემი ვარაუდი?! – ალანმა კმაყოფილმა მოიფშვნიტა ხელები.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

# ღალატი სიყვარულისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №27-41(772)

ანას ბუნდოვნად ესმოდა, რას ელაპარაკებოდა კაცი. საღამომ დაქანცა და ძალა გამოაცალა. მისი ფიქრები მაინც ლაშასთან და შვილთან იყო. ლაშაზე ფიქრი აღარ უნდოდა, მაგრამ თავიდან მაინც ვერ იშორებდა, რაც აღაგზნებდა და ამწარებდა.

– დაგღალეთ? – ვახომ სევდიანად გაიღიმა, – ქალებთან საუბარი არასდროს მეხერხებოდა. რაღაცნაირად, არ გამომდის... ვწუხვარ...

ანა გამოერკვა:

– არა, რატომ, კარგი საღამო იყო. უბრალოდ, სამსახურში ძალიან ვიღლები და მერე მოდუნება მიჭირს. ამიტომაც ვიკავებ ხოლმე თავს ასეთი შეხვედრებისგან და პირდაპირ სახლში ვამჯობინებ წასვლას.

– დიახ, მივხვდი, – ვახო უხერხულად შეიშმუშნა, – მაპატიეთ, უნდა ვაღიარო, რომ ეს საღამო ჩემი თხოვნით შედგა... ალბათ, ეს არ უნდა მეთქვა...

ანას გაეღიმა:

– ჰო, ზოგჯერ გულახდილობა საქმეს აფუჭებს, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის. ჩემთან თამაში არ დაგჭირდება.

– მივხვდი, – კაცმა ხელზე გაუბედავად მოჰკიდა ხელი. ანა შეცბა:

– არაფერი მითხრა, გთხოვ.

– კარგი, არაფერს გეტყვი. მხოლოდ გკითხავ... – ვახოს ყოყმანი დაეტყო, – შეიძლება, კიდევ განახო?

ანას ისევ გაეღიმა და მხრები აიჩეჩა:

– არ ვიცი. პრინციპში, შესაძლებელია. მგონი, სუშიზე დაპატიჟებასაც დამპირდი, შენი ხელით მომზადებული სუში საკმაოდ დამაინტრიგებელია.

კაცს თვალები გაუბრწყინდა:

– ესე იგი სუში გიყვარს.

– არ ვგიჟდები, მაგრამ, ზოგჯერ სიამოვნებით მივირთმევ.

– მე საკმაოდ კარგად ვამზადებ.

– ვნახოთ, ამას მერე შევაფასებ. თუმცა, ახლავე გაფრთხილებ: იაპონური სამზარეულოს ექსპერტად არ გამოვდგები.

– ექსპერტობა აუცილებელი არ არის. თუ მოგეწონება, ესეც საკმარისი იქნება ჩემთვის. მოკლედ, შევთანხმდით – ორ დღეში დაგირეკავ.

– შეიძლება, ორ დღეში ვერ შევძლო... პარასკევს შაბათი მოჰყვება და ამიტომაც ამ დღეს შედარებით თავისუფალი ვარ.

– ანუ, მომდევნო პარასკევამდე არ გამოვა ჩვენი სუში-ფართი?

– მართლა არ ვიცი, ძალიან ბევრი საქმეა კლინიკაში, საღამოს კი მინდა, ბავშვთან ერთი საათი მაინც გავატარო, ისედაც ცოტა დროს ვატარებ მასთან.

– გავიგე, – ვახომ ანას ხელი ტუჩებთან მიიტანა და ნაზად აკოცა.

ქალი შეკრთა და ნაჩქარევად დაემშვიდობა:

– ნახვამდის. სასიამოვნო იყო...

– ჩემთვისაც... ძალიან, ძალიან სასიამოვნო იყო... მე მაინც დაგირეკავ...

– კარგი, დამირეკე, – დაეთანხმა ანა და სადარბაზოში გაუჩინარდა. ვახო ერთხანს კიდევ იდგა და უყურებდა მიმავალს.

***

სოფომ მაგნიტოფონი ჩართო და სიმღერას ხმადაბალი ღიღინით ააყოლა ხმა. ნიკამ რამდენჯერმე გახედა ცოლს:

– გეტყობა, კარგ გუნებაზე ხარ. საერთოდ, იშვიათად ღიღინებ, მით უმეტეს, როცა გვერდით მიზიხარ... მაგნიტოფონს ხომ, საერთოდ არ მართვევინებ.

– იმიტომ არ გართვევინებ, რომ შენ ზომიერების გრძნობა არ გაქვს, მე კი ვერ ვიტან, როცა კი არ მღერიან, ღრიალებენ. როცა მანქანაში მარტო ვარ, ყოველთვის ვრთავ მუსიკას და ყოველთვის ვღიღინებ.

– გასაგებია, – ამოიოხრა ნიკამ.

– რა არის გასაგები? – დამცინავი ღიმილით ჰკითხა სოფომ.

– კარგი რა, სურვილი არ მაქვს, გეკამათო. მშვენიერი საღამო იყო და, მინდა, რომ შევირგოთ.

– მაშინ, რატომ ოხრავ?

– იმიტომ, რომ, მგონი, კარგად არ ვიქცევით.

– მოიცა, ვერ მივხვდი, ჩემმა ღიღინმა გაგაღიზიანა?

– ეგ რა შუაშია. ანასა და ვახოს ვგულისხმობ. იცი, რაშია საქმე? მე ხომ ლაშასთანაც ვმეგობრობ და, მაგრად ტეხავს, მისი შვილის დედას რომ ვმაჭანკლობ... კაცურ პონტში არ მოსულა, ხვდები?

სოფო აიფოფრა:

– ძალიან უცნაური წარმოდგენა გაქვს მეგობრობაზეც და მაჭანკლობაზეც. სისულელეა, რასაც ამბობ, დიდი სისულელე.

– ზუსტად ვიცოდი, რომ ვერ გამიგებდი, – ისევ ამოიოხრა ნიკამ, – ქალებს ასეთი რაღაცეები არ გესმით.

– თქვენ გესმით? ლაშას რომ იცავ თავგამოდებით, თვითონ როგორ იქცევა? ადარდებს, ვინმესთან იქნება თავისი შვილის დედა თუ მარტო?

– მერე მე რა შუაში ვარ მაგ ყველაფერთან?

– ჰო, რა შუაში ხარ-მეთქი, მეც სწორედ მაგას გეუბნები.

– სოფო, გიხსნი: ლაშამ რომ გაიგოს, ვახო ანას მე გავაცანი და, კიდევ უარესი – შევახვედრე, ძალიან გაბრაზდება და მართალიც იქნება.

– მერე, არ გაიგოს, რა პრობლემაა, – მხრები აიჩეჩა სოფომ.

– ვაიმე, გადამრევ მე შენ! აშკარად არ გინდა, ცოტა ტვინი გაანძრიო და მიხვდე, რაზე გელაპარაკები.

– მივხვდი, მაგრამ გამოსავალი გიპოვე – არ ეტყვი ლაშას არაფერს და, საერთოდ, მაგას არავინ ეკითხება, ანა ვის შეხვდება.

– არც მე მეკითხება, გესმის, ადამიანო?!

– არა, არ მესმის. ლაშა იდიოტია და, საერთოდ, რაზე ვდავობთ, იმაზე, რომ ანას პირადი ცხოვრების უფლება არა აქვს?

ნიკამ წამით ხელი უშვა საჭეს და აყვირდა:

– სოფო, ნუ გამაგიჟებ!

– საჭეს ხელი მოჰკიდე და ნუ გიჟდები, – გამწარდა სოფო, – ვერ ვხვდები, რატომ იცავ ლაშას და რატომ ხარ მის მხარეზე!

– ჩემი თავის მხარეზე ვარ მე, გაიგე, ბოლოს და ბოლოს! შენ რა იცი, რა გეგმები აქვს იმ კაცს, იქნებ უნდა ეს ქალი და ურიგდება? საერთო შვილი ჰყავთ, ბოლოს და ბოლოს!

– ჰმ, საერთო შვილი! კარგია, რომ შვილზე დაიწყე ლაპარაკი. იცი, მაგ საზიზღარმა ლაშამ რა გააკეთა? საკუთარი შვილის დაბადების დღეზე არ მოვიდა და ანას უთხრა, ნაშას ვხვდები და არ მცალიაო... გეკითხები, გამართლება აქვს მაგის საქციელს? დიახ, ანა ბედნიერებას იმსახურებს... დიახ, ვახოსთან თუ მოახერხებს ურთიერთობის აწყობას, მე მხოლოდ ხელს შევუწყობ.

– კი ბატონო, არ გიშლი, მაგრამ, მე ნუღარ გამრევ ამაში, – ნიკამ სიჩქარეს მოუმატა.

– არც ვაპირებ, როგორმე უშენოდაც შეხვდებიან ერთმანეთს.

– ძალიან კარგი... თუმცა, ლაშასთან მაინც ცუდად გამოვიდა, – თავისას არ იშლიდა ნიკა.

– ლაშა აღარ მიხსენო, თორემ, ვიჩხუბებთ, – გააფრთხილა სოფომ. ნიკამ პასუხად ამოიოხრა და უკმაყოფილოდ გადააქნია თავი.

***

ირინკამ ზანტად გაახილა თვალები და გვერდით მწოლ მამაკაცს გახედა. ლაშას ეძინა. ფანჯრებზე დაშვებული ჟალუზებიდან




## ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდა მზის სხივი. სოფომ მხარზე მოჰკიდა ხელი ლაშას და შეანჯღრია.

– გათენდა... გესმის? ცხრა საათია უკვე.

ლაშამ თვალები მოისრისა და წამოჯდა:

– აუჰ, აქ გავატარეთ ღამე? ჩაგვძინებია.

– რა თქმა უნდა, დავიძინეთ, ისეთი გიჟური ღამის შემდეგ, როგორიც ჩვენ გვქონდა, ეს ბუნებრივიც იყო.

ლაშამ თავი გააქნია:

– ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება.

– რა პრინციპებს? – გაოცებით ჰკითხა ირინკამ და მხარზე მიეხუტა.

– არაფერი. არ არის საინტერესო. რაც მოხდა, ვეღარაფერს ვუშველით. ჩაიცვი, უნდა წავიდეთ.

ირინკამ წყენით გაბუშტა ტუჩები:

– არც კი ვისაუზმებთ? ნომერში შევუკვეთოთ ყავა და კრუასანები, მშიერი ხომ არ წავალ სამსახურში.

– კარგი, შენ შეუკვეთე. დარჩი და ისაუზმე. დარეკე, უთხარი, რაც გინდა და ნომერს მიაწერონ. როცა ჩავალ, გადავიხდი.

– ასე ძალიან გეჩქარება?

– რა მოხდა? – დაიძაბა ლაშა.

– არაფერი. ვერ ვიტან მარტო ჭამას, მადა მეკარგება.

ლაშას გაეცინა:

– მოგიწევს, მადა გაიაქტიურო, იმიტომ, რომ ვერ დავრჩები.

– კარგი, – მხრები აიჩეჩა ირინკამ, – თუმცა, საუზმის გარდა, სხვა რაღაცის იმედიც მქონდა, – მაცდურად მოწკურა თვალები და თითები მკერდზე შეუცურა.

– არა, უნდა წავიდე, – გადაჭრით თქვა ლაშამ და საწოლთან მიგდებულ შარვალს გადასწვდა.

– არ მინდა, თავი მოგაბეზრო და ამიტომ გიშვებ.

– ჭკვიანი გოგო ხარ, – ლაშა დაიხარა და შუბლზე აკოცა, – დაგირეკავ.

– დაგელოდები, – მორცხვად გაუღიმა ირინკამ, – მეც ჩავიცვამ და წავალ.

– რატომ? იყავი... გინდა, მე დავრეკო და შევუკვეთო?

– იყოს, სამსახურში ვისაუზმებ გოგოებთან ერთად. მე შენთან ერთად მინდოდა ყავის დალევა.

– მართლა? საყვარელი ხარ. გპირდები, ერთად აუცილებლად ვისაუზმებთ – ამის დროც მოვა...

***

სოფომ კაფეტერიის კარი შეაღო და იქაურობა ყურადღებით მოათვალიერა. ანა განაპირა მაგიდასთან იჯდა, წინ ნამცხვრის პატარა ნაჭერი და ყავით სავსე ფინჯანი ედგა. სოფომ გაიღიმა და მისკენ გაემართა.

– შენმა მდივანმა მითხრა, კაფეტერიაში ჩავიდა სასაუზმოდო... სიმართლე გითხრა, გამიკვირდა.

– ჰო, დილით ცოტა გვიან ავდექი და ჭამა ვერ მოვასწარი. თანაც, ამ დროს აქ სიხალვათე და სიმშვიდეა. შეიძლება, ყავა დალიო და იფიქრო კიდეც. ხელს არავინ შეგიშლის.

– ესე იგი, ვახოზე ფიქრობ! – წამოიძახა სოფომ.



ანამ ტუჩებზე მიიდო ხელი და მიმოიხედა:

– ჩუმად, არ არის საჭირო, ყველამ გაიგოს.

– მით უმეტეს, ლაშამ, არა? – სოფომ სკამი გამოწია და ანას გვერდით მიუჯდა.

– სიმართლე გითხრა, საერთოდ არ მადარდებს, ლაშა გაიგებს თუ არა. ჯერ ერთი, არაფერი ხდება და, რომც ხდებოდეს, მაგას არავინ ეკითხება.

– ძალიან კარგია, რომ ასე ფიქრობ. მეც ზუსტად მაგას ვეუბნებოდი ნიკას.

ანამ განცვიფრებით შეხედა:

– ნიკას რას ეუბნებოდი?

სოფო შეცბა, მაგრამ მაინც უპასუხა:

– გუშინ, სახლში რომ მივდიოდით, ნიკამ თქვა, მიტყდება, ჩვენ რომ შევახვედრეთ ანა ვახოსო... ლაშასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს და კაცურ პონტში არ მოსულაო.

– ჰო?! შეგიძლია, დაამშვიდო. ისეთს არაფერს გავაკეთებ, რომ მისი მეგობრის ღირსება შევბღალო, – ირონიულად შენიშნა ანამ, – საოცარი ლოგიკა აქვთ კაცებს, მხოლოდ თავიანთ ფსევდოღირსებაზე ფიქრობენ და სასაცილოები არიან.

– ვახო სულ არ მოგეწონა? – თემა შეცვალა სოფომ.

– მომეწონა. ეტყობა, რომ კარგი ადამიანია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

– რატომ, ხომ ამბობ, მომეწონაო?

– არ შემიძლია, სოფო. საკუთარ თავთან ბრძოლას თუ დავიწყებ და წავაგებ... ჩემი შვილის ბედი დევს სასწორზე და მეტი პასუხისმგებლობა მმართებს.

– შენ გაქვს უფლება, გქონდეს პირადი ცხოვრება და ისეთი მამაკაცი გყავდეს გვერდით, რომელიც თქვენზე, ორივეზე იზრუნებს.

ანამ გაიღიმა:

– ვიცი, სოფო, რომ გაგიხარდება ჩემი ბედნიერება, მაგრამ საქმე იმაზე რთულადაა, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. ვახო სასიამოვნო კაცია, სულ ეს არის. შორსმიმავალ გეგმებს ასე ერთი შეხვედრით ვერ დავაწყობ.

– ერთი შეხვედრით რატომ? კიდევ შეხვდი. დაგირეკავს. აშკარად ძალიან მოეწონე. სერიოზული ადამიანია. არც ქარაფშუტაა და არც მექალთანე.

– ჰო, სუში უნდა გამასინჯოს.

– მართლა? – აცქმუტდა სოფო, – ეგ კარგია, უკვე მომწონს.

– რა საყვარელი ხარ... ჯერ თანხმობა არ მითქვამს.

– მაგრამ, უარიც არ გითქვამს, ხომ ასეა? – მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი სოფომ.

– შენ არ იცი... ლაშამ ისე გამიცრუა იმედი და ისე მატკინა გული, მეეჭვება, კაცთან ნორმალური ურთიერთობა გამომივიდეს. მათი ნდობა აღარ მაქვს.

– ლაშას მიმართ ნდობა როგორღა უნდა გქონდეს?

– მარტო ლაშას მიმართ კი არა, საერთოდ აღარავის მიმართ აღარ მაქვს ნდობა...

კაფეტერიის კარი გაიღო და ირინკა შემოფარფატდა, გოგოები დაინახა და მათკენ გაეშურა.

– აქ ხართ? კარგია. ვიფიქრე, ყავას დავლევ-მეთქი... ცოტას წავიჭორავებ თქვენთან. ქალბატონო ანა, ხომ მაპატიებთ ამ ფამილარულ ტონს? კაფეტერია ნეიტრალური ტერიტორიაა და, შეგვიძლია, იერარქიას ყურადღება არ მივაქციოთ.

ანამ ნაძალადევად გაუღიმა და ანიშნა, დაჯექიო. თავადაც ვერ ხვდებოდა, რატომ არ მოსწონდა ეს გოგო. ირინკამ ყავა და ნამცხვარი მოარბენინა...

– რაღაც, ადრე მოგივიდა მოსვლა. მშვიდობა გაქვს? – გაუღიმა სოფომ.

– ადრე ავდექი, ასე გამოვიდა. დილის გეგმები კი ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ჩამეშალა, – მხრები აიჩეჩა ირინკამ, – მაგრამ, არა უშავს. ჯობია, ბრძოლებში შეთანხმებას მიაღწიო, რომ მთავარი ომი მოიგო.

– დარწმუნებული ვარ, კაცს გულისხმობ.

– ჰო, აბა, ვის... ალყა ისე უნდა შემოარტყა, რომ სიამოვნება ორივემ მიიღოთ, სხვანაირად აზრი არა აქვს.

ანამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა სოფოს და მიახვედრა – აცადე, არ შეაწყვეტინო, ილაპარაკოსო.

ირინკამ ყავა მოსვა და გაიცინა:

– კაცები მაინც ძალიან სულელები არიან. მთავარია, მათთვის დაგებული მახე ისე შენიღბო, რომ შენთვის გამიზნული ეგონოთ. ეგრევე ორივე ფეხით გაებმებიან შიგ.

– ირინკა, არ გინდა, ამ ყველაფერზე წიგნი დაწერო? – მოულოდნელად ჰკითხა ანამ, – დარწმუნებული ვარ, დიდი ტირაჟით გაიყიდება და პოპულარულიც გახდები.

ირინკამ ეჭვით შეხედა უფროსს:

– ამას სერიოზულად მეუბნებით?

– რა თქმა უნდა. ისეთი ნიჭი გაქვს, ტყუილუბრალოდ არ უნდა გაფლანგო. თან, იქნებ ჩვენც ვისწავლოთ რამე.

– მერე, კაცებმაც რომ წაიკითხონ და იმათაც ჭკუა ისწავლონ?! ეგ არ მინდა.

სოფომ და ანამ ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კანის დამატენიანებლები და მათი დანიშნულება

ნებისმიერი ხარისხიანი კოსმეტიკური საშუალება შეიცავს დამატენიანებელი ინგრედიენტების 2 ტიპს: ოკლუზიურსა და ტენის დამჭერს. ოკლუზივები მუშაობენ ტენიანი კომპრესის პრინციპით – სახეზე ქმნიან დამცავ ფენას, რომელიც ხელს უშლის ტენის აორთქლებას. ტენის დამჭერებს უწოდებენ ინგრედიენტებს, რომლებიც იზიდავენ წყალს კანში (მაგალითად, ჰაერიდან) და მას იქ აკავებენ.

საუკეთესო დამატენიანებელია:

1) ჰიალურონის მჟავა. მის ერთ მოლეკულას აქვს უნარი, შეაკავოს კანში წყლის 500-მდე მოლეკულა. ჰიალურონის მჟავა ორგანიზმში გამოიმუშავება დაბადებისთანავე. ამიტომაა, რომ თოთო ბავშვის კანი ნაზი და მკვრივია. მაგრამ, წლების მატებასთან ერთად, მისი მარაგი ილევა ტენიანობის უკმარისობის გამო და ჩნდება ნაოჭები.



2) გლიცერინი 200 წელზე მეტია, გამოიყენება კოსმეტოლოგიაში. ის უნარჩუნებს ტენიანობას კანის რქოვანა ფენას და ამ საქმეში მას ჯერჯერობით არ გამოსჩენია კონკურენტი. გარდა ამისა, არბილებს და არ აღიზიანებს მგრძნობიარე კანს.

3) ჰიდროქსიმჟავებს მიეკუთვნება გლიკოლის, რძისა და ხილის მჟავები: ვაშლისა და ღვინის. ისინი მეტად ელასტიკურს ხდიან კანს, რითაც აჩქარებენ მისი ზედა ფენის აღდგენას.

4) პროპილენგლიკოლი არის როგორც ტენის შემკავებელი (დამჭერი), ისე ოკლუზივი. გარდა ამისა, გამოირჩევა მაღალი ანტიმიკრობული აქტივობით. ოღონდ, შესაძლოა, ალერგია გამოიწვიოს.

5) შვრია, კარიტეს ზეთი ძლიერი ნატურალური დამატენიანებლები და პარალელურად ძლიერი ანტიოქსიდანტებიც არიან. მათ უფრო ხშირად შეხვდებით სამკურნალო კოსმეტიკის შემადგენლობაში.

# დათვალე და მიირთვი!

ბიფშტექსი, სალათა, ბლინები, ერბოკვერცხი, შემწვარი კარტოფილი... – ამ ყველაფერს ჩვენ ვხედავთ, აი, კალორიებს კი აქვთ უნარი, უჩინმაჩინის ქუდი „დაიხურონ" და ისე შემოგვაპარონ თავი, უმრავლეს შემთხვევაში – გადაჭარბებული რაოდენობით და შედეგად მივიღოთ ჭარბი წონა და ჯანმრთელობის გაუარესება. ეს რომ არ მოხდეს, წესად უნდა შემოვიღოთ ჩვენი ყოველდღიური რაციონის კალორიების დათვლა.



თუ გაქვთ ფიზიკურად ნაკლებად აქტიური (უმოძრაო) ცხოვრების წესი, თქვენი რაციონის დღიური ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 500 კილოკალორიას; ხოლო, თუ ბევრს მოძრაობთ – ვარჯიშობთ, ცურავთ, დარბიხართ ან დადიხართ ფეხით, შეგიძლიათ, 300-500 კილოკალორია დაამატოთ. ამ კალორიების დაგროვება სხვადასხვანაირად შეგიძლიათ – სხვადასხვა პროდუქტის ვარირებით, თანაც ისე, რომ უარი არ თქვათ თქვენს საყვარელ კერძებზე. საერთოდ, რაც უფრო მრავალფეროვანია მენიუ, მით მეტად არგებს თქვენს ჯანმრთელობას? მთავარია, იცოდეთ, რამდენ კალორიას იღებთ დღის განმავლობაში. ამისთვის კი სულაც არ არის აუცილებელი არითმეტიკა, ანუ ცხიმების, ცილებისა და ნახშირწყლების სკურპულოზური დათვლა-დანგარიშება, ამისთვის სხვა ხერხებიც არსებობს. მაგალითად, შეგიძლიათ, აიფონზე დააყენოთ სპეციალური დანართი კალორიების დასათვლელად ან მოძებნოთ ინტერნეტში დიეტებთან დაკავშირებული საიტები. ჩვენ გაგიმარტივებთ შრომას და შემოგთავაზებთ იმ პროდუქტების ჩამონათვალს ყოველდღიური რაციონიდან, რომლებსაც ყველაზე ხშირად მიირთმევთ და შეგახსენებთ, რომ ამ პროდუქტებს აერთიანებს ერთადერთი რამ – თითოეული მათგანი, მითითებული წონიდან გამომდინარე, შეიცავს მხოლოდ 200 კალორიას და, ამის გათვალისწინებით, შეგიძლიათ, შეადგინოთ დღის მენიუ ისე, რომ მასში შემავალი პროდუქტების კალორიების ჯამი არ აღემატებოდეს 1 500 კილოკალორიას იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურად აქტიური ცხოვრება არ გაქვთ და, 1500+300 (500) კილოკალორია – თუ ფიზიკურად დატვირთული ბრძანდებით:

თევზის ჩხირები – 90 გრამი;
შემწვარი კარტოფილი – 45 გრამი;
ბლინი (1 ცალი) – 70 გრამი;
ბანანი – 1,5 ცალი;
ნაღების კარაქი – 27 გრამი;
ქამა სოკო – 910 გრამი;
ჩვეულებრივი კომბოსტო – 1,5 კილოგრამი;
თევზი თინუსი – 185 გრამი;
ქათმის ფრთა (1 ცალი, თავისი პატარა ბარკლით) – 100 გრამი;
მოხარშული კვერცხი – 1,5 ცალი;
მოხდილი რძე – 400 მილილიტრი;
ცეხვილი პური – 84 გრამი;
ფუნთუშა ჯემით – 70 გრამი;
ჰოლანდიური ყველი – 50 გრამი;
ცუკინი – 1 კილოგრამი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: **ვიცოდი, რომ არსებობს მიცელარული წყალი, რომლის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია თქვენი რუბრიკიდან შევიტყვე. ახლახან კი გავიგე, რომ არსებობს მიცელარული ლოსიონი და მიცელარული ზეთი. თუ შეიძლება, ამიხსენით, რომელი რა დანიშნულებით გამოიყენება?**

პასუხი: არსებობს მიცელარული ლოსიონი „სამი ერთში", რომლითაც შეგიძლიათ, მოიშოროთ მაკიაჟი სახიდან, თვალებიდან და ტუჩებიდან. ამასთან, ის ადვილად უმკლავდება წყალგამძლე მეიკასაც. მასში შემავალი ვიტამინი $B_5$ კი ლოსიონს კანის დამამშვიდებელ უნარს ანიჭებს.

რაც შეეხება მიცელარულ ზეთს, ეს არ არის კლასიკური ცხიმიანი ზეთი, რომლის კანიდან მოშორებაც რთულია. წყალთან ურთიერთობისას მისი ტექსტურა იქცევა კოსმეტიკურ რძედ. მის ფორმულაში შედის კამელიის დამატენიანებელი ცხიმი და ბუნებრივი ანტიოქსიდანტი – ვიტამინი E.

კითხვა: **როდის უნდა წავისვა სახეზე ტონიკი და, გარდა გაწმენდისა, კიდევ თუ აქვს მას რამე დანიშნულება?**

პასუხი: ტონიკით სახე უნდა გაიწმინდოთ გელის, ქაფის, მიცელარული წყლის ან ზეთის გამოყენების შემდეგ. გარდა გაწმენდისა, ის ამზადებს კანს მაკიაჟისთვის.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა გამოვიყენო კრემ-სკრაბი და ძირითადად, რისგან შედგება მაღალი ხარისხის ეს კოსმეტიკური საშუალება?**

პასუხი: კრემ-სკრაბი უნდა გამოიყენოთ კვირაში 1-2-ჯერ – ეს საკმარისია, რომ ღრმად გაწმინდოს ფორები და აქერცვლით მოაშოროს კანს ზედა, რუხი ფერის ფენა. გრანულების გარდა, ხარისხიანი სკრაბი უნდა შეიცავდეს სალიცილის მჟავას, რომელიც აძლიერებს ექსფოლაციას.

კითხვა: **მყავს 40 წლის ვაჟი, რომელსაც პერიოდულად სახეზე უჩნდება აკნე, თან, ძალიან სტკივა. იარა დერმატოლოგებთან, გაიკეთა ანალიზები, მაგრამ ექიმებმა მიზეზი ვერ დაადგინეს. რის გამო შეიძლება, გაჩნდეს ამ ასაკში აკნე?**

პასუხი: ამ ასაკში აკნეს გაჩენის რისკფაქტორებია: ზედმეტი წონა, გარკვეული ჰორმონების სიჭარბე, სტრესი, შთამომავლობითი მიდრეკილება, ზოგიერთი კოსმოტოლოგიური ნაწარმის გამოყენება, საკვები პროდუქტები (მაგალითად, რძე). აკნეს მკურნალობა ინდივიდუალურია და ეს პროცესი უნდა დაიწყოს და ჩატარდეს ექიმის მიერ. თავის მხრივ კი, თქვენს ვაჟს, იმით შეუძლია შეუწყოს ხელი მკურნალობას, რომ სისტემატურად დაიტენიანოს კანი, მოარიდოს სახე მზის სხივებს და არ გამოიდინოს ფერისმჭამელები.



მოამზადა
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### ჩემს გაჩენაში ღმერთს ხელი არ ურევია

შეიძლება ვცოდავ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ უკვე ეჭვი მეპარება, რომ ჩემს გაჩენაში ღმერთს ხელი ურევია. ჯერ იყო და, ჩემმა ბიოლოგიურმა დედამ გაჩენისთანავე გამყიდა. მერე, იმ ცოლ-ქმარმა, რომლებიც თურმე ოცნებობდნენ, შვილი ჰყოლოდათ და ჩემში უზარმაზარი თანხა გადაიხადეს, რამდენიმე თვის შემდეგ, სამშობიარო ტრავმა რომ აღმომიჩინეს (თეძოებიდან ვყოფილვარ ამოვარდნილი) უპატრონო ბავშვთა სახლში ჩამაბარეს. შემდეგ ახალი „მშობლები" გამომიჩნდნენ, ოღონდ, უცხოელები, სამშობიაროს მთავარ ექიმს საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადეს და საქართველოდან წამიყვანეს (ცხადია, ყველაფერი უკანონოდ მოხდა). მერე ეს ამბავი გასკდა, იმ ჩემს ახალ მშობლებს მიაგნეს, ჩემი თავი წაართვეს (ის აღარ ვიცი, ფული დაუბრუნეს თუ არა) და ისევ საქართველოში ჩამომიყვანეს, იმ მოტივით, რომ მათ შვილი კი არა, პატარა, ჯანმრთელი ბავშვის ორგანოების გაყიდვა ჰქონდათ მიზნად. არ ვიცი, მართალი იყო ეს თუ ტყუილი, მაგრამ სასამართლო პროცესები დიდხანს გრძელდებოდა და ქართულ მხარეს თავიანთი მოსაზრების თუ ბრალდების ერთ-ერთ არგუმენტად წამოუყენებია – შვილად თუ უნდოდათ, რაღა თეძოებიდან ამოვარდნილ, ინვალიდ ბავშვში გადაიხდიდნენ ამხელა ფულსო. ის ცოლ-ქმარი ამტკიცებდა, რომ ჩემთვის ოპერაციის გაკეთებას აპირებდნენ. მაგრამ, მოგეხსენებათ, მაშინდელი (საბჭოთა კავშირის დროინდელი) ჰუმანური, თუმცა რკინისებური ლოგიკა: დამპალი კაპიტალისტების არაფერი გვინდა, ჩვენს ბავშვებს თვითონაც მშვენივრად ვუმკურნალებთო და ისევ ბავშვთა სახლში მიმაგდეს, სადაც მკურნალობა კი არა, საკმარისი საჭმელი და სუფთა სახვევებიც (მაშინ პამპერსები არ იყო) კი არ მქონდა. მერე თბილისში ვილაც უცხოელი ქირურგი ჩამოვიდა საჩვენებელი უფასო ოპერაციების ჩასატარებლად და, რადგან ზუსტად არ იცოდნენ, რა რანგის პროფესიონალი იყო ის ქირურგი, საცდელი ბაჭიის ვარიანტში, საოპერაციო მაგიდაზე დამაწვინეს, თან მთელ დედამიწას მოსდეს, როგორ ზრუნავდნენ უპატრონო და ინვალიდ ბავშვებზე.

მოხდა სასწაული (ერთადერთი ჩემს ცხოვრებაში) და ოპერაციამ იმ დონეზე კარგად ჩაიარა, რომ ორიოდე თვეში გავიარე. მერე კიდევ ერთხელ გამყიდეს და ძალიან კარგი ადამიანების ხელში აღმოვჩნდი – როგორც იქნა, ვიგრძენი თავი ბედნიერ და სრულყოფილ პიროვნებად, მაგრამ ორ წელიწადში ჩემი გამზრდელები ავარიაში დაიღუპნენ, მათმა ნათესავებმა კი ისევ ბავშვთა სახლში ჩამაბარეს, რათა მათი ბინისა და ქონების შემცილებელი არ ჰყოლოდათ. 15 წლის რომ ვიყავი, ერთი ჩვენი მასწავლებლის ბიჭს შევუყვარდი, მაგრამ მთელი პერსონალი ჩაერია და იმ ბიჭს ჩემი თავი შეაძულეს, მე კი თავის მოკვლა ვცადე, რადგან მეც მიყვარდა და მის გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო. მაგრამ, გადამარჩინეს და ამის შემდეგ საკუთარ თავში ისე ჩავიკეტე, არავის აღარ ვეკონტაქტებოდი. სკოლა რომ დავამთავრე, ბავშვთა სახლიდან გამიშვეს. რა თქმა უნდა, არსად არ ჩამიბარებია – მოუმზადებლად სად მოვეწყობოდი. სამსახურზე და საერთო საცხოვრებელზე ისევ ბავშვთა სახლმა იზრუნა და დავიწყე ჩვეულებრივი, მოსაწყენი ცხოვრება. მერე ერთ თანამშრომელს მოვეწონე და კარგა ხანს ვხვდებოდით ერთმანეთს, თავისი მშობლებიც კი გამაცნო, მაგრამ, როგორც კი გაიგო, რომ ბავშვთა სახლიდან ვიყავი, მაშინვე მიმატოვა. უკვე ხუთი თვის ორსული ვიყავი და ამიტომ აბორტი ველარ გავიკეთე. ორსულობის გამო საერთო საცხოვრებლიდან გამომაგდეს და, მთლად მარტო, უფულო და უპატრონო ქუჩაში აღმოვჩნდი, თან სამსახურის დაკარგვის საშიშროებაც მელოდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ძალიან ბევრი ტანჯვა და დამცირება გამოვიარე და თავადაც შეუზრალებელი გავხდი, მაგრამ ამან შვება ვერ მომაყენა. რალაცნაირად მოვახერხე ერთი პატარა ოთახის დაქირავება და არანაირ შავ სამუშაოს არ ვთაკილობდი, რომ შვილი მერჩინა, მაგრამ ბავშვი მაინც წამართვეს და ბავშვთა სახლში ჩააბარეს, მე კი დარდისგან სმა დავიწყე. მერე ერთ ღვთისნიერ ქალს შევეცოდე, რალაცით დამასაქმა და ერთი პატარა ნახევრად სარდაფი ოთახი ჰქონდა დაკეტილი და იქ შემიშვა ქირის გარეშე. ხანდახან ფულის გარდა ტანსაცმელ-ფეხსაცმელსაც მაძლევს და საჭმელსაც და ასე გამაქვს თავი, შვილის დაბრუნება კი ვერ შევძელი. ახლა ის უკვე დიდი გოგო იქნება და ნახვასაც არ ვცდილობ – არ მინდა, ჩემ გამო თავმოყვარეობა შეელახოს. ამ წერილსაც იმ ღვთისნიერი ქალის დახმარებით გიგზავნით. მინდა, პატიება ვთხოვო შვილს, რომელიც არც კი მიცნობს, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩვენი დაშორება ჩემი ბრალი არ არის.

**მაგდა, 47 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# უმკლავდები პრობლემებს?

***ჭკვიანი და ზრდასრული ადამიანები პრობლემებს თავად უმკლავდებიან. ეს ნორმალურია, რადგან ამ პროცესში სწავლობ და იზრდები. მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების იწამო. ნახეთ, რამდენად ძლიერი და დამოუკიდებელი ხართ.***

**1. ხშირად ელაპარაკებით ახლობლებს თქვენი პრობლემებისა და წარუმატებლობის შესახებ?**

ა) არა, რადგან ეს საქმეს არ შველის – 3 ქულა;

ბ) რა თქმა უნდა, თუ გვერდით სანდო ადამიანი მყავს – 1 ქულა;

გ) ხშირად პრობლემებზე ფიქრიც კი არ შემიძლია – 2 ქულა.

**2. წარუმატებლობას როგორ იტანთ?**

ა) ყოველთვის ძალიან მტკივნეულად განვიცდი – 3 ქულა;

ბ) დამოკიდებულია გარემო პირობებზე – 2 ქულა;

გ) ვცდილობ, მოვითმინო. ვიცი, რომ ნებისმიერი უსიამოვნება ადრე თუ გვიან მთავრდება – 1 ქულა.

**3. როგორ ფიქრობთ, ფორტუნა გწყალობთ?**

ა) არც ვაქცევ ამას ყურადღებას – 1 ქულა;

ბ) ძალიან მკაცრია ფორტუნა ჩემ მიმართ – 3 ქულა;

გ) კი. მწყალობს – 2 ქულა.

**4. როგორ იქცევით, როცა ძალიან გულნატკენი ხართ?**



ა) მივდივარ საყიდლებზე და ვყიდულობ რაიმე ძვირფას ნივთს ჩემთვის – 2 ქულა;

ბ) მეგობრებთან ვერთობი – 1 ქულა;

გ) სახლში ვიკეტები – 3 ქულა.

**5. როცა ახლობელი გაბრაზებთ:**

ა) ვცდილობ, გული რამე საქმეს გადავაყოლო – 1 ქულა;

ბ) მოვითხოვ მისგან ახსნა-განმარტებას – 2 ქულა;

გ) ყველას მოვუყვები, რომ ძალიან მაწყენინა – 3 ქულა.

**6. რაზე ფიქრობთ, როცა სიბრაზე გაგივლით:**

ა) ბევრ ბედნიერ წუთზე, რომლებიც მქონდა და მაქვს – 1 ქულა;

ბ) სამაგიეროს გადახდაზე – 2 ქულა;

გ) ნეტავი, კიდევ რამდენის მოთმენა შემიძლია – 3 ქულა.

**ნახეთ შედეგი:**

***6-9 ქულა:*** *იოლად ახერხებთ უსიამოვნებას შეურიგდეთ და შეეგუოთ. თქვენი სიმშვიდე და „ცივი" გონება ნამდვილად შესაშურია. პრინციპში, ასე ცხოვრება ადვილია.*

***10-14 ქულა:*** *ძალიან ხშირად უჩივით საკუთარ იღბალს და ცდილობთ, თქვენს ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები სხვებს გადააბრალოთ. ფიქრობთ, რომ ამის შემდეგ თავს უკეთესად იგრძნობთ. აჯობებს, დროულად შეაფასოთ სიტუაცია რეალურად. საკუთარი თავის ფლობა ისწავლეთ და ნახავთ, როგორ გაგიადვილდებათ ცხოვრება.*

***15-18 ქულა:*** *ჯერ კიდევ ვერ ისწავლეთ სწორად შეაფასოთ თქვენი პრობლემები და ისე ებრძოლოთ მათ. სწორედ ამიტომ, მცირე წარუმატებლობა ან უსიამოვნება ძალიან გთრგუნავთ. ეცადეთ, შეძლოთ ძალების მობილიზება და უფრო ადვილად მოაგვარებთ საკუთარ პრობლემებს.*

**ელენე წულუკიძე**

# მძარცველთა საგანძური

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №22-41(772)**

პირველი პოპოვი გამოერკვა და ვასოს ჰკითხა:

– საიდან, კაპიტანო, როგორ მიაგენი?

– ვასილ ანდრეევიჩ, ასეთი გამოთქმაა: ვინც ეძებს, ის პოულობსო. ჰოდა, ვეძებდი და ვიპოვე, – თქვა ვასომ, – მართალია, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად შემთხვევით, მაგრამ, შემთხვევითობაც გარკვეული კანონზომიერებაა და ამან თავისი როლი შეასრულა. აი, მიიღეთ, ყველაფერი თავის ადგილზეა, არც ფულს აკლია კაპიკიც კი და არც საგანძურს.

– კიდევ დიდხანს უნდა გვტანჯო, ძვირფასო ვასო? თქვი, რა მოხდა და როგორ მიაგენი ფულსა და განძს, – უთხრა პოპოვმა ჩხიკვაძეს.



ვასომ განძის მაძიებლებს ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა რაბინ ვაისმანის ამბის გარდა და ბოლოს თქვა:

– აი, ასეთი საჩუქარი მოგვიძღვნა ფორტუნამ.

– სადაა ახლა ის გნიდა? – იკითხა ფიგარომ, რომელსაც მშიერი მგელივით უელავდა თვალები.

– ის რაღაში გვჭირდება? – გაურკვევლად მიუგო ვასომ.

– თავიდან მოიშორე? – ჰკითხა ფიგარომ.

– ეგ როგორ? – კითხვა შეუბრუნა ვასომ.

– დაზრიდე?

– არა, რა დავზრიდე, – მხრები აიჩეჩა კაპიტანმა, – მაგას თავისიც ეყოფა.

– შენი ხმა არ გავიგო, – შეუღრინა პოპოვმა ფიგაროს და კაპიტანს მიუბრუნდა:

– მოსაკლავი კი არის ის დამპალი, მაგრამ, რადგან ასე დასრულდა ყველაფერი, არ ღირს ცოდვის დადება. სადაა?

– ვასილ ანდრეევიჩ, ამით კარგი ამბები არ დასრულებულა, – უთხრა ვასომ პოპოვს და გაიღიმა.

– მართლა?

– დიახ, მართლა.

– თქვი, რაღას უცდი?

ვასომ რაბინ ვაისმანის საგანძურის ამბავი მოუყვა განძის მაძიებლებს, რომლებიც მას პირდაღებულები უსმენდნენ და ბოლოს დააყოლა:

– სიმართლე რომ გითხრათ, მე მაინცდამაინც არ მჯერა ამ ისტორიის, თუმცა, ზალკინს აუჩემებია, სიმართლეაო.

– სიმართლე იქნება, სიმართლე. კარლიკისა და ნუცას მამის განძი ხომ მართლა მოვიპოვეთ და, არც ეს იქნება ტყუილი, – უკიდურესად აზარტულად მიაყარა ფიგარომ, თან ინტენსიურად იქნევდა ხელებს.

– მე შენ რა გითხარი? – კვლავ შეუღრინა ფიგაროს პოპოვმა და ვასოს ჰკითხა: – რატომ ფიქრობ, რომ ეგ ამბავი ტყუილია?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა კაპიტანმა, – მოსკოველ რაბინს თბილისში რატომ უნდა დაემალა საგანძური? თან, მესამე განძი უკვე მეტისმეტია.

– ფორტუნა გვწყალობს, ფორ-ტუ-ნა! – დამარცვლით თქვა ალგზნებულმა ფიგარომ, რომელსაც ისე მოსწყოლოდა სახეზე სისხლი, რომ მისი შემხედვარე ადამიანი იფიქრებდა, – ძარღვები გაუსკდება და სისხლი გამოასხამსო.

ალგზნებული ფიგაროს დანახვაზე პოპოვმა სიცილი ველარ შეიკავა და უთხრა:

– დამშვიდდი, ფიგარო, ტვინში სისხლი არ ჩაგექცეს. ყველაფერი რიგზეა. ნუ ნერვიულობ, მშვიდად იჯექი და დამაცადე.

– ბოდიში, ვასილ ანდრეევიჩ, ძალიან ავღელდი. გული მიგრძნობს, რომ ეს ამბავი სიმართლეა.

აქამდე ჩუმად მყოფმა სედოიმ ფიგაროს ხელით ანიშნა, გაჩერდიო, შემდეგ კი კაპიტანს ჰკითხა:

– სადაა ზალკინი.

– შორიახლოს, – მიუგო კაპიტანმა, – აქ იმიტომ არ მოვიყვანე, რომ, შემეშინდა, არ მოგეკლათ.

– შეგიძლია, მოიყვანო? – მშვიდად თქვა სედოიმ.

– თუ ამას ცუდი არაფერი მოჰყვება, კი.

– სიტყვას ვიძლევი, რომ არა, – მიუგო სედოიმ, შემდეგ დანარჩენებს გადახედა და იკითხა: – რას იტყვით, ვაპატიოთ ზალკინს?

– ვაპატიოთ, – თქვა ყველამ, გენერლის გარდა. პოპოვმა კი პაუზის შემდეგ დაამატა:

– დიდი დამპალი ვინმეა და ბოლომდე მისი ნდობა არ შეიძლება, მაგრამ, მეც თანახმა ვარ.

– ესე იგი, მოვიყვანო? – იკითხა კაპიტანმა.

– მოიყვანე, – ერთხმად მიუგეს განძის მაძიებლებმა.

– კარგი, ახლავე შემოვიყვან, – თქვა ვასომ, – აქვე მყავს დამალული ბუნკერში და დავუძახებ.

– შენ აქ იყავი, მე შემოვიყვან, – თქვა პოპოვმა, ცალ ყავარჯენს დაეყრდნო და ოთახიდან გავიდა. სამიოდე წუთის შემდეგ კი პოპოვმა იური ზალკინი შემოიყვანა სასტუმრო ოთახში და თქვა:

– აი, მოგიყვანეთ, – შემდეგ თავჩაღუნულ ქირურგს უთხრა: – ზალკინ, არაფერს გვეტყვი?

გაფითრებულმა ქირურგმა თავის აუწევლად ამოილუღლუღა:

– მაპატიეთ. სიხარბემ მძლია და დამპლურად მოვიქეცი. ჩემი ბედი ახლა თქვენს ხელშია და ყველაფრისთვის მზად ვარ – გინდათ, მომკალით, გინდათ აქედან გამაგდეთ. რომც გამაგდოთ და დამიჭირონ, თქვენ მაინც არ ჩაგიშვებთ.

ფიგაროს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სედოის კუშტმა მზერამ გადააფიქრებინა და ხმა აღარ ამოუღია. სედოიმ კი მწველი მზერა ესროლა ქირურგს და უთხრა:

– თქვენ რაც ჩაიდინეთ, ჩვენთან ასეთ რამეს არ პატიობენ. მაგრამ, ისეთი ვითარება აეწყო, რომ ჩვენ ეს შევძელით. ბავშვი არ ხართ, რომ მორალი წაგიკითხოთ და არც ვაპირებ. მეც არა ერთხელ ჩამიდენია დანაშაული და მორალისტად არ გამოვდგები, თუმცა, თამაშის მთავარ წესებს ყოველთვის ვიცავდი. ამიტომ, ახლავე შევთანხმდეთ, რომ, თუკი ჩვენთან დარჩებით, მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. რას იტყვით, თანახმა ხართ?

ზალკინმა გაუბედავად ასწია თავი და განძის მაძიებლებს მოავლო მზერა, შემდეგ ამოიხვნეშა და სიგარეტი გააბოლა. რომ დამშვიდდა, მტკიცედ თქვა:

– კიდევ ერთხელ ვითხოვ პატიებას. მადლობელი ვარ, რომ მენდეთ. პირობას ვდებ, აღარასოდეს ჩავიდენ მსგავს საქციელს და, თუკი საჭირო გახდება, თითოეული თქვენგანისთვის თავს დავდებ.

– ძალიან კარგი, – თქვა გენერალმა, – ახლა ვისადილოთ, შემდეგ კი საქმეზე ვილაპარაკოთ.

ნასადილევს განძის მაძიებლები სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, სავარძლებში მოკალათდნენ და პოპოვმა თქვა:

– მეგობრებო, ფორტუნა უნდა დავაფასოთ. ის ამ ბოლო დროს არნახულ საჩუქრებს გვიგზავნის და არ გავანაწყენოთ, რომ ზურგი არ შეგვაქციოს. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს პატიოსნად მოვექცეთ, ერთმანეთის მოტყუება, გაცურება არ განვიზრახოთ და ყველაფერი კარგად იქნება, – გენერალმა პაუზა გააკეთა, განძის მაძიებლებს თვალი მოავლო და დაამატა: – ეს შესავალი იყო. ახლა საქმეზე გადავიდეთ და გადავწყვიტოთ, ვის გავგზავნით თბილისში რაბინ ვაისმანის განძის მოსაძებნად და ჩამოსატანად.

– შენ რას ფიქრობ, ვასკა, ვინ უნდა გაემგზავროს თბილისში? – ჰკითხა გენერალს სედოიმ.

– ჩემი აზრით, ეს ვასომ უნდა გააკეთოს და, შეიძლება, ნუცაც გავაყოლოთ, რომ, თუ საჭირო გახდა, დაეხმაროს, – მიუგო ქურდს გენერალმა.

– კი, სწორი აზრია, – დაეთანხმა სედოი და დანარჩენებს მიუბრუნდა: – რას იტყვით, ვინმეს სხვა მოსაზრება აქვს?

სედოის ყველა ერთხმად დაეთანხმა, კაპიტანს კი გაეღიმა და სედოის უთხრა:

– მე მაქვს განსხვავებული აზრი.

– აბა, გისმენ, – თქვა სედოიმ.

– ნუცასთან ერთად დიმკაც უნდა გამომ-აყოლოთ, – თქვა კაპიტანმა. სედოიმ კი მხრე-ბი აიჩეჩა და მიუგო:

– კი მაგრამ, ის ხომ ინტენსიურ ძებნაშია?

– მერე რა, – გაეცინა ვასო ჩხიკვაძეს, – მას ხომ მე და ჩემი მეგობრები ვეძებთ, ის კი ჩემთან ერთად იმოძრავებს, ჩემი მფარველო-ბის ქვეშ იქნება. თანაც, მას მშვენიერი გრიმ-პარიკი აქვს. ერთი სიტყვით, დიმკასნაირი გა-მოცდილი და საზრიანი კაცი მჭირდება, რომ-ელიც, ამავდროულად, კარგად იცნობს ქალა-ქს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნუცასა და დიმკას წყვილი მჭირდება. უფრო სწორად კი, საქმეს სჭირდება და უნდა წავიყვანო.

– თუ ასე გჭირდება, წაიყვანე, – უთხრა კაპიტანს სედოიმ, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ვასოს დიმკა მხოლოდ იმიტომ მიჰ-ყავდა თბილისში, რომ ბიჭი ნუცას არ დაშო-რებოდა.

კაპიტანს არა მარტო წყვილის დაშორება არ უნდოდა, არამედ ნუცასთან ერთად მარტო მგზავრობაც ეუხერხულებოდა დიმკას წინაშე. თანაც, მართლაც აპირებდა ქალ-ვაჟის აქტი-ურად გამოყენებას განძის მოსაძებნად. მან წინასწარ არ იცოდა, რა დაბრკოლებები შეხ-ვდებოდა ამ საქმეში და, დარწმუნებული იყო, რომ წყვილი მნიშვნელოვან დახმარებას გაუ-წევდა. ვასოს გაელიმა და ნუცასა და დიმკას ჰკითხა:

– რას იტყვით, წამოხვალთ თბილისში?

წყვილი ერთხმად დაეთანხმა ვასო ჩხიკვა-ძეს, კაპიტანმა კი თქვა:

– ხვალვე უნდა გავემგზავროთ, თორემ, ისედაც ბევრი გავაცდინე და ჩემი უფროსი სულ გადაირევა. სამი დღე გზაში უნდა ვიყ-ოთ და სამსახურში რომ გამოვცხადდები, შე-იძლება, კედელთან მიმაყენოს და დამხვრიტ-ოს, – ვასოს გაეცინა. სიგარეტი გააბოლა და პოპოვს უთხრა:

– ვასილ ანდრეევიჩ, ბასოვს ალბათ უნდა ვუთხრა, რომ ძვირფასეულობის გატანის თა-რიღი გადაიწევს, ხომ?

– თარიღი და რაოდენობა. ჩვენ ხომ ჯერ არ ვიცით, თბილისში რას აღმოვაჩენთ? – თქვა პოპოვმა და ვასოს ჰკითხა: – შენ რა, მოსკოვში უნდა გაემგზავრო ბასოვის სანახა-ვად?

– არა, ტელეფონით ვეტყვი. პაროლი წინ-ასწარ შევათანხმეთ განსაკუთრებული შემთხ-ვევისთვის და მიხვდება.

– ძალიან კარგი. მაშინ, დღესვე დაურეკე.

– დავურეკავ, მაგრამ თქვენგან არა.

– რატომ? – გაუკვირდა გენერალს, – ხომ მაინც შეთანხმებული პაროლით უნდა ელაპა-რაკო?

– ჰო, მაგრამ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დიპლომატია, საგარეო საქმეთა სამინისტრო-ში მუშაობს და, გამორიცხულია, რომ არ უს-მენდნენ. რა საჭიროა თქვენი გაშიფვრა? მშვი-დად დავურეკავ ფოსტიდან და მოვიკითხავ – ამაში არაფერია საეჭვო; კომპეტენტურ ორგ-ანოებს უკვე ეცოდინებათ, რომ მისი მეგობრ-ის დის ქმარი ვარ და არ გაუკვირდებათ, რომ ვურეკავ.

– მასე იყოს. შენ უკეთ იცი, ფოსტიდან დაურეკე, – უთხრა გენერალმა და დაამატა: – ჩემი მანქანით წადი.

– ვასილ ანდრეევიჩ, თუ დაღლილი არ ხართ, იქნებ თქვენც წამოხვიდეთ და მატარ-ებლის ბილეთებიც ავიღოთ ხვალისთვის, – უთხრა ვასომ პოპოვს.

– მართალი ხარ, წამოვალ, – თქვა პოპო-ვმა და ჯერ საგარეოდ გამოეწყო, შემდეგ საბუთები აიღო, ბოლოს კი ყავარჯნებს დაე-ყრდნო და ვასოსთან ერთად ლიფტით დაეშ-ვა ქვევით.

კაპიტანმა „ვოლგა“ რომ დაძრა ადგილიდ-ან, მის გვერდით მოკალათებულმა პოპოვმა უთხრა:

– გულახდილად თქვი, იმიტომ აიჩემე დი-მკას თბილისში წაყვანა, რომ ნუცასთან ერთ-ად მარტო მგზავრობა გეუხერხულება დიმკ-ას წინაშე?

– ეს ერთ-ერთი მიზეზია, – მიუგო ვასომ, – გარდა ამისა, ბიჭმა კარგად იცის თბილისი და, რა იცით, რა წინააღმდეგობა შეგვხვდება ვაისმანის განძის ძებნაში?

– და შენ, მილიციის კაპიტანი, ვერ დაძლ-ევდი ამ წინააღმდეგობას დიმკას გარეშე?

– სამნი უფრო იოლად დავძლევთ.

– ჩემგან არ გესწავლება, მაგრამ ძალიან ფრთხილად იმოქმედეთ, ვასო. სადაც სიმდი-დრეა, იქ ხიფათიცაა.

– ხოლო, სადაც დიდი სიმდიდრეა, იქ დი-დი ხიფათია, – დაამატა კაპიტანმა.

– სწორედ ასეა და ამიტომ გაფრთხილებ, – თქვა პოპოვმა.

– მეც უნდა გაგაფრთხილოთ.

– რასთან დაკავშირებით? – ჰკითხა გენე-რალმა ვასოს.

– ზალკინთან დაკავშირებით, – მიუგო კა-პიტანმა, – მართალია, მოინანია თავისი საქ-ციელი და ბოდიშებიც იხადა, მაგრამ მისი ნდობა წამითაც არ შეიძლება. ერთხელ რომ იკადრა, ისევ იკადრებს, თუ, რა თქმა უნდა, საშუალება მიეცა. მით უმეტეს, რომ ახლა თქვენი სახლი ფულითა და ძვირფასეულობი-თაა სავსე.

– დარდი ნუ გაქვს, კაპიტანო, ზალკინს არავინ გაატანს განძს, – გაეცინა პოპოვს, – თან, არა მგონია, ქირურგს ახლა ამისი სურ-ვილი ჰქონდეს.

– ენდობით ქირურგს?

– არა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამდენი ამბის მერე ჭკუა უნდა ესწავლა. თანაც, ამდენ ქო-ნებას ფიზიკურად ვერსად წაიღებს და ჩვენ გარდა არც აქვს სადმე სხვა თავშესაფარი.

– ეგ ღმერთმა უწყის, აქვს თუ არა. ყოვ-ელ შემთხვევაში, მაინც ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ.

– ეგ თავისთავად, ჩემო ვასო. ზალკინს არავინ გაატანს საგანძურს, შეგიძლია, მშვი-დად გაემგზავრო თბილისში და ვაისმანის სა-განძური მოძებნო, – უთხრა გენერალმა კაპ-იტანს და გააბოლა.

პოპოვმა და ჩხიკვაძემ ჯერ ლენინგრად-თბილისის მატარებლის სამი ბილეთი აიღეს მეორე დღისთვის, შემდეგ ვასომ ბასოვს და-ურეკა მოსკოვში და ელაპარაკა.

– ელაპარაკე შენს კონტრაბანდისტ დიპ-ლომატს? – სიცილით ჰკითხა პოპოვმა ვას-ოს, როდესაც კაპიტანი კვლავ „ვოლგის“ სა-ჭეს მიუჯდა.

– დიახ, – მიუგო ვასომ და ძრავა ჩართო.

– რაო მერე?

– არაფერი. როგორც ვვარაუდობდი, ყვე-ლაფერს მიხვდა და ასე მითხრა, დამატებით ინფორმაციას დაველოდებიო.

– პირდაპირ ასე გითხრა?

– დაშიფრულად, ამხანაგო გენერალო, – გაეცინა ვასოს. გენერალმა კი ჰკითხა:

– როგორ გგონია, ვაისმანის საგანძური დიდი იქნება?

– თუ ეს საგანძური არსებობს, წესით, სა-კმაოდ ბევრი უნდა იყოს. თითქმის ერთი საუ-კუნე აგროვებდა მას ებრაელი რაბინი და, ვფი-ქრობ, დიდ ქონებას მოუყრიდა თავს.

– რატომ ფიქრობ, რომ საგანძური არ არ-სებობს?

– ვასილ ანდრეევიჩ, სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ და ჩემი ხელით არ შევეხები, სა-განძური ჩემთვის არ არსებობს. ამიტომ, რო-ცა ვიპოვით, მისი ღირებულებაც მაშინ შევა-ფასოთ.

– კარგი აზრია, – გაეცინა პოპოვს და კა-პიტნისთვის მეტი აღარაფერი უკითხავს.

***

კაპიტანი და ქალ-ვაჟი ლენინგრადიდან „ჩრდილოეთის პალმირათი“ გაემგზავრნენ, სა-ქართველოს დედაქალაქში მშვიდობიანად ჩა-ვიდნენ და, ვაგონიდან რომ ჩამოვიდნენ დღი-ის ცხრის ნახევარი სრულდებოდა.

– ჯერ თქვენ მიგიყვანთ და შემდეგ სახლ-ში წავალ, – უთხრა ვასომ ქალ-ვაჟს და კერ-ძო მანქანას ხელი დაუქნია, თან დაამატა: – იქნებ, მაინც ჩემთან იცხოვროთ სახლში, ან, სულაც – წყნეთში?

– არა, ამხელა ბინა მაქვს და რაღა თქვენ შეგაწუხოთ? – მიუგო ნუცამ კაპიტანს, რომე-ლიც მძღოლს ფასზე შეუთანხმდა და ჯერ წყვილს გაუღო კარი, შემდეგ კი მძღოლის გვერდით მოკალათდა და უთხრა:

– წავედით.

კერძო ტაქსიმ ვაკისკენ აიღო გეზი და თხუ-თმეტიოდე წუთის შემდეგ ნუცას სახლთან გა-ჩერდა. გოგონამ ვასოს უთხრა:

– წამოდით, გვესტუმრეთ, არ გაინტერესე-ბთ, როგორ ვცხოვრობთ?

კაპიტანმა თავი აღარ გამოიდო, ნუცას გა-უღიმა და მიუგო:

– კარგი, წამოვალ. ვნახოთ, როგორ მოეწ-ყვეთ, – შემდეგ კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა.

– ტაქსისტმა ფულის ნაწილის დაბრუნება დააპირა, მაგრამ ვასომ არ გამოართვა და წყვილს უკან გაჰყვა, რომელიც სადარბაზოში შევიდა.

– უკვე კოჭებშივე ეტყობა, რომ მაგარი ბინა უნდა იყოს, – თქვა ვასომ და ლიფტში შევიდა.

– ბინას რომ ნახავთ, ეფექტი მერე ნახეთ, – უთხრა კაპიტანს დიმკამ, რომელიც მანამდე ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა.

ლიფტიდან რომ გამოვიდნენ, ნუცამ ბინის კარი გააღო, ვასო და დიმკა შეიპატიჟა და კარი მიხურა.

– აქა მშვიდობა, – თქვა კაპიტანმა. შემდ-ეგ, ნუცას ნებართვით, მთელი ბინა დაათვალ-იერა და აღტაცებით დაამატა: – შესანიშნავი ბინაა. მამათქვენი ჭკვიანი კაცი იყო და სწო-

რი გათვლა გააკეთა. გილოცავთ!

– გმადლობთ, ვასო. კონიაკიან ყავას მოგართმევთ, – უთხრა ნუცამ კაპიტანს და სამზარეულოსკენ გაემართა, დიმკა და ვასო კი სავარძლებში მოკალათდნენ და, რომ გააბოლეს, კაპიტანმა დიმკას უთხრა:

– მშვენიერი ბინაა. კარგი საჩუქარია ნუციკოსთვის, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს. კიდევ კარგი, რომ იმ დღეს სიფრთხილე გამოიჩინეთ და პირდაპირ კიტიასთან არ ამოხვედით, თორემ, იძულებული ვიქნებოდი, დამეპატიმრებინეთ და ვერაფერს გიშველიდით.

ამ დროს ნუცამ ყავა შემოიტანა, ფინჯნები დაბალ მაგიდაზე დააწყო და ვასოს სიტყვებს ღიმილით დაამატა:

– ვერაფერს გვიშველიდით, ყველაფერი ჩაიშლებოდა, ვერც ზალკინს იპოვიდით და ვერც ვაისმანის საგანძურზე გაიგებდით რამეს. მაგრამ, კარგია ის, რაც კარგად მთავრდება.

– ყველაფერი კარგად მაშინ დამთავრდება, როდესაც განძს ვიპოვით და ყველაფერთან ერთად უცხოეთში წავალთ, – თქვა დიმკამ და სიგარეტი მოქაჩა, აი, მაშინ კი ნამდვილად თავისუფლად ამოვისუნთქავ და სულს მოვითქვამ.

– ჰო, ჯერ ვაისმანის საგანძურიც მოსაძებნი გვაქვს და, თუ ამაშიც გაგვიმართლა, ნამდვილად ვირწმუნებ სასწაულს, – თქვა ვასომ, თუმცა, რაც მანამდე მოხდა და რა საჩუქარიც ბედმა გარგუნათ, შეიძლება ითქვას, რომ ეგეც სასწაულია.

– გეთანხმებით, – თქვა ნუცამ, გაიღიმა და ყავა მოსვა, შემდეგ კი კაპიტანს ჰკითხა: – როდის ვიწყებთ ვაისმანის საგანძურის ძებნას?

– ხვალიდან, – მიუგო ჩხიკვაძემ, – ხვალ დილით სადაზვერვო რეიდს ჩავატარებ და პირდაპირ თქვენთან გამოვალ. დავსხდეთ და მოვიფიქროთ, რა და როგორ ვქნათ.

– რომელ საათზე მოხვალთ? – ჰკითხა დიმკამ, – ცოტა გამოძინების საშუალება მომეცით.

– რა დროს ძილია, ამხელა სიმდიდრე გვივარდება ხელში, – თქვა კაპიტანმა და ღიმილით დაამატა: – თერთმეტამდე არ მოვალ, ასე რომ, ათამდე უნდა გამოიძინო, შემდეგ კი თავი მოიწესრიგე და მზად დამხვდი.

– მე? მე არ წამიყვანთ? – იკითხა ნუცამ.

– აუცილებლად, ნუციკო. ამიტომ, შენც მზად დამხვდი, – მიუგო ვასომ, – და, საერთოდ, მოდი, ერთმანეთს უფრო შინაურულად მივმართოთ და არა თქვენობით. ჩვენ შორის არც ისეთი დიდი სხვაობაა, რომ ასე იყოს საჭირო. რას იტყვით, შევთანხმდით?

– შევთანხმდით, ბატონო ვასო, – თქვა ნუცამ, კაპიტანმა კი ღიმილით მიუგო:

– თუ შევთანხმდით, ჩემო ნუციკო, „ბატონო" რაღა საჭიროა?

– შევთანხმდით, ვასო, – თქვა ნუცამ და დიმკამაც დაამატა:

– შევთანხმდით, ვასო, – და კაპიტანს ხელი გაუწოდა, – დღეიდან შინაურულად ვექცევით ერთმანეთს.

კაპიტანმა საათს დახედა და თქვა:

– ოო, შინაურებო, რა დრო გასულა! თითქმის შუადღეა. ჯერ სახლში უნდა წავიდე, შემდეგ – სამსახურში. თინას თუ გადავურჩი, ჩემი უფროსი მომკლავს. წავედი, წავედი...

– მოიცა, ვასო. შენი სამსახურის ტელეფონი დაგვიტოვე ყოველი შემთხვევისთვის და აქაურიც ჩაიწერე – რა იცი, რა ხდება და რა დროს დაგვჭირდეს ერთმანეთთან დაკავშირება, – უთხრა კაპიტანს დიმკამ და ვასოს ნუცას ბინის ტელეფონის ნომერი ჩააწერინა.

– აი, ეს კი ჩემი სამსახურისაა და ნუცამ თავისი სახელით მიკითხოს, თუკი სხვა აიღებს ყურმილს. შენ კი ასე თქვი, დიმიტრი ვართქო, – უთხრა კაპიტანმა დიმკას, ფურცელზე დაწერილი ნომერი მიაწოდა და კარისკენ გაემართა, შემდეგ შეჩერდა და დაამატა: – ჩემი ბინის ტელეფონიც ჩაიწერე და იმავე პრინციპით დარეკე.

– მახსოვს შენი სახლის ნომერი, – მიუგო დიმკამ.

– საიდან?

– თინიკომ, შენმა მეუღლემ რომ ჩააწერინა პოპოვს, მაშინ დავიმახსოვრე.

– გასაგებია, – გაეცინა კაპიტანს, – თუ დამირეკავთ, იცოდეთ, რომ პირდაპირი ტექსტით არაფერი თქვათ და დაშიფრულად ილაპარაკეთ.

– არის, უფროსო! – მიუგო დიმკამ.

ვასომ დიმკას შეხედა, გაუღიმა, თავი გააქნია და სანამ ბინას დატოვებდა, უთხრა:

– კარგია, რომ ხუმრობ. აი, ვაისმანის საგანძურიც თუ ვიპოვეთ, ხუმრობიდან ზეიმზე გადავალთ.

ვასო ჩხიკვაძე რომ წავიდა, ნუცამ კარი ჩაკეტა, სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და დიმკას ჰკითხა:

– გშია?

– არა, – მიუგო ბიჭმა და გააბოლა, – ყავას კი კიდევ დავლევ, თუ არ შეწუხდები.

ნუცამ მალევე მოადუღა ყავა, წინ დაუდგა და დიმკას უთხრა:

– ხომ კარგი ტიპია ვასო?

– მოგწონს? – კითხვა შეუბრუნა დიმკამ და ყავა მოსვა.

– შენ რა, არ მოგწონს? – კითხვითვე უპასუხა ნუცამ.

– შინაურია, – თქვა დიმკამ.

– შინაურზე მეტია – ახლობელია. ძალიან კარგი კაცია, თინიკოც კარგი გოგოა და, საერთოდ, ძალიან კარგი ხალხია. რამდენი სიკეთე გაგვიკეთეს ყველას და პირადად მე, – ემოციურად თქვა ნუცამ, – რა გგონია, რატომ წამოგიყვანა შენ თბილისში?

– რატომ? – თქვა დიმკამ.

– ვერ ხვდები?

– შენ თქვი.

– რატომ და, ჩემ გამო.

– შენ გამო, რატომ?

– იმიტომ, რომ ერთმანეთს არ დავშორებოდით.

– მართლა?

– და, კიდევ იმიტომ, რომ წესიერი კაცია და ჩემთან ერთად მარტო რომ არ ემგზავრა თბილისამდე, ამიტომ.

– ემგზავრა, მერე რა? – მხრები აიჩეჩა დიმკამ და გაიცინა.

ნუცა დაიბნა და სახე წამოუწითლდა, შემდეგ სიგარეტს მოუკიდა და დიმკას უთხრა:

– არც არაფერი. ისე, უბრალოდ ვამბობ.

– სიგარეტსაც უბრალოდ აბოლებ და ტყუილად იწამლავ ორგანიზმს თუ საამისოდ სერიოზული მიზეზი გაქვს?

– რა მიზეზი? – გაიმეორა ნუცამ და სიგარეტი ღრმად მოქაჩა.

– სერიოზული, – თქვა დიმკამ. ნუცა კი უცებ გალურჯდა და სუნთქვა შეეკრა, თუმცა, კვამლი გამოუშვა, მაგრამ, საშინელი ხველება აუტყდა. მერე დიმკას მოტანილი წყალი შესვა. სული მოითქვა და ბიჭს უთხრა:

– თარსი ხარ. შენი ბრალია, კინაღამ რომ დავიხრჩვი.

– ჩემი კი არა, სიგარეტის, – მიუგო ბიჭმა, ნუცას თავზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად ჰკითხა: – როგორ ხარ?

– ახლა უკვე კარგად, – მიუგო გოგონამ.

– არ გშია? მე მომშივდა. ხომ არ გვესადილა? – გაუღიმა დიმკამ ნუცას და შუბლზე ეამბორა.

ნუცას ერთი სული ჰქონდა, ბიჭს ჩახუტებოდა, მაგრამ, მთელი ნებისყოფა მოიკრიბა, გაუღიმა და უთხრა:

– ჰო, მეც მომშივდა. ახლავე გავამზადებ რამეს.

– ნუციკო, ხომ არ მოგეხმარო? – ჰკითხა ბიჭმა.

– შენ ცოტა გაერთე. მოხმარება არ მინდა თვითონაც გავართმევ თავს, – მიუგო გოგონამ და ჰკითხა, – გინდა, ვიდეოს ჩაგირთავ?

– მე თვითონ ჩავრთავ. შენ საქმეს მიხედე, – უთხრა ბიჭმა და ვიდეომაგნიტოფონი ჩართო.

კაპიტანი ვასო ჩხიკვაძე თორმეტის ნახევარზე მივიდა ნუცასთან და ქალ-ვაჟს მიესალმა:

– შუადღე მშვიდობისა, ახალგაზრდებო.

– გამარჯობა, ვასო, – მიესალმა ნუცა. დიმკამ კი დაამატა:

– ვასოს გაუმარჯოს!

– ყავას ხომ დალევ? – გაუღიმა ნუცამ ახალმოსულს.

– დავლევ, ნუციკო, როგორ არა. ყავით გაჭყეპილი რომ ვიყო, შენს მორთმეულზე უარს როგორ ვიტყვი, ისე საუცხოოდ ამზადებ, – თქვა ვასომ და ნუცას გაუღიმა.

– ახლავე იქნება, – თქვა ნუცამ და სამზარეულოსკენ გაემართა. დიმკამ კი კაპიტანს ჰკითხა:

– რა ქენი, იყავი?

– იქიდან მოვდივარ, – მიუგო ვასომ.

– მერე?

– არც ისე მარტივადაა საქმე, ბევრი საჩალიჩოა, – ვასომ ჯიბიდან „კოდაკის" სურათი ამოიღო და დიმკას მისცა.

– აი, ის ადგილი, სადაც სავარაუდოდ, ვაისმანის განძია შენახული. შემდეგ მაგიდაზე დააგდო და ვასოს უთხრა:

– სულ არ ეტყობა, რომ ყოფილი ეკლესიაა. მაინც, რა პრობლემაა?

– შენობა რომ ყოფილ ეკლესიად აღიქვა, შორიდან უნდა შეხედო, საიდანაც გუმბათი და სამრეკლო მოჩანს, – თქვა ვასომ, – პრობლემა კი ისაა, რომ გაშიფრული ტექსტის მიხედვით, – კაპიტანმა შენობის ფოტო აიღო, შუაში ფლომასტერით წრე შემოხაზა და განაგრძო, – აი, აქაა საგანძური. აქ კი, ხომ ხედავ, ორი საკმაოდ კაპიტალური მინაშენია და ხალხი ცხოვრობს.

– მერე რა, რა დიდი პრობლემაა? – გაეცინა დიმკას. ამ დროს ნუცამ ყავა მოიტანა. მაგიდაზე დადო და თქვა:

– მიირთვი, ვასო.

– მადლობა, ნუციკო, – კაპიტანმა სიგარეტი გააბოლა და ყავა მოსვა, თან დიმკას უთხრა:

– რა და დიდი პრობლემაა, ხომ გითხარი, რომ იქ ხალხი ცხოვრობს-მეთქი.

– მერე, შე კაი კაცო, ფული რისთვის გვაქვს? – ჩაეცინა დიმკას, – ვიყიდით ამ ქეციან მინაშენებს და გავაჩალებთ თხრას. მანამდე ვთხრით, სანამ ვაისმანის საგანძურს არ ვიპოვით.

– კი, ბატონო, მაგრამ აქ ერთი ნიუანსია.

– რა ნიუანსი?

– კურიოზული.

– რა, იმ ქეციან მინაშენებს არ გაყიდიან?

– გაყიდვით, როგორ არა, მაგრამ იქ ოცდაათი ადამიანია ჩაწერილი. სულ თორმეტი ოჯახი გამოდის და ყველა ბინით უნდა დაკმაყოფილო. ეს კი, საკმაოდ დიდი თანხა ჯდება. გესმის ახლა?

დიმკამ დაუსტვინა და თქვა:

– დაარტყამს სამასი ათასს.

– სწორედაც, – დაეთანხმა კაპიტანი, – ფული კიდევ ჯანდაბას, გვაქვს, დავხარჯავთ და შევისყიდით. აქ მთავარი სხვა ფაქტორია.

– რას გულისხმობ?

– რას და, თორმეტ ოჯახს რომ ფულს გადაუხდი და ასეთ ქოხმახებს შეისყიდი, ძალიან საეჭვოდ გამოჩნდება. ამ ფაქტით დაინტერესდებიან კომპეტენტური ორგანოები და კუდზე დაგვასხდებიან. ანუ, ყველაფერი ჩაგვეშლება.

– მართალი ხარ, – თქვა დიმკამ და კაპიტანს ჰკითხა:

– ვასო, საიდან დაადგინე, რომ იქ თორმეტი ოჯახი ცხოვრობს?

– ერთი ბებო გავიცანი და იმან მითხრა.

– ისიც იქ ცხოვრობს?

– კი.

– რაო, კიდევ რა თქვა ბებომ?

– ცუდ საცხოვრებელ პირობებს უჩიოდა და ახალ ბინაზე ოცნებობდა, – თქვა ვასომ.



ნუცამ, რომელიც მანამდე უხმოდ ისმენდა დიალოგს, გაიღიმა და კაცებს უთხრა:

– მე მგონი, ვიცი, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა.

– როგორ? – ერთხმად წამოიძახეს კაპიტანმა და დიმკამ.

– როგორ და იმ თორმეტ ოჯახს სოციალური პროექტით საცხოვრებელი სახლი უნდა აუშენო და ეს არანაირ ეჭვს არ გამოიწვევს. სოციალურ პროექტებს სახელმწიფო აფინანსებს და ფირმებისა და კოოპერატივებისთვის სესხს გამოყოფს. ამიტომ, სასწრაფოდ ასეთი პროფილის კოოპერატივი უნდა შევქმნათ და საქმეს შევუდგეთ.

– ცოტა გაუგებარია, – თავი გააქნია დიმკამ.

– რა არის გაუგებარი? – ჰკითხა ნუცამ.

– რა და, ამ სოციალური პროექტებიდან სამშენებლო კოოპერატივსა და ფირმას რა ხეირი აქვს?

– ძალიან დიდი, – გაეცინა ნუცას.

– კონკრეტულად?

– კონკრეტულად ის, რომ თუკი ოცდაოთხბინიან სახლს ააშენებ, ნახევარში იმ თორმეტ გაჭირვებულს შეასახლებ, მეორე თორმეტს კი გაყიდი. ფულს მოიგებ, სახელმწიფო ვალსაც გადაიხდი და ფულიც დაგრჩება. მიხვდი?

– ახლა კი... – გაეცინა დიმკას. კაპიტანმა კი თავი გააქნია და თქვა:

– მაინც არაფერი გამოვა. ყოველ შემთხვევაში, ასე მალე.

– რას გულისხმობ, ვასო? კოოპერატივის დარეგისტრირებას, სესხის აღებასა და დოკუმენტაციის შედგენას სულ რაღაც ერთ კვირაში მოვახერხებთ. მხოლოდ ათი ათასამდეა გადასახდელი.

– მაგას არ ვგულისხმობ.

– აბა, რას?

– რას და, იმ უბინაოებს მანამდე ვერ გამოიყვან იმ ბინებიდან, სანამ ახალ სახლში არ შესახლდებიან, ანუ სადღაც წელიწადი – წელიწად-ნახევარი.

ნუცას გამომეტყველებიდან ნათელი იყო, რომ მას უკვე მზად ჰქონდა პასუხი. გოგონას გაეღიმა და მიუგო:

– ისე მოვაწყობთ, რომ იმ ხუხულებს დავწვავთ და მის მობინადრეებს ბინებს ვუქირავებთ. იქ კი გამწმენდ სამუშაოებს ჩავატარებთ და სინამდვილეში, განძს მოვძებნით.

– არ გეწყინოს, ნუციკო, მაგრამ გამოცდილი ბოროტმოქმედივით აზროვნებ, – ჩაეცინა კაპიტანს, – კარგი იდეაა. ცოტა უნდა დავხვეწოთ და ყველაფერი რიგზე იქნება. ყოჩაღ!

– ესე იგი, მოგეწონათ?

– კი, – მიუგო ვასომ. დიმკამ კი დაამატა:

– სწორია ვასო, ნაღდი „პრისტუპნიკივით“ აზროვნებ.

– ესე იგი, კოოპერატივს ვქმნით, – თქვა ნუცამ, – დამფუძნებლებიც ვიცი.

– თქვი, – უთხრა ვასომ.

– მე და შენი მეუღლე – თინიკო, – თქვა ნუცამ.

– შენ და თინიკო? – გაიმეორა კაპიტანმა.

– არ მოგწონს? – გაეცინა ნუცას.

– რატომ არა, მაგრამ ქალები ხართ და აბა, რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ვასომ.

– ქალები რომ ვართ, სწორედ ესაა ჩვენი პლუსი. საქმეებს უფრო ადვილად მოვაგვარებთ. თანაც, სოციალური პროექტი უფრო ქალური და ჰუმანურია, ვიდრე კაცური. ერთი სიტყვით, თუ წინააღმდეგი არ ხართ, შეგვიძლია, ხვალვე დავიწყოთ მოქმედება მე და თინიკომ.

– თანახმა ვარ, – გაეცინა კაპიტანს.

– მეც, – დაამატა ვასომ.

– მაშინ, ისლა დაგვრჩენია, თინიკოც ჩავაყენოთ საქმის კურსში და მისი აზრიც გავიგოთ.

– კი ბატონო. თინიკოს ახლავე დავურეკავ. სახლშია და გამოვიყვან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


**ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲘ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲐ!**



**ფაფალა დადიანის შვილიშვილი – ნათია, ბავშვობიდან, 54 წელია, ხალხის სამსახურშია. არის სასწაულმოქმედი, რაც უკვე დაამტკიცა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, უცხოეთის ბევრ ქვეყანაშიც. კოლხი ნათია მუშაობს შემდგენაირად: ჯერ დიაგნოზს უსვამს პაციენტს (როგორც ჯანმრთელობაზე, ისე შავ ძალებზე), ამის შემდეგ კი აკეთებს მოხსნას, აღდგენასა და დამცავ ამულეტებს:**

**1) ჯანმრთელობის აღდგენა; 2) ოჯახის შექმნა-შენარჩუნება, 3) ბარაქა; 4) ნევროზი-ფსიქოზი; 5) უშვილობა; 6) ბედის ჩაკეტილობის მოხსნა; 7) ბიზნესში წარმატება; 8) გზის გახსნა; 9) უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა.**

**ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲝ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 599 987-425. skype: bulvarzelioni**

# ქართველი კრიმინალის გაქცევის ეპიზოდი ამერიკული პენიტენციალური სისტემის სასწავლო წიგნშია შეტანილი



**პირველი საქმე**

1916 წელს დაბადებული ნოდარ ქურციკიძე სეიფების მძარცველი, ანუ, „მედვეჟატნიკი“ იყო. პირველი დანაშაული მან 1935 წელს, 19 წლის ასაკში ჩაიდინა. ნოდარმა მაშინ ეგრეთ წოდებული „მუშურ-გლეხური სასწავლებლის“ სეიფი გახსნა და იქიდან 39 ათასი მანეთი გაიტაცა, რომელიც პედაგოგთა ხელფასებისთვის იყო განკუთვნილი. ნოდარი თავად სწავლობდა ამ სასწავლებელში. მან გვიან ღამით მოახერხა სახურავზე აძრომა. შემდეგ, თოკით დაეშვა მეორე სართულზე, სადაც დირექტორის კაბინეტი იყო. სწორედ იქ იდგა ფულით სავსე სეიფი. ქურციკიძემ წინასწარ დამზადებული „ატმიჩკა“ მოარგო საკეტს და კაბინეტში უპრობლემოდ შევიდა. შემდეგ „ბრანდის“ სამმაგკლიტიანი საიმედო სეიფი წუთნახევარში გახსნა და ფული გამოიღო. ნოდარს თავისუფლად შეეძლო, იმავე გზით წასვლა, რომლითაც შემოვიდა, მაგრამ მან იმპროვიზაციას მიმართა. ქურციკიძე პირველ სართულზე ჩავიდა და ტუალეტში ეგრეთ წოდებული „დიმაუშკა“ გაუშვა. სანამ ორი დარაჯი ტუალეტისკენ გაემართა, იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა იქ, ნოდარმა სულ რაღაც თხუთმეტ წამში გახსნა შენობის მასიური კარი. ცენტრალური გასასვლელიდან გავიდა და ფულიანად მიიმალა. კრეატიული მძარცველის დაკავება მხოლოდ თვე-ნახევრის შემდეგ მოხერხდა, თანაც იმიტომ, რომ წინდაუხედავად იქცეოდა. ნოდარი ყოველ საღამოს ფეშენებელურ რესტორნებში ვახშმობდა, დილამდე ატარებდა იქ დროს და „ჩეკას“ მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. როდესაც სახლში მიაკითხეს და მისი ბინა გაჩხრიკეს, ტახტის ქვეშ დამალული 35 ათასი მანეთი უპოვეს. კუპიურები საბანკო ქაღალდში იყო გახვეული. ნოდარ ქურციკიძე გაასამართლეს, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და იმ 4 ათასი მანეთის ანაზღაურებაც დააკისრეს სახელმწიფოსთვის, რომელიც მან დროსტარებაში დახარჯა.

**გაქცევისადმი მიდრეკილი**

შავ სამყაროში ნოდარ ქურციკიძეს „ნემსი“ შეარქვეს. ეს მეტსახელი კი იმის გამო შერჩა, რომ საპყრობილეში დიდი ხნით გაჩერება არ უყვარდა და ხშირად გარბოდა. „ნემსია, ნამდვილი ნემსი. ყველა ხვრელში შეუძლია, გაძვრეს...“ ასე ახასიათებდნენ ნოდარს „კოლეგები” და ეს მეტსახელი მას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. ნემსის ოპერატიულ საქმეში ხაზგასმით ეწერა: „მიდრეკილია გაქცევისადმი და მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება“. ამის გამო ქურციკიძეს ყველაზე საიმედო საკანში ათავსებდნენ და კოლონიაში თითქმის არასდროს უშვებდნენ. სწორედ მორდოვიის №9 მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიიდან მოახერხა ქურციკიძემ პირველი გაქცევა და ეს ძალიან ორიგინალურად განახორციელა. 1936 წლის დეკემბრის სუსხიანი ღამე იდგა. 02 საათსა და 25 წუთზე ნემსი ჩუმად გამოვიდა ბარაკიდან და სამუშაო ზონაში გადაიპარა, სადაც მას საკუთარი ხელით გაკეთებული თხილამურები ჰქონდა დამალული. ნოდარი სამსართულიანი შენობის სახურავზე აიპარა. თხილამურები მყარად მოირგო ფეხებზე და 18 მეტრის სიგრძის, მოყინულ სახურავზე სწრაფად დაეშვა... ნოდარს იქ წინასწარ ჰქონდა გაკეთებული ტრამპლინი. მან ეს მაშინ მოახერხა, როცა სხვა პატიმრებთან ერთად, სახურავიდან თოვლს ყრიდა ძირს. მორიგმა დიდთოვლობამ სახურავი უკვე სატრამპლინო ტრასად აქცია და ქურციკიძის გათვლამ გაამართლა. ის დიდი სისწრაფით დაეშვა, ჰაერში 40 მეტრი იფრინა, სამ მავთულხლართს გადააფრინდა და გაიქცა... იმავე თხილამურებით ნემსმა ერთ ღამეში 20-კილომეტრიანი, დათოვლილი ტაიგა გაიარა და სამშვიდობოზე გავიდა. ამ ფანტასტიკური გაქცევის შემდეგ, ქურციკიძეს ორი წელი ეძებდნენ. ამ დროში მან სამი მსხვილი საქმე გააკეთა, ძარცვა ჩაიდინა და სახელმწიფო 200 ათასი მანეთით აზარალა. ის მხოლოდ 1938 წელს დააკავეს ქალაქ ვლადივოსტოკში და „კაპეზეში“ მოათავსეს, შემდეგ კი ეტაპით მოსკოვში გაგზავნეს. მაგრამ, დაუდეგარმა „მედვეჟადნიკმა“ ბადრაგების ძილით ისარგებლა. „სტოლიპინკის“ (ციხის მატარებლის ვაგონი) სამი საკეტი გახსნა და გაიქცა.

სხვათა შორის, ნემსის თხილამურებით გაქცევის ეპიზოდი ამერიკული პენიტენციალური სისტემის სასწავლო წიგნშია შეტანილი და დაწვრილებითაა განხილული.

**სიკვდილის იმიტაცია**

ნოდარ ქურციკიძე 1940 წელს დააკავეს და 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თან ქალაქ ვლადიმირის „კრიტში“ (მკაცრი რეჟიმის დახურული ციხე) გამოამწყვდიეს, საიდანაც გაქცევა შეუძლებელი იყო და დღემდე ასეა... ნემსმა იქ 13 წელი გაატარა. 1953 წელს კი სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ეგრეთ წოდებული „ბერიას ამნისტიით“ გაათავისუფლეს. მას პასპორტი ჩამოართვეს და მისცეს ცნობა, რომელშიც ეწერა, რომ 7 წლის განმავლობაში ეკრძალებოდა დიდ ქალაქში ცხოვრება. მოსკოვს კი 500 კილომეტრის რადიუსით არ უნდა გაჰკარებოდა... ქურციკიძე ურალის ერთ პატარა დაბა კრისტალნაიაში გაამწესეს და მკაცრი ზედამხედველობა დაუწესეს. თუმცა, ნოდარმა სიკვდილის იმიტაცია გაითამაშა და კრისტალნაიადან გაიქცა... მან ათეულობით თვითმხილველის თვალწინ „გონება დაკარგა“ და მდინარეში ჩავარდა, რომელიც დიდი სისწრაფით ეშვებოდა ქვევით. ნოდარმა წყალქვეშ გაცურა. უკაცრიელ ნაპირზე ამოვიდა და მოსკოვში გაემგზავრა. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მან ყალბი პასპორტი იშოვა არტურ მიქოიანის სახელზე და ახალი საქმის მომზადებას შეუდგა.

1957 წელს ნემსი მოსკოვის №3 შემნახველ სალაროში დარაჯად მოეწყო. 1958 წლის 9 აგვისტოს კი სიგნალიზაცია გათიშა, ორი უზარმაზარი სეიფი უპრობლემოდ გახსნა, 470 ათასი მანეთი გაიტაცა და იმავე ღამეს თბილისში გამოემგზავრა მატარებლით. ბილეთი მას წინასწარ ჰქონდა შეძენილი... სანამ მილიცია ცხელ კვალზე ცდილობდა ბოროტმოქმედის დაკავებას, რომლის ვინაობაც არ იცოდნენ, ნემსმა 400 ათასი მანეთი სვანეთის უბანში, თავისი ბავშვობისდროინდელი შეყვარებულის, ირინე თაყაიშვილის სარდაფში ჩუმად და საიმედოდ გადამალა. 70 ათასი მანეთით კი შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა. იქ სხვა ყალბი პასპორტი იშოვა იური ტკაჩენკოს გვარზე და ქალაქ ვლადივოსტოკში დასახლდა. იქ მან კერძო კარ-მიდამო შეიძინა და „ფსკერზე დაწვა“... შესაძლოა, ნემსს არც კი განეახლებინა თავისი ძველი საქმიანობა, მაგრამ 1961 წელს საბჭოთა კავშირში ფულის რეფორმა განხორციელდა და 400 ათასი მანეთი, რომლის გაცვლაც ქურციკიძემ ვერ მოასწრო, მაკულატურად იქცა.

ნოდარ ქურციკიძე 1963 წელს კიევში საკუთარ ქორწილში დააკავეს და 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, კიევის №12 შემნახველი სალაროს გაძარცვის გამო, საიდანაც 61 ათასი მანეთი მოიპარა. ნემსი 8 წელიწადში გამოვიდა ციხიდან. კიევში დასახლდა და შთამომავლობის გარემოცვაში ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

**ნიკა ლაშაური**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | | ტ | | ა | ი | მ | რ | ა |
| გ | უ | ლ | ა | დ | ი | | ე | | ლ |
| | ზ | | რ | | მ | ა | ს | რ | ა |
| ჯ | ე | ბ | ი | რ | ი | | ხ | | კ |
| | უ | | ე | | ქ | კ | ე | ფ | ა |
| ი | მ | ა | ლ | ტ | ა | | თ | | გ |
| რ | ი | | ი | | რ | კ | ი | ნ | ა |
| ე | | ხ | | ე | ხ | ი | | ი | მ |
| პ | ა | ვ | ა | | ა | ლ | ა | კ | ე |
| ა | | ა | | ა | ნ | ძ | ა | | მ |
| ნ | ი | ვ | ე | ლ | ა | ვ | კ | ა | ნ |
| ი | ლ | ი | დ | ე | | | | | ო |
| | თ | | ი | | | | | | ნ |
| შ | ა | უ | რ | ი | | | | | ი |
| | ს | ი | ბ | | | | | | |

**ადვილი ამოცანა**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 8 | 6 | 7 | 1 | 4 | 2 | 9 |
| 7 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 8 | 1 |
| 4 | 6 | 1 | 8 | 9 | 2 | 3 | 7 | 5 |
| 8 | 1 | 4 | 9 | 5 | 3 | 7 | 6 | 2 |
| 9 | 7 | 3 | 2 | 6 | 8 | 5 | 1 | 4 |
| 6 | 2 | 5 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 4 | 9 | 7 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 2 | 4 | 7 |

**რთული ამოცანა**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 7 | 9 | 2 | 3 | 1 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 8 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 3 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 | 7 | 8 |
| 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 |
| 7 | 1 | 2 | 5 | 6 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 5 |
| 5 | 8 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 4 | 2 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. სპარტას. 2. ვენტილატორი. 3. შავი ყუთი. 4. რეზუს-ფაქტორი. 5. ნაპოლეონ ბონაპარტეს. 6. გასაღებს გისოსებზე ატარებდნენ. მთელი და დაზიანებული მეტალი სხვადასხვა ხმას გამოსცემს. 7. დაქტილოსკოპია – თითის ანაბეჭდი. 8. სახელის შემდეგ ტიტული მიანიშნებს, რომ ის გაყრილია მეუღლესთან. 9. პილატე პონტოელი. 10. პროვოკატორი.**

# ქალმა ყოფილი მამამთილის დასაყაჩაღებლად დანაშაულში მეორე ქმარი ჩაითრია



61 წლის გერმანე ფ-ავას ნაწამები ცხედარი მეზობლებმა მის საკუთარ სახლში აღმოაჩინეს. მამაკაცი საძინებელში სკამზე იყო მიბმული, სხეულზე დანით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა, სასიკვდილო დაზიანება კი ყელის არეში ჰქონდა მიყენებული – ეს მოგვიანებით სამედიცინო დასკვნით დადასტურდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით ცხადი გახდა, რომ დანაშაული დაკავშირებული იყო ყაჩაღობის ფაქტთან: წინასწარი ინფორმაციით, ბინიდან გატაცებული იყო თანხა და ძვირფასი ნივთები, რაც დადასტურდა გარდაცვლილის მეუღლის ჩვენებითაც. გამოძიების მასალების მიხედვით, გერმანე ფ-ავა, რომელიც ორი სასურსათო მაღაზიის მფლობელი იყო, წლების განმავლობაში მარტო ცხოვრობდა. მისი მეუღლე უცხოეთში მუშაობდა 33 წლის შვილთან ერთად, რომელიც დედასთან მას შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად, რაც საქართველოში ცოლს გაშორდა. გერმანე ფ-ავას ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა. მას საკუთარი შემოსავალიც ჰქონდა ორი მაღაზიიდან და, ასევე, მეუღლის მიერ გამოგზავნილ ფულსაც აბანდებდა ახალი სახლის მშენებლობაში. გერმანე ფ-ავას ახლობლების დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ გარდაცვლილი კარგი რეპუტაციით სარგებლობდა მეზობლებში, ის ყველას ეხმარებოდა, რის გამოც მის მიმართ ყველა კარგად იყო განწყობილი.

ამონაწერი მოწმის, ლეილა კ-იანის ჩვენებიდან: „ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობა მაქვს. მას შემდეგ, რაც გერმანეს მეუღლე, მანანა, უცხოეთში წავიდა სამუშაოდ, მარტო დარჩენილ გერმანეს უფრო დავუახლოვდით. ყოველ საღამოს ან ის შემოდიოდა ჩვენთან, ან მე და ჩემი მეუღლე მოვიკითხავდით ხოლმე. ჩვენ მეორე სართულზე ვცხოვრობთ. იმ დღეს გვიან საღამოს აღმოვაჩინე, რომ გერმანე სახლში არ იყო. ჩემმა მეუღლემ მის ტელეფონზე დაიწყო რეკვა, მაგრამ მან არ გვიპასუხა. ბინის კარი დაკეტილი იყო. დილით, როცა გერმანე კიდევ არ გამოჩნდა და არც ტელეფონს უპასუხა, ჩემს ვაჟს ვთხოვე, აივნიდან გადასულიყო მის ბინაში. მივხვდით, რომ ტელეფონი სახლში ჰქონდა დატოვებული, რადგან ზარი გვესმოდა აივნიდან. გერმანეს გული აწუხებდა და, ისიც კი ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი. ჩემი ვაჟი მისი აივნიდან გადავიდა და კარი გამიღო. მე და ჩემმა შვილმა პირველებმა ვნახეთ მისი ცხედარი. სახლში შევედი თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა – ყველაფერი აყრილ-დაყრილი იყო, გერმანე კი საძინებელში სკამზე იყო მიბმული. სახე და მთელი სხეული დასისხლიანებული ჰქონდა...”

გამოძიების მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, სახლის კარი გასაღებით იყო დაკეტილი. სავარაუდოდ, ბინაში დამნაშავე კარიდან იყო შესული, რადგან ყველა აივანს ჩაკეტილი გისოსები ჰქონდა შემორტყმული. ის შესასვლელი კი, რომლითაც მეზობელი ბიჭი მოხვდა ბინაში, მხოლოდ ძალიან ახლობელს შეიძლებოდა სცოდნოდა. ბინაში გახსნილი აღმოჩნდა სამზარეულოში დამონტაჟებული სეიფი, საიდანაც, როგორც მოგვიანებით დადგინდა, 5 ათასი დოლარი იყო გატაცებული. გარდაცვლილი მამაკაცი ტრუსების ამარა იყო, ამიტომ, სავარაუდოდ, დანაშაული მოხდა გვიან ღამით, როცა მას ან ეძინა ან დასაძინებლად ემზადებოდა. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ მკვლელობამდე და დაყაჩაღებამდე რამდენიმე დღით ადრე გერმანე ფ-ავამ დაკარგა ბინის გასაღები, რის შესახებაც მან მეზობელსაც უთხრა. ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოძიებას მიაწოდა გარდაცვლილის მეუღლემ, მანანა კ-იამ, რომლისგანაც ცნობილი გახდა, რომ მკვლელობამდე სამი კვირით ადრე გერმანე ფ-ავას ბინაში ესტუმრა მათი ყოფილი რძალი, თეა თ-ძე, რომელსაც გერმანე ფ-ავას ოჯახთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. იყო თუ არა კავშირში ყოფილი რძალი მამამთილის მკვლელობასთან? რატომ მოხვდა ის გერმანე ფ-ავას ბინაში ერთწლიანი დავის შემდეგ მაინცდამაინც მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე? თეა თ-ძის პიროვნება გამოძიებას ბევრ შეკითხვას უჩენდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ მისი მეორე

## სკამზე დავაბით, მაგრამ ორჯერ გაწყვიტა თოკი

მეუღლე წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი ყაჩაღობისთვის.

ამონაწერი გარდაცვლილის მეუღლის, მანანა კ-იას ჩვენებიდან: „ერთ დღეს გერმანემ ტელეფონში მიამბო, რომ მასთან საღამოს სტუმრად იმყოფებოდა ჩვენი ყოფილი რძალი, თეა თ-ძე, რომელთანაც ერთწლიანი სასამართლო დავა გვქონდა ქონების გაყოფაზე. თეას უკვე თავისი ოჯახი ჰქონდა, დავაც დასრულებული იყო და მისი სტუმრობა ძალიან გამიკვირდა. ვიეჭვიანე კიდეც და გერმანეს ვუთხარი: იცის შენი კეთილი გულის ამბავი და, ალბათ, ფულისთვის მოგადგა-მეთქი. როგორც გერმანემ მითხრა, თეას უთქვამს, აქეთ მოვხვდი, გულმა ვერ მომითმინა და შემოგიარეთო. ეს ფაქტი არ მომეწონა და ჩემი ქმარი გავაფრთხილე კიდეც, რამე არ მოგიწყოს, მეორედ სახლში აღარ შეუშვა-მეთქი. მაშინ ვერც ის მიხვდა და ვერც მე, რომ ბინის გასაღების დაკარგვა ამ ფაქტთან შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული.”

გამოძიებამ მოწმის სახით დაკითხა თეა თ-ძე, რომელმაც ყოფილი მამამთილის ბინაში მოხვედრა შემთხვევითობით ახსნა, თუმცა, მის ჩვენებაში გამოძიებამ ბევრი საეჭვო გარემოება დააფიქსირა. თეა თ-ძემ გამოძიებას განუცხადა, რომ არ იცოდა სახლში საიდუმლო სეიფის არსებობა, მანანა კ-ია კი ამტკიცებდა, რომ ყოფილმა რძალმა ამის შესახებ კარგად იცოდა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გამოძიებამ აღმოაჩინა გერმანე ფ-ავას სახლიდან გატაცებული ანტიკვარული ნივთი, რომელსაც ვინმე გელა ვ-შვილი ყიდდა. როგორც გამოძიებით დადგინდა, ის თეა თ-ძის მეუღლის, ივანე კ-ძის მეგობარი იყო. სამართალდამცველებმა დააკავეს გელა ვ-შვილი, რომელმაც ჩადენილი დანაშაულიც აღიარა და მკვლელობასთან თეა თ-ძისა და მისი მეუღლის კავშირიც. საქმის მასალების მიხედვით, თეა თ-ძემ გერმანე ფ-ავას დაყაჩაღების გეგმა თავად შესთავაზა მეუღლესა და მის მეგობარს. „ფულიც ბევრი აქვს და ძვირაფსეულობაცო, გვითხრა თეამ,” – განაცხადა აღიარებით ჩვენებაში გელა ვ-შვილმა. დანაშაულებრივმა ჯგუფმა ერთად დაგეგმა ყველა დეტალი: თეა თ-ძემ ყოფილ მამამთილთან სტუმრობის დროს სახლის გასაღები მოიპარა. ამის შემდეგ ცოლ-ქმარი და მათი მეგობარი ერთი კვირა უთვალთვალებდნენ მარტოხელა მამაკაცს, რომელსაც ივანე კ-ძე და გელა ვ-შვილი გვიან ღამით დააესხნენ თავს. მათ ძალის გამოყენებით გაახსნევინეს მამაკაცს სეიფი, საიდანაც 5 000 დოლარი გაიტაცეს, სეიფის გახსნამდე კი მათ დანით არაერთი დაზიანება მიაყენეს სხეულზე გერმანე ფ-ავას. ბრალდებულები სასამართლო პროცესზეც ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცის მოკვლა განზრახული არ ჰქონიათ და ის წინააღმდეგობის გაწევის დროს შემოაკვდათ. ივანე კ-ძის ჩვენების მიხედვით, „თავისი ასაკის მიუხედავად, გერმანე ფ-ავა ფიზიკურად ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, ორ ახალგაზრდას გვიწევდა წინააღმდეგობას. თოკი, რომლითაც ის სკამზე დავაბით, ორჯერ გაწყვიტა. ბოლოს კი გელამ დაარტყა მას დანა ყელში და ფული და რამდენიმე ნივთი, რომელიც სპორტულ ჩანთაში გვეწყო, სახლიდან გავიტანეთ. ჯერ მე გავედი ბინიდან, შემდეგ – გელა. სადარბაზოდან მოშორებით გველოდებოდა ჩემი მეუღლე – თეა, რომელიც ავტომობილის საჭესთან იჯდა. ჩვენ ყველა ერთად გავერიდეთ იქაურობას, თუმცა, მაშინ არ ვიცოდით, რომ გერმანე ფ-ავა უკვე გარდაცვლილი იყო.”

სასამართლომ დამნაშავედ ცნო როგორც ცოლ-ქმარი, ასევე მათი ოჯახის ახლობელი – გელა ვ-შვილი. სასამართლომ თეა თ-ძეს დანაშაულის ორგანიზებისთვის 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ივანე კ-ძეს – 9 წლით ვადით, გელა ვ-შვილს კი 11-წლიანი პატიმრობა შეეფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

# ისწავლოთ ხატვა ზაალიკოსთან ერთად

1. თავით დაიწყეთ ძაღლის ხატვა



2. მიახატეთ ყურები და დრუნჩი



3. დაასრულეთ თავის ხატვა



4. თავს მიახატეთ ტანი





5. შემდეგ – წინა თათები



6. უკანა თათებიც არ დაგავიწყდეთ



7. ბოლოს მიახატეთ კუდი



8. დაასრულეთ ნახატი



ზაალ სულაკაურის სახატავი სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვეთ გამოსასვლელი



## რიცხვრებუსი

**3,, 5,,, ,,0**

## ჩაწერეთ სწორი ნიშანი



## მხიარული წიწილები



მოიმარაგეთ თეთრი, ერთჯერადი თეფშები, ფერადი ქაღალდები, წებო და მოისვით გვერდით თქვენი პატარა. კარგად გაერთობით. დახედეთ სურათს. ჯერ გამოჭერით წითელი ფურცლისგან „ხელები“. დაადებინეთ ფურცელზე თქვენს პატარას ხელი, შემოხაზეთ და გამოჭერით. ყვითელი ფურცლებისგან სამკუთხედები გამოჭერით. დააწებეთ ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. შემდეგ გაუკეთეთ თვალები, ბიბილო და მზად არის. შეგიძლიათ, მიამაგროდ კედელზეც.



| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაშინების ცდა, დაქადნება | | „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი | | პურის ჭამა სადილსა და ვახშამს შორის | |  | | | |
| | | | | | | | | | |
| ხარების გამრეკავი | | ვიოლინოს „ჯოხი" | | მამალი შინაური მსხვილფეხა ცხოველი | | | | | |
| | | | | | | | | | |
| კვირის დღე | | ფრანგული ავტომობილი | | ქალაქი კახეთში | | თევზსაჭერი საშუალება | | ჭენება | |
| | | | | | | | | | |
| | | | | ძირწვრილი გოდორი | | ინდოეთის დედაქალაქი | | მუქი ცისფერი | |
| | ალკოჰოლური სასმელი | | სადავო საქმის გამრჩევი ძველად | | | | | | |
| | | | | თავის ტანთან შეერთების ადგილი | | | ამხანაგი, მეგობარი ძველად | | |
| | ძველი ქსოვილის ნაჭერი | | ორკეცი, ორმაგი | | | | | | |
| | | | | | | | | | ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი |
| | | | | ხეებით დაფარული ფართობი | | | | | |
| | | | | | | მუქი ნაცრისფერი, რუხი | | საყვარელი ძველად | |
| საღმრთო წიგნების კრებული: წმინდა წიგნი | | პიტალო კლდე | | ვიწროყელიანი წყლის პატარა ჭურჭელი | | | | | |
| | | | | | | ღვარძლი, ბოროტება | | საქონლის გასარეკი ჯოხი | დასასრული |

Column clues (top to bottom):

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | | | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 2 | 4 | 3 | 3 | 1 | 3 | 3 | | 2 | | | | | | 1 | | | 1 | | | | | |
| | 1 | 3 | 1 | 4 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | | | | 1 | 5 | 5 | 2 | 3 | | 2 | | |
| 1 | 2 | 3 | 1 | 3 | 3 | 1 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 10 | 7 | 3 | 2 | | |
| 10 | 8 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | 10 | 1 | 11 | 8 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 7 | 1 | 12 | 6 |

Row clues (left to right):

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 7 | 4 |
| | | | | | | 9 | 2 |
| | | | | | | 13 | 3 |
| | | | | | | | 4 |
| | | | | | | 2 | 1 |
| | | | | | | 2 | 3 |
| | | | | | | 6 | 5 |
| | | | | 4 | 7 | 5 | 2 |
| | | | 4 | 4 | 4 | 2 | 2 |
| | | | 1 | 1 | 1 | 2 | 2 |
| | | | | | 13 | 2 | 2 |
| 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 |
| | | | | 10 | 2 | 2 | 2 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 6 |
| | | | | 2 | 2 | 2 | 6 |
| | | 2 | 2 | 2 | 4 | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 2 | 6 | 1 | 1 |
| | | | 2 | 2 | 2 | 1 | 1 |
| | | | | 10 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | | 12 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | | 2 | | 8 | 6 | | |
| | | 1 | | 7 | | | 8 | 2 |
| 2 | 5 | | 3 | | | | | |
| | 3 | 2 | 6 | | 4 | 7 | 5 | |
| 1 | | 6 | 7 | | | | 2 | 4 |
| 4 | 7 | | | 9 | | 1 | | 6 |
| | 2 | | 1 | | | 8 | | 9 |
| 8 | 6 | | 4 | | 9 | | 7 | |
| | | | 5 | 8 | 6 | 2 | 4 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | | | 3 | | | 6 | |
| 8 | | | 1 | | | 3 | | |
| | | 1 | | | 7 | | 5 | |
| 5 | | | 4 | | | 2 | | |
| | | 4 | | | 3 | | | 7 |
| | 8 | | 9 | | 2 | | 4 | |
| 7 | | | | 8 | 6 | | | |
| 1 | | | | | | 8 | 7 | 4 |
| 3 | 5 | 8 | | | | | | |

**ნოდიკო ტატიშვილსა და სოფო გელოვანს ერთმანეთთან საუკეთესო მეგობრობის გარდა, ნათელ-მირონიც აკავშირებთ. ნოდიკო სოფოს მეორე შვილის, აკას ნათლიაა. სოფომ ცოტა ხნის წინ კლიპი გადაიღო, რომლის პრემიერაც მალე იქნება. ორივემ შეიძლება, მომავალში ქართული სიმღერის ერთობლივი საღამო მოაწყონ, რომელიც ჯერ კიდევ „ევროვიზიის“ წინ დაიგეგმა.**

# ვინ დააქორწინა ნოდიკო ტატიშვილი და მარიამ რონიშვილი და რისი განცდა აქვს ნოდიკოსთან დაკავშირებით სოფო გელოვანს

**ნოდიკო ტატიშვილი**: სოფო თუ ჩემამდე მღერის, სცენაზე მაცხადებს: მომღერალი, რომელიც უკვე ჩემი შვილის ნათლია და ნათესავია, მივესალმოთ ნოდიკო ტატიშვილს. ახალი სტატუსი მაქვს და ძალიან მომწონს. როცა ოჯახის ნათლია ხარ, ეს ნიშნავს, რომ იმ ოჯახს უყვარხარ და შენც გიყვარს. როცა „ევროვიზიიდან“ ჩამოვედით, სოფომ მითხრა: მე და ნოდიმ გადავწყვიტეთ, როცა მეორე შვილი გვეყოლება, შენ უნდა გახდე მისი ნათლიაო. ველოდებოდი, როდის ეყოლებოდათ. ტექნიკურად ვეკითხებოდი: „არ ფიქრობთ მეორე შვილზე?“ ერთ დღესაც დამირეკა: ორსულად ვარო და აუ, რა მაგარია-მეთქი.

**სოფო გელოვანი**: უპირველეს ყოვლისა, გინდა, რომ შენი შვილის ნათლია იყოს კარგი ადამიანი. ფიქრობ: ნეტავ, მისი თვისებები გამოჰყვესო. მაგალითად, რაც მინდა, რომ აკას ნოდიკოსგან გამოჰყვეს, ეს არის შრომისმოყვარეობა, უზომოდ შრომისმოყვრეა; ასევე, მიზანდასახულობა – არასდროს დაიხევს უკან.



**– და ყოველთვის ექვიანობს, როცა სხვასთან ერთად მღერი.**

– ექვიანია. ცოტა ხანი რომ არ დავურეკო და არ მოვიკითხო, მირეკავს: რა იშოვე?

**ნოდიკო**: ცოტა მესაკუთრე, ეგოისტი ვარ. თვითონაც ასეთია: ეგოისტიც და ექვიანიც, ოღონდ დოზირებულად. ხომ წარმოგიდგენია,



„ორ ვარსკვლავში“ რომ მღეროდა, როგორ ვექვიანობდი. ხომ სულ ერთად ვიყავით, ჯერ „ევროვიზია“, მერე სხვა კონცერტები. უცებ გავიხედე: რაღაც შოუში სოფო და მიშა, ჟურნალების გარეკანზე: სოფო და მიშა. გავბრაზდი, მივედი მიშასთან – ეს გოგო არ ანერვიულო, რასაც გეტყვის, გააკეთე-მეთქი.

**სოფო**: მივიდა და თავიდანვე დააყენა საქმე. დღეს კარგი მეგობრები არიან, თან ორივე აკას ნათლიაა და ერთმანეთთან სულ შეჯიბრი აქვთ: ახლა მე ვიყავი ბავშვთან, ახლა მე მივალ და ასე შემდეგ.

**ნოდიკო**: მიშა მივა სოფოსთან და ბავშვთან ერთად იღებს ფოტოს. მერე დებს სოციალურ ქსელში, რომ მე გავბრაზდე. მერე მე მივდივარ, სელფებს ვიღებ და ასეთ დღეში ვართ. მიშა ძალიან მიყვარს, კარგი ადამიანია და გამიხარდა, რომ აკას ნათლიაა. მე და სოფო ერთად ვართ აუტანლები. ერთმანეთს შევხედავთ და ვშიფრავთ ბოლომდე – ვაი, იმის ტყავის ბრალი, ვინც ჩვენს ყბაში ჩავარდება. ხშირად ვვარდებით სასაცილო სიტუაციაში, განსაკუთრებით სცენაზე. შეიძლება, ისეთი სიცილი აგვიტყდეს, რომ ველარ ვიმღეროთ.

**სოფო**: ლუქსემბურგში გვქონდა კონცერტი და ჩვენი გამოსვლის წინ ისეთი კვამლი გამოუშვეს, განათება არ გადაეწყო თავის დროზე, ერთმანეთი ვერ დავინახეთ და აგვიტყდა საშინელი სიცილი. ნოდიკო გაჩერდა, მე საკუთარ თავს ძალა დავატანე და ლამის ნახევარი სიმღერა მარტომ ვიმღერე.

**– ერთმანეთთან ყველაფერზე, მათ შორის, პირად თემებზეც საუბრობთ?**

– ყველაფერი შემიძლია, ვუთხრა, გული გადავუხსნა, რჩევები მივიღო. იმდენად შესისხლხორცებულები ვართ ერთმანეთთან, ისეთი კარგი მეგობარია, რომ მასთან ყველა თემაზე შემიძლია საუბარი. ცოტა ხნის წინ ისრაელში ვიყავით და სულ უკან ვიხედებოდი: „ნოდიკო, ხომ არ ჩამორჩი, ნოდიკო, სად ხარ!“..

**სოფო: „მაშინვე ნოდიკოს ნომერთან მივვარდი, ვუბრახუნებ, ვკივი: „პასპორტი აიღე, შეიძლება, ავფეთქდეთ!“**

განსაკუთრებული დამოკიდებულება, მზრუნველობის განცდა მაქვს მის მიმართ, ზოგჯერ დედობრივიც.

**ნოდიკო**: სოფოს ფანტასტიკური მეუღლე



ჰყავს. ყველაზე სასაცილო ის არის, თავის ქმართან გასაგზავნი მესიჯები ჩემთან რომ გამოგზავნა. ორივეს ხომ ნოდი გვქვია. თავიდან ვერ მივხვდი, მაგრამ მერე კარგად ვიხალისეთ.

**– სოფო, როცა ნოდიკოს ვინმე მოსწონს, როგორია შენი შეფასებები?**

**სოფო**: არანაირად არ ვარ კრიტიკული.

**ნოდიკო**: რა არა?! რომ ვიტყვი: კარგი



გოგონაა, ეს მაშინვე მითახსირებს.

**სოფო**: ნოდიკო არ არის ის ტიპი, რამე შეეშალოს. ძალიან კარგად იცის, ვინ კარგი გოგოაა და ვინ ცუდი. უბრალოდ, ზოგჯერ ჩვენი გემოვნება არ ემთხვევა. სულ იმის განცდა მაქვს, რომ კარგ გოგონას შეხვდეს, ისეთს, ძალიან რომ ეყვარება. ანუ, იმას უნდა უყვარდეს ძალიან, სხვანაირად არაფერი გამოვა. უნდა აიტანოს ნოდიკო, შეეწყოს ამის რეჟიმს, ხასიათს.

**ნოდიკო**: ვერ გადარჩება სხვანაირად. სოფოს გავაცნობ პირველად ჩემს საცოლესაც, რადგან მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. პირდაპირ მოვა: ბრახ და მაჯახებს.

**– ნოდიკოს ძნელად ასატანი ხასიათი აქვს?**

**სოფო**: ხანდახან ძალიან უჟმურია – თუ ხასიათზე არ არის, არ არის და მორჩა.

**ნოდიკო**: სოფომაც იცის გაჯიქება, მეც ძალიან ჯიუტი ვარ და თუ მე გავჯიქდი, რა სოფო...

**სოფო**: თუმცა, ერთად არ გავჯიქებულვართ, არ შევტაკებივართ ერთმანეთს, ძირითადად, ვუთმობთ ხოლმე. ვმსჯელობთ, ერთმანეთს აზრს ვეკითხებით. ვუზიარებთ გამოცდილებებს და ბევრ რამეში ვეხმარებით ერთმანეთს. ახლაც „ვოისში,“ სულ ვუ-

# როგორ მონაწილეობდა „მის თბილისი“ – მარიამ იმედაშვილი „კელვინ ქლაინის“ ჩვენებაში და რაზე უწევს მას ზოგჯერ უარის თქმა

***17 წლის მარიამ იმედაშვილი „ბესტ მოდელის“ მოდელია და ცოტა ხნის წინ „მის თბილისი“ გახდა.***

**მარიამ იმედაშვილი**: 2015 წლის აპრილში გავხდი „მის თბილისი 2015“. ხუთი წლის წინ დაიწყო ჩემი სამოდელო კარიერა, ვთანამშრომლობდი სხვადასხვა სამოდელო სააგენტოსთან, გამოვდიოდი სხვადასხვა ჩვენებებში, რეკლამებში გადამიღეს და დღეს „ბესტ მოდელის“ მოდელი ვარ. აპრილში კი კონკურსში – „მის და მისტერ თბილისში“ მივიღე მონაწილეობა და 15 ცნობილი კაცისგან შემდგარმა ჟიურიმ მე დამასახელა გამარჯვებულად. ზაფხულში მქონდა სხვადასხვა შემოთავაზება, ჩინეთშიც ვიყავი და „კელვინ ქლაინის“ ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა. გარდა ამისა, მყავს შეყვარებული და ბედნიერი ვარ.

**– სკოლაში დადიხარ?**

– სკოლაში დავდივარ და მომავალში ვგეგმავ, ფსიქოლოგი გამოვიდე, თუმცა ჯერჯერობით ბოლომდე არ ვარ ჩამოყალიბებული.

**– რატომ გადაწყვიტე მოდელობა?**

– გარეგნობის, სიმაღლისა და ტანის გამო. თან, დედაჩემს უნდოდა ძალიან. პოპულარობაც მინდოდა. მას შემდეგ, რაც „მის თბილისი“ გავხდი, თავდაჯრებულობა მომემატა. კონკურენცია დიდი იყო, ბევრი ისეთი გოგონა იყო იქ, ვინც იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ ჩემზე გააკეთეს არჩევანი. საოცარი შეგრძნება დამეუფლა, ასეთი შეგრძნება არასდროს მქონია, შოკში ჩავვარდი. არ მჯეროდა, რომ მარიამი მე ვიყავი. ძალიან გამიხარდა, თუმცა ეს ტიტული საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა – სულ ფორმაში უნდა ვიყო, თავს მოვუარო. თან, როცა ჩვენს სააგენტოში, რეკლამაზე მოდიან, ძირითადად მე მირჩევენ ხოლმე და ეს ძალიან მიხარია. ზაფხულში აქარის მოდის კვირეულზე გამოვედი – ზალიკო ბერგერის ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა.

**– რა მოსწონთ შენში განსაკუთრებულად?**

– ღიმილი, ხასიათი, გარეგნობა. ხშირად ვარ დიეტაზე, ვვარჯიშობ კიდეც. რაღაცეებსაც ვუკრძალავ თავს: ტკბილეულს, ცომეულს, რითაც განსაკუთრებულად მანებივრებს დედაჩემი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში უარის თქმა მიწევს ხოლმე.



სხეულსაც გააჩნია, როგორი გაქვს

**– მოდელობა დაგეხმარა კომპლექსების გადალახვაში?**

– ბევრ რამეში დამეხმარა. თავიდან საცურაო კოსტიუმებით გამოსვლის კომპლექსი მქონდა. მერე და მერე, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ რომ გამოხვალ, ეჩვევი და ეს აღარაფერს წარმოადგენს შენთვის. თან, სხეულსაც გააჩნია, როგორი გაქვს. დიდი სითამამით არ გამოვირჩევი, მორიდებული და მორცხვი ვარ.

**– როგორი ბიჭები მოგწონს?**

– უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს თავდაჯერებული, ჭკვიანი, განათლებული – ისეთი, როგორიც ის ადამიანია, რომელიც დღეს ჩემ გვერდით არის. გარეგნობას არ ვაქცევმეთქი ყურადღებას, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ამ შემთხვევაში ასე გამოვიდა და ძალიან ბედნიერი ვარ.

**– როგორ შეგაყვარა თავი?**

– თავისი ადამიანობით, თავდაჯერებულობითა და ხასიათით შემაყვარა თავი. ჩემზე სამი წლით უფროსია, კარგად ვეწყობით ერთმანეთს და ჰარმონიული ურთიერთობა გვაქვს. ძალიან ყურადღებიანი ადამიანია, ყურადღებით მანებივრებს, ყოველთვის ჩემ გვერდით არის, როცა არ უნდა დამჭირდეს. ეჭვიანიც არ არის, ვენდობით ერთმანეთს. მეც ძალიან ყურადღებიანი ვარ – ერთი საათი რომ გადის და ვერ ვნახულობ, ვეღარ ვითმენ. ძალიან მივეჩვიეთ ერთმანეთს. რაც მთავარია, ყველანაირად მიწყობს ხელს. სურს, რომ ვისწავლო, ჩავაბარო გამოცდები და გავხდე წარმატებული. ეს ჩემთვისაც პრიორიტეტულია. განათლებას დიდ ყურადღებას ვაქცევ, თუმცა, სამოდელო კარიერის გამო ზოგჯერ სწავლაზე უარის თქმა მიწევს. მაგრამ ყველანაირად მიწყობენ ხელს.

**– თაყვანისმცემლებიც გეყოლება.**

– კი, უამრავი. ძირითადად სოციალურ ქსელში მწერენ – ჩემი მესინჯერი აჭრელებულია, მაგრამ მათი მონაწერით არასდროს ვინტერესდები, რადგან ჩემი რჩეული მყავს.

**– როგორც მითხარი, ჩინეთშიც იყავი.**

– დიახ, ვიყავი ჩინეთში. თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში არ ვყოფილვარ. ძალიან კარგი, საინტერესო იყო. „კელვინ ქლაინის“ ჩვენებაშიც მივიღე მონაწილეობა და შთაბეჭდილებებით დატვირთული დავბრუნდი.

**ტატა დევდარიანი**

---

ზიარებ ჩემს აზრს და ვცდილობ, იდეები მივაწოდო.

**ნოდიკო**: ჩემს სტუდიაშიც ბავშვების მიღება რომ მქონდა, ქასთინგზე სოფო მყავდა, რადგან მისი აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენთვის ტაბუდადებული თემა არ არსებობს, ღია და გახსნილი ურთიერთობა გვაქვს. რაც შეეხება „ვოისს“, საკმაოდ რთულია, რადგან ბევრს დასწყდა გული. რინგებზეც მომიწევს 12-იდან ექვსს დავემშვიდობო – ეს ძალიან მძიმე იქნება, შეიძლება, შევაკვდე და დავრჩე იმ სკამზე. მივხვდი: ეს წითელი სკამი ძალიან სტრესული ყოფილა მორალურად, თუმცა ბოლომდე ობიექტური ვარ.

**– ცოტა ხნის წინ ერთად იყავით ისრაელში.**

**სოფო**: ქართველ-ებრაელთა დღესასწაული იყო. 8 ათასი ქართველი-ებრაელი ესწრებოდა და ძალიან კარგი კონცერტი გამოვიდა. ცოტა ვინერვიულეთ ბომბის ამბავზე.

**ნოდიკო**: კონცერტამდე ორი დღით ადრე, სასტუმროში სიგნალიზაცია ჩაირთო. მთელ ქალაქში სირენების ხმა ისმოდა. გვთხოვდნენ, სასწრაფოდ დაგვეტოვებინა სასტუმროს ნომრები და ბომბდამცავ ოთახში შევსულიყავით ყველა. მე ვიცოდი, რომ სერიოზული რადარები აქვთ, ამიტომ არ შემშინებია.

**სოფო**: მეც კი ვიცოდი, მაგრამ ძალიან შემეშინდა. იცი, რომ ბომბი მოფრინავს და შეიძლება, დაგეცეს. გამოვვარდი ნომრიდან, ვხედავ სასტუმროში ებრაელები დარბიან. მაშინვე ნოდიკოს ნომერთან მივვარდი. ვუბრახუნებ, ვკივი: პასპორტი აიღე, შეიძლება, ავფეთქდეთ!

**ნოდიკო**: შოკში იყო, საშინელი სახე ჰქონდა. ვეუბნები: დამშვიდდი, არაფერი მოგვივა. ვიცი, რომ ასე არ ვარდება ბომბი, ჰაერში ანეიტრალებენ, მაგრამ ისე ეშინოდა, რომ გავყევი და ბომბდამცავ ოთახში შევედით. 2 აფეთქება იყო ჰაერში, კარგად შეგვაზანზარა, მაგრამ გადავრჩით. მანამდე, ჩვენმა ერთ-ერთმა მასპინძელმა მალაზიაში წაგვიყვანა და საოჯახო ტექნიკა გვაჩუქა. ყველაფერმა რომ გადაიარია, ჩავედით დაბლა, რომ ჩვენი კოლეგები გვენახა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ, როდესაც სირენები ჩართულა, ჩვენს რამდენიმე კოლეგა გოგონას ტაფებისთვის დაუვლია ხელი და ისე გაქცეულან დასამალად.

**– ნოდიკო, ცოტა ხნის წინ „ფეისბუქზე“ შენი და მარიამ როინიშვილის ფოტოები დადეთ, სადაც ორივე ნეფე-პატარძლის როლში ხართ. ხომ არ დაქორწინდით?**

– იმდენი იჭორავეს ჩვენზე: დაოჯახდნენო, რომ საბოლოოდ, დავქორწინდით. მეგობარმა დაგვაქორწინა თავისი თეთრი კაბითა და თაიგულით. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო.

**– ცოტა ხნის წინ ოდესაში იყავი, სადაც „ვერის უბნის მელოდიები” გქონდათ წაღებული. ბევრს წერდნენ და საუბრობდნენ იმაზე, რომ იქ მიხეილ სააკაშვილის მიწვევით ჩახვედით და ამან საზოგადოებაში არაერთგვაროვანი ემოციები გამოიწვია.**

– „ვერის უბნის მელოდიებში“ მთავარი როლი მაქვს, სპექტაკლი წავიდა ოდესის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გასტროლზე. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მანამდე ჩვენ ბაქოშიც ვიყავით. კიდევ იგეგმება გასტროლები სხვადასხვა ქვეყანაში და ძალიან მახარებს ეს ამბავი. მაღიზიანებენ ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული დაუდონ, ეს სამარცხვინო და ამორალური საქციელია! არ შეიძლება, მომღერალს, მსახიობს, მოცეკვავეს და, ზოგადად, ხელოვან ადამიანებს, აიგივებდნენ პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან!

**ნათია უტიაშვილი**

# როგორ შეწყდა აფხაზთა სამეფო დინასტია და რატომ დააბრმავა ძმა აფხაზთა მეფე დემეტრემ

აფხაზთა ანუ დასავლეთ საქართველოს მეფეები, მეათე საუკუნეში ცდილობდნენ საქართველოს გაერთიანებას. მათ შეძლეს ქართლის დაუფლება და კახეთზე გავლენის მოპოვებაც. თუმცა, 957 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი მეორე დიდი, აფხაზთა ხელმწიფე.

ამ დროს მისი მეორე ვაჟი, ლეონი კახეთში იბრძოდა. რამდენიმე თვით ადრე კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე მეორემ მოახერხა და გიორგი მეორის მიერ დაკავებული კახეთი დაიბრუნა. გაზაფხულზე მეფე გიორგიმ კვლავ გააგზავნა ჯარი კახეთის მისაერთებლად. დასავლეთ ქართველთა ჯარს უფლისწული ლეონი ხელმძღვანელობდა. ამ დროს გიორგის უფროსი ვაჟი კონსტანტინე ღალატისათვის უკვე დასჯილი და გარდაცვლილი იყო.



ლეონი კახეთში გახლდათ. ლაშქრობის დროს აცნობეს, რომ გარდაიცვალა მამამისი, დიდი ხელმწიფე გიორგი მეორე.

ამ ვითარების გამო ლეონმა მოიწვია კვირიკე ქორეპისკოპოსი ბაზალეთის ტბასთან. მას ახლა მორიგება სჭირდებოდა, რადგან დასავლეთ საქართველოში უნდა გადასულიყო და დაეკავებინა ტახტი. აფხაზთა მეფის კარზე დიდი კონკურენცია იყო ტახტის მსურველთა შორის. ლეონისა და კვირიკეს მოლაპარაკება შედგა ერთი-ერთზე, თითო მხედრის თანხლებით.

ლეონმა ქორეპისკოპოსს თავიდან არ ამცნო მამის გარდაცვალების შესახებ. მთელი დღე ისაუბრეს და ბოლოს შეატყობინა კვირიკეს მამამისის გარდაცვალების ამბავი. შეჰპირდა სიყვარულსა და თანადგომას და თავისი ქალიშვილი შესთავაზა რძლად, ვაჟის ცოლად. გაუხარდა კვირიკე ქორეპისკოპოსს, გადმოვიდა ცხენიდან და თაყვანისცემით მადლობა გადაუხადა აწ უკვე აფხაზთა მეფეს, ზავისა და მძახლობისთვის. ამგვარად, კვირიკე მეორემ ლეონ მესამის ვასალად ცნო თავი.

ლეონი სასწრაფოდ ქუთათისს გაემგზავრა, ეკურთხა მეფედ და გაავრცელა თავისი ძალაუფლება მთელ სამეფოზე. ის მამამისივით ძლიერი მეფე გამოდგა, იყო ღვთისმოყვარე და სიკეთით სავსე.

ლეონ მესამემ აფხაზეთში ააშენა მოქვის დიდებული ტაძარი და საეპისკოპოსო საყდრად აქცია, აკურთხებინა და განამშვენა. დიდებული ხუროთმოძღვრის სახელი უცნობია, თუმცა მასზე ლეგენდაა შემონახული. თითქოს სასიკვდილოდ გაიმეტა მეფემ, რათა მსგავსი მშვენიერება სხვაგან აღარ აეშენებინა. მეფე ლეონ მესამეს აუშენებია კუმურდოს ტაძარი ჯავახეთში. ტაძრის მშენებლები ყოფილან იოანე კუმურდოს ეპისკოპოსი და უნიჭიერესი ხუროთმოძღვარი, სახელად - საკოცარი. ამ დროს, ეტყობა, ლეონი ჯავახეთსაც აკონტროლებდა.

ლეონი გამეფებისთანავე დაუმოყვრდა კახეთის ქორეპისკოპოსს და თავისი ასული ცოლად მისცა კვირიკეს ვაჟს. ამით ორი ქართული სახელმწიფო მოკავშირე გახდა, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სუზერენობით. ლეონმა დაიცხრო კახეთის შემოერთების ჟინი. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ქალიშვილი მალე გარდაიცვალა, რამაც სიტუაცია ისევ შეცვალა.

ლეონმა კვლავ გადაწყვიტა კახეთის შეერთება აფხაზეთის სამეფოსთვის. გაილაშქრა კახეთში დიდი ჯარით. ჩადგა არაგვისპირს, დაიკავა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი. თუმცა, ამ ლაშქრობისას დასნეულდა, გაემგზავრა აფხაზეთში და მალე გარდაიცვალა. ეს მოხდა 967 წელს.

მის მერე აფხაზთა მეფის ტახტი დაიკავა მისმა ძმამ დემეტრემ. აფხაზთა მეფე კვლავ დაეუფლა ქართლსაც, ანუ შიდა ქართლს, რადგან ტფილისი და ქვემო ქართლის დიდი ნაწილი ტფილისის ამირას ხელში იყო. კარგა ხანი დასჭირდა დემეტრე მეფეს, რათა თავისი ძალაუფლება მთელ სამეფოზე გაევრცელებინა, ანუ დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლზე.

ამ დროს მისი ძმა, თეოდოსი ბიზანტიაში იმყოფებოდა. გამოჩნდნენ მეფე დემეტრეს მოწინააღმდეგეები და მოიხმეს თეოდოსი, რათა ძმისთვის დაეპირისპირებინათ.

ბრძენი იყო აფხაზთა მეფე გიორგი მეორე, მეფე დემეტრეს მამა. თავისი ორი ვაჟი – პატარა უფლისწულები, თეოდოსი

**მოიხმეს თეოდოსი, რათა ძმისთვის დაეპირისპირებინათ**

და ბაგრატი კონსტანტინოპოლში გააგზავნა. ბიზანტიაში იზრდებოდნენ და ცხოვრობდნენ, რათა მისი სიკვდილის შემდგომ ძმებს შორის ბრძოლა არ მომხდარიყო. მაგრამ, შეთქმული აზნაურების მოწვევითა და ძალაუფლების წყურვილის გამო, დაბრუნდა თეოდოსი ბიზანტიიდან და მივიდა სამცხეში. იქ ცდილობდა, გადაებირებინა მესხი აზნაურები, კრებდა ჯარს და უნდოდა აფხაზეთის დაპატრონება.

დემეტრე მეფემ შეიტყო ეს, მისი სამხედრო ნაწილები მოულოდნელად დაესხნენ თავს და გააქციეს თეოდოსი. უფლისწული გადავიდა ქართლში და მიმართა ძამის ციხისთავ ადარნასეს. შეიყვანეს ის ძამის ციხეში და იქიდან ცდილობდა საქმის მოგვარებას.

დემეტრე მეფემ აქაც გააგზავნა თავისი საჯარისო ნაწილები. მიადგნენ ძამის ციხეს, სამი თვე ალყაში ჰყავდათ და მიმდინარეობდა ბრძოლები. ბოლოს გაუჭირდათ მეციხოვნეებს, მოითხოვეს ფიცი მეალყეებისგან, რომ მშვიდობით გაუშვებდნენ თეოდოსი უფლისწულს. დემეტრეს ხალხი დათანხმდა და მართლაც გაუშვეს თეოდოსი. წავიდა ის დავით მესამე კურაპალატთან და ერთი წელი მასთან ცხოვრობდა.

ტაოდან თეოდოსი კახეთში გაემგზავრა კვირიკე ქორეპისკოპოსთან. კვირიკეს მოციქული გაუგზავნა დემეტრე მეფემ და შეუთვალა:

„რადგან ჩემი ძმა დაბრუნდა ბიზანტიიდან, არ დაილევა ჩვენს შორის ბრძოლა, ამის მოსურნე ადამიანების გამო. კვირიკევ, შენი შუამდგომლობით მომანდე ჩემი ძმა და ვიქნებით ორივე ერთად და თანაბრად ჩვენი მამულის მმართველები, როგორც ვიყავით მე და ჩემი უფროსი ძმა ლეონ მეფე. მიიღე ჩემგან გარანტიები და გახდი შუამდგომელი. დიდად მადლობელი ვიქნები შენი, თუ გვიაშუამდგომლებ“.

კვირიკე ქორეპისკოპოსმა მოიყვანა თეოდოსი უფლისწული და გააცნო ძმის წინადადება და გარანტიები.

„თუ რამე, მე ვიქნები შენი სისხლისთვის შურისმაძიებელი,“ - შეჰპირდა ქორეპისკოპოსი უფლისწულს. მიენდო თეოდოსი ძმას და გაამგზავრა აფხაზეთში.

წაიყვანეს უფლისწული შეპირებული გარანტიებით. დაიფიცეს სვეტიცხოველში, კათალიკოსის, ეპისკოპოსებისა და დიდებულთა თანდასწრებით დიმიტრი მეფის სახელით მისმა წარმომადგენლებმა, რომ უსაფრთხოდ იქნებოდა უფლისწული თეოდოსი.

მივიდა თეოდოსი ძმასთან. ცოტა ხნის შემდეგ დემეტრე მეფემ დაივიწყა ფიცი და მიცემული სიტყვა, შეაპყრობინა თეოდოსი და თვალები დაუწვა.

ეს რომ იხილეს სამეფოს დიდებულებმა, გადაწყვიტეს, მოეძებნათ მათი ძმა, ბაგრატი, რომელსაც ერქვა ჩალა-მეფე, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან დემეტრე იყო ძლიერი და აკონტროლებდა აფხაზეთს.

975 წელს გარდაიცვალა დემეტრე მეფე. დიდებულებმა ტახტზე აიყვანეს თეოდოსი თვალდამწვარი, რადგან სხვა მამრობითი სქესის წარმომადგენელი აფხაზეთისა და ქართლის სამეფო ოჯახს უკვე აღარ ჰყავდა.

ამით ისარგებლეს კახელებმა და მიადგნენ უფლისციხეს.

კონსტანტინე, ლეონ, დემეტრე და თეოდოს მეფეთა და, მეფე გიორგი მეორის ასული, გურანდუხტი გათხოვილი იყო გურგენ ბაგრატიონზე, ქართველთა მეფე ბაგრატ მეორე რეგვენის ვაჟზე, რომელიც იყო ახლო ნათესავი ტაოს ხელმწიფის, დავით მესამე კურაპალატისა. რეგვენი ბაგრატ მეორეს შეარქვეს ტახტზე ასვლისას, რადგან ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო.

აფხაზთა მეფეების დინასტიას, რომელთაც დღეს პირობითად „ლეონიდებს“ უწოდებენ, რადგან მათი გვარი და წარმომავლობა დაზუსტებული არ არის, ტახტის მემკვიდრე უფლისწული აღარ ჰყავდათ. ეს დინასტია წყდებოდა.

საქართველოში დიდი ამბები იწყებოდა.

**გიორგი მახობეშვილი**

**მხედველობა ბავშვის გონებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. სკოლა თვალისთვის ახალი ტიპის დატვირთვას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ბავშვის ოფთალმოლოგთან ვიზიტი აუცილებელია. გარდა ამისა, ბევრი ისეთი ნიუანსი არსებობს, რომელიც შეიძლება, მშობელმა ვერ შენიშნოს და ბავშვს მხედველობასთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემები შეექმნას. სკოლამდელ ასაკში თვალის პათოლოგიად „ზარმაცი თვალი" მიიჩნევა. მისი მკურნალობა 10-12 წლის ასაკში უკვე დაგვიანებულია. როგორ უნდა შენიშნოს მშობელმა, ბავშვის მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები და რა დაავადებები შეიძლება, აღმოჩნდეს მხედველობის კლების მიზეზი, ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ბავშვთა ოფთალმოლოგს, ქალბატონ ქეთევან მამამთავრიშვილს ვესაუბრეთ.**

# რა არ უნდა გამოეპაროს მშობელს ბავშვის მხედველობასთან დაკავშირებით და რა კავშირი აქვს ამ პრობლემასთან სიელმეს, ბრტყელ ტერფსა და სქოლიოზს

**– თვალისთვის სკოლა ახალი ტიპის დატვირთვაა. როდის უნდა ვაჩვენოთ ბავშვი თვალის ექიმს?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ პირველად ბავშვი თვალის ექიმს, ჯერ კიდევ ჩვილი უნდა ვაჩვენოთ, მით უმეტეს, თუ დღენაკლია. შემდეგ, სამი წლის ასაკში და სკოლაში წასვლის წინ. ეს პროფილაქტიკური შემოწმებაა, რომელიც ყველა მშობელმა უნდა იცოდეს. ამ დროს, არ არის მნიშვნელოვანი, აქვს თუ არა ბავშვს თვალზე რაიმე სახის პრობლემა, ოფთალმოლოგთან ვიზიტი მაინც აუცილებელია, რათა უკვე მოზარდ ასაკში, ავიცილოთ თავიდან რიგი პრობლემები, თუნდაც „ზარმაცი თვალი". სკოლა ახალი დატვირთვაა თვალისთვის, ამ დროს ბავშვი იწყებს ინტენსიურ კითხვასა და წერას, რაც შემდგომ გონებრივ განვითარებას განაპირობებს. მხედველობის პრობლემები კი ამ ყოველივეს აფერხებს. მხედველობის სიმახვილე ნიშნავს იმას, თუ მხედველობის რამდენი პროცენტი აქვს ბავშვს, როგორ აღიქვამს ფერებს და ხედავს თუ არა სამყაროს სამ განზომილებაში. თუ რომელიმე ამ ფუნქციებისგან დარღვეულია, სამყაროს სწორი აღქმა ვერ ხდება.

**– „ზარმაცი თვალი" ახსენეთ, როდის უვითარდება ის ბავშვებს?**

– „ზარმაცი თვალი" საქართველოში სამხარეო პათოლოგიად ითვლება. სამედიცინო ენაზე მას ამბლიოპია ჰქვია. მისი განვითარების რამდენიმე მთავარი მიზეზი არსებობს. პირველია რეფლექციური, ანუ, ეს ნიშნავს, რომ თვალში არის გარდამტეხუნარიანობის მანკი, რომლის მეშვეობითაც თვალი ზარმაცდება. მაგალითად, ვთქვათ, პაციენტს აქვს მინუს 5, მას სჭირდება სათვალე, ატარებს, მაგრამ მაინც ვერ ხედავს. მეორე მიზეზია, როცა თვალში არანაირი ორგანული ცვლილებები არ ხდება, მაგრამ შეინიშნება სიელმე. სწორი დგომიდან გადახრილი თვალის დაბალ მხედველობასაც, სიელმის მიერ პირობადებულ „ზარმაც თვალს" უწოდებენ. დაბოლოს, ის განპირობებულია გარკვეული დაავადებების მკურნალობის შემდეგ, თუნდაც კატარაქტის ოპერაციის ან რქოვანის გადანერგვისას. მართალია, ამ დროს თვალის სტრუქტურა წესრიგშია და დაზიანებული არაა, მაგრამ მხედველობის ფუნქცია დაბალია. „ზარმაცი თვალი" ვითარდება სკოლამდელ ასაკში, 5-6 წლამდე ბავშვებში.



მშობელმა უნდა იცოდეს, რომ „ზარმაცი თვალი" თავისით არ გაივლის

**– როგორ უნდა შენიშნოს მშობელმა, რომ ბავშვს მხედველობის პრობლემები აქვს?**

– რამდენიმე ყოფითი ჩვევა მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვს მხედველობის პრობლემები აქვს. პირველი, რასაც ამ დროს ბავშვები აკეთებენ, ეს არის თვალის წვალება – ჭუტავენ, ან ისრისავენ. ხშირად ახამხამებენ თვალებს და ტელევიზორს უყურებენ ახლოდან. ასევე, კითხვის დროს წიგნი მიაქვთ თვალთან ახლოს. თუ, ბავშვი პატარაა და ჯერ კითხვა არ იცის, სათამაშოზე აკეთებს იგივეს. მხედველობის პრობლემების დროს, პატარებს არასწორად უჭირავთ თავი, გვერდულად იყურებიან. ამით ცდილობენ, უკეთესად მხედვარე თვალით დააფიქსირონ საგანი, პრობლემურ თვალს კი, საერთოდ თიშავენ მხედვლობის არედან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მშობელს არ უნდა გამოეპაროს. ისევე, როგორც სხვა დაავადებების დროს, თვალის შემთხვევაში, იქმნება ერთგვარი ჯაჭვი. თუ ბავშვს აქვს შემაერთებელქსოვილოვანი პრობლემები,

## პირველი, რასაც ამ დროს ბავშვები აკეთებენ, თვალის წვალებაა – ჭუტავენ ან ისრესენ

როგორებიცაა: ბრტყელი ტერფი, სქოლიოზი, კისრის მრუდობა და სხვა, ეს ყოველივე თანხვედრილია მხედველობასთან. ეს შეიძლება, მშობელმა არ იცოდეს და ყურადღება არ მიაქციოს, მაგრამ ნებისმიერ ექიმთან ვიზიტის დროს, მას აუცილებლად გაუშვებენ ოფთალმოლოგთან.

**– რა ფიზიკური მახასიათებლები აქვს თვალს მხედველობის პრობლემის დროს?**

– ყველაზე ხშირი და საყურადღებოა წითელი თვალი. როდესაც ბავშვს, თვალი უწითლდება, ამ დროს მშობლები ამბობენ: „მერე რა, გაუვლის", „გადაღლილობის ბრალია", „კომპიუტერის ბრალია" და ასე შემდეგ. დაიმახსოვრეთ, წითელ თვალს მხოლოდ ეს სიპტომები არ იწვევს. შესაძლებელია, მას უფრო რთული გამოვლინება ჰქონდეს, თუნდაც მხედველობის კლება. თუ ეს დაუდგინდება ბავშვს, უკვე სერიოზულ გართულებასთან გვაქვს საქმე. მხედველობის პრობლემის დროს, ასევე შეინიშნება, ცრემლდენა, სინათლეზე ზედმეტი მგრძნობელობა, შეშუპება ან გამონადენი. ასევე, ქუთუთოების განლაგების ცვლილება – შესაძლებელია, ერთი ქუთუთო დაშვებული ჰქონდეს.

**– „ზარმაცი თვალი" მკურნალობას ექვემდებარება?**

– „ზარმაცი თვალის" განვითარების პროცესი შექცევადია. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ „ზარმაცი თვალი" თავისით არ გაივლის. ოფთალმოლოგთან გეგმური ვიზიტი საკამირისია იმისთვის, რომ დროულად მოხდეს პრობლემის გამოვლენა, რათა მკურნალობას დაექვემდებაროს. მას აქვს თავისი ვადები – სკოლამდელ ასაკში, 6-7 წლამდე თუ ეს პრობლემა არ აღმოიფხვრა, შემდეგ (10-12 წლის ასაკში) ყალიბდება ნეირონები და მათი გამოღვიძება, ამუშავება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამ დროს მხედველობის სიმახვილის ზღვარიც მცირდება. შესაბამისად, „ზარმაცი თვალი" ეს არის ბავშვთა პათოლოგია და თუ ის 40 წლის ადამიანს გამოუვლინდა, მას 3 წლის ასაკშიც იგივე პრობლემა ექნებოდა. ჩვენთან ყველაფერს „ზარმაც თვალს" არქმევენ, მათ შორის, თუ ბავშვს კომპიუტერთან ეღლება თვალები. ეს ასე არ არის! მას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები. ზარმაცი ეწოდება, რადგან ამ დროს თვალი, ყოველგვარი დაზიანების გარეშე, ხასიათდება დაბალი მხედველობით.

**ეთო ხურციძე**

**მომღერალი ნინა სუზლატი გამოჩენის დღიდან იქცევს მაყურებლისა და მსმენელის ყურადღებას. ინტერესი მის მიმართ ყოველთვის დიდია. მას ხომ სიმღერის გარდა, კიდევ ბევრი რამ გამოსდის კარგად. ნინა ამჟერად თავისსავე სტუდიაში მეორე ალბომზე მუშაობს. ჰყავს უამრავი თაყვანისმცემელი და გულშემატკივართა მთელი არმია.**

# ვისი სიყვარული აძლევს სტიმულს ნინა სუზლატს და რა საერთო აქვს მას მაიკლ ჯექსონთან

**ნინა სუზლატი:** Georgian Dream Studio-ში ერთ წელზე მეტი ვიმუშავე. მივიღე სრულფასოვანი განათლება, დიდი გამოცდილება. გავიცანი ღირსეული ადამიანები – ჩემი ერთ-ერთი პედაგოგი პირადად ლეგენდარულ მაიკლ ჯექსონთან მუშაობდა. ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე სტუდიაში გატარებულ წელიწად-ნახევარში, რომელიც შემდეგ ჩემსავე კარიერის წარმართვაში ყველაზე მეტად დამეხმარა. შემდეგ არტისტების თანამშრომლობა სტუდიასთან შეწყდა და ყველამ დამოუკიდებლად დაიწყო საქმის კეთება.

**– ახლა კი „ევროვიზიაზე" ვისაუბროთ. საქართველო შენ წარადგინე და საპატიო მე-11 ადგილიც დაიკავე. კმაყოფილი ხარ? შენი გამოსვლა „ევროვიზიის" კონკურსზე, ერთ-ერთ საუკეთესო შოუდ აღიარეს, რაც, ალბათ, უპირველესად, შენი დამსახურებაა.**

– „ევროვიზიაში" მონაწილეობაზე ძალიან ბევრი ფიქრის შემდეგ დავთანხმდი. მინდოდა, სრული პროექტით წარვმდგარიყავი, რომელიც თავიდანვე რაღაცისკენ იქნებოდა მიმართული და არა „გზადაგზა" აწყობილი. როდესაც ასეთი გეგმით პროექტის ორგანიზატორებთან მიდიხარ, მათში აზრთა სხვადასხვაობა ჩნდება, რომელიც საბოლოოდ, უთანხმოებაში გადაიზრდება. სახეზე კი ვიღებთ გაუგებარ, დაუხვეწავ შოუს. სწორედ ასეთი სიტუაციის გამო ვყოყმანობდი, მაგრამ საბოლოოდ, გავრისკე. მოხარული ვარ, რომ ამ საკითხში პირველი არხისგან ნდობა მოვიპოვე და საქმის კეთებას ერთობლივი ძალებით შევუდექით. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ იდეები პროფესიონალებს განეხორციელებინათ და საბოლოოდ, ჩემი პროექტი სწორედ ისეთი გამოვიდა, როგორიც წამომედგინა.



**უარის თქმას ვერაფერი მაიძულებს. ის ჩემი განუყრელ-შეუცვლელი კონდიცია და, ასევე, ყველაზე დიდი პრინციპია**

**– ინტერნეტ–გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე ლამაზ კონკურსანტად შენ დასახელდი და ძალიან ბევრი თაყვანისმცემელიც შეგემატა ამის შემდეგ.**

– ჩემს გარეგნობაზე საუბარი დიდად არ მიყვარს და ეს ამბავიც, მგონი, ყველაზე ნაკლებად მეამაყება. ის უფრო მახარებს, საუკეთესო ვოკალად, ერთ-ერთ საუკეთესო შოუდ, საუკეთესო კოსტიუმად და კიდევ ბევრ საუკეთესოდ რომ დასახელდა პერფორმანსი. მერწმუნეთ, იმ შრომის შემდეგ, რაც ამ ნომრის მომზადებაში ჩავდე, ყველაზე მეტად სწორედ მისი წარმატება მახარებს და არა – ლამაზი თვალების. თუმცა, ესეც სასიხარულოა, რა სჯობია, სცენაზე სიმპათიურ არტისტს.

**– გაქვს ყველაფერი, რაც კარგ მომღერალს უნდა ჰქონდეს. მღერი, ცეკვავ, ლამაზი და გემოვნებიანი ხარ. წერ სიმღერისთვის ტექსტსა და მუსიკას. გულწრფელად მიპასუხე, სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყავი, ან შემდეგ წასულიყავი, ნინა სუბლატი იქნებოდა თუ არა ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი იქაურ შოუ–ბიზნესში?**

– უპირველესად, მადლობა კომპლიმენტისთვის! ვფიქრობ, ასეთი მოვლენების განჭვრეტა, შეუძლებელია. სხვა ქვეყანაში შეიძლება, უკეთესი არტისტი ვყოფილიყავი, ან უარესი, ან საერთოდ სხვა პროფესია მქონოდა. მაგრამ, ზუსტად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ადამიანი ნიჭიერია და რაღაცას იმსახურებს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიიღებს. ამ შემთხვევაში, მის ადგილმდებარეობას, ასაკს თუ სხვა მახასიათებლებს, მნიშვნელობა არ აქვს.

**– მოსკოვში დაიბადე, მაგრამ საქართველოში გაიზარდე. ხომ არ გიფიქრია უკან დაბრუნებაზე? ანუ, რამდენად ჯდება შენს მუსიკალურ გემოვნებაში რუსული შოუ–ბიზნესი?**

– რომ მახსენდება, მოსკოვში დავიბადე, მომენტალურად მახარებს ის ფაქტი, რომ ახლა საქართველოში ვარ. თუ რუსულ ესტრადაზეა საუბარი, ის, რა თქმა, უნდა არანაირად არ ჯდება ჩემს გემოვნებაში. კარგია, რომ მის მოსმენას ავცდი. ქართული ესტრადაც არაფრითაა სამაგალითო, თუ საერთოდ არსებობს ის, მაგრამ ჩვენ რაოდენობრივად ცოტანი მაინც ვართ, ანუ ნაკლები ცუდი მუსიკა იწერება. რუსეთში დაბრუნებაზე არასდროს მიფიქრია. თუ საქართველოდან წავალ, ეს რუსეთი ნამდვილად არ იქნება.

**– რა არის ნინა სუბლატის ხიბლის საიდუმლო?**

– ალბათ ის, რომ რისკიანი ვარ და ექსპერიმენტები მიყვარს.

**– საკმაოდ ადრე გათხოვდი, თუმცა ამას შენი კარიერისთვის ხელი არ შეუშლია. გამოდის, რომ მეუღლე ყოველთვის გვერდში გიდგას და სტიმულს გაძლევს.**

– პირად თემებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ჩემი მეუღლეც მუსიკოსია. ჩვენ ერთად ვწერთ მუსიკას და შესაბამისად, ჩემი წარმატება მისი წარმატებაცაა.

**– ნინა, ისეთივე მებრძოლი ხარ, როგორც შენი შექმნილი სიმღერა, რომელიც „ევროვიზიაზე" იმღერე? ამ სიმღერასაც ხომ „მებრძოლი" ჰქვია.**

– ალბათ ასეა, რადგან სიმღერა ჩემი დაწერილია. ზოგადად კი, მიყვარს სირთულეებთან გამკლავება. მიყვარს, როცა რაღაცას კარგად ვაკეთებ და ყველანაირ ენერგიასა და შესაძლებლობას ვდებ ამ კარგის კეთებაში. ალბათ, ასეთ რაღაცეებში იგულისხმება ბრძოლა, როდესაც რაღაცის მისაღებად ძალ–ღონეს არ იშურებ და არაფერს ინანებ.

**– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?**

– ალბათ, საკუთარ საქმესა და პრინციპებზე. სფერო, რომელშიც ვმოღვაწეობ, საქართველოში წარმატებული არ არის, შესაბამისად, ამას ძალიან ბევრი იმედგაცრუება და სტიმულის დაკარგვა მოჰყვება: არტისტისთვის ყველაზე უხერხული შეგრძნებაა, როცა ის საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ მაინც არ აქვს კონცერტები, რადგან უბრალოდ ის არ ტარდება მის ქვეყანაში; როდესაც რაღაცას ემსახურები, შენი პროფესიით მუშაობ, მაგრამ ძალიან მწირ მატერიალურ შემოსავალს იღებ და ასე შემდეგ. კიდევ ბევრი რამაა ისეთი, რაც მუშაობის სტიმულს აბსოლუტურად გართმევს, მაგრამ ჩემი სიყვარული, რომელიც ჩემსავე საქმესთან მაკავშირებს, გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი და ჩამოუთვლელი. მასზე უარის თქმას ვერაფერი მაიძულებს, ის ჩემი განუყრელ–შეუცვლელი კონდიცია და ასევე, ყველაზე დიდი პრინციპია.

**– რომ არა მომღერალი, რა პროფესიის იქნებოდა ნინა სუბლატი?**

– წარმოდგენა არ მაქვს, რა პროფესიის ვიქნებოდი. თუმცა, თითქმის ყველაფრის შესწავლით ვარ დაინტერესებული. კონსერვატორიამდე სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი ინტერიერის დიზაინს. ეს პროფესია ძალიან მომწონს და საკმაოდ კარგადაც გამომდის, ამიტომ ის ერთ-ერთი ვერსიაა. ასევე, დაინტერესებული ვიყავი ფსიქოლოგიითა და ჟურნალისტიკით. ბევრი რამ შეიძლებოდა, მეკეთებინა, მაგრამ ისე ვერაფერს გავაკეთებდი, როგორც მუსიკას.

**– რატომ სუბლატი და არა სულაბერიძე?**

– ალბათ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ასე მიცნობდნენ. ეს ის სახელი და გვარია, რითაც მინდა მომმართავდნენ. ისე კი, ვფიქრობ, ასე უფრო საინტერესოა ყველაფერი.

**– რა არის ის, რისგანაც შენ მაქსიმალურ კომფორტს იქმნი.**

– მაქსიმალური კომფორტი ჩემთვის იმ ყველაფრის ბალანსია, რაც ჩემ გარშემო ხდება. კომფორტულად ვარ, როდესაც ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ყველა, ვისაც ვიცნობ, თანაბრად განიცდის პროგრესს და უკეთესობისკენ მიდის. ვერასდროს ვგრძნობ თავს მოხერხებულად ისეთ სიტუაციაში, სადაც ერთი რაღაც მეტია, მეორე კი – ნაკლები.

**– როგორია ნინა სუბლატის ბედნიერება?**

– ყველაზე მარტივი და რა თქმა უნდა, პოზიტიური. ყველაფერი რაც ჩემ გარშემო ხდება, კარგიც და არც ისე კარგიც, მახარებს და მაბედნიერებს.

**– ბედნიერი ხარ?**

– არ მაქვს უფლება, უკმაყოფილო ვიყო იმით, რაც გამაჩნია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი მაქვს, რაც მსურს. უბრალოდ, ვიცი, რომ წვრილმანებშიც კი არსებობს მნიშვნელოვანი წილი ბედნიერებებისა, რომლებიც უნდა დაინახო, შეიგრძნო და სათანადოდ დააფასო. მუსიკას იმიტომ არ ვწერ, რომ მისგან რაღაც სარგებელი ვნახო. ვწერ იმიტომ, რომ ეს პროცესი მომწონს. ალბათ, ამის გამო არ აქვს მნიშვნელობა, რა ხდება, კარგი მუსიკისთვის მარცხი არ არსებობს.

**მარიკა ხიდურელი**

**პროდიუსერ ნატო დუმბაძეს არაერთი ქართველი მომღერლის წარმატებაში მიუძღვის წვლილი. სამწუხაროა, რომ დღეს აღარ არის იმის ფუფუნება, ჩვენმა რესპონდენტმა საკუთარი პროფესიონალიზმი ახალი მომღერლების კარიერულ წინსვლას მოახმაროს. აღარ არსებობს მუსიკალური არხები და კიდევ ბევრი სხვა საჭირო რამ, რაც პროდიუსერს სუნთქვის საშუალებას აძლევს. ამჯერად, ნატო „ვოისშია“ ჩართული და თავს ძალიან კარგად გრძნობს გარემოცვით.**

# როგორ გახდა ნატო დუმბაძე ქეთა თოფურიას საჩუქარი და როგორ ართმევს ის თავს პოპულარული მომღერლის დესანტობას

**– ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდი და ჩვეულ რიტმს დაუბრუნდი. იყო პერიოდი, როცა არ ჩანდი, რასაც, ალბათ, თავისი მიზეზი ჰქონდა. რა არის შენი გააქტიურების მიზეზი?**

– ჩემი გააქტიურების მიზეზი, უპირველესად, არის ქეთა თოფურია, რომელიც ტელეკომპანია „იმედის" ეთერში, მუსიკალურ პროექტ „ვოისში“ იღებს მონაწილეობას. ქეთა რომ მწვრთნელის რანგში ყოფილიყო, სწორედ ამაში მივიღე მონაწილეობა. ჩემი გააქტიურება გამოიწვია ასევე, ქეთას აქ არყოფნამ. ჩვენ ყოველდღიური კავშირი გვაქვს მასთან სკაიპის საშუალებით და რეპეტიციები სწორედ ასეთი სახით მიდის ძალიან აქტიურად. მოკლედ, ქეთამ ძალიან გამააქტიურა, მისი დესანტი ვარ, ასე ვთქვათ. დილას, შუადღეს და ღამით, სულ ჩვენთან ერთადაა. დღეს, მაგალითად, მოლდოვაშია და ვიდეო გვაქვს ჩართული 24/24–ზე. ფაქტობრივად, სულ ერთად ვართ.

**– როგორ ართმევ თავს ქეთას დესანტობას?**

– გადასარევად. ამას, ალბათ, ბავშვები უფრო იტყვიან. ქეთას ძალიან კარგი, შეკრული გუნდი ჰყავს. ძალიან მეგობრული, გულწრფელები და გახსნილები არიან. ერთი ოჯახივით ვართ. გარე თვალიც ამჩნევს ამას და ამბობენ, რომ ყველაზე განსხვავებული გუნდი ქეთას ჰყავს, რაც ძალიან გვიხარია.

**– როგორც პროდიუსერი, ხომ არ გაქვს სურვილი, თუნდაც ქეთას გუნდიდან, რომელიმესთან გააგრძელო საპროდიუსერო მოღვაწეობა?**

– ჯერჯერობით ამაზე არ მიფიქრია და ამას თავისი მიზეზიც აქვს. სულ ვამბობ, რომ შოუ–ბიზნესისთვის ძალიან დიდი დანაკლისია, როცა არ არსებობს მუსიკალური არხი. შეიძლება, „ფეისბუქით" გახდეს მომღერალი პოპულარული, მაგრამ ტელევიზია და მასმომღერლობა, სულ სხვა რამეა. საუბარია დიდ მასშტაბზე, რასაც აუცილებლად მუსიკალური არხი სჭირდება. სულ ვამბობ და თქვენი ჟურნალის საშუალებითაც კიდევ ერთხელ ვიტყვი, მამუკა ღლონტო, დაგვიბრუნდი მუსიკალური ტელევიზიით. მას მართლა ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის შოუ–ბიზნესის აღორძინებაში. დავიღალეთ პოლიტიკით. სოციოლოგიური გამოკითხვა რომ გააკეთო, 100 პროცენტიდან – 80, ტელევიზიას აღარ უყურებს. ეს იმიტომ, რომ მუდმივად პოლიტიკური თოქ–შოუებია. გაპოლიტიზებულები გავხდით. ხელოვნება და კულტურა აღარავის აინტერესებს და დაგვივიწყეს საერთოდ. აქედან გამომდინარე, ძალიან რთულია, ვიფიქრო რომელიმე მომღერლის აყვანაზე. მხოლოდ სახლისა და პატარა კლუბისთვის, მე ვერ ვიმუშავებ. რადიოჰოლდინგი „ფორტუნა“ ძალიან დიდ საქმეს აკეთებდა ყოველთვის და კარგი ტანდემი იყო ჩვენ შორის, მაგრამ მხოლოდ რადიო საკმარისი არ არის. საჭიროა მუსიკალური ტელევიზია. ეს ყველაფერი ჯაჭვური რეაქციასავითაა.

**– ვფიქრობ, „ვოისმა“ გაგახალისა.**

– სად მეტყობა, რომ ჩემი თავი გავახალისე? ვიცინოდი, რადგან აქ (რეპეტიციაზე) ისეთი ამბავი ხდებოდა, რომ არ გამეცინა, წარმოუდგენელი იყო. გახალისების რა გითხრა, მაგრამ საინტერესო ნამდვილად არის. არის, როცა ცუდი კონკურენციის სუნი ასდის კონკურსს. აქ კი ეს ნამდვილად არ იგრძნობა, რადგან „ვოისში" კონკურენცია მხოლოდ ჯანსაღია და ძალიან საინტერესო სამუშაოა. ქეთაც ძალიან ბედნიერია ამით. ყოველ წუთს ვუგზავნით ბავშვების ვიდეოებს და გზავნილებს. მუდმივად კონტაქტზე ვართ მასთან.



სულ ვამბობ, ერთი ქეთა ყველა ოჯახში რომ იყოს, საქართველო გადარჩება

**– ქეთამ ინტერვიუში გვითხრა, რომ საქართველოში მისი წარმომადგენელი ნატო დუმბაძეა და „ვოისში" მისი მონაწილეობაც შენი დამსახურებაა. აღნიშნა, რომ ზუსტად იცი, რა არის მისთვის კარგი, რა უნდა, რა არ უნდა და ასე შემდეგ.**

> გაპოლიტიზებულები გავხდით. ხელოვნება და კულტურა აღარავის აინტერესებს, ამიტომ, ძალიან რთულია, ვიფიქრო რომელიმე მომღერლის აყვანაზე. მხოლოდ სახლისა და პატარა კლუბისთვის მე ვერ ვიმუშავებ

– ჩვენ ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის.

**– ქეთა, ფაქტობრივად, შენ თვალწინ გაზრდილი ბავშვია და მის კარიერულ სვლაში სწორედ შენ მიგიძღვის დიდი წვლილი.**

– ქეთას 4 წლის ასაკიდან ვიცნობ, როცა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დადიოდა. მე და ნატას (ქეთას დედას) ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს წლების განმავლობაში. ზუსტად ვიცი ქეთას ხასიათი. ვიცი, როგორ გაიზარდა, როგორ წავიდა 17 წლის ასაკში „ა სტუდიოში“, როგორ გადაიტანა პირველი ერთი წლის განმავლობაში სტრესები, როგორ მიიღო რუსეთმა და ასე შემდეგ. სულ ვამბობ, ერთი ქეთა ყველა ოჯახში რომ იყოს, საქართველო გადარჩება–მეთქი. ეს არის ადამიანი, რომელიც არასდროს არავიზე ჭორაობს, ვინმეზე თუ რამეს ფიქრობს, ეგრევე ეუბნება. ყოველთვის კარგ ხასიათზეა და უნდა, სხვაც კარგ ხასიათზე იყოს. ქეთა ძალიან მხიარულია, მაგრამ შიგნით ყველაფერს განიცდის. ამას კი გარეთ არასდროს გამოიტანს. ზუსტად ვიცი, რომ მუდმივად ასეთი იქნება და არასდროს შეიცვლება. მართლა ძალიან ჯანსაღი ადამიანია. მასზე ყოველთვის მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. დაბადების დღისთვის საჩუქარს რომ ვურჩევდი, ვეუბნებოდი, უკვე აღარ ვიცი, რა გაჩუქო–მეთქი – ხან რა ფოტო გავუგზავნე, ხან რა. დამანებე თავი, რით ვერ გაიგე, რომ შენ ხარ ჩემი საჩუქარიო, მითხრა. მადლობა მას ასეთი თბილი სიტყვებისთვის. რა თქმა უნდა, ანალოგიურად, ქეთაც ჩემი საჩუქარია. მინდა, სულ ასე კარგად და ბედნიერად იყოს.

**– ახლა ოჯახში გადმოვინაცვლებ. ძალიან აქტიური და მოსიყვარულე ბებია ხარ.**

– აქტიური შვილიშვილი მყავს და მეც აქტიურ ბებიად მაქცია. საკმაოდ პოპულარულია თინა სოციალურ ქსელში. დადებული არ მაქვს ფოტო, უამრავ მოწონებას იმსახურებს. ძალიან საყვარელი, მხიარული და კომუნიკაბელური.

**– მკაცრი დედა ხარ?**

– მკაცრი არ ვარ, უფრო რბილი და მომთხოვნი. ვითხოვ, რომ უფრო მეტი გააკეთონ, მეტი მოტივაცია ჰქონდეთ. ეტიკეტს ვაქცევ ძალიან დიდ ყურადღებას, თინას შემთხვევაშიც კი. ბევრს ჰგონია, რომ მკაცრი ვარ. რომ გამიცნობენ, მერე კი მეუბნებიან, რა სხვანაირი ყოფილხარო. რატომ ვგონივარ ყველას მკაცრი, მართლა არ ვიცი, ალბათ ჰაბიტუსი მაქვს ასეთი.

**– და ბოლო კითხვა: „ვოისის“ დამთავრების შემდეგ, რით უნდა დაკავდეს ნატო დუმბაძე?**

– „ვოისის“ დასრულების შემდეგ იქნება გაგანია იანვარი, „მკვდარი“ სეზონი. ყველა დაისვენებს და მეც, მათ შორის. ალბათ, ცოტა ხნით წავალ საქართველოდან. დასვენებული რომ დავბრუნდები, მერე ვნახოთ. ჯერჯერობით, დასახული გეგმა არ მაქვს. თუ სადმე რამე პროექტი იქნება, სადაც საჭირო გახდება ჩემი ჩართვა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**პომპადური**: პოლიტიკის მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ უნდა იცოდე დრო, როდის მოიტყუო და იცოდე დრო, როდის გაჩუმდე.

**ბეკონი**: დროის შერჩევა – მისი მოფრთხილებაცაა. უდროოდ გაკეთებული საქმე ფუჭია.

**პასკალი**: სამართლიანი არის ის, რაც დადგენილია; ამიტომ, ყველა დადგენილ კანონს ადამიანები სამართლიანად ცნობენ, ისე, რომ არც ცდილობენ მის არსში წვდომას, რაკი ის უკვე დადგენილია.

**უილიამსი**: სიტყვები, რომლებიც თვითონვე მოსწყდებიან ხოლმე ბაგეს, ყოველთვის მართალი სიტყვებია. სიცრუესა და ფარისევლობას წინასწარ მომზადებული სიტყვები შეიცავენ.

**ბელოკი**: სიმდიდრე და სიბრძნე მხოლოდ ერთ შემთხვევაში ერწყმიან ერთმანეთს – როცა სიმდიდრე მოხვეჭილი კი არ არის, არამედ, მემკვიდრეობითია.

**ბარკა**: უდიდესი გამარჯვება – საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

**პლუტარქე**: ორი ძირითადი ღირსება ადამიანური ბუნებისა, ესაა ჭკუა და განსჯის უნარი.

**არისტოტელე**: ჯობია, სრულად გააკეთო საქმის პატარა ნაწილი, ვიდრე ცუდად გააკეთო ათჯერ მეტი.

**ლაროშფუკო**: ყოველი კაცი, მისი რაობისა თუ ვინაობის მიუხედავად, ცდილობს, ისეთი სახე მიიღოს და იმნაირი ნიღაბი გაიკეთოს, რომ ყველას თვალში ჩანდეს იმად, რადაც სურს, რომ ჩანდეს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, მთელი საზოგადოება ნიღბებისგან შედგება.

**გოეთე**: ყველა ადამიანი უჩივის თავის მეხსიერებას, მაგრამ არავინ უჩივის თავის საღ აზრს.

**სენეკა**: რათა სათანადოდ მიიღო მადლი, კარგად უნდა ერკვეოდე ჭეშმარიტებაში. იმისთვის, რომ იცოდე, რა აკეთო, უნდა იცოდე, რა არის ის.

**ბალზაკი**: ცეზარისთვის ბევრი რამ დაუშვებელია, იმიტომ, რომ მისთვის ყველაფერი შესაძლებელია.

**აკაკი**: ბრბოს ძაღლის თვისება აქვს ზოგჯერ: თუ მაღალ საფეხურზე შემდგარი კაცი დაინახა, უთუოდ უნდა შეუყეფოს.

**კონსტანტინე**: არასდროს არსად ისე იოლად არ ეცნობა ადამიანი ადამიანს, როგორც ციხეში და გზაში.

**შექსპირი**: სხვების რჩევებს დაუკვირდი, საკუთარ აზრებს გაუფრთხილდი.

**დიდრო**: ქალები ფარისევლურ ტყუილს ერთ ყლუპად ყლაპავენ, მწარე სიმართლეს კი – წვეთ-წვეთად.

# თუ გაქვთ ცოდნა

1. **რომელ ქალაქს** უწოდებდნენ ძველი ბერძნები „მოკვდავთა მომთვინიერებელს“?

2. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მღვდელმა გეილსმა, ციხის საკნებში პატიმართა პირობები რომ გაეუმჯობესებინა, გამოიგონა ახალი ხელსაწყო. მისმა გამოგონებამ მართლაც მკვეთრად შეამცირა პატიმრების სიკვდილიანობა. **რა ხელსაწყო გამოიგონა მღვდელმა?**

3. იგი სულაც არაა შავი – ნარინჯისფერია და არც პარალელეპიპედის ფორმა აქვს – სინამდვილეში, სფეროსებურია. სამაგიეროდ, თუ ვერ იპოვეს და მისი გახსნის საშუალება არ მიეცათ, ბევრი რამ ბნელით მოცული დარჩება. ალბათ, სწორედ ამიტომ უწოდებენ მას... **რას?**

4. **რა აღმოაჩინეს** ავსტრიელმა მეცნიერებმა 1940 წელს მაიმუნის ერთ-ერთი სახეობის, მაკაკის სისხლის კვლევისას, რომელმაც მედიცინას დიდი დახმარება გაუწია?

5. სამხედრო ჩინების მინიჭება ზოგჯერ დაჩქარებულად, ვადაზე ადრეც შეიძლება, მაგრამ ეს ყველა საფეხურის გავლით ხდება, რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. მაგალითად, უფროს ლეიტენანტ იური გაგარინს კაპიტნის ჩინის გამოტოვებით მაიორობა მიანიჭეს. **რომელ კაპიტანს მიენიჭა პირდაპირ გენერლობა?**

6. ციხეებში ყოველდღიურად ამოწმებდნენ გისოსების მდგომარეობას, თუმცა ადვილი შესაძლებელია, თხელი ხერხით გადაჭრილი გისოსი თვალით შეუმჩნეველი ყოფილიყო. ამიტომ, მორიგე-ზედამხედველები გასაღებით ამოწმებდნენ მათ. **როგორ?**

7. ინგლისელი უილიამ გერშელი 1856 წელს ბენგალიაში მმართველი ჩინოვნიკი იყო. მას ყოფილი ინდუსი ჯარისკაცებისთვის პენსიის გაცემა ევალებოდა. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ინდოელი პენსიონერები ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. ერთნაირი ტანსაცმელი ეცვათ, თითქმის ყველა მოგვარე იყო და რაც მთავარია, არც წერა იცოდნენ და არც კითხვა. ამიტომ, ხშირი გახლდათ შეცდომა, რაც მორალურ და მატერიალურ ზარალს აყენებდა ბრიტანეთის სამეფოს. გერშელმა ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გამოიგონა... **რა?**

8. ინგლისელი თავადებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ტიტული სახელის წინ იქნება თუ შემდეგ. **რატომ?**

9. იესო ქრისტეს ერთ-ერთ თანამედროვეს მართლმადიდებელი ეკლესია უარყოფით პიროვნებად მიიჩნევს, სწორედ ქრისტეს და ქრისტიანობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის. კოპტურმა ეკლესიამ კი ის წმინდანად შერაცხა. **ვინ?**

10. **რა ერქვა** მსუბუქად შეიარაღებულ გლადიატორს, რომელიც ორთაბრძოლების დასაწყისში, მაყურებელთა აზარტში შესასვლელად გამოჰყავდათ?

*პასუხები იხილეთ 48-ე გვერდზე*

# რა მოხდა ამ დღეს

**19 ოქტომბერი**

1860 – გერმანიაში დაარსდა პირველი ქარხანა, რომელიც აწარმოებდა შიდაწვის ძრავებს.

1911 – დაიწყო რუალ ამუნდსენის მოგზაურობა სამხრეთ პოლუსის დასაპყრობად.

**20 ოქტომბერი**

1818 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა დაადგინეს კანადის საზღვრები.

1968 – არისტოტელე ონასისისა და ჟაკლინ კენედის ქორწილი.

**21 ოქტომბერი**

1879 – თომას ალვა ედისონმა გამოიგონა ელექტრონათურა.

1923 – მიუნჰენში გაიხსნა მსოფლიოში პირველი პლანეტარიუმი.

1997 – ყაზახეთის დედაქალაქი ალმა-ატიდან ასტანაში გადავიდა.

**22 ოქტომბერი**

1797 – ფრანგი ანდრე ჟან გარნერენი მსოფლიოში პირველი გადმოხტა პარაშუტით (საჰაერო ბურთიდან).

1842 – გუსტავ ფაბერჟემ გახსნა მოსკოვში პირველი საიუველირო სალონი.

1883 – ნიუ-იორკში გაიხსნა „მეტროპოლიტენ ოპერა“.

1909 – ელიზა დეროში გახდა მსოფლიოში პირველი ქალი პილოტი.

**23 ოქტომბერი**

1917 – ბოლშევიკებმა მიიღეს 25-ში გადატრიალების მოწყობის გადაწყვეტილება.

1956 – უნგრეთში დაიწყო ანტისაბჭოთა გამოსვლები.

**24 ოქტომბერი**

1857 – ინგლისში, შეფილდში, დაარსდა მსოფლიოში პირველი საფეხბურთო კლუბი.

1929 – „შავმა ოთხშაბათმა“ დასაბამი დაუდო მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს.

1939 – პირველად გამოიტანეს გასაყიდად ნეილონის კოლგოტები.

**25 ოქტომბერი**

1555 – აუგსბურგის რელიგიურმა ზავმა დროებით შეაჩერა ომები კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის.

1883 – ჟენევაში გიორგი პლეხანოვმა შექმნა პირველი რუსული მარქსისტული ორგანიზაცია.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. მe2; მფ:h1 2. ლh3 ≠**

**1. ლe5; მფf3 2. 0-0 ≠**



**ნიკა გრიგოლიას ანეკდოტები**

გურული ექიმთან მიიყვანს ცოლს. ექიმმა უყურა, უყურა ქალს და ბოლოს ქმარს უთხრა:

– რაღაც, არ მომწონს თქვენი ცოლი.

– მაი არც მე მომწონს, ექიმო, მარა, ბაღნებს უყვართ ნამეტარი.

***

– მამი, სულ „უფულობა, უფულობა“ რომ მესმის, ფულიანობა რას ნიშნავს?

– ო, შვილო... ფული – ეს ბევრი რამაა-შამპანური, მაგარი მანქანა, ქალები..

– და, უფულობა?

– უფულობა – ლუდია, ავტობუსი და დედამშენი!

***

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ფეხბურთელს თამაშის დროს გულის შეტევა დაემართა. ეს იყო საქართველოს ნაკრების ერთადერთი შეტევა იმ შეხვედრის დროს.

***

ვაკელი გოგონების საუბარი:

– აუ, რატომ არ რთავ არასდროს პავაროტნიკებს?

– აუ, არავის საქმე არ არის, საით მივდივარ, რაა...

***

შემთხვევითი სექსის შემდეგ:

ფრანგი ქალი: ვერც სახელს გეტყვით და ვერც ტელეფონის ნომერს მოგცემთ!

უკრაინელი ქალი: ეს არის ჩემი ნომერი და დამირეკე!

ქართველი ქალი: ე, აქანე დავდგამ სტენკას!

***

დილით ახალგაღვიძებული ცოლი ეუბნება ქმარს:

– საყვარელო, დამესიზმრა, თითქოს ოქროს ყელსაბამი მიყიდე.

– თუ ჭკვიანად მოიქცევი, შემდეგ სიზმარში მანქანასაც გაჩუქებ.

***

ქუჩაში ბიჭი უკან მიჰყვება გოგოს. როგორც იქნა გაბედა და ჰკითხა:

– გოგონი, შეიძლება გაგიცნოთ?

– არა! – შემოუბრუნდა გოგო.

– ვახ ჩემი!!! კიდევ კარგი...

***

მასწავლებელი:

– აბა, ბავშვებო, ვინ დამისახელებს რთულ წინადადებას? ზარანდია, ადექი, გისმენ!



– მაშინ, როცა მამაჩემი სამსახურშია, დედა სარკესთან იპრანჭება, მერე „ჟიპით” აკითხავს ვიღაც და საღამოს ცხრა საათზე მოჰყავს სახლში.

– ყოჩაღ, ზარანდია, დაჯექი, ათიანი. ახლა ჩხეიძე ადგება და დამისახელებს მარტივ წინადადებას.

– ზარანდიას დედა ბოზია.

## როგორ გამოვიდა „პახმელიაზე“ „მურის“ ოპერი თბილისში

1972 წლის მაისში ცნობილმა ქურდმა ოთარ მელაძემ, მეტსახელად „ჭინკამ“, მოსკოვში ცეკას მაღალჩინოსნის ბინა პირწმინდად „გაასუფთავა“ და მიიმალა. ძვირფას ნივთებს სამი ცალი ბრინჯაოს მონეტაც გააყოლა, რომლებიც, თურმე, იულიუს კეისრის დროინდელი ყოფილა და შეუფასებელ ნუმიზმატურ ღირებულებას წარმოადგენდა. დაზარალებული გიჟს ჰგავდა და როგორც შევიტყვე, იმუქრებოდა: თავს წაგაცლით, თუ მონეტებს არ დამიბრუნებთ. მსოფლიოში სულ ხუთი ასეთი მონეტაა და სამი მე მაქვსო... იმ პერიოდში მე „მურში“ ვმუშაობდი და სხვებთან ერთად, ძებნის ოპერაციაში ვმონაწილეობდი. მთელი მილიცია ფეხზე იდგა, თუმცა „ჭინკას“ ვერ ვპოულობდით. მაძებრებს დაკარგული მონეტების ფოტოები გვქონდა და ყველა ნაცნობ თუ უცნობ ნუმიზმატთან მივდიოდით, მათ კოლექციებს ვამოწმებდით.

ამ შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ, თბილისში, ჩემი დის ქორწილში ორი დღით ჩამოვედი. თავგამოდებული სმის შემდეგ, როგორც იქნა, სუფრიდან გამოვიპარე. დილაადრიან კი რიყისკენ გავემართე ჩემი მანქანით, რომ ხაში მეჭამა და ასი გრამიც დამეყოლებინა „პახმელიიდან“ გამოსასვლელად. დილმის მასივიდან მოვდიოდი სანაპიროზე, „დინამოს“ სტადიონის ქვევით, ერთი გოგონა ჩავისვი, რომელმაც ხელი დამიქნია. მაშინ უცოლო ვიყავი, ვიფიქრე – ხინკალზე დავპატიჟებ-მეთქი. გოგონა დამთანხმდა და რიყიდან რომ წამოვედით, ჩემს ბინაში ავედით. იქაც კარგად მოვილხინეთ და საქმეზე რომ უნდა გადავსვლიყავით, მან ჩანთა გახსნა, სიგარეტის ამოსაღებად. ჩანთიდან კი სწორედ იმ ფუნქციონერი კოლექციონერის სახლიდან წამოღებული მონეტა ამოუვარდა... ამის დანახვაზე ლამის თვალები ბუდიდან გადმომცვივდა. შეცდომა გამორიცხული იყო, რადგან დაკარგული მონეტების ფოტოები კარგად მქონდა შესწავლილი. აბა, რაღა მექალებოდა? გოგონას ჩემი ვინაობა გავუმხილე და კატეგორიულად მოვთხოვე, ელიარებინა, საიდან ჰქონდა ეს მონეტები. ჩემი სტუმარი დამწყები ბაცაცა აღმოჩნდა და მითხრა: წუხელ, ვიღაც ფარჩაკმა „მომხსნა“ ტრასიდან. ეგონა, ჩემთან მოილხენდა, მე კი „კლოფელინით“ გავუმასპინძლდი. მივაძინე. ბაითი გავუშმონე, მაგრამ ამ სამი ცალი



სირობის მეტი, ვერაფერი აღმოვაჩინეო...

გოგონამ ისიც აღიარა, რომ ჩემი დაძინება და გაქურდვაც უნდოდა. მას შევპირდი, რომ არ დავიჭერდი, თუ იმ ბინას მაჩვენებდა, საიდანაც მონეტები წამოიღო. ის დამთანხმდა და ერთად გავემართეთ დიდუბისკენ. ბინა ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე იყო. მე პისტოლეტი მოვიმარჯვე და ჯერ გოგონა მივაბი საჭეზე ხელბორკილებით, შემდეგ კი, სახურავიდან შევძვერი ბინაში... საძინებელში რომ შევედი, მხვრინავი „ჭინკა“ შემრჩა ხელში, რომელიც ნათესავის ბინაში იმალებოდა. მან მხოლოდ მას მერე გაიღვიძა, როცა გავკოჭე და საცვლებისამარა მილიციაში მივიყვანე. გოგონა კი გავუშვი... ასე, ორიგინალურად გამოვედი „პახმელიაზე“ და მურელები ხშირად იხსენებდნენ ამ ისტორიას.

**ნოდარ კილაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**

**დუმბა**

აფხაზეთი, ეს მართლაც ხილული წალკოტი, დღეს რომ ასე სანატრელი გამხდარა ჩვენთვის (რა თქმა უნდა, დროებით), ერთ დროს ყველაზე სასურველი საკურორტო ზონა გახლდათ. ჰოდა, აგარაკებიც გვქონდა იქ. ერთ-ერთი მათ შორის კი, გულრიფშში, ჩვენი უსაყვარლესი მწერლის, ნოდარ დუმბაძისაც გახლდათ. ერთხელაც ადგა ნოდარი და წარწერა გაუკეთა თავის „დაჩას“ – „დუმბა.“ გაიკვირვეს მწერლებმა: რა იყო, გააფხაზდი თუ რას ნიშნავს დუმბაო?! არა, „კრასკა“ დამაკლდაო, – ჩვეული იუმორით გასცა პასუხი მეგობრებს „გააფხაზებულმა“ გურულმა.

**წარმატებული ქართველი კალათბურთელი, გიორგი შერმადინი ახალ საკალათბურთო სეზონს ახალ გუნდში ხვდება. მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ანდორაში გაემგზავრა. ჩვენი რესპონდენტი გიორგის მეუღლე, ანი ამაშუკელია, რომელიც რამდენიმე დღეში ბავშვებთან ერთად ანდორაში მიემგზავრება. როგორც ანიმ გვითხრა, ახალი გუნდი გიორგიზე დიდ იმედებს ამყარებს და პრესაშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართველი კალათბურთელის გამოჩენას.**

# როგორია გიორგი შერმადინის ანდორული ცხოვრება და ვის დაიცავს ჯუჯა სახელმწიფოში ტანმაღალი ქართველი



**ბავშვები მართლა ისე შეეჩვივნენ წინ და უკან სიარულს, რომ ვეტყვი, სადმე მივდივართ-მეთქი, თვითმფრინავითო? – მეკითხებიან**

**ანი ამაშუკელი:** გადავედით ახალ გუნდში. გიორგი უკვე რამდეიმე კვირაა, წასულია და მოუთმენლად ელის ჩვენს ჩასვლას. ყოველდღე გვირეკავს, როდის მოდიხართო. დაახლოებით 10 დღეში, მე, ბავშვები და ძიძა ერთად წავალთ. მოგვიანებით კი, ოჯახის სხვა წევრებიც ჩამოვლენ.

**– გიორგის არაერთი ქვეყნის გუნდში უთამაშია, თუმცა მანდ არასდროს ყოფილხართ.**

– ეს არის ჯუჯა სახელმწიფო ესპანეთსა და საფრანგეთს შორის. დაახლოებით მონაკოს ტიპის სახელმწიფოა – პატარა, მთებში, კურორტული ზონაა. ვინც ნამყოფია, ყველა კმაყოფილია. „გუგლში" რომ მოვიძიე ფოტოები, ძალიან მომეწონა, ფანტასტიკური ადგილია, პრაქტიკულად, ბუნების წიაღშია. ასე რომ, ანდორას სილამაზით შორიდან უკვე მოვიხიბლე.

**– მას შემდეგ, რაც გიორგის ცოლი ხარ, გამომდინარე მეუღლის ცხოვრების წესიდან, არაერთი საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალე.**

– გარდა იმისა, რომ საცხოვრებელ ადგილს წელიწადში ერთხელ ვიცვლით, ისეც ხდება, ერთი სეზონის განმავლობაშიც კი გადავსულვართ სხვაგან საცხოვრებლად. ეს, რა თქმა უნდა, გიორგის კონტრაქტის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვიყავით სლოვენიაში, ისრაელში, ორჯერ საბერძნეთში, ესპანეთში და ასე შემდეგ.

**– მოკლედ, ამსიგრძე კაცი ჯუჯა სახელმწიფოს კალათბურთელთა გუნდს დაიცავს.**

– ჰო, ძალიან სასაცილოა, ეს ხუთმეტრიანი კაცი ჯუჯა სახელმწიფოში. გიორგიც სულ სამი კვირაა, რაც ჩავიდა. ერთი ის ვიცი, რომ ორი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი თანხა დახარჯეს, კარგი გუნდი რომ გაეკეთებინათ. შესაბამისად, შედეგებსაც ველოდებით. რამდენიმე ამხანაგური თამაში ჰქონდათ და ძალიან კარგადაც გამოიყურებოდნენ.

**– ბავშვებიც შეეჩვივნენ, ალბათ, სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრებას, არა.**

– ბავშვები მართლა ისე შეეჩვივნენ წინ და უკან სიარულს, რომ ვეტყვი, სადმე მივდივართ-მეთქი, თვითმფრინავითო? – მეკითხებიან. ძალიან ემზადებიან წასასვლელად და ყოველი გიორგისთან საუბრის დროს, ეკითხებიან: მამიკო, რა ფერის საწოლი გვაქვს, რა მიყიდე, რა უნდა დამახვედრო და ასე შემდეგ. აქედანვე აძლევენ შეკვეთებს.

**– ძალიან ყურადღებიანი მამაა, როგორც ვიცი.**

– გიორგი სუპერყურადღებიანი მამაა და მართლა ჩემპიონია ამ საკითხში. ზოგადად, ყურადღებიანია და ოჯახისადმი ძალიან ფაქიზი დამოკიდებულება აქვს. ბავშვებსაც ძალიან უყვართ მასთან ყოფნა და უპრობლემოდ მიჰყვებიან ყველგან. მათთვის მხოლოდ დედა არ არის პრიორიტეტი. როცა სცალია, ცდილობს, ბოლომდე დაიხარჯოს ბავშვებისა და ოჯახისთვის, რასაც ძალიან ვაფასებ. მოწოდებულია ოჯახისა და მამობისთვის თავიდან ბოლომდე.

**– არა მხოლოდ გიორგია ყურადღებიანი, არამედ შენც სუპერცოლი და დედა ხარ.**

– არ ვიცი, მე კი ძალიან ვცდილობ, მაგრამ ეს უკვე გიორგის უნდა ჰკითხო. ხანდახან იმასაც ვამბობ, რომ სამი შვილი მყავს–მეთქი, რადგან გიორგისაც ისევე სჭირდება ხელშეწყობა, როგორც ბავშვებს. არა მხოლოდ კვებითი, არამედ მორალურად, ფსიქოლოგიურად და ადამიანურად. ის ხომ თავისი ცხოვრებით ვერ ცხოვრობს. ისეთი რეჟიმი აქვს, უნდა არ უნდა ის უნდა გააკეთოს, რაც გასაკეთებელია. ამ დროს კი, ადამიანს გვერდში დგომა და მხარდაჭერა სჭირდება. ეს თავიდანვე მქონდა გააზრებული, სხვანაირად შეუძლებელია.

**– ახალ გუნდშიც ბევრ გულშემატკივარს შეიძენს გიორგი, რადგან ის ადამიანი-პოზიტივია.**

– ხანდახან ვეუბნები, ზედმეტად კარგი და კეთილი ბიჭი ხარ–მეთქი. დარწმუნებული ვარ, ბევრი ახალი გულშემატკივარი შეემატება. ძალიან გაუხარდათ, გადასვლაზე რომ დათანხმდა. მთელი „ტვიტერი" აჭრელებული იყო და განსაკუთრებული შეხვედრაც მოუწყვეს. ვიცი, რომ მისი დიდი იმედი აქვთ და გუნდს აწყობენ გიორგიზე. ძალიან თბილად მიიღო გუნდმა. ერთი პრობლემა ისაა, რომ ინგლისურად საუბარი იქ ცოტა უჭირთ. გუნდშიც კი რამდენიმე ადამიანმა იცის ინგლისური. პრესკონფერენცია რომ მოაწყვეს, თარჯიმანი მოითხოვეს. გიორგიმ რომ უთხრა, არ გინდათ, ინგლისურად ვილაპარაკებო, გაეცინათ. შენ კი ილაპარაკებ, მაგრამ ჩვენ ვერ გავიგებთო. ბოლოს იქ მაცხოვრებელი ქართველი, ყოფილი მორაგბე მოიყვანეს და ის თარგმნიდა ჟურნალისტებისთვის ესპანურად. მგონი, ჩვენ თარჯიმანი და ენის სწავლა ერთად დაგვჭირდება. მუდმივად, ერთ კონკრეტულ ქვეყანაში რომ გვიწევდეს ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს ისწავლი იმ ენას, მაგრამ როცა ერთი ადგილიდან მეორეზე გიწევს გადაბარგება, რთულია, ამდენ ენას შეეჭიდო. მე კი არა პოლიგლოტი ვერ ისწავლის. შემდეგ ინტერვიუზე ესპანურად რომ მოგესალმო, არ გაგიკვირდეს.

**– საკმაოდ ცხელი ზაფხული ჰქონდა საქართველოს კალათბურთის ნაკრებს. როგორც გულშემატკივარმა, როგორ გადაიტანე ევროპის ჩემპიონატის შეხვედრები?**

– ვინც ევროპის ჩემპიონატზე ვიყავით საგულშემატკივროდ ჩასული, ისე ვინერვიულეთ, რომ ეს ყველაფერი თვალნათლივ აისახა ჩვენს გარეგნობაზე. ყველამ წონაში დავიკელით. სერიოზულ ემოციებში ვიყავით და ვამხნევებდით ჩვენებს. დარბაზში სულ რაღაც 30 ქართველი გულშემატკივარი ვიქნებოდით, მაგრამ იმხელა ემოცია, დადებითი აურა და გამხნევება მოდიოდა ყველასგან, რომ სიტყვით ვერ გადმოგცემ. ხორვატიამ ხომ აავსო დარბაზი თავისი გულშემატკივრებით. მაგრამ ჩვენი პატარა ფლიგელი, თავისი შეძახილებით, ჯაბნიდა ხორვატებს. საკმაოდ ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა. ცოტა, თავიდან არ გაგვიმართლა, მაგრამ მერე ძალიან დამაჯერებლად ითამაშეს ბიჭებმა.

**– ოჯახის თემას მივუბრუნდები. მატების პერსპექტივა ხომ არ გაქვთ ამ ეტაპზე?**

– ცოტახანს არა, მაგრამ სამომავლოდ, კიდევ ორ შვილს სიამოვნებით ვიყოლიებდი.

**– რამდენი წლის არიან ბავშვები?**

– ნუციკო 4–წლინახევრის, ხოლო ნიკოლოზი დეკემბერში 3 წლის გახდება. პრინციპში, უკვე დროა, მატებაზე ვიფიქროთ.

**– ნიკოლოზს თუ მოსწონს კალათბურთი?**

– გიჟდება. ნათლიამისმა კალათბურთის ფარი აჩუქა, რომელიც ნატახტარში გვაქვს დამონტაჟებული. უნდა ნახო, როგორ თამაშობს. გენეტიკაც მოქმედებს, რა თქმა უნდა, მაგრამ თვითონაც ძალიან ჟინიანი და სპორტული ტიპია. ძალიან მონდომებულია. სახლში ყველაფერი დალეწა, ყველაფერი კალათი ჰგონია. აი, რაც შეეხება ნუციკოს. სულ კარადაშია შემძვრალი და ჩემი ფეხსაცმელებით დაკაკუნობს.

**– თამაშებზე თუ დადიან?**

– რა თქმა უნდა, მამიკოს დიდი გულშემატკივრები არიან – დიდი შეძახილებითა და მთელი ამბებით.

**– მომდევნო ვიზიტი საქართველოში როდის იგეგმება?**

– ალბათ, მომავალ წლამდე ვერ ჩამოვალთ და იქ ვიქნებით. მოწყენით იქ ნამდვილად არ მოვიწყენთ, რადგან სულ გვყავს სტუმარი საქართველოდან ყველგან. თუნდაც ერთი ჩვენი ახლობელი რომ იყოს ჩვენთან, უკვე კარგად ვარ, რადგან საოცრად ნოსტალგიური ადამიანი ვარ და ახლობლებისა და ოჯახის წევრებისგან შორს ყოფნა არ შემიძლია.

**მარიკა ხიდურელი**

# რა არის ექიმ რეზო გაგუას მთავარი სამუშაო პრინციპი

**ბატონ რეზო გაგუას ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგენა აღარც სჭირდება – ის ქართველ პაციენტებში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ქართველი ექიმია, რომლის სახელსაც ქართული ონკოლოგიის განვითარება და პროგრესი უკავშირდება. სწორედ ამიტომაც ასახელებენ მას ჩვენი მკითხველები წლის აღიარებულ ონკოლოგად.**

**რეზო გაგუა** – *საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი, პროფესორი.*

**დოსიე:** დაიბადა ქალაქ ფოთში. 1963 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა ფოთის №7 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1969 წელს დაასრულა. 1969 წლიდან განაწილებით მუშაობდა ქირურგად ჯერ ხობის, ხოლო შემდეგ კი ფოთის საავადმყოფოში. 1970 წლის ნოემბერში ჩაირიცხა მოსკოვის საკავშირო კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში. ორდინატურისა და ასპირანტურის წლებში სპეციალურ მომზადებას გადიოდა თორაკალურ ქირურგიაში აკადემიკოს მ. პერელმანის ხელმძღვანელობით. ასპირანტურაში ვადაზე ადრე, 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, თემაზე – „რეთორაკოტომია ფილტვისა და შუასაყარის ქირურგიაში". 1979-1989 წლებში, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, იგი მუშაობას შეუდგა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, თორაკალური განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. მის სახელთანაა დაკავშირებული ფილტვის ქირურგიის განყოფილების ჩამოყალიბება, რომელმაც საკმაოდ მოკლე პერიოდში მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. 1987 წლიდან აღნიშნული განყოფილების მასშტაბები გაფართოვდა საყლაპავისა და კუჭის პროქსიმალური ნაწილის კიბოს ქირურგიული მკურნალობის პრობლემების შესწავლით. ამ პერიოდიდან განყოფილებას ეწოდა „თორაკალური ონკოლოგიის განყოფილება." რ. გაგუას მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის ძირითად ინტერესებს წარმოადგენს ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა და მკურნალობა, შუასაყარის ახალწარმონაქმნების ქირურგიული მკურნალობა, საყლაპავისა და კუჭის პროქსიმალური ნაწილის კიბოს დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა და ასე შემდეგ. მის მიერ საქართველოში პირველად განხორციელდა ფილტვის სიმსივნის დროს პერიფერიული ბრონქების კათეტერიზაცია ფიბრობრონქოსკოპის საშუალებით; ტრაქეის გულმკერდის ნაწილის ცირკულარული რეზექცია; ლობექტომია მთავარი ბრონქის ცირკულარული რეზექციით; ტრაქეის ბიფურკაციის რეზექცია; ფილტვის მეტასტაზური სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა და ასე შემდეგ.



1999 წელს რეზო გაგუა დაინიშნა ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალურ დირექტორად. მას დიდი და რთული გზის გავლა მოუწია, რათა შეენარჩუნებინა კლინიკა და მთლიანად ონკოლოგიური დარგი ქვეყნისათვის ძალიან რთულ პერიოდში. რეზო გაგუას დიდი წვლილი მიუძღვის არაერთი ნიჭიერი და პერსპექტიული ექიმის აღზრდაში. ის გახლავთ 4 გამოგონების, 11 რაციონალიზატორული წინადადებისა და 2 მეთოდური რეკომენდაციის ავტორი და თანაავტორი. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, 3 მონოგრაფია. მისი რედაქტორობით გამოიცა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: „ავთვისებიანი სიმსივნეების კლასიფიკაცია" (ქართული რედაქციით, 2002); „ოფიციალური მითითებები, დებულებები, მეთოდური რეკომენდაციები და მკურნალობის ალგორითმები ონკოლოგიაში" (2005); „დაავადებათა ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა მოვლა და სიმპტომური მკურნალობა" (2000). რეზო გაგუა არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წევრი; საქართველოს კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების, დამტკიცებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოსა და საქართველოს ეთიკის ეროვნული საბჭოს წევრი; საქართველოს პარლამენტთან არსებული ონკოლოგიის საკონსულტაციო საბჭოს წევრი; საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი; საქართველოს თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი; საქართველოს ქირურგთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე და სამედიცინო ასოციაციათა გაერთიანების წევრი; ასევე, არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიაში; სახელმწიფო სასერტიფიკაციო საგამოცდო დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე.

რ. გაგუა გახლავთ 70-ზე მეტი რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო კონგრესის მონაწილე. დიდი ოქროს მედლით აღინიშნა მისი ღვაწლი ონკოლოგიის განვითარებაში ბლოხინის სახელობის საკავშირო ონკოლოგიური ცენტრის 50 წლისთავთან დაკავშირებით (2007). ქართული ონკოლოგიის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის იგი დაჯილდოებულია გ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების მედლით (1987), საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომებისათვის – ა. ღვამიჩავას სახელობის პრემიით (1993, 1994, 1995); ა. ჩაჩავას სახელობის პრემიით (1996); ლუარსაბ შარაშიძის სახელობის პრემიით (2005). 2006 წელს რ. გაგუამ მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი და ამავე წელს გახდა წლის საუკეთესო ექიმი; არის ფოთის საპატიო მოქალაქე. მის მიერ ონკოლოგიის დარგში შეტანილი წვლილი აღინიშნა არაერთი სახელმწიფო თუ საერთაშორისო ჯილდოთი. რ. გაგუა არის საქართველოს მეცნიერებათა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998); ღირსების ორდენის კავალერი (2002); ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი; დიდი ბრიტანეთის სოკრატეს საერთაშორისო პრიზის ნომინანტი; ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის მშვიდობის მსოფლიო მედლის მფლობელი და ასე შემდეგ.

**– ბატონო რეზო, როგორ ფიქრობთ, რით დაიმსახურეთ პაციენტების ნდობა?**

**რეზო გაგუა:** უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერებითა და გულწრფელობით. პაციენტი ყოველთვის გრძნობს, როგორ ეპყრობა მას ექიმი; რამდენად ახლოს მიაქვს გულთან მისი გასაჭირი; საკითხს ფუნდამენტურად უყურებს თუ ზერელედ. ყველაზე უკეთ პაციენტი გრძნობს და შემდეგ აფასებს ამას.

**– პირველი ოპერაცია გახსოვთ?**

– დიახ, ეს იყო ფოთში, როდესაც მე რამდენიმე ათეული წლის წინ აპენდიციტის ოპერაცია გავაკეთე, მერე კი ღამეები არ მეძინა განცდით, როგორ განვითარდებოდა პოსტოპერაციული პერიოდი და როდის გაეწერებოდა პაციენტი გართულებების გარეშე. მას შემდეგ რამდენიმე ათასი ოპერაცია მაქვს გაკეთებული, ძირითადად ფილტვებსა და შუასაყარზე. ჩემ მიერაა დანერგილი არაერთი ოპერაცია ონკოთორაკალურ ქირურგიაში, მაგალითად, ბრონქებისა და ტრაქეის ცირკულარული რეზექცია და პლასტიკა და ასე შემდეგ.

**– ბატონო რეზო, რამდენად გახშირდა ონკოლოგიური დაავადებები და რა არის მათი გამომწვევი მიზეზები?**

- დღეს მთელ მსოფლიოში კიბოს 12 მილიონი ახალი შემთხვევა ვლინდება, ეს კი საგანგაშო ციფრია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2020 წლისთვის ონკოლოგიური დაავადებები 20 მილიონამდე გაიზრდება, გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და პირველ ადგილს დაიკავებს. ონკოლოგიური ავადობის მატების მთელი ტვირთი გადავა განვითარებად ქვეყნებზე, რომლებსაც საქართველოც განეკუთვნება. დღეისათვის ჩვენთან აღრიცხვაზეა 33 000-ზე მეტი ონკოლოგიური ავადმყოფი, ყოველწლიურად კი ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების 7 000-მდე ახალი შემთხვევა ვლინდება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ყოველწლიურად 7 ათასი ახალი შემთხვევის გამოვლინება სერიოზული პრობლემაა.

**– ბატონო რეზო, რამდენად განკურნებადია ონკოლოგიური დაავადებები?**

– პანიკური შიში კიბოს მიმართ უნდა დავძლიოთ და უნდა შევიგნოთ, რომ კიბო დიაგნოზია და არა სასიკვდილო განაჩენი. ეფექტური მკურნალობისთვის მთავარი და წამყვანია დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლინება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში სრული განკურნების შანსი 90 პროცენტია. მესამე-მეოთხე სტადიაში კი, სიცოცხლის ხარისხის ამაღლებისა და გახანგრძლივების რეალური შესაძლებლობები არსებობს. ადამიანებს ახასიათებთ ონკოლოგიური დაავადების დამალვა, რადგან ისინი საზოგადოებაში სასიკვდილო განაჩენთან არიან გაიგივებული. ეს არ არის სწორი მიდგომა, რადგან უამრავი ადამიანია, რომლებმაც კიბო დაამარცხეს და სრულიად ჯანმრთელნი დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. სწორედ ისინი უნდა იქცნენ სხვისთვის მაგალითად. მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა კიბოს მკურნალობის ეფექტურ მეთოდებზე მუშაობს. ეს არის ქირურგიული ტექნიკის დახვეწა, მედიკამენტური, რადიოლოგიური მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა თუ ახალი ტექნოლოგიების შემოღება. მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ზოგიერთი დაავადება, რომელიც ამა თუ იმ ჰისტოლოგიურ ტიპზეა დამოკიდებული, ქიმიოთერაპიული და რადიოთერაპიული საშუალებებით პრაქტიკულად სრულად იკურნება და ამის შესახებ მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს. უნდა გაიფანტოს მითი იმის შესახებ, რომ კიბო უკურნებელი სენია.

**ანა თაბაგარი**



ვისი მონატრების გამო შეიძლება დატოვოს უკრაინული „X ფაქტორი“ ნინი ნუცუბიძემ, რომელიც ჟიურიმ პირდაპირ ფინალში გადაიყვანა და რატომ აქვს მას საკუთარი რენტგენის სურათების ალბომი

გვ.18



ცდილობდნენ, მათთვის ჟანგბადი ვერტმფრენებიდან მიეწოდებინათ, რომ სუნთქვა შესძლებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამან ვერ უშველა და ბევრი გარდაიცვალა

გვ.28

რამდენი მილიონი ადამიანი ესწრება მექაში მუსლიმთა უდიდეს ჰაჯის და როგორ გადაურჩნენ ქართველი მომლოცველები მექაში მომხდარ უბედურ შემთხვევას



მშობელმა უნდა იცოდეს, რომ „ზარმაცი თვალი“ თავისით არ გაივლის

გვ.57

რა არ უნდა გამოეპაროს მშობელს ბავშვის მხედველობასთან დაკავშირებით და რა კავშირი აქვს ამ პრობლემასთან სიელმეს, ბრტყელ ტერფსა და სქოლიოზს



როგორ მონაწილეობდა „მის თბილისი“ – მარიამ იმედაშვილი „კელვინ ქლაინის“ ჩვენებაში და რაზე უწევს მას ზოგჯერ უარის თქმა

გვ.55

ISSN 1987-569X
9771987569002

საქართველო ბეჭედია ბაჟალ და თბილისი – ში მული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * * 19–25 ოქტომბერი * №42(773) * ფასი 1,50 ლარი